

შუასაუკუნოვან საქართველოში ნუმისმატიკური ევოლუციის ანალიზი
(VIII-XIII სს.)

ირაკლი ფაღავა

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ინტერდისციპლინური
სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გიორგი სანიკიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

ვარ რა წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად გადაცემულ თუ დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ჩემს ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

(ირაკლი ფაღავა)

20 ივლისი 2015

აბსტრაქტი

VII საუკუნეში საქართველო პირველად შევიდა კონტაქტში ისლამთან; VIII საუკუნის დასაწყისისთვის ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე უშუალოდ ინკორპორირებულია სახალიფოს მიერ. შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდება ინტენსიური ურთიერთქმედება ისლამის სამყაროსთან - პოლიტიკური, სამხედრო, კულტურული, ეკონომიკური. ამასთან, ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის წყაროები ნაკლებია; შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი სპეციფიური პირველწყარო, როგორც ეპოქის მონეტები - რომელიც მიმოიქცეოდა და იჭრებოდა საქართველოში. თავდაპირველად საგარეო ძალასთან კონტაქტის პირობებში, ეროვნული საფასის შემდგომი ევოლუციაც, და ფულადი ბაზრის ეტაპობრივი ტრანსფორმაციაც განვითარების ალტერნატიულ გზას დაადგა. ამის გათვალისწინებით, მიზნად დავისახეთ VIII-XIII საუკუნეებში საქართველოში გამოშვებული თუ საქართველოში მიმოქცევაში მყოფი მონეტების კომპლექსური შესწავლა ისლამის სამყაროსთან ქართველი ერის ურთიერთქმედების ჭრილში.

ვცადეთ, ახალი ნუმისმატიკური მონაცემების მოშველიებით საქართველოში არაბთა ძალაუფლების დამყარებისა და ადმინისტრაციის განთავსების ქრონოლოგიის დაზუსტება; თბილისში ომაიანთა და 'აბასიანთა პერიოდში საფასის გამოშვების ისტორიის დაზუსტება; საქართველოში სახალიფოს საფასის მიმოქცევის არეალების დაზუსტება; თბილისის ჯა'ფარიანი ამირების დინასტიის არსებობის ბოლო ათწლეულების ისტორიის გარკვევა; ჯა'ფარიანების გამეფების შემდეგ და ბაგრატიონების მიერ დაპყრობამდე მაჰმადიანური თბილისის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციისა და ეკონომიკური აქტიურობის დაზუსტება; დასავლეთ-ქართულ სახელმწიფოში ფულადი ემისიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის ანალიზი; მოგვებაზე დავით აღმაშენებლის სამონეტო რეფორმის არსი; საზოგადოდ, შეგვესწავლა გაერთიანებული სამეფოს პერიოდის ქართული ფულის გენეზისი და შემდგომი ევოლუცია.

კვლევის მეთოდოლოგია უპირატესად თვისებრივი იყო.

დადგინდა, რომ არაბული ადმინისტრაცია აღმოსავლეთ საქართველოში დამყარდა უკვე VIII საუკუნის დასაწყისისთვის (რასაც მოწმობს თბილისში ზარაფხანის ამუშავება, იქ ომაიანური პოსტ-რეფორმული დირჰემებისა და მურვან ყრუს ფელსის გამოშვება); სახალიფოს საფასე - ვერცხლის დირჰემი ფართოდ მიმოიქცეოდა მთელს საქართველოში, და არა მარტო აღმოსავლეთ რეგიონებში, როგორც ადრე მიაჩნდათ; თბილისსა და მის შემოგარენში წვრილი ალებ-მიცემობის ინტენსიურობასა და სამხრეთ კავკასიის სხვა ურბანულ ცენტრებთან მჭიდრო კავშირს მიუთითებს სპილენძის ფელსების მრავალრიცხოვანი აღმოჩენები (ზოგიერთი - მაგალითად, იაზიდ ბ. უსაიდის აქამდე უცნობი ტიპის ფელსები, შეიძლება ადგილობრივად იჭრებოდა); ჯა'ფარიანები (ჯა'ფარ III ბ. 'ალი, მანსურ II ბ. ჯაფარ (III), აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯაფარ (III) აგრძელებენ თბილისში საკუთარი საფასის გამოშვებას 1070-იან წლებამდე მაინც, რაც ხაზს უსვამს ტერიტორიულად დაკნინებული თბილისის მიერ შენარჩუნებულ ეკონომიკურ მნიშვნელობას; ჯა'ფარიანთა გაძევება-გადაშენების შემდეგაც თბილისი აგრძელებს საკუთარი საფასის გამოშვებას, საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას კი დიდ სელჯუკებზე იღებს; ამასობაში, დავით აღმაშენებელი აგრძელებს ვერცხლის, ქართულ-ბიზანტიური ტიპის საფასის გამოშვებას XII საუკუნის პირველ ათწლეულებშიც; თბილისის ალების შემდეგ კი ატარებს სამონეტო რეფორმას - იწყებს ექსკლუზიურად არაბულენოვანი, სპილენძის, უწყესო ჭედვის მონეტების გამოშვებას, რომელიც წინა პერიოდის მაჰმადიანური თბილისის საფასის უშუალო მემკვიდრეა; ამ საფასეზე დავით აღმაშენებელი პირველად ითვისებს ამაყ ტიტულს - *მახვილი მესიისა*; ექსკლუზიურად არაბულენოვანი მონეტების გამოშვებას აგრძელებს დიმიტრი I-ც; შემდგომში ქართულ საფასეზე ეროვნული ელემენტი მატულობს, მაგრამ ფული აღმოსავლურ იერს მონღოლების გამოჩენამდე ინარჩუნებს; იჭრება მემორიალური მონეტა, ევოლუციას განიცდის სამონეტო იკონოგრაფიაც.

შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული პერიოდის ნუმისმატიკური კვლევა მეტად ინფორმატიულია ქართველი ერისა და, საზოგადოდ, რეგიონის ისტორიის საკვლევად.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: ნუმერიზატიკური ევოლუცია, ჯაფარიანები, სამონეტო რეფორმა, სამონეტო იკონოგრაფია, მემორიალური მონეტები, სამონეტო მიმოქცევა, სახალიფო, თბილისის საამირო

Abstract

The 7th century witnessed Georgia's first contact with Islam; the following epoch was marked by intense interaction. However, our sources are scarce and laconic, so the coins both minted and circulating in Georgia gain much significance. The evolution of the national currency and transformation of local monetary markets were affected by the ongoing contacts. We decided to study the currencies being minted / circulating in the 8th -13th century Georgia with regard to the Georgian interaction with the world of Islam.

We analyzed the numismatic data to ascertain: When the Arab administration was established in Georgia; history of numismatic activities in Tiflis in the Umayyad and 'Abbasid periods; circulation areas of Kufic currency; last decades of the Ja'farid rule in Tiflis; foreign policy and economic life of the Muslim Tiflis after their expulsion and before the Georgian conquest; last emissions of West-Georgian Kingdom; monetary reform of Davit IV; genesis and evolution of Bagratid coinage in the 12th- early 13th centuries.

We primarily employed the qualitative methods.

We found, that the Arab administration was established already by 700s (as testified to by the Umayyad currency minted in Tiflis); Kufic dirhams circulated freely all over the Georgia (not only in the eastern provinces, as considered before); numerous finds of fulus reflect the intense petty trade and relations with neighbouring Caucasian urban centers (some of these coppers could be minted locally, like the fulus of Yazid b. Usayd of previously unknown type); Ja'farid emirs continued to issue their currency in Tiflis at least till the 1070s; it points to the economic role the city preserved despite her political and military decline; Tiflis continued issuing currency even after the expulsion of the Ja'farids (before the Georgian conquest); meanwhile, Davit IV issued the last Georgian-Byzantine silver coins in the first decades of the 12th century, but, having captured Tiflis, conducted a monetary reform, switching to minting irregular coppers with exclusively Arabic legends; the latter descend from the previous issues of the Muslim Tiflis; the victorious king employed for the first time the proud title of *Sword of Messiah*; Dimitri I, his elder son, continued issuing exclusively Arabic coinage, but later Georgian currency gradually gained some national

features, albeit preserving its oriental appearance; iconography was reintroduced and memorial coins were distributed.

We conclude, that the numismatic research constitutes an informative primary source for studying the contemporary history of the Georgian nation and Caucasus in general.

Primary Keywords: Numismatic evolution, Jafarids, monetary reform, monetary iconography, memorial coins, monetary circulation, caliphate, Emirate of Tbilisi

მადლობა

ავტორის სასიამოვნო ვალდებულებაა მადლობა მოახსენოს ყველა იმ ადამიანს, რომლის თანადგომისა და შეწევნის გარეშე წინამდებარე ნაშრომი ვერ შედგებოდა.

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას სამეცნიერო ხელმძღვანელის, ბატონ გიორგი სანიკიძის დამსახურებას - მისი უწყვეტი, მზრუნველი და ტაქტიანი მხარდაჭერის გარეშე სამუშაოს ამ ეტაპამდე მიყვანა აბსოლუტურად შეუძლებელი იქნებოდა. ავტორს იღბალი ქონია, რომ ხელმძღვანელად ბედმა ესეთი პიროვნება არგუნა.

საგანგებოდ ასაღნიშნია მამისა და ცხოვრებაში პირველი ხელმძღვანელის, ყარამან ფაღავას როლიც: შემეცნებითი ცხოვრების გარიჟრაჟზე მისგან აღებული გაკვეთილებისა და მისი ცხოვრებისეული მაგალითის გარეშე, ავტორი, მეცნიერების გზას, ალბათ, არ, ანდა, ვერ დაადგებოდა.

ოჯახისგან შემდგარებული ზურგის გარეშე სამეცნიერო მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა - ავტორი მადლობელია ყველა ახლობელი ადამიანის, რომელიც პატივს სცემს მეცნიერებასა და მის მსახურებს. შემოქმედებით განმარტობაში გატარებულმა დრომ კარგად აგრძნობინა ავტორს, თუ რამდენად ძვირფასია თითოეული წამი ოჯახის წევრების გვერდზე.

გულითადი მადლობა ეძღვნება ყველა თანაავტორს, ვისთანაც თანამშრომლობაში ავტორს სამეცნიერო სიახლის მოძიებისა და გაანალიზების სიამოვნება და პატივი ერგო წილად: ქირე ბენეტს (რომელთანაც ერთად ავტორმა 'ალი ბ. ჯა'ფარის კიდევ ერთი სამონეტო ტიპი აღმოაჩინა და გამოაქვეყნა); ირინა ვარშალომიძეს (ზოტისა და ხელვაჩაურის განძების გამოქვეყნება); გენადი ზლობინს (დემეტრე I-ის აქამდე უცნობი საფასის ახალი სახესხვაობის აღმოჩენა); სევერიანე თურქიას მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის (მურვან ყრუს თბილისში მოჭრილი ფელსის აღმოჩენა; იაზიდ ბ. უსაიდის ახალი ტიპის (თბილისური?) სპილენძის ფელსების აღმოჩენა; 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის ახალი სამონეტო ტიპების აღმოჩენა; ჯა'ფარ III ბ. 'ალის, აბუ ალ-ხეიჯა და მანსურ ბ. ჯა'ფარ (III)-ის აქამდე სრულად თუ ნაწილობრივ უცნობი საფასის აღმოჩენა; დემეტრე

I-ის ახალი, არაბულენოვანი საფასის აღმოჩენა; ჯა'ფარიანთა დინასტიის საფასის ამოკითხვაში შექცევით გატარებული სადამოები ნუმიზმატიკის წიაღში ჩასახული და გაღვივებული მეგობრობის ერთ-ერთ ყველაზე თბილ მოსაგონრად დარჩება); ევგენი ლემბერგს (საქართველოს დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ქუფური დირჰემების შესწავლა); ვლასტიმირ ნოვაქს (პრადის მუზეუმებში შენახული ქართული მონეტები, მათ შორის VIII-XIII საუკუნეების); მაია პატარიძეს (გიორგი IV ლაშას კურთხევის სცენის მატარებელი უნიკალურ მონეტის ანალიზი და ახლებური ინტერპრეტაცია; მერი ანთაძის სამეცნიერო მემკვიდროების შესწავლა); როლანდ სპანდერაშვილს (გიორგი II-ისა და დავით IV-ის ქართულ-ბიზანტიური ტიპის საფასის ახალი ცალების გამოქვეყნება); დავით ფაციას (დავით IV აღმაშენებლის ვერცხლის მონეტების ახალ სახესხვაობაზე მსჯელობა).

ავტორი მადლობას უხდის ყველა იმ უცხოელ კოლეგას, ვინც უცხოეთის კოლექციებში დაცულ სამონეტო მასალასთან მუშაობაში ხელი შეუწყო და მისი გამოქვეყნების უფლებაც მისცა - შტეფან ხაიდემანსა და თობიას მაიერს, ლუთც ილიშს, რუბენ ვარდანიანსა და არმინე ზოჰრაბიანს.

ავტორისთვის სამეცნიერო პროდუქტზე არა ნაკლებს თავად გარემომცველი ინტელექტუალურ-სამეცნიერო გარემო ნიშნავს: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი, ალექსეი ოსტროვსკი, მაია პატარიძე, რომსა თუ ვატიკანში, პრადაში, სანქტ-პეტერბურგსა თუ ოდესსაში, თბილისსა თუ ბათუმში გაცნობილი ნუმიზმატები და მრავალი, მრავალი სხვა პიროვნება.

ავტორს ქონდა ბედნიერება და პატივი, მრავალი უფროსი კოლეგის მხარდაჭერაც ეგრძნო - გრიგოლ ბერაძე, თინათინ ქუთელია, ვლადიმირ ნასტიჩი, ამირან კახიძე, განსხვავებული მერი ანთაძე, ის ადამიანები, რომელთა სათითაოდ ჩამოთვლა გასაგები მიზეზების გარეშე შეუძლებელია - ყველასადმი ავტორს პატივისცემისა და მადლიერების ვალი ამომრავებს.

სარჩევი

განაცხადი	i
აბსტრაქტი	ii
Abstract	v
მადლობა	vii
სარჩევი	ix
ცხრილების ჩამონათვალი	xii
ჰისტოგრამების ჩამონათვალი	xii
რუკების ჩამონათვალი	xiii
სურათების ჩამონათვალი	xiii
შემოკლებების ჩამონათვალი	xx
შესავალი	1
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	7
მეთოდოლოგია	20
შედეგები	22
თავი 1. საქართველო და არაბები	22
<i>ქვეთავი 1.1. საქართველოში არაბთა ძალაუფლების დამყარება</i>	22
თბილისში ომაიანთა დირჰემის მოჭრის ქრონოლოგია	22
თბილისში მოჭრილი მურვან ყრუს ფელსი	24
<i>ქვეთავი 1.2. 'აბასიანთა პერიოდი</i>	27
იაზიდ ბ. უსაიდის ფელსები	27
<i>ქვეთავი 1.3. ჯა'ფარიანთა პერიოდი</i>	33
'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის საფასე	33
ჯა'ფარ (III) ბ. 'ალის საფასე	40
მანსურ (II) ბ. ჯა'ფარ (III)-ის საფასე	47
აბულ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ის საფასე	57

<i>ქვეთავი 1.4. თბილისის პოსტ-ჯა'ფარიანული საფასე</i>	63
<i>ქვეთავი 1.5. ქუფური საფასე საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში</i>	66
<i>ზოტის განძი</i>	66
<i>ხელვაჩაურის განძი</i>	76
<i>დირჰემები დასავლეთ საქართველოს მიმოქცევაში</i>	90
<i>ქუფური ფელსების ახალი აღმოჩენები</i>	112
თავი 2. ქრისტიანული რეკონკისტა და საქართველოს გაერთიანება	123
<i>ქვეთავი 2.1. ქართულ-ბიზანტიური საფასე</i>	123
<i>ახალი ეგ ზემპლარები</i>	123
<i>დავით IV-ის ვერცხლის საფასე ბიზანტიური ტიტულის გარეშე</i>	131
<i>ქვეთავი 2.2. დავით აღმაშენებლის სამონეტო რეფორმა</i>	149
<i>კვლევის ისტორია</i>	149
<i>სამონეტო მასალა</i>	156
<i>სამონეტო ტიპის რეკონსტრუქცია და რეატრიბუცია</i>	163
<i>მოჭრის ადგილი და დრო</i>	169
<i>მიმოქცევის არეალი</i>	170
<i>რეფორმა და მისი არსი</i>	173
თავი 3. გაერთიანებული სამეფო	174
<i>ქვეთავი 3.1. დიმიტრი I-ის არაბულენოვანი საფასე</i>	174
<i>ქვეთავი 3.2. მემორიალური ქართული მონეტები</i>	183
<i>ქვეთავი 3.3. ხელოსნები და ზარაფხანის ორგანიზაცია</i>	186
<i>ქვეთავი 3.4 სამონეტო იკონოგრაფია</i>	191
დისკუსია / ინტერპრეტაცია	196
თავი 1. საქართველოში არაბთა ადმინისტრაციის შემოღება	
და არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია	196
თავი 2. ჯა'ფარიანთა გვარის ისტორია ნუმიზმატიკური მონაცემებით	207
თავი 3. საქართველოში არაბთა საფასის მიმოქცევა	214
თავი 4. გაერთიანებული ქართული სამეფოს საფასის გენეზისი და ევოლუცია	221

დასკვნა და რეკომენდაციები

235

ბიბლიოგრაფია

238

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1.3.1. ‘ალი ბ. ჯა’ფარ (II)-ის სამონეტო ტიპები (შესაბამისობის სქემა)	40
ცხრილი 1.5.1. ხელვაჩაურის განძის მონეტების სია	85
ცხრილი 2.1.1. ასომთავრული ლეგენდები დავით აღმაშენებლის ვერცხლის საფასეზე	131
ცხრილი 3.2.1. მემორიალური ხასიათის (?) ქართული მონეტები	186

ჰისტოგრამების ჩამონათვალი

ჰისტოგრამა 1.5.1. ხელვაჩაურის განძის მონეტების განაწილება ზარაფხანების მიხედვით (აბსოლუტურ რიცხვებში)	84
ჰისტოგრამა 1.5.2. ხელვაჩაურის განძის მონეტების განაწილება რეგიონების მიხედვით (აბსოლუტურ რიცხვებში)	84
ჰისტოგრამა 1.5.3. ხელვაჩაურის განძის მონეტების განაწილება ათწლეულების მიხედვით (აბსოლუტურ რიცხვებში)	85
ჰისტოგრამა 1.5.4. ფელსები თბილისისა და დვინის აღმოჩენებიდან. განაწილება ზარაფხანების მიხედვით	123

რუკების ჩამონათვალი

რუკა 2.2.1. დავით აღმაშენებლის არაბულენოვანი მონეტების

პოვნის გეოგრაფია

171

სურათების ჩამონათვალი

სურ. 1.1.1. ომაიანები, დირჰემი, ჰ. 85 წ., თბილისი	23
სურ. 1.1.2. ომაიანები, დირჰემი, ჰ. 86 წ., თბილისი	23
სურ. 1.1.3. ომაიანები, მმართველი მურვან ბ. მუჰამმადი (მურვან ყრუ), ფელსი, დაუთარიღებელი, თბილისი (ეგზემპლარი კერძო კოლექციიდან)	25
სურ. 1.1.4. ომაიანები, მმართველი მურვან ბ. მუჰამმადი (მურვან ყრუ), ფელსი, დაუთარიღებელი, თბილისი (ეგზემპლარი თიუბინგენის უნივერსიტეტის კოლექციიდან)	25
სურ. 1.2.1. 'აბასიანები, მმართველი იაზიდ ბ. უსაიდი, ფელსი, ჰ. 164 წ., ქალაქის აღნიშვნის გარეშე (მოჭრილია თბილისში?). ეგზემპლარი 1.	28
სურ. 1.2.2. 'აბასიანები, მმართველი იაზიდ ბ. უსაიდი, ფელსი, ჰ. 164 წ., ქალაქის აღნიშვნის გარეშე (მოჭრილია თბილისში?). ეგზემპლარი 2.	29
სურ. 1.2.3. 'აბასიანები, მმართველი იაზიდ ბ. უსაიდი, ფელსი, ჰ. 164 წ., ქალაქის აღნიშვნის გარეშე (მოჭრილია თბილისში?). ეგზემპლარი 3.	29
სურ. 1.3.1. ჯა'ფარიანები, 'ალი ბ. ჯა'ფარი (II) და ხალიფა ათ-თაი, დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი]	34

სურ. 1.3.2. ჯა'ფარიანები, 'ალი ბ. ჯა'ფარი (II) და ხალიფა ალ-ყადირი, დაკნინებული დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი]	38
სურ. 1.3.3. ჯა'ფარიანები, ჯა'ფარ (III) ბ. 'ალი და ხალიფა ალ-ყაიმი, სპილენძის დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი]	41
სურ. 1.3.4. ჯა'ფარიანები, ჯა'ფარ (III) ბ. 'ალი და ხალიფა ალ-ყაიმი, სპილენძის დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი] (განსხვავებული ტიპი)	42
სურ. 1.3.5. ჯა'ფარიანები, აბუ ალ-ფადლ ჯა'ფარ (III) ბ. 'ალი და ხალიფა ალ-ყაიმი, სპილენძის (მოვერცხლილი?) დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი]	45
სურ. 1.3.6. ჯა'ფარიანები, მანსურ ბ. ჯა'ფარ (III), სპილენძის დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი], ტიპი 1	48
სურ. 1.3.7. ჯა'ფარიანები, მანსურ ბ. ჯა'ფარ (III), სპილენძის დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი], ტიპი 1, სხვა ეგზემპლარი	49
სურ. 1.3.8. ჯა'ფარიანები, მანსურ ბ. ჯა'ფარ (III), სპილენძის დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი], ტიპი 2	50
სურ. 1.3.9. ჯა'ფარიანები, მანსურ ბ. ჯა'ფარ (III), სპილენძის დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი], ტიპი 3	52
სურ. 1.3.10. ჯა'ფარიანები, მანსურ ბ. ჯა'ფარ (III), სპილენძის დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი], ტიპი 4	53
სურ. 1.3.11. ჯა'ფარიანები, აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III), სპილენძის (მოვერცხლილი) დირჰემი, თარიღი არ ჩანს, [თბილისი]	58
სურ. 1.4.1. თბილისი სელჯუკების მფარველობის ქვეშ, სპილენძის დირჰემი, ხალიფა ალ-მუსთაჰჰირის სახელით	64
სურ. 1.4.2. თბილისი სელჯუკების მფარველობის ქვეშ, სპილენძის დირჰემი, ხალიფა ალ-მუსთაჰჰირისა და მუჰამმადის (სელჯუკი სულთნის?) სახელით	64
სურ. 1.5.1. დირჰემი; ალ-მუჰამმადია, ჰ. 181 წ., მორწმუნეთა ამირას (ხალიფას) მის ამირა ალ-ამინ მუჰამმადის სახელით; ჯა'ფარი	67
სურ. 1.5.2. დირჰემი; ალ-ბასრა, ჰ. 147 წ., ანონიმური	68
სურ. 1.5.3. დირჰემი; მადინათ ას-სალამი, ჰ. 151 წ., ანონიმური	69

სურ. 1.5.4. დირჰემი; მადინათ ას-სალამი, პ. 151 წ., ანონიმური	70
სურ. 1.5.5. დირჰემი; მადინათ ას-სალამი, პ. 162 წ. ხალიფა ალ-მაჰდის სახელით.	70
სურ. 1.5.6. დირჰემი; მადინათ ას-სალამი, პ. 181 წ., მორწმუნეთა ამირას (ხალიფას) მის ამირა ალ-ამინ მუჰამმადის სახელით; ჯა'ფარი	71
სურ. 1.5.7. დირჰემი; მადინათ ას-სალამი, პ. 182 წ., მორწმუნეთა ამირას (ხალიფას) მის ამირა ალ-ამინ მუჰამმადის სახელით; ჯა'ფარი	72
სურ. 1.5.8. დირჰემი; მადინათ ას-სალამი, პ. 194 წ., ანონიმური	73
სურ. 1.5.9. დირჰემი; მადინათ ას-სალამი, პ. 195 წ., ალ-ამინ მუჰამმადი როგორც მონა ალაჰისა და მორწმუნეთა ამირა	73
სურ. 1.5.10. დირჰემი; მადინათ ას-სალამი, პ. 195 წ., ალ-ამინ მუჰამმადი როგორც მონა ალაჰისა და მორწმუნეთა ამირა	74
სურ. 1.5.11. დირჰემი; არმინია, პ. 191 წ., ხუზაიმა ბ. ხაზიმი და ისმაილ ბ. იბრაჰიმი; ხალიფას მემკვიდრის ალ-ამინის სახელით	75
სურ. 1.5.12. დირჰემი; არმინია, პ. 191 წ., ხუზაიმა ბ. ხაზიმი და ისმაილ ბ. იბრაჰიმი; ხალიფას მემკვიდრის ალ-ამინის სახელით	75
სურ. 1.5.13. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 132 წ., ალ-ქუფა	81
სურ. 1.5.14. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 188 წ., არ-რაფიკა	81
სურ. 1.5.15. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 192 წ., არ-რაფიკა	81
სურ. 1.5.16. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 184 წ., არრანი	82
სურ. 1.5.17. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 184 წ., არრანი	82
სურ. 1.5.18. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 188 წ., არრანი	82
სურ. 1.5.19. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 194 წ., მადინათ მარვი	82
სურ. 1.5.20. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 166 წ., ქირმანი	82
სურ. 1.5.21. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 167 წ., ქირმანი	82
სურ. 1.5.22. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 194 წ., მადინათ სამარკანდი	83
სურ. 1.5.23. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 195 წ., მადინათ სამარკანდი	83
სურ. 1.5.24. 'აბასიანები, დირჰემი, პ. 177 წ., მადინათ ას-სალამი (სიქების აღრევა?)	83
სურ. 1.5.25. 'აბასიანები, დირჰემი, მადინათ ას-სალამი, პ. 166 წ.	92

სურ. 1.5.26. 'აბასიანები, დირჰემი, მადინათ ას-სალამი, ჰ. 157 წ.	93
სურ. 1.5.27. 'აბასიანები, დირჰემი, მადინათ ას-სალამი, ჰ. 192 წ.	94
სურ. 1.5.28. ომაიანები, დირჰემი, ვასითი, ჰ. 95 წ.	94
სურ. 1.5.29. 'აბასიანები, დირჰემი, მუჰამმადია, ჰ. 18[2] წ.	95
სურ. 1.5.30. 'აბასიანები, დირჰემი, მადინათ ას-სალამი, ჰ. 149 r.x.	96
სურ. 1.5.31. ომაიანები, დირჰემი, ვასითი, ჰ. 107 წ.	97
სურ. 1.5.32. ომაიანები, დირჰემი, ვასითი, ჰ. 104 წ.	98
სურ. 1.5.33. 'აბასიანები, დირჰემი, მადინათ ას-სალამი, ჰ. 179 წ.	98
სურ. 1.5.34. 'აბასიანები, დირჰემი, მადინათ ას-სალამი, ჰ. 152 r.x.	99
სურ. 1.5.35. ომაიანები, დირჰემი, ვასითი, ჰ. 104 წ.	100
სურ. 1.5.36. ბუვეიჰიანები, დირჰემი, რუქნ ად-დაულა აბუ 'ალი ჰასან ბ. ბუვეიჰი, შირაზი, ჰ. 360 წ.	101
სურ. 1.5.37. 'აბასიანები, დირჰემი, ბასრა, ჰ. 133 წ.	102
სურ. 1.5.38. 'აბასიანები, დირჰემი, მადინათ ზარანჯი, ჰ. 178 წ.	103
სურ. 1.5.39. 'აბასიანები, დირჰემი, მუჰამმადია, ჰ. 155 წ.	104
სურ. 1.5.40. ირანის ომაიანი ნაცვლები, დირჰემი, „ბიშ“ (ბიშაპური), ჰ. 80 წ.	105
სურ. 1.5.41. 'აბასიანთა დირჰემის იმიტაცია, „მადინათ ას-სალამი“, ჰ. "3(2)2" წ.	106
სურ. 1.5.42. 'აბასიანები, დირჰემი, არრანი, ჰ. 145 წ.	107
სურ. 1.5.43. 'აბასიანები, დირჰემი, ჰარუნ აბადი, ჰ. 169 r.x.	107
სურ. 1.5.44. 'აბასიანები, დირჰემი, მადინათ არრანი, ჰ. 208 წ. (ახალი ტიპი)	108
სურ. 1.5.45. 'აბასიანები, დირჰემი, მადინათ ას-სალამი, ჰ. 304 r.x.	109
სურ. 1.5.46. ალ-გაბი: ჰ. 154 წ., ფელსი, ალ-ჰასანის სახელით	115
სურ. 1.5.47. ალ-იაზიდია: ჰ. 150 წ., ფელსი, ანონიმური	116
სურ. 1.5.48. არრანი: ჰ. 153 წ., ფელსი, ბაქქარის სახელით	116
სურ. 1.5.49. არრანი: ჰ. 177 წ., ფელსი, ხალიდ ბ. იაზიდის სახელით	116
სურ. 1.5.48. არრანი: ჰ. 178 წ., ფელსი, მუსა ბ. ისას სახელით	116
სურ. 1.5.49. არრანი: ჰ. 184 წ., ფელსი, ასად ბ. იაზიდის სახელით	117
სურ. 1.5.50. არრანი: ჰ. 186 წ., ფელსი, მუჰამმად ბ. იაზიდის სახელით	117

სურ. 1.5.51. ბარდა: ჰ. 142 წ., ფელსი, იაზიდ ბ. უსაიდის სახელით	117
სურ. 1.5.52. ბარდა: ჰ. 142 წ., ფელსი, იაზიდ ბ. უსაიდის სახელით (განსხვავებული ტიპი)	117
სურ. 1.5.53. ბარდა: ჰ. 158 წ., ფელსი, ალ-ჰასანის სახელით	118
სურ. 1.5.54. ბარდა: ჰ. 159 წ., ფელსი, იაზიდ ბ. უსაიდის სახელით	118
სურ. 1.5.55. თბილისი: დაუთარიღებული, ფელსი, მურვან ბ. მუჰამმადის სახელით	118
სურ. 1.5.56. არმინია: დაუთარიღებული, ფელსი, იაზიდ ბ. უსაიდის სახელით	119
სურ. 1.5.57. დაბილი: ჰ. 159 წ., ფელსი, იაზიდ ბ. უსაიდის სახელით	119
სურ. 1.5.58. დაბილი (?): ჰ. 187 წ., ფელსი, მუჰამმად ბ. იაზიდის სახელით (ახალი ტიპი)	119
სურ. 1.5.59. დაბილი: ჰ. 194 წ., ფელსი, აბდალლაჰ ბ. მუჰამმადის სახელით	120
სურ. 1.5.60. ალ-ჰარუნია: ჰ. 169 წ., ფელსი, ხუზაიმა ბ. ხაზიმი	120
სურ. 1.5.61. მოჭრის ადგილის მითითების გარეშე: ჰ. 164 წ., ფელსი, იაზიდ ბ. უსაიდი	120
სურ. 1.5.62. მოჭრის ადგილის მითითების გარეშე: ჰ. 208 წ., ფელსი, ისა ალ-მამუნისა და მუჰამმად ბ. სალამის სახელებით	121
სურ. 1.5.63. მოჭრის ადგილი გაცვეთილია (არრანი?), თარიღი გაცვეთილია - ჰ. 193 წ. (?), ფელსი, ალ-აბბას ბ. ზუფარის სახელით (ახალი ტიპი?)	121
სურ. 2.1.1. ქართულ-ბიზანტიური საფასე, გიორგი II, კესაროსის ტიტულით	126
სურ. 2.1.2. ქართულ-ბიზანტიური საფასე, დავით IV, ჯვრით ცენტრში	127
სურ. 2.1.3. ქართულ-ბიზანტიური საფასე, დავით IV, ჯვრის გარეშე. თანამედროვე ნაყალბევი	128
სურ. 2.1.4. ქართულ-ბიზანტიური საფასე, დავით IV, ჯვრის გარეშე. აუთენტურობა საეჭვოა	129
სურ. 2.1.5. ქართულ-ბიზანტიური საფასე, დავით IV, ჯვრის გარეშე. აუთენტურობა საეჭვოა (სხვა ეგზემპლარი)	130

სურ. 2.1.6. ქართულ-ბიზანტიური საფასე, დავით IV, რანთა (?) და ტაონთა (?) ტიტულებით, შემოჭრილი	133
სურ. 2.1.7. ქართულ-ბიზანტიური საფასე, ბაგრატ IV, სევასტოსის ტიტულით	134
სურ. 2.1.8. ქართულ-ბიზანტიური საფასე, გიორგი II, სევასტოსის ტიტულით	134
სურ. 2.1.9. ქართულ-ბიზანტიური საფასე, გიორგი II, კესაროსის ტიტულით	135
სურ. 2.1.10. ქართულ-ბიზანტიური საფასე, დავით IV, ჯვრის გამოსახულებით	135
სურ. 2.1.11. ქართულ-ბიზანტიური საფასე, დავით IV, სპილენძის მონეტა მეფის გამოსახულებით	135
სურ. 2.2.0. დავით IV, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ეგზემპლარი 0	157
სურ. 2.2.1. დავით IV, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ეგზემპლარი 1	158
სურ. 2.2.2. დავით IV, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ეგზემპლარი 2	159
სურ. 2.2.3. დავით IV, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ეგზემპლარი 3	159
სურ. 2.2.4. დავით IV, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ეგზემპლარი 4	160
სურ. 2.2.5გ. დავით IV, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ეგზემპლარი 5, გადიდებული ფრაგმენტი	161
სურ. 2.2.5. დავით IV, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ეგზემპლარი 5	161
სურ. 2.2.6. დავით IV, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ეგზემპლარი 6	162
სურ. 2.2.7. დავით IV, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ეგზემპლარი 7	162
სურ. 3.1.1. დიმიტრი I, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ქვეტიპი 1, ეგზემპლარი 1	174
სურ. 3.1.2. დიმიტრი I, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ქვეტიპი 1, ეგზემპლარი 2	175
სურ. 3.1.3. დიმიტრი I, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ქვეტიპი 1, ეგზემპლარი 3	176
სურ. 3.1.4 . დიმიტრი I, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ქვეტიპი 2, ეგზემპლარი 4	176
სურ. 3.1.5 . დიმიტრი I, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ქვეტიპი 2, ეგზემპლარი 5	177

სურ. 3.1.6. დიმიტრი I, არაბულენოვანი სპილენძის მონეტა, ქვეტიპი 2, ეგზემპლარი 6 (მონეტის ჩანახატთან ერთად)	178
სურ. 3.2.1. დავით IV აღმაშენებლის გამოსახულებიანი უნიკალური სპილენძის ფული	184
სურ. 3.2.2. გიორგი III-ის წესიერი ჭედვის მონეტა მისი გამოსახულებით	184
სურ. 3.2.3. გიორგი IV ლაშას გამოსახულებიანი უნიკალური სპილენძის ფული	184
სურ. 3.2.4. რუსუდანის ვერცხლის დრამა მაცხოვრის გამოსახულებით	185
სურ. 3.3.1. ორი დავითის ერთობლივი ემისია, ქუთაისი (?)	190
სურ. 3.3.2. Temp. თურაქინა (1242–1246), დირჰემი ნადირობის სცენით (?), თბილისი	191
სურ. 3.4.1. დავით VI (რუსუდანის ძე), ვერცხლის დრამა, თბილისი (ზურგი)	192
სურ. 3.4.2. დავით VII (გიორგი ლაშას ძე), სპილენძის საფასე	192
სურ. 3.4.3. ბიზანტიის იმპერია, მანუელ I კომნენოსი, ოქროს სოლიდი	193

შემოკლებების ჩამონათვალი

ქუფური დირჰემების აღწერისას სივრცის ეკონომიის მიზნით სტანდარტული ლეგენდები შემოკლებით გვაქვს გადმოცემული.

ლეგენდა A: სამ სტრიქონად -

لا اله الا

الله وحده

لا شريك له

ლეგენდა UR (ომიანთა ზურგის პროტოკოლი): ოთხ სტრიქონად -

الله أحد الله

الصمد لم يلد و

لم يولد و لم يكن

له كفوا أحد

ლეგენდა B ('აბასიანთა ზურგის პროტოკოლი): სამ სტრიქონად -

محمد

رسول

الله

ყურანი 9:33: ყურანის მე-9 სურის 33-ე აიათი -

محمد رسول الله لرسله بالهدي ودين الحق ليظهره على الدين كله ولو كره المشركون

ყურანი 30:4,5: ყურანის 30-ე სურის ნაწილობრივ მე-4 და მე-5 აიათები -

الله الأمر من قبل ومن بعد ويومئذ يفرح المؤمنون بنصر الله

ასევე ვიყენებთ შემდეგ პირობით აღნიშვნებს.

- ε - აღნიშნავს რგოლს რგოლში
- - აღნიშნავს უბრალო რგოლს
- - აღნიშნავს უფრო მსხვილ რგოლს
- - აღნიშნავს (სქელ) წერტილს

ის გრაფემები, რომელთა წაკითხვაც სადისკუსიოდ გვეჩვენება, რუხი ფერით არის მონიშნული, ანდა კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული, ზოგჯერ კითხვნის ნიშნის თანდართვით.

ის გრაფიკული ელემენტები, რომელთა გააზრებაც ვერ ხერხდება, კითხვის ნიშნით არის აღნიშნული.

მრავალწერტილით აღნიშნულია ის ლეგენდები, რომელიც ვერ მოხვდა სამონეტო ნამუშაადა ან ვერ იკითხება.

ზოგიერთ შემთხვევაში, ლეგენდების გადმოცემისას ვცადეთ მონეტაზე მათი განლაგების / ურთიერთმიმართების იმიტირება.

ცხრილები, ჰისტოგრამები, რუკები და სურათები დანომრილია ნაშრომის სტრუქტურის გათვალისწინებით. ასე, მაგალითად, *სურათი 2.2.3* წარმოადგენს შედეგების მე-2 თავის მე-2 ქვეთავში მოყვანილ რიგით მე-3 სურათს.

შესავალი

VII საუკუნეში საქართველოს პირველად შეეხო მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი ისტორიული მოვლენა, როგორც იყო ახალი რელიგიის - ისლამის - გაჩენა; აღსანიშნავია, რომ საქართველო დღესაც ამ რელიგიის მიმდევარ სახელმწიფოებს ემეზობლება - ისლამი კი კვლავინდებურად მსოფლიო და რეგიონალურ გეოპოლიტიკური მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორია.

VII-VIII საუკუნეებში საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი არაბებმა დაიპყრეს, რამაც თავისი დადი დაასვა ქართველი ერის ნუმისმატიკურ ისტორიას; ნაწილობრივ სახალიფოს შემადგენლობაში შესვლასა და ქვეყნის დასავლეთი თუ სამხრეთ-დასავლეთი ნაწილების მასთან გამეზობლებას საქართველოს ისტორიის პრინციპულად ახლებური გზით წარმართვა მოყვა.

სწორედ არაბთა ბატონობასთან ჭიდილში და მის ნამსხვრევებზე თავი იჩინა საქართველოს ხელახალი გაერთიანების ტენდენციამ. ამასთანავე, ეროვნული, ქართული ძალების გვერდით (VIII-XI საუკუნეებში ჩამოყალიბებული ქართული სამეფო-სამთავროები) საქართველოს ტერიტორიის დასაკუთრებისთვის ბრძოლაში ასევე მონაწილეობდნენ ეთნიკური, რელიგიური თუ სოციო-კულტურული თვალსაზრისით უცხო ძალებიც (მართლმადიდებელი ბიზანტიის იმპერია, თბილისში გამაგრებული მაჰმადიანები, იუდეველი (?) ხაზარები, ქურთი შადადიანები, სომეხი ბაგრატუნები / კვირიკიანები, თურქი სელჯუკები). ამ რამდენიმე საუკუნეზე გაწეული შერკინების გამოსავალმა - საქართველოს მიწების დიდი ნაწილის გაერთიანება ქართველი ბაგრატიონების სკიპტრის ქვეშ - შეადგინა ის იდეოლოგიური ტრადიცია, რომელსაც დღესაც ეფუძნება ქართული სახელმწიფოებრიობა. ბაგრატიონებმა გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ საქართველოს გაერთიანების პროცესში ეროვნულმა სახელისუფლებო ელიტამ არსებითი ორიენტალიზაცია განიცადა, რამაც თავისი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის შემდგომ განვითარებაში.

ფულად მიმოქცევაში მყოფი თუ ადგილობრივად გამოშვებული საფასე კარგად ასახავს ქვეყნისა და ერის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას, მისი შემადგენელი მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია. ნუმისმატიკური მასალის კვლევა ძვირფას ინფორმაციას იძლევა საქართველოს ისტორიის შესასწავლადაც ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის ამ ესოდენ მნიშვნელოვან პერიოდში.

ნუმისმატიკური ინფორმაციის გათვალისწინება განსაკუთრებით აქტუალურად ახლა გვეჩვენება - საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ: რკინის ფარდის გარღვევის შემდეგ ქართული ნუმისმატიკის მკვლევართათვის შეუდარებლად უფრო ხელმისაწვდომი გახდა ქართული მონეტების შემცველი უცხოური სამუზეუმო და, მით უმეტეს, კერძო კოლექციები; ასევე, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა; საქართველოში ნუმისმატიკის პოპულარიზაციის, სოციალური ცვლილებებისა და ლითონის არტეფაქტების აღმოჩენის ტექნიკური მეთოდების (მეტალო-დეტექციის) წინსვლის შედეგად სამეცნიერო მიმოქცევაში მოხვდა ახალი, დამატებითი ნუმისმატიკური მასალის დიდძალი რაოდენობა; და, ბოლოს, XXI საუკუნეში ქართულ ნუმისმატიკაში მოვიდა მკვლევართა სრულიად ახალი თაობა, რომლის ძალისხმევის შედეგადაც მეცნიერება გამდიდრდა მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენებით, რომელთაგან ზოგიერთი ძირეულადაც კი ცვლის ქართული ნუმისმატიკური ისტორიის აქამდე ჩამოყალიბებულ ხედვას.

ჩვენი აზრით, დროა, ახალი აღმოჩენების გათვალისწინებით, კომპლექსური კვლევის ფარგლებში შეივსოს, შესწორდეს და გადაისინჯოს VIII-XIII სს. საქართველოსა და ქართველი ერის ნუმისმატიკური ისტორიის ერთიანი სურათი.

კვლევის ძირითად ამოცანებად დასახული გვაქვს შემდეგი საკითხების ანალიზი:

- ახალი ნუმისმატიკური მონაცემების მოშველიებით საქართველოში არაბთა ძალაუფლების დამყარებისა და თბილისში არაბთა ადმინისტრაციის განთავსების ქრონოლოგიის დაზუსტება;

- აღმოსავლეთ საქართველო (თბილისის საამირო) ომაიანთა და აბასიანთა სახალიფოს შემადგენლობაში / დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო - სახალიფოს საზღვრებთან - ნუმისმატიკური ასპექტებისა და, საზოგადოდ, ამ პერიოდის ეკონომიკური ისტორიის ანალიზი (ფულის გამოშვება, ფულის მიმოქცევა);
- თბილისის ამირების - ჯაფარიანების დინასტიის ისტორიის შესწავლა-დაზუსტება ახალი ნუმისმატიკური მონაცემების საფუძველზე; ჯაფარიანების მიერ საკუთარი საფასის გამოშვება XI საუკუნეში, თბილისის დაკარგვამდე;
- ჯა'ფარიანების გამეფების შემდეგ და ბაგრატიონების მიერ დაპყრობამდე მაჰმადიანურ თბილისში მოჭრილი საფასის პირველადი პუბლიკაცია და განხილვა;
- დასავლეთ-ქართულ სახელმწიფოში („აფხაზთა სამეფოში“) საფასის ემისიის შესახებ დამატებითი ინფორმაციის პუბლიკაცია და ანალიზი;
- დავით აღმაშენებლის სამონეტო რეფორმისა და ქართული ეროვნული საფასის ორიენტალიზაციის პროცესის განხილვა;
- გაერთიანებული სამეფოს პერიოდის ქართული ფულის გენეზისისა და საფასის ევოლუციის შესწავლა;
- ისეთი ახლად წარმოშობილი ფენომენების განხილვა, როგორიც იყო მემორიალური / დონატიური მონეტების გამოშვება; სამონეტო იკონოგრაფიის ევოლუცია; ზარაფხანებისა და ზარაფების ორგანიზაცია.

მოკლედ დავახასიათებთ, თუ რა გზით ვახერხებთ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარკვევას:

- საქართველოში არაბთა ძალაუფლების დამყარებისა და თბილისში არაბთა ადმინისტრაციის განთავსების ქრონოლოგიის დასაზუსტებლად მივმართავთ ისეთი მოვლენების ანალიზს, როგორც;

□ ჩვენს მიერ მიგნებული, თბილისის ზარაფხანის ერთ-ერთი ყველაზე პირველი - ჰ. 86 წლით დათარიღებული დირჰემი;

- ☐ მურვან ყრუს მიერ თბილისში მოჭრილი და ჩვენს მიერ აღმოჩენილი სპილენძის საფასე;
- ☐ საზოგადოდ, თბილისში უკვე VIII საუკუნის დასაწყისში სახალიფოს ზარაფხანის ამოქმედება;
- სახალიფოს შემადგენლობაში, 'აბასიანთა პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, თბილისის მდგომარეობის შესაფასებლად ვითვალისწინებთ
 - ☐ იაზიდ ბ. უსაიდის აქამდე უცნობი ტიპის (თბილისური?) ფელსებს;
- თბილისის გამგებლების, ჯა'ფარიანთა გვარის, ისტორიის ახლებურად წარდგენის საშუალებას გვაძლევს ბოლო დროის სენსაციური მიგნებები - XI საუკუნის იმ ამირების საფასის აღმოჩენა, ვინც ადრე, როგორც ითვლებოდა, საკუთარ მონეტას საერთოდ არ / ვერ უშვებდა (რომ აღარაფერი ვთქვათ მონეტებით უკვე ცნობილი ამირა 'ალი ბ. ჯა'ფარის ახალი სამონეტო ტიპების აღმოჩენაზე):
 - ☐ ჯა'ფარ III ბ. 'ალის;
 - ☐ მანსურ II ბ. ჯაფარ (III)-ისა; და
 - ☐ აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯაფარ (III)-ის მონეტების აღმოჩენა;

რეგიონის სამონეტო მიმოქცევაში მათი როლის დადგენა:

- სახალიფოსადმი მეტ-ნაკლებად მყარად დაქვემდებარებული საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გასარკვევად მივმართავთ
 - ☐ ზოტისა და ხელვაჩაურის განძებს, ასევე დასავლეთ საქართველოში ცალკეული დირჰემების პოვნის ფაქტებს, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას საქართველოში ქუფური დირჰემების მიმოქცევის ახალი არეალი დავადგინოთ - ლაზეთი-აჭარა და მთლიანად დასავლეთი საქართველო;
 - ☐ თბილისსა და მის შემოგარენში (თბილისის საამიროს ბირთვში) ქუფური ფელსების მიმოქცევის ზოგად სურათს, რომლის შედგენის საშუალებასაც ბოლო დროის მრავალრიცხოვანი აღმოჩენები გვაძლევს;

- ჯა'ფარიანების გამეუვების შემდეგ და ბაგრატიონების მიერ დაპყრობამდე მაჰმადიანურ თბილისში საკუთარი საფასის გამოშვების გაგრძელებაზე ვმსჯელობთ
 - ჩვენს მიერ აღმოჩენილი 2 სამონეტო ტიპით, რომელზედაც სელჯუკი სულთანი და ხალიფა ალ-მუსთაჰჰირი მოიხსენიება;
- დასავლეთ საქართველოში მონეტის გამოშვების ისტორიას ვაზუსტებთ
 - სამეცნიერო მიმოქცევაში ქართულ-ბიზანტიური საფასის ახალი (აუთენტური, საეჭვო და აშკარად ყალბი) ეგზემპლარების შემოტანით და მათი კრიტიკული პუბლიკაციით;
 - ქართველი მეფის არაერთაზროვანი ტიტულატურის მატარებელი, სამწუხაროდ, შემოჭრილი ეგზემპლარის განხილვის გზით; ამ უნიკალურ მონეტას დავით აღმაშენებელს ვაკუთვნებთ; ვადგენთ ბიზანტიური ტიტულის გარეშე დავით IV აღმაშენებლის მიერ ვერცხლის მონეტების გამოშვების ისტორიულ მნიშვნელობას;
- დავით აღმაშენებლის სამონეტო რეფორმაზე ვმსჯელობთ
 - არაბულენოვანი მონეტებით, რომელსაც ადრე დავით V-ს აკუთვნებდნენ, ჩვენ კი დავამტკიცეთ, რომ დავით IV-ს ემისიას წარმოადგენს;
 - ვიხილავთ დავით IV აღმაშენებლის მიერ ჩატარებული ღონისძიების მნიშვნელობას გაერთიანებული სამეფოს პერიოდის ქართული ფულის გენეზისის თვალსაზრისით;
- გაერთიანებული სამეფოს შემდგომი საფასის ევოლუციაზე ჩვენი მსჯელობა ემყარება
 - დიმიტრი I-ის ახალი, სრულიად არაბულენოვანი სამონეტო ტიპის აღმოჩენასა და მისი ქრონოლოგიის დაზუსტებას;
 - შემდგომი ქართველი მონარქების სამონეტო მემკვიდრეობის შესწავლას, პირველ რიგში, მემკვიდრეობითობის კუთხით;
 - მემორიალური შუასაუკუნოვანი ქართული მონეტების გამოვლენის მცდელობას;

- ☐ ეპოქის მონეტებზე ქართული ნუმისმატიკური იკონოგრაფიის შესწავლას;
- ☐ ზარაფხანებისა და მათი პერსონალის ორგანიზაციული მომენტების განხილვას.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

VIII საუკუნიდან და XIII საუკუნეში მონღოლების გამოჩენამდე საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ნუმისმატიკური ხასიათის ცნობები შეიძლება დაიყოს პირველწყაროებად და მეორად - სამეცნიერო - ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ლიტერატურად.

სამწუხაროდ, აღნიშნული პერიოდისთვის ნუმისმატიკური ხასიათის მონაცემებს ჩვენთვის ცნობილი წერილობითი პირველწყაროები, პრაქტიკულად, არ შეიცავს.

ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ ისეთი ლაპიდარული წყარო, როგორიცაა ქ. ანისის (სომხეთი) ქართული ეკლესიის კედელზე შემორჩენილი საკმაოდ ვრცელი ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოიხსენიება „თბილური დრამები“.¹

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ის ლაპიდარული წყაროები და შემორჩენილი დოკუმენტები (სიგელები), რომელიც ასახავს ამ ეპოქის ქართველ მეფეთა ტიტულატურას, რაც სამონეტო ლეგენდებში მითითებულ ტიტულებთან ერთად გვხვდება ქართული მონარქიის ევოლუციის კვლევაში.²

ორიგინალურ წყაროს, რომელმაც შემოგვინახა ამ პერიოდის ნუმისმატიკური რეალიები (პირველ რიგში, ტერმინოლოგია), არის ამ ეპოქის ქართული ლიტერატურა, პირველ რიგში - „ვეფხისტყაოსანი“; აღნიშნული ეპოსი ნუმისმატიკური კუთხით უკვე შესწავლილია ნიკოლოზ ქოიავას მიერ.³

¹ Нико Марръ, Надпись Епифанія, католикаса Грузіи (Изъ раскопокъ въ Ани 1910 г.) (С.-Петербургъ, 1910).

² ლერი თავაძე, "კეისრის ტიტული შუასაუკუნოვან ქართულ პოლიტიკურ რეალობაში", საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები V (2012): 108-137; ლერი თავაძე, "სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში", საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები II (2011): 154-185.

³ ნიკოლოზი ქოიავა, „ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში“, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, III, 1938; Николоз Коиавა, „Денежное обращение Грузии в эпоху Руставели“. Сборник Руставели. К 750-летию „Вепхисткаосани“. Ред. Симон Джанашиа, (Тбилиси, 1938), 97-127.

ძირითად, და, პრაქტიკულად, წამყვან, თუმცა კი მეტად მრავალრიცხოვან, მრავალგვარ და ობიექტურ პირველწყაროდ რჩება ისევ და ისევ თავად მონეტები, ისევე როგორც ცნობები მათი პოვნის ფაქტების შესახებ.

*

შეუდარებლად უფრო მდიდარია აღნიშნულ თემაზე შექმნილი მეორადი სამეცნიერო ლიტერატურა.

საკვლევი პერიოდის საქართველოს ნუმისმატიკური ისტორიის დარგში სამეცნიერო ლიტერატურა შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად

- საქართველოს ნუმისმატიკური ისტორიის მეტ-ნაკლებად კომპლექსურ მიმოხილვებად;
- და უფრო ვიწრო ხასიათის, თუნდაც მონოგრაფიული ხასიათის შრომებზე, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტული ნუმისმატიკური საკითხისა თუ, თუნდაც, თემის კვლევისადმი არის მიძღვნილი.

კომპლექსური მიმოხილვებიდან XIX საუკუნის მარი ბროსეს, მიხაილ ბარათაევისა და ვიქტორ ლანგლუას ავტორობით გამოსული შრომები⁴ დღეისთვის საკმაოდ მოძველებულია და უფრო ისტორიულ ინტერესს ინარჩუნებს.

ქართული ნუმისმატიკის ისტორიაში ძირეულად ახალი ეტაპი დადგა ევგენი პახომოვის დიადი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ (პირველი ნაწილი 1910 წელს გამოიცა;⁵ მეორე, პირველთან ერთად, მხოლოდ 1970 წელს⁶). ინტერესს არ არის მოკლებული, განსაკუთრებით, თეორიული საკითხების განხილვის მხრივ, ივ. ჯავახიშვილისა⁷ და სარგის კაკაბაძის ნაშრომებიც.⁸ შემდგომი პერიოდის დავით

⁴ Михаил Баратаев, Нумизматические факты грузинского царства (СПб, 1844); Marie-Félicité Brosset, Revue de la numismatique Géorgienne (St. Petersburg, 1847); Victor Langlois, Numismatique de la Géorgie au moyen âge (Paris, 1852); Victor Langlois, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'à nos jours (Paris, 1860).

⁵ Евгений Пахомов, Монеты Грузии, ч. I (СПб., 1910).

⁶ Евгений Пахомов, Монеты Грузии (Тбилиси: Мецниереба, 1970).

⁷ ივანე ჯავახიშვილი, "ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი III, 1. ნაკვეთი მესამე: ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია" (ტფილისი, 1925).

კაპანაძის⁹ და დევიდ ლანგის¹⁰ წიგნები რამდენადმე უფრო ვრცელ სამონეტო ბაზისს ეყრდნობა და ახლებური მიდგომის ვარიანტებს წარმოადგენს. გარკვეულ სიახლეებს (პირველ რიგში, ანტიკური პერიოდის ნუმისმატიკასა და ქართული ნუმისმატიკური მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით) შეიცავს ასევე გიორგი და თედო დუნდუას *ქართული ნუმისმატიკა*.¹¹ ბოლო დროის აღმოჩენების შეძლებისდაგვარად სრულად მოცვა სცადა ქერქ ბენეთმა თავის ახლახანს გამოცემულ ნაშრომში.¹²

შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შესაბამის პერიოდში საქართველოს მეზობელი დინასტიების ნუმისმატიკური მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი შრომები (მაგალითად, ლეხედვეისა და თანაავტორების შესანიშნავი წიგნი შადადიანთა ნუმისმატიკურ ისტორიაზე;¹³ ალექსანდრე აკოპიანის სტატია დვინის შადადიანურ მონეტებზე,¹⁴ აკოპიანისა და არამ ვარდანიანის სტატია შირვანშაჰთა ერთ იშვიათ სამონეტო ტიპზე,¹⁵ ვარდანიანის წიგნი სამხრეთ კავკასიაში მოჭრილ ქუფურ მონეტებზე¹⁶, მიშელ კლას წიგნი ომაიანურ ვერცხლის საფასეზე¹⁷, თრედველის ნაშრომი

⁸ სარგის კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში“, საისტორიო მოამბე წიგნი I, წელიწადი II (1925).

⁹ დავითი კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა (თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969).

¹⁰ David Lang, Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. Based on the Collection of The American Numismatic Society (New-York, 1955).

¹¹ გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, ქართული ნუმისმატიკა. I ნაწილი (თბილისი: არტანუჯი, 2006).

¹² Kirk Bennett, A Catalog of Georgian Coins (Santa Rosa, 2014).

¹³ Валентин Лебедев, Дмитрий Марков, Александр Койфман, Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шаддадидов (сер. X – XI вв.) (Москва: Нумизматическая литература, 2006).

¹⁴ Александр Акопян, “К шаддадидской нумизматике: чекан Искандара б. Шавура, правителя Двина”, Международная научная конференция “Археология, этнология, фольклористика Кавказа”. 27-30 сентября 2010 г. Тбилиси – Гори – Батуми. Сборник кратких содержаний докладов. (Тбилиси, 2011), 49-50.

¹⁵ Alexander Akopyan, Aram Vardanyan, “A Donative Dirham of the Shirwānshāh Muḥammad ibn Aḥmad (AH 370–81) struck at Barda’a in AH 373 (982/3)”. The Numismatic Chronicle 169 (2009): 261-267.

¹⁶ Aram Vardanyan, Islamic Coins Struck in Historic Armenia, vol. 1, Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda’a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma’dan Bājunays, Early ‘Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD) (Yerevan: Tigran Mets, 2011).

ბუვეიჰიანთა დინასტიის საფასეზე,¹⁸ ჯაფარის წინგი ბაღდადის ოქროს მონეტებზე,¹⁹ ლავიკის გამოუქვეყნებელი ნაშრომი 'აბასიანთა დირჰემებზე'²⁰).

სათითაოდ განვიხილავთ იმ ნუმისმატიკურ შრომებსაც, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტად შერჩეულ პერიოდს ეხება.

ნუმისმატიკური მონაცემების საფუძველზე საქართველოში არაბთა ძალაუფლების გამყარებისა და არაბული ადმინისტრაციის შემოღების ქრონოლოგია შეისწავლა ირაკლი ფაღავამ;²¹ ერთ-ერთ არგუმენტად გამოიყენა VIII საუკუნის დასაწყისის თბილისში სპილენძის ფელსის მოჭრა მურვან ყრუს ადმინისტრაციის მიერ: აღნიშნულ მონეტას პირველად სამირ შამმა შეეხო²², მაგრამ მონეტის საფუძვლიანი შესწავლა და მისი მნიშვნელობის გამოვლენა უკვე ირაკლი ფაღავასა და სევერიანე თურქიას დამსახურებაა;²³ მათი წაკითხვა დააზუსტა ნიქოლაუს შინდელმა.²⁴

სევერიანე თურქიასა და ირაკლი ფაღავას ეკუთვნით ასევე იაზიდ ბ. უსაიდის ახალი, აქამდე უცნობი და ჰ. 164 წლით დათარიღებული მონეტების აღმოჩენა, ზარაფხანის აღნიშვნის გარეშე, რომელიც, შესაძლოა, ასევე თბილისში იჭრებოდა.²⁵

¹⁷ Michel Klat, *Catalogue of the Post-Reform Dirhams, The Umayyad Dynasty* (London: Spink, 2002).

¹⁸ Luke Treadwell, *Buyid Coinage. A Die Corpus (322-445 A.H.)* (Ashmolean Museum Oxford, 2001).

¹⁹ Yahya Jafar, *The Seljuk Period in Baghdad 447-552 H, a Numismatic and Historical Study* (London: Spink, 2011).

²⁰ Nicholas Lowick, *Early 'Abbāsid Coinage, A Type Corpus, 132-218 H / AD 750-833. Edited by Savage, Elisabeth*, (A posthumous work, typescript, unpublished).

²¹ ირაკლი ფაღავა, „საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმისმატიკური მონაცემების გათვალისწინებით)“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VIII (2014): 250-257, 342.

²² Samir Shamma, *A Catalogue of Abbasid Copper Coins* (London, 1998), .

²³ Severiane Turkia, Irakli Paghava, "An Unrecorded Early Post-reform Fals minted in Tiflis", *Journal of Oriental Numismatic Society* 191 (2007): 6-8; Irakli Paghava, Severiane Turkia, "The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus", *Journal of Oriental Numismatic Society* 201 (2009): 16-18.

²⁴ Nikolaus Schindel, "Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II. b. Muhammad from the Caucasus – Additional Comments", *Journal of the Oriental Numismatic Society* 202 (2010): 8–11.

²⁵ Severiane Turkia, Irakli Paghava, "The Prolongation of Yazīd b. Usayd's Reign in the North-West of the Caliphate", *Journal of the Oriental Numismatic Society* 198 (2009): 4-6.

თბილისის ამირების - ჯა'ფარიანების ისტორიაზე ცოტა რამ არის ცნობილი - ინფორმაციის ერთ-ერთ წამყვან წყაროს ამ დინასტიის ცალკეული წარმომადგენლების სახელის მატარებელი მონეტებია. ჯა'ფარიანთა საფასის კომპლექსური შესწავლის დაწყება ევგენი პახომოვის დამსახურებაა;²⁶ ჯა'ფარიანთა ახალი სამონეტო ტიპების გამოვლენა დავით კაპანაძისა²⁷ და მერი ანთაძის სახელებს უკავშირდება.²⁸ 1990 წლების დასაწყისში გამოქვეყნდა გოჩა ჯაფარიძის ვრცელი და ღრმა სტატია XI საუკუნის დასაწყისის ამირას - 'ალი ბ. ჯა'ფარის საფასის 6 სხვადასხვა ტიპის შესახებ;²⁹ მას შემდეგ ამავე მმართველის კიდევ ორი ახალი სამონეტო ტიპი გამოავლინეს ირაკლი ფაღვამ, სევერიანე თურქიამ და ქერქ ბენეტმა.³⁰ არკადი მოლჩანოვმა ნოვგოროდში ნაპოვნ კ. 374 წლით დათარიღებული დირჰემის საშუალებით დააზუსტა ჯა'ფარ ბ. მანსურის ზეობის ქრონოლოგია.³¹ თობიას მაიერმა 1990-იან წლებში გამოაქვეყნა ერთ-ერთი უკანასკნელი

²⁶ Пахомов, Монеты Грузии, 46-49.

²⁷ დავით კაპანაძე „X საუკუნის თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა“. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XII-B (1944): 183-190; Давид Капанадзе, „Клад монет начала XI в. тбилисского эмира Али ибн Джафара“, Эпиграфика Востока т. XIV (1961): 71-78.

²⁸ მერი ანთაძე, „ქვახვრელის განძი“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. XXXVIII-B (1986): 121-125.

²⁹ გოჩა ჯაფარიძე, „თბილისის ამირას 'ალი ბ. ჯა'ფარის მონეტები“, ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები. რედ. გ. მაისურაძე. (თბილისი: მეცნიერება, 1991): 132-150; Гоча Джапаридзе, „О монетах Тбилисского эмира Али б. Джафара“, Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины Вып. 5 (1997): 204-216; Gocha Japaridze, „On the Coins of the Tbilisi Amīr 'Alī b. Ġa'far“, Bulletin D'Études Orientales T. L (1998): 97-107.

³⁰ Irakli Paghava, Severiane Turkia, „A New Early Coin Type of 'Alī b. Ja'far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tā'ī li-llāh“, Journal of Oriental Numismatic Society 199 (2009): 7-9; Irakli Paghava, Kirk Bennett, „New Monetary Material for the Numismatic History of 'Alī B. Ja'far, Ja'farid Emir of Tiflis, and its Significance“, Journal of Oriental Numismatic Society 213 (2012): 11-12.

³¹ Аркадий Молчанов, „Дирхам тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.“, Девятая Всероссийская нумизматическая конференция. Великий Новгород, 16–21 апреля 2001 г. Тезисы докладов и сообщений. (СПб., 2001): 58–60; Аркадий Молчанов, „Новые данные о монетной чеканке Джафаридов (дирхем тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.)“, Нумизматический сборник ГИМ Т. XVI (Труды Государственного Исторического

ჯა'ფარიანი ამირას - მანსურ ბ. ჯა'ფარ (III)-ის აქამდე აბსოლუტურად უცნობი საფასე;³² ამავე ამირას ზეობის ისტორია ახალი მონაცემების გამოყენებით დააზუსტეს ირაკლი ფაღვამ და სევერიანე თურქიამ.³³ მათვე ეკუთვნით მანსურ ბ. ჯა'ფარ (III)-ის მამისა და ძმის - შესაბამისად ჯა'ფარ III ბ. 'ალისა და აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ის აქამდე ასევე აბსოლუტურად უცნობი საფასის აღმოჩენა და პუბლიკაცია.³⁴

ირაკლი ფაღვასა და სევერიანე თურქიას ასევე აქვთ აღმოჩენილი მონეტები, რომელიც იჭრებოდა თბილისში ჯერ კიდევ მაჰმადიანურ პერიოდში, დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის აღებამდე, მაგრამ უკვე ჯა'ფარიანების გამეფების / გადაშენების შემდეგ.³⁵

საქართველოში ქუფური საფასის მიმოქცევის კლევის დარგში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ირინა ჯალაღანიას, რომელმაც ომაიანთა და 'აბასიანთა პერიოდში საქართველოში სახალიფოს ვერცხლისა თუ სპილენძის ფულის ტრიალს რამდენიმე სტატია და მონოგრაფიაც კი მიუძღვნა (სრულად თუ ნაწილობრივ);³⁶ ჯა'ფარიანთა

музея Вып. 138) (2003): 93–95; Arkadiy Molchanov, "New Evidence of Ja'farid Coinage (a Dirham of Emir Ja'far b. Mansur, Tiflis AH374)", *Oriental Numismatic Society Newsletter* 176 (2003): 7-8.

³² Mayer Tobias (bearbeitet von), *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas* (Wiesbaden: Harrasowitz, 2005): 110-111.

³³ Иракли Пагава, Севериане Туркия, "Монетное наследие Мансура II б. Джа'фара (III) (к нумизматической истории Тифлисского амирата)", *ПОЛУТРОПОС: Сборник научных статей памяти Аркадия Анатольевича Молчанова (1947-2010). Под редакцией Татьяны Джаксон и Александра Акопяна* (Москва: Индрик, 2014): 347-360.

³⁴ Severiane Turkia, Irakli Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis", *Journal of Oriental Numismatic Society* 197 (2008): 5-11; Irakli Paghava, Severiane Turkia, "A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja'far III b. 'Alī, Ja'farid Emir of Tiflīs", *Journal of Oriental Numismatic Society* 206 (2011): 11-13; Irakli Paghava, Severiane Turkia, "A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflīs", *The Numismatic Chronicle* 172 (2012): 205-212.

³⁵ Irakli Paghava, Severiane Turkia, "Between Ja'farids and Bagratids: The Last Monetary Issues of Muslim Tiflis in the Name of al-Mustazhir (1094-1118)", (Forthcoming).

³⁶ ირინა ჯალაღანია, საქართველოს სამონეტო განმედი, I (თბილისი: მეცნიერება, 1976); ირინა ჯალაღანია, „ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია 4 (1973): 69-80; ირინა ჯალაღანია, ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში (თბილისი: მეცნიერება, 1972); ირინა ჯალაღანია,

საფასის განმების სახით მიმოქცევის ცალკეულ თემას შეეხო დავით კაპანაძე³⁷ და მერი ანთაძე.³⁸ ცალკეული, აქამდე უცნობი ემიტენტების / ტიპის მონეტების აღმოჩენას ეძღვნება ირაკლი ფაღვას, სევერიანე თურქიასა და ქერქ ბენეთის პუბლიკაციები.³⁹ ბოლო დროს ხელახლა გაცხოველდა ინტერესი საქართველოში სახალიფოს მონეტების მიმოქცევისადმი, რასაც მოწმობს თინათინ ქუთელიასა და ციალა ღვაბერიძის⁴⁰, მერი ჩადუნელისა (ანთაძისა) და მარიამ ქორიძის⁴¹ ერთობლივი შრომები. ქუფური დირჰემების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი განმების შეისწავლეს ირაკლი ფაღვამ, ირინე ვარშალომიძემ და სევერიანე თურქიამ.⁴² ირაკლი ფაღვასა და ევგენი ლემბერგს განხილული აქვთ, საზოგადოდ, დასავლეთ საქართველოში ქუფური საფასის აღმოჩენის ფაქტები,⁴³ ხოლო თბილისსა და მის შემოგარენში (თბილისის სამიროს

„საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ომაიანთა მონეტები“, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის ტ. 4 (1965): 138-156.

³⁷ Капанадзе, “Клад монет начала XI в. тбилисского эмира Али ибн Джафара”.

³⁸ ანთაძე, „ქვახვრელის განძი“.

³⁹ Paghava, Turkia. “A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Jaʿfar III b. ʿAlī, Jaʿfarid Emir of Tiflīs”; Paghava, Turkia, “A New Early Coin Type of ʿAlī b. Jaʿfar, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tāʾī li-llāh”; Paghava, Turkia. “A Unique Coin of Abū al-Hayjā, Jaʿfarid Emir of Tiflīs”; Turkia, Paghava, “The Coinage of Jaʿfar III B. ʿAlī, Emir of Tiflis”; Turkia, Paghava, “An Unrecorded Early Post-reform Fals minted in Tiflis”; Paghava, Turkia, “The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus”; Paghava, Bennett, “New Monetary Material for the Numismatic History of ʿAlī B. Jaʿfar”.

⁴⁰ Циаლა Гваბერიძე, Тинатин Кутелия, “Инчхурский клад”, Сборник тезисов докладов и сообщений Шестой Всероссийской нумизматической конференции (Спб, 1998): 89-90; თინათინ ქუთელია, ციალა ღვაბერიძე, „ინჩხურის განძი“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე V (50-B) (2014): 212-218.

⁴¹ მერი ჩადუნელი, მარიამი ქორიძე, „წაქვას განძი“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე II (47-B) (2010): 260-269.

⁴² ირაკლი ფაღვა, ირინე ვარშალომიძე, სევერიანე თურქია, „ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია)“, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები V (2013): 60-67, 117-120; ირაკლი ფაღვა, ირინე ვარშალომიძე, სევერიანე თურქია, „ქუფური მონეტების განძი ხელვაჩაურიდან (აჭარა)“, იბერია-კოლხეთი 10 (2014): 85-95.

⁴³ Иракли Пагава, Евгений Лемберг, “Обращение куфического серебра в западных и юго-западных провинциях Грузии (в свете новых находок)”, Эпиграфика Востока XXXI (2015): 273-298.

ტერიტორიულ ბირთვში) ქუფური ფელსების მიმოქცევის საფუძვლიანი შესწავლა უკავშირდება ირაკლი ფალავასა და სევერიანე თურქიას სახელებს.⁴⁴

შუასაუკუნოვანი ქართული მონეტებიდან ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო, თავისი „ეროვნულობით“, არის ე.წ. ქართულ-ბიზანტიური მონეტები; მათი საფუძვლიანი კვლევის დაწყება, უწვრილესი სახესხვაობების დაფიქსირების ჩათლით, ისევ ევგენი პახომოვის დამსახურებაა.⁴⁵ აღნიშნული სამონეტო სერიის კომპლექსურად შესწავლის მცდელობებს უფრო გვიანდელ პირობებშიც ვხვდებით - ვალერი სილოგავას შრომას ვგულისხმობთ,⁴⁶ მაგრამ ქართული-ბიზანტიური საფასის შესწავლა ჯერ კიდევ მაინც არსებითად სამონეტო მასალის დაგროვების ეტაპზეა, რასაც ეძღვნებოდა და ეძღვნება ევგენი პახომოვის, დავით კაპანაძის, მაია პატარიძის, ირაკლი ფალავას, როლანდ სპანდერაშვილისა და დავით ფაციაშვილის ნაშრომები;⁴⁷ ქართულ-ბიზანტიური მონეტების მიმოქცევის საკითხები განიხილეს რევაზ ქეზულაძემ, სერგეი შამბამ, იზოლდა ცუხიშვილმა და ჟორჟ დეპერიომ, მაია პატარიძემ.⁴⁸ ამ მონეტების მიერ

⁴⁴ Irakli Paghava, Severiane Turkia, "Circulation of Kufic Fulus the Tiflis Emirate", (Forthcoming).

⁴⁵ Пахомов, Монеты Грузии, 57-74.

⁴⁶ ვალერი სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა (თბილისი: არტანუჯი, 2006), 221-252.

⁴⁷ Евгений Пахомов, "Неизданные грузинские монеты XI века", Известия Кавказского музея IV (1909): 150-152; Давид Капанадзе, "Неизданный вариант грузинской монеты XI века", Труды Абхазского института языка, литературы и истории XXX (1959): 101-104; Давид Капанадзе, "Новый тип монеты Давида Строителя", Византийский временник VIII (1956): 338-343; მაია პატარიძე, "ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან", საისტორიო კრებული 1 (2011): 283-290; მაია პატარიძე, "დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან", საქართველოს ეროვნული მუზეუმი მოამბე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია no. 2 (47-B) (2010): 295-303; Irakli Paghava, David Patsia, "A New Variety of a No-Cross Type Silver Coins of Davit IV of Georgia", Journal of Oriental Numismatic Society 198 (2009): 45-47; Irakli Paghava, Roland Spanderashvili, "Georgian-Byzantine Type Coins of Giorgi II and Davit IV: New Specimens", Journal of Oriental Numismatic Society 216 (2013): 21-23.

⁴⁸ Реваз Кебуладзе, "Клад из села Цихесулори", Нумизматический сборник памяти Д. Г. Капанадзе. Ред. Вадим Леквинадзе (Тбилиси, 1977): 109-116; Сергей Шамба, Монетное обращение на территории Абхазии (V в. До н.э. – XIII в. н. э.) (Тбилиси: Мецниереба, 1987), 98-114; Izolda Tsukhishvili, Georges Depeyrot, History and Coin Finds in Georgia. Late Roman and Byzantine Hoards (4th-13th c.) (Wetteren: Belgium, 2003), 33-36; პატარიძე, "ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან".

დაფიქსირებულ ქართველ მეფეთა ტიტულატურას შეეხო რევაზ ქებულაძე, ირაკლი ფაღავა, ლერი თავაძე.⁴⁹ ბიზანტიური ტიტულის გარეშე ქართულ-ბიზანტიური ტიპის მონეტას მიეძღვნა ბოლო დროს გამოცემული ალექსანდრე აკოპიანის სტატია,⁵⁰ ასევე ირაკლი ფაღავას ნაშრომი.⁵¹

ირაკლი ფაღავამ შეისწავლა ექსკლუზიურად არაბულენოვანი მონეტების ჯგუფი, რომლიდანაც ადრე ერთი თუ ორი ეგზემპლარი იყო მხოლოდ ცნობილი, და რომელსაც მკვლევართა ჯგუფი ხან დავით აღმაშენებლის საფასედ მიიჩნევდა (არასწორი არგუმენტაციის საფუძველზე), და ხანაც დავით V-ს აკუთვნებდა; საბოლოოდ დადგინდა, რომ ეს მონეტები ნამდვილად დავით აღმაშენებლის გამოშვებული იყო; ახალი სამონეტო მასალის შესწავლამ მისცა ირაკლი ფაღავას შესაძლებლობა ემსჯელა დავით აღმაშენებლის სამონეტო რეფორმაზე.⁵²

ირაკლი ფაღავას და სევერიანე თურქიას აქვთ აღმოჩენილი რეფორმის შემდგომი რიგით მეორე საფასეც - დიმიტრი I-ის, დავით IV-ის ძის ყველაზე ადრეული ექსკლუზიურად არაბულენოვანი საფასეც.⁵³

ქართული მემორიალურილ მონეტის გამოშვების საკითხი პირველად მანანა გაბაშვილმა განიხილა;⁵⁴ გიორგი ლაშას საკორონაციო გამოშვების დაწვრილებითი

⁴⁹ რევაზ ქებულაძე, "დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები", საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXIX-B (1987): 45-51; თავაძე, "კეისრის ტიტული შუასაუკუნოვან ქართულ პოლიტიკურ რეალობაში"; თავაძე, "სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში"; Paghava, Patsia, "A New Variety of a No-Cross Type Silver Coins of Davit IV of Georgia".

⁵⁰ Александр Акопян, "К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах", Государственный Исторический музей. Нумизматические чтения 2011 года. Памяти Алексея Владимировича Фомина. Москва, 21-22 ноября 2011 г. Тезисы докладов и сообщений, (2011): 19-22.

⁵¹ Irakli Paghava, "Silver Coinage of David IV the Builder with no Byzantine Title (Attribution, Dating, Significance)", *Pro Georgia*, 22 (2012): 91-110.

⁵² Irakli Paghava, "The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah", 3rd Assemani Symposium on Islamic Coins, Roma, 23-24 September 2011, Proceedings. Eds. Bruno Callegher and Arianna D'Ottone. 220-261. Trieste, 2012.

⁵³ Severiane Turkia, Irakli Paghava, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia", *Journal of Oriental Numismatic Society* 200 (2009): 9-12; Irakli Paghava, Severiane Turkia, Gennadiy Zlobin, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum", *Journal of Oriental Numismatic Society* 207 (2011): 13-14.

შესწავლისას მემორიალურ-დონატიური მონეტების გამოშვების საკითხი განიხილეს ასევე მაია პატარიძემ და ირაკლი ფაღავამ;⁵⁵ მოგვიანებით ირაკლი ფაღავამ გაანალიზა, XII-XIII საუკუნეების თუ რა ქართული მონეტები შეიძლება მივიჩნიოთ მემორიალურად.⁵⁶

ასევე ირაკლი ფაღავა შეეხო ქართული ზარაფხანებისა და შესაბამისი ხელოსნების ორგანიზაციის საკითხებს.⁵⁷

ბაგრატიონთა გამოშვებული ზოგიერთი სამონეტო ტიპის იკონოგრაფია განიხილეს თედო დუნდუამ,⁵⁸ ასევე მაია პატარიძემ და ირაკლი ფაღავამ;⁵⁹ ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ნაშრომში ირაკლი ფაღავა ამ საკითხს ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით მიუდგა.⁶⁰

*

2015 წლის ივლისისათვის საკვლევი თემის ფარგლებში დოქტორანტ ირაკლი ფაღავას მიერ უკვე განხორციელებული კვლევის შედეგები აისახა 34 ნაბეჭდ შრომაში (აქედან დაახლოებით ორი მესამედი უცხოეთის გამოცემებშია გამოქვეყნებული, უმეტესწილად ინგლისურად; ვარსკვლავის ნიშნით - * - აღნიშნულია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები; შრომები გამოყენებული გრაფიკისა და შემდეგ ანბანური პრინციპით არის დაწყობილი):

⁵⁴ მანანა გაბაშვილი, „შუა საუკუნეების ქართული მემორიალური და სახეიმი ხასიათის მონეტები (XII ს.)“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო V (2008): 31-49.

⁵⁵ მაია პატარიძე, ირაკლი ფაღავა, „გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმისმატიკური ასახვა“, საისტორიო კრებული 3 (2013): 197-265.

⁵⁶ Irakli Paghava, „Art, Court Culture and Economy in the Epoch of Queen Tamari: Monetary Implications“, (Forthcoming).

⁵⁷ Ibid., ირაკლი ფაღავა, „ჯავახთ უფლის მონეტები - კომპლექსური ანალიზი“, საისტორიო კრებული 1 (2011): 318.

⁵⁸ თედო დუნდუა, მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება. გიორგი მესამის ფული (თბილისი: მერიდიანი, 2010).

⁵⁹ პატარიძე, ფაღავა, „გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმისმატიკური ასახვა“.

⁶⁰ Irakli Paghava, „Art, Court Culture and Economy in the Epoch of Queen Tamari: Monetary Implications“, (Forthcoming).

1. პატარიძე მაია, ფაღავა ირაკლი. "გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმისმატიკური ასახვა". *საისტორიო კრებული 3* (2013): 197-265.
2. ფაღავა ირაკლი. „რევაზ ქეზულაძე და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა (ქართული ნუმისმატიკური აზროვნების ისტორიიდან)“. *საისტორიო კრებული 4* (2014): 398-406.
3. ფაღავა ირაკლი. „საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმისმატიკური მონაცემების გათვალისწინებით)“. აკად. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა“. *პროგრამა და თეზისები*. 42-43. თბილისი, 19-20.12.2014.
4. ფაღავა ირაკლი. „საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმისმატიკური მონაცემების გათვალისწინებით)“. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VIII* (2014): 250-257, 342.
5. ფაღავა ირაკლი. „ქართული ნუმისმატიკა ერთ ტომად - ღირსეული ნაშრომი (ლევენზია ქერქ ბენეთის ნაშრომზე A Catalog of Georgian Coins, 2014)“. *საისტორიო კრებული 4* (2014): 382-394.
6. ფაღავა ირაკლი. „ჯავახთ უფლის მონეტები - კომპლექსური ანალიზი“. *საისტორიო კრებული 1* (2011): 291-343.
7. ფაღავა ირაკლი, ვარშალომიძი ირინე, თურქია სევერიანე. „ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია). ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები V (2013): 60-67, 117-120.
8. ფაღავა ირაკლი, ვარშალომიძი ირინე, თურქია სევერიანე. „ქუფური მონეტების განძი ხელვაჩაურიდან (აჭარა)“. *იბერია-კოლხეთი 10* (2014): 85-95.
9. ფაღავა ირაკლი, პატარიძე მაია. "In memoriam მერი ანთაძე (ჩადუნელი) (ქართულ-ოსმალური და ქართულ-არაბული ნუმისმატიკური კავშირების კვლევის ისტორიისათვის)". *საისტორიო კრებული 3* (2013): 310-315.
10. ფაცია დავითი, ფაღავა ირაკლი. *ჯალალ ად-დინ მანქბურნის ქართული მონეტები*. თბილისი: ეროვნული მწერლობა, 2009. Patsia Daviti, Paghava Irakli. *The Georgian Coins of Jalal ad-Din Mankburni*. Tbilisi: Erovnuli Mtserloba, 2009.

11. Naymark Alexander, Paghava Irakli. "A Bukharkhuda Dirham from Kura/Mtkvari River in Georgia". *Journal of Oriental Numismatic Society* 221 (2014): 25-27.
12. Paghava Irakli. "The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah". *3rd Assemani Symposium on Islamic Coins*, Roma, 23-24 September 2011, Proceedings. Eds. Bruno Callegher and Arianna D'Ottone. 220-261. Trieste, 2012.
13. Paghava Irakli. "Periodization of Georgian Numismatic History". *Pro Georgia*, 24 (2014): 119-138.
14. Paghava Irakli. "Silver Coinage of David IV the Builder with no Byzantine Title (Attribution, Dating, Significance)". *Pro Georgia*, 22 (2012): 91-110.
15. Paghava Irakli, Bennett Kirk. "New Monetary Material for the Numismatic History of 'Alī B. Ja'far, Ja'farid Emir of Tiflīs, and its Significance". *Journal of Oriental Numismatic Society* 213 (2012): 11-12.
16. Paghava Irakli, Geradze Gocha. "The Alloy Composition of the Georgian and Ildegizid Coins of the 12th-13th Century". *Pro Georgia*, 23 (2013): 99-109.
17. * Paghava Irakli, Novák Vlastimil. "Georgian Coins in the Collection of the National Museum-Náprstek Museum in Prague". *Annals of the Náprstek Museum* 34 / 2 (2013): 41-82.
18. Paghava Irakli, Pataridze Maia. "Toiler in the Field of Georgian-Anatolian and Georgian-Arabic Numismatic Relations (In Memoriam Mary Antadze)". *Journal of Oriental Numismatic Society* 217 (2013): 1-2.
19. Paghava Irakli, Patsia David. "A New Variety of a No-Cross Type Silver Coins of Davit IV of Georgia". *Journal of Oriental Numismatic Society* 198 (2009): 45-47.
20. Paghava Irakli, Spanderashvili Rolandi. "Georgian-Byzantine Type Coins of Giorgi II and Davit IV: New Specimens". *Journal of Oriental Numismatic Society* 216 (2013): 21-23.
21. Paghava Irakli, Turkia Severiane. "Circulation of Kufic Dirhams and Dinārs in the Tiflīs Emirate (New Monetary Evidence)". (Forthcoming).
22. Paghava Irakli, Turkia Severiane. "A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja'far III b. 'Alī, Ja'farid Emir of Tiflīs". *Journal of Oriental Numismatic Society* 206 (2011): 11-13.
23. Paghava Irakli, Turkia Severiane. "A New Early Coin Type of 'Alī b. Ja'far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tā'ī' li-llāh." *Journal of Oriental Numismatic Society* 199 (2009): 7-9.

24. Paghava Irakli, Turkia Severiane. "The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus". *Journal of Oriental Numismatic Society* 201 (2009): 16-18.
25. * Paghava Irakli, Turkia Severiane. "A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflīs". *The Numismatic Chronicle* 172 (2012): 205-212.
26. Paghava Irakli, Turkia Severiane, Zlobin Gennadiy. "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum". *Journal of Oriental Numismatic Society* 207 (2011): 13-14.
27. Paghava Irakli, Turkia Severiane, Lobzhanidze Giorgi. "Jalal al-Din Mangubarni's copper coin minted in the Kingdom of Georgia and without marginal legend". *Journal of Oriental Numismatic Society* 192 (2007): 6-8.
28. Paghava Irakli, Turkia Severiane, Lobzhanidze Giorgi. "Jalal al-Din Mangubarni's copper coin minted in Georgia without marginal legend: addendum". *Journal of Oriental Numismatic Society* 194 (2008): 7-8.
29. Turkia Severiane, Paghava Irakli. "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis". *Journal of Oriental Numismatic Society* 197 (2008): 5-11.
30. Turkia Severiane, Paghava Irakli. "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia". *Journal of Oriental Numismatic Society* 200 (2009): 9-12.
31. Turkia Severiane, Paghava Irakli. "The Prolongation of Yazīd b. Usayd's Reign in the North-West of the Caliphate". *Journal of the Oriental Numismatic Society* 198 (2009): 4-6.
32. Turkia Severiane, Paghava Irakli. "An Unrecorded Early Post-reform Fals minted in Tiflis". *Journal of Oriental Numismatic Society* 191 (2007): 6-8.
33. Пагава Иракли, Лемберг Евгений. "Обращение куфического серебра в западных и юго-западных провинциях Грузии (в свете новых находок)". *Эпиграфика Востока XXXI* (2015): 273-298.
34. Пагава Иракли, Туркия Севериане. "Монетное наследие Мансура II б. Джа'фара (III) (к нумизматической истории Тифлисского амирата)". *ПОЛУТРОПОΣ: Сборник научных статей памяти Аркадия Анатольевича Молчанова (1947-2010)*. Под редакцией Татьяны Джаксон и Александра Акопяна. 347-360. Москва: Индрик, 2014.

მეთოდოლოგია

კვლევა ძირითადად თვისებრივ ხასიათს ატარებს და ეფუძნება შემორჩენილი თანადროული პირველწყაროების (პირველ რიგში - თავად მონეტების) შესწავლას.

წარმოებს ახალი ემიტენტებისა და, საზოგადოდ, ქართული მონეტების ახალი ჯგუფების აღმოჩენა; უკვე ცნობილი ემიტენტების ახალი სამონეტო ტიპების შეყვანა სამეცნიერო მიმოქცევაში; უკვე გამოქვეყნებული მონეტების ორიგინალური, ალტერნატიული გააზრება; ახალი განძებისა და ცალკეული მონეტების პუბლიკაცია, მათი ანალიზის საფუძველზე საქართველოში ფულადი მიმოქცევის სურათის დაზუსტება ახალი აღმოჩენების გათვალისწინებითა და ერთმანეთთან თუ უკვე ცნობილ ფაქტებთან ურთიერთშეჯერების გზით.

შედარებითი ანალიზი ტარდება ეპოქის უცხოურ ნუმისმატიკურ ძეგლებთან, მეზობელ რეგიონებში ფულადი მიმოქცევის სურათთან, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა (ქართველი და არაქართველი) ემიტენტის მიერ გამოშვებულ საფასეს შორის.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი გამოიყენება ისეთი რიცხვითი პარამეტრების შესწავლისას, როგორიცაა სხვადასხვა საფასის, სხვადასხვა ემიტენტის (ზარაფხანების ჩათვლით) ხვედრითი წილი ამა თუ იმ განძში თუ ცალკეული აღმოჩენების ერთობლიობაში; მონეტების განაწილებისას დინასტიის, ქრონოლოგიის, ზარაფხანის მიხედვით.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა სამონეტო მასალას, რომლის უმეტესი ნაწილი ავტორმა პირველად შემოიყვანა სამეცნიერო მიმოქცევაში; შევისწავლეთ და გავითვალისწინეთ:

- საქართველოს რეგიონული მუზეუმების ფონდები - მეტ-ნაკლებად სრული სახით პირველად გამოქვეყნდა საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სამუზეუმო დაწესებულების - ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმის ფონდებში დაცული ქუფური მონეტების - ზოტისა და ხელვაჩაურის განძები;

- უცხოური საჯარო კოლექციები (თიუბინგენის ისლამური კვლევების საუნივერსიტეტო ცენტრისა და იენის უნივერსიტეტის ნუმისმატიკური კოლექციები გერმანიაში; ეშმოლის მუზეუმი დიდ ბრიტანეთში; ნაპრსტეკის მუზეუმი ჩეხეთში; ერმიტაჟი და სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი რუსეთის ფედერაციაში; ამერიკის ნუმისმატიკური საზოგადოების კოლექცია აშშ-ში; სომხეთის ეროვნული მუზეუმი);
- დასავლეთ ევროპისა და აშშ-ების აუქციონებზე გასხვისებული ნუმისმატიკური მასალა;
- საქართველოსა თუ უცხოეთში დაცული კერძო კოლექციები, რომელიც ბევრ უკიდურესად იშვიათ, და, ზოგჯერ, უნიკალურ ქართულ მონეტასაც კი ინახავს;
- სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობები საქართველოს ტერიტორიაზე ამა თუ იმ საფასის ეგზემპლარებისა თუ განძების აღმოჩენის, ამ განძების შემადგენლობის შესახებ.

აღნიშნული სამონეტო მასალა შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად:

- სამონეტო განძები და მონეტების ცალკეული აღმოჩენების კომპლექსები, რომელიც გვეხმარება მეტწილად სამონეტო მიმოქცევის კვლევაში;
- ცალკეული, თუნდაც დეპასპორტიზირებული მონეტები, რომელიც იძლევა თვისებრივი ტიპის დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას - ემიტენტის, გამოშვების ადგილის, ქრონოლოგიის შესახებ.

ორივე ჯგუფის მონეტები მეტროლოგიური კვლევისათვის აუცილებელ სტატისტიკური მასალასაც წარმოადგენს.

პირადი კართოტეკის მეშვეობით შეძლებისდაგვარად ვცდილობდით საქართველოს ანტიკვარულ ბაზარზე გამოჩენილი საქართველოსა თუ მეზობელ სახელმწიფოებში ახალნაპოვნნი სამონეტო მასალის პარპორტიზაციას.

შედეგები

თავი 1. საქართველო და არაბები

ქვეთავი 1.1. საქართველოში არაბთა ძალაუფლების დამყარება

თბილისში ომაიანთა დირჰემის მოჭრის ქრონოლოგია

თბილისში არაბების მიერ მოჭრილ ჩვენთვის ცნობილ ქრონოლოგიურად პირველ მონეტას წარმოადგენს ომაიანთა ტიპის დირჰემი, დათარიღებული ჰ. 805 წლით (704/5). აღნიშნული მონეტა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გახდა ცნობილი.⁶¹

ქართულ ნუმისმატიკურ ისტორიოგრაფიაში ეს დირჰემი კარგა ხანს უნიკალურად ითვლებოდა, მაგრამ 2002 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მიშელ კლამ მიუთითა უკვე 6 ამგვარი მონეტის არსებობაზე, რომელიც სხვადასხვა კოლექციაში ინახებოდა.⁶²

გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილი გახდა თბილისში ჰ. 85 წლით დათარიღებული კიდევ ერთი დირჰემის არსებობა. მოვიყვანთ მის აღწერილობას, რომელიც ამ მონეტის პირველ სამეცნიერო პუბლიკაციას წარმოადგენს:

⁶¹ Пахомов, Монеты Грузии, 38-39.

⁶² Klat, Catalogue of the Post-Reform Dirhams. The Umayyad Dynasty, 90.

სურ. 1.1.1. ვერცხლი. წონა, კვეთა, სიქების თანაფარდობა უცნობია.



შუბლი: წრიული ლეგენდა: بسم الله ضرب هذا الدرهم بتفليس سنة خمس و ثمنين

ცენტრალური ლეგენდა - ლეგენდა A

ზურგი: წრიული ლეგენდა: ყურანი 9:33

ცენტრალური ლეგენდა - ლეგენდა UR

მონეტა ატვირთულია ვადიმ კალინინის მიერ აღმოსავლური მონეტების ონლაინ მონაცემთა ბაზაში Zeno (#13778), 2005 წლის 10 აპრილს.

გარდა ამისა, სამეცნიერო მიმოქცევაში ამჟამად ასევე პირველად შეგვყავს თბილისის ზარაფხანაში არაბების (ომაიანური ადმინისტრაციის) მიერ მოჭრილი კიდევ ერთი დირჰემი, ოღონდ დათარიღებული უკვე ჰ. 86 წლით (705).

აღნიშნული მონეტა პირველად გამოჩნდა 2014 წლის შემოდგომაზე, და ერთ-ერთ ევროპულ აუქციონზე გაიყიდა (Numismatica Genevensis SA, Auction 8, 24-25 November 2014; Session 1, Lot 232).

სურ. 1.1.2. ვერცხლი. წონა 2.66 გ, კვეთა და სიქების თანაფარდობა უცნობია.



ლეგენდები სტანდარტულია, ოღონდ შუბლის ირგვლივ წარწერაში, ბუნებრივია, შეცვლილია თარიღის ერთეულის აღმნიშვნელი სიტყვა:

بسم الله ضرب هذا الدرهم بتفليس سنة ست و ثمانين

ამრიგად, არსებობს გარკვეული საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ომაიანთა ეპოქაში ომაიანთა სამონეტო ემისიები თბილისში იმაზე უფრო აქტიური ყოფილა, ან, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად სპორადული, ვიდრე ადრე გვეგონა.

თბილისში მოჭრილი მურვან ერუს ფელსი

თანამედროვე ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი, ევგენი პახომოვი, აღნიშნავდა, რომ თბილისში არაბები მხოლოდ ვერცხლს ჭრიდნენ; თბილისის ზარაფხანის ოქროს დინარებსა თუ სპილენძის ფელსებს პატივცემული მკვლევარი არ იცნობდა. მდგომარეობა პრაქტიკულად არც შემდგომ ათწლეულებში შეცვლილა. გოჩა ჯაფარიძემ გამოაქვეყნა XX საუკუნის დასაწყისში ჩატარებული აუქციონის კატალოგის მიერ შემონახული ცნობა თბილისური ოქროს დინარის შესახებ,⁶³ მაგრამ თბილისური სპილენძი კვლავინდებურად არ ჩანდა.

მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს, როდესაც სამირ შამმამ თავის *‘ზასიანთა’* სპილენძისადმი მიძღვნილ და 1998 წელს გამოცემულ წიგნში გამოაქვეყნა (გამოსახულების მოყვანის გარეშე) თბილისის *ომაიანური* ფელსი, რომელიც, ავტორის მიხედვით, *ხალიფა მურვან II ბ. მუჰამადის* მიერ მოიჭრა.⁶⁴ მონეტა თიუბინგენის უნივერსიტეტის ისლამური ნუმიზმატიკის კვლევითი ცენტრის ნუმიზმატიკურ კოლექციაში ინახებოდა.⁶⁵ იმ ხანად ამ მონეტის უფრო დაწვრილებით გაცნობა ვერ მოვახერხეთ, ხოლო გამოსახულების გარეშე მისი პუბლიკაცია სრულფასოვნადაა და სანდოდ ვერ ჩავთვალეთ.

⁶³ ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“, 132, შენიშვნა 2.

⁶⁴ Shamma, A Catalogue of Abbasid Copper Coins, 233.

⁶⁵ Forschungsstelle für Islamische Numismatik der Universität Tübingen, AM10B3.

საბედნიეროდ, 2006 წელს ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა მდინარე მტკვრის კალაპოტში, დაახლოებით ორთაჭალის დონეზე აღმოჩენილი სპილენძის მონეტა. მოვიყვანთ მის აღწერილობას:

სურ. 1.1.3. წონა (მექანიკური წმენდის შემდგომ): 1.48 გ, კვეთა: 17-17.5 მმ, სიქების თანაფარდობა: 6 სთ-ზე.



შუბლი: ცენტრალური ლეგენდა 2 სტრიქონად:

لا اله

الا [الله]

წრიული ლეგენდა: ... بسم الله ضرب هذا الفلّس بتفليس

ზურგი: ცენტრალური ლეგენდა 3 სტრიქონად: ლეგენდა B

წრიული ლეგენდა: [هذا] الفلّس مما امر به الامر مرون بن محمد

2009 წელს ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა იმავე ტიპის მეორე ეგზემპლარიც, შენახული თიუბინგენში:

სურ. 1.1.4. წონა: 1.68 გ, კვეთა: 18 მმ, სიქების თანაფარდობა: უცნობი.



შუბლი: ცენტრალური ლეგენდა 2 სტრიქონად:

لا اله

الا لله

წრიული ლეგენდა: **بسم الله ضرب هذا الفلّس بتفليس خاز**

ორივე მონეტის შუბლი ძალიან მსგავსია, და შეიძლება ერთი და იმავე სიქითაც იყოს მოჭრილი (საბოლოო დასკვნისაგან თავი უნდა შევიკავოთ, ვინაიდან თიუბინგენში შენახული მონეტის გამოსახულება საკმარისად კარგი არ არის).

ზურგი: ცენტრალური ლეგენდა 3 სტრიქონად: **ლეგენდა B**

წრიული ლეგენდა: ... **[ه]ذا الفلّس مما ام[ر به] ا[لام]ر مرون [بن]** ...

ზურგის მოსაჭრელად, თუ არ ვცდებით, მტკვარში აღმოჩენილი მონეტისგან განსხვავებული სიქა გამოიყენეს.

ორივე მონეტა მეტ-ნაკლებად იდენტურია, ნაწილობრივ მაინც, როგორც ჩანს, სიქის თანხვედრის ჩათვლით. ორივეს ემიტენტი ვინმე მურვან⁶⁶ ბ. მუჰამადია.

ჩვენი აზრით, ლოგიკური იქნებოდა ჩაგვეთვალა ეს პიროვნება ქართული წყაროების მურვან ყრუდ, *მომავალ* ომაიან ხალიფად, რომელიც იქამდე სახალიფოს ჩრდილოეთ პროვინციებს მართავდა. სამხრეთ კავკასიის სამართავად ის ჰ. 144 წელს გამოიგზავნა (732/3), ხოლო ხალიფად კი უკვე 744 წელს ჩანს (ჰ. 126/7).

ამ მონეტის მიკუთვნებას მურვან ყრუსადმი ადასტურებს ასევე *მურვან ბ. მუჰამადის* მიერ ამიერკავკასიის ქალაქ ალ-ბაბშიც მოჭრილი და შემდეგი თარიღის მატარებელი ფელსები: ჰ. 115 წ. (ორი სხვადასხვა ქვეტიპი); ჰ. 119 წ.; ჰ. 125 წ.⁶⁷ გარდა ამისა, ცნობილია შემდეგი ფელსები, რომელიც იმავე პერიოდშია მოჭრილი, ოღონდ უკვე მმართველის სახელის მითითების გარეშე: ჰ. 121 წ., ალ-ბაბი; ჰ. 123 წ. (?), არმინია.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ არაბები თბილისში ვერცხლის დირჰემების (და ასევე ოქროს დინარის?) გარდა ჭრიდნენ ასევე სპილენძის ფელსსაც. კერძოდ,

⁶⁶ თიუბინგენის ეგზემპლარზე სახელ მურვანის პირველად წაკითხვა სტივენ ალბუმს ეკუთვნის, ხოლო ლუთც ილიშმა თავად მონეტა შედგომში დაახასიათა როგორც ომაინური და მურვან ბ. მუჰამადის მიერ მოჭრილი (ლუთც ილიშის პირადი შეტყობინება).

⁶⁷ Schindel, "Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II. b. Muhammad from the Caucasus – Additional Comments".

თბილისში სპილენძის საფასე გამოუშვა მურვან ყრუმ, ჯერ კიდევ 730-740-იან წლებში (პ. 114-126/7 / 732/3-744).

ქვეთავი 1.2. 'აბასიანთა პერიოდი

იაზიდ ბ. უსაიდის ფელსები

ჩვენთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა აბასიანთა რამდენიმე ფელსი იაზიდ ბ. უსაიდის სახელით, რომელიც დათარიღებულია პ. 164 წლით (აქამდე უცნობი სამონეტო ტიპი და უცნობი თარიღი ამ მმართველისათვის).

ჩვენთვის ცნობილია ამ ტიპის ათამდე მონეტა. ყველა, ერთის გარდა, აღმოჩენილია მტკვრის კალაპოტში თბილისის ტერიტორიაზე.⁶⁸ ერთი კი, სავარაუდოდ, სომხეთშია ნაპოვნი - ყოველ შემთხვევაში, იქ ინახება.⁶⁹ უკლებლივ ყველა მონეტა ერთი და იგივე ტიპისაა, მაგრამ მათ მოსაჭრელად სიქების რამდენიმე წყვილი გამოიყენეს. ჩვენთვის ხელმისაწვდომია მტკვრის კალაპოტში აღმოჩენილი 3 ფელსის გამოსახულება (სურ. 1.2.1-1.2.3). ყველა მონეტის მიხედვით აეწყო შემდეგი სამონეტო ტიპი:

შუბლი: ორი წვრილი წრიული რკალი, 5 პატარა რგოლი 6, 8, 11, 1:30 და 4 სთ-ზე, უფრო სქელი რკალი გარედან.

ცენტრში:

ზევითკენ გახსნილი ნახევარმთვარე 12 სთ-ზე, რომელიც ეხება ორ წვრილ რგოლს

ლეგენდა A

ვარდული 6 სთ-ზე

⁶⁸ ახლა ყველა ეს მონეტა სხვადასხვა კერძო კოლექციაში ინახება.

⁶⁹ Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia*, vol. 1, Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD), 109.

წრიული ქუფური ლეგენდა 11 და 1:30 სთ-ზე მოთავსებულ რგოლებს შორის⁷⁰, ნაწილობრივ ვერ მოხვდა სამონეტო ნამზადზე და არ იკითხება ყველა ეგზემპლარზე.

ზურგი: ირგვლივ წვრილი და გარედან უფრო სქელი წრეხაზი, მათ შორის მოთავსებული წრიული ქუფური ლეგენდით, რომელიც 2:45 სთ-ზე იწყება:

مما امر به الامر يزيد بن اسيد اعز الله نصره سنة اربع و ستين و مية

[ბრძანებითა ამირა იაზიდ ბ. უსაიდისა, ალლაჰმაც განადიდოს მისი გამარჯვება! წელი 164]

ცენტრში:

ვარსკვლავი 12 სთ-ზე

ლეგენდა B

ვარდული 6 სთ-ზე

ჩვენთვის ცნობილია სამი ეგზემპლარის მეტროლოგია:

სურ. 1.2.1:



Æ, წონა (გაუწმენდავი): 1.49 გ; კვეთა: 18.8-19.6 მმ; სიქების თანაფარდობა: 9 სთ-ზე.

⁷⁰ კიდევში განლაგებული ლეგენდა, რომელიც 360 გრადუსზე არ გრძელდება, შედარებით იშვიათი მოვლენაა ფელსების გაფორმებაში.

სურ. 1.2.2:



Æ, წონა (გაუწმენდავი): 1.47 გ; კვეთა: 19.1-19.5 მმ; სიქების თანაფარდობა: 12 სთ-ზე.

სურ. 1.2.3:



Æ, წონა (გაუწმენდავი, ინკრუსტაციებით): 0.86 გ; კვეთა: 16-17 მმ; სიქების თანაფარდობა: 8:30 სთ-ზე.

აღნიშნული ტიპის ფელსები (იაზიდ ბ. უ საიდის სახელით) აქამდე ცნობილი არ იყო. უფრო მეტიც, საზოგადოდ, უცნობი იყო ამ სახელის მატარებელი და ამ წლით დათარიღებული სპილენძის მონეტებიც. საზოგადოდ, მონეტები წარმოადგენს ამ ამირას მმართველობის ქრონოლოგიის შესასწავლად ერთ-ერთ ყველაზე სარწმუნო წყაროს;⁷¹ აქამდე ცნობილი იყო იაზიდ ბ. უსაიდის სახელით მოჭრილი შემდეგი ფელსები⁷²: პ. 142

⁷¹ Фасмер Ричард, „Хронология наместников Армении при первых Аббасидах“, Записки коллегии востоковедов при Азиатском музее Т. I (1925): 381-400.

⁷² Хачатур Мушегян, Денежное обращение Двина по нумизматическим данным (Ереван: Издательство АН Армянской ССР, 1962), 64-68, 189, таблицы VI-VII, ##59-60, 62, 64; Евгений Пахомов, Монеты Азербайджана. Вып. I (Баку, 1959), 60-62, 73-74, 76; Shamma, A Catalogue of Abbasid Copper Coins, 229-230, 234; Mayer, Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas, 138-139, 150-151.

წ. - ბარდა; ჰ. 143 წ. - ბარდა⁷³; ჰ. 159 წ. - ბარდა, დაბილი; ჰ. 163 წ. - ბარდა. საზოგადოდ, მიიჩნეოდა, რომ ამ მმართველის ზეობა გრძელდებოდა მხოლოდ ჰ. 163 წლამდე (779-80).⁷⁴ ზემოთ აღწერილი მონეტების გარდა, ხაჩატურ მუშეგიანმა აგრეთვე გამოაქვეყნა დვინის (დაბილის) გათხრებისას ნაპოვნი ფელსი, შემდეგი ატრიბუციით: *ბარდა, ჰ. 164 წ.*, ქვემოთ მოყვანილი წრიული ზედწერილით⁷⁵ ზურგზე:

بسم الله ضرب هذا الفلّس ببردعه سنة اربع ستين و مية

გაურკვეველია, რას გულისხმობდა ავტორი ამ მონეტის შემთხვევაში კვადრატული ფრჩხილების მითითებით: თუ ლეგენდა მეტ-ნაკლებად ექვემდებარებოდა წაკითხვას, მაშ რატომ მოათავსა კვადრატულ ფრჩხილში, და, თუკი არა, რის საფუძველზე მიუთითა მოჭრის ზემოთ აღნიშნული ადგილი და დრო. ეს უკანასკნელნი, თეორიულად, შესაძლოა მსგავსი ეგზემპლარის მიხედვით ყოფილიყო აღდგენილი, მაგრამ ამგვარი ეგზემპლარი ავტორს არ მიუთითებია. ამგვარად, ამ მონეტის ატრიბუცია სანდოდ ვერ ჩაითვლება. თუმცა კი, მისი დიზაინი ემსგავსება ჩვენ მონეტებს - შუბლი: „ქვემოთ ვარდული; კიდებთან ორი კონცენტრული რკალი, ზემოთ ხუთ ადგილას პატარა რგოლი, ლეგენდის გაურკვეველი კვალი რკალებს გარეთ“; ზურგზე კი - „ზემოთ და ქვემოთ ნიშანი (ტაბულა XV, სურ. 96)“: ... რკალი კიდესთან“.⁷⁶ ჩვენს მონეტებზე შუბლზე ასევე ორი შიგნითა კონცენტრული რკალია და რგოლები ხუთ ადგილას, ისევე როგორც გაურკვეველი ლეგენდა რკალებს გარეთ, 11 და 1:30 სთ-ს შორის (სამწუხაროდ,

⁷³ შამამა, როგორც ჩანს, ასევე მიუთითა ჰ. 145 წლით დათარიღებული ბარდას ფელსი (Shamma, A Catalogue of Abbasid Copper Coins, 229, #3), მაგრამ ეს, სავარაუდოდ, შეცდომაა, ვინაიდან ერთ-ერთ წყაროდ მითითებულია “Tiesen. no. 736”, მაშინ როდესაც ერნსტ ვოლდემარ თიზენგაუზენის წიგნში ამ ნომრის ქვეშ მითითებულია ჰ. 145 წლის ალ-ქუფას დირჰემი. Эрнст Вольдемар Тизенгаузен, Монеты восточного халифата (Санкт Петербург, 1873): 73, #736..

⁷⁴ Фасмер, „Хронология наместников Армении при первых Аббасидах“, 386.

⁷⁵ არაბულ ლეგენდა ორ სტრიქონად არის განაწილებული, და თითოეულ სტრიქონში მხოლოდ ერთი მარჯვენა კვადრატული ფრჩილია (?). Мушегян, Денежное обращение Двина по нумизматическим данным, 68.

⁷⁶ მოვიყვანთ ორიგინალურ ტექსტსაც: “внизу розетка; у края два концентрических круга, над которыми в пяти местах маленький кружок, вне кругов неясный след надписи” and “сверху и снизу знак (табл. XV, рис. 96); ... У края круг.” Ibid.: 68, #37, XV, #96.

ხ. მუშეგიანმა არ დააზუსტა იმ ფელსზე წრიული ლეგენდის სიგრძე და ადგილმდებარეობა; თეორიულად, შეიძლება დავუშვათ, რომ ხ. მუშეგიანმა ვარსკვლავი ვარდულად ჩათვალა). ამრიგად, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ხ. მუშეგიანის აღწერილი ფელსი იმავე ტიპს მიეკუთვნებოდა, მაგრამ, საფიქრებელია ცუდი შენახულობის გამო (რაზედაც ირიბად აღწერაში კვადრატული ფრჩხილების გამოყენებაც მიუთითებს), არაადეკვატურად იყო ინტერპრეტირებული.

ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ფელსებზე მოჭრის ადგილი, როგორც ჩანს, არ არის მითითებული (განსხვავებით იაზიდ. ბ. უსაიდის სახელით მოჭრილი ყველა ნანარჩენი ტიპის ფელსებისგან); თუმცა, ვერ გამოვრიცხავთ, რომ მოჭრის ადგილი იყოს მითითებული შუბლის მოკლე ირგლივ ზედწერილში, რომელიც წაუკითხავი რჩება. ამგვარად, შეუძლებელია დაზუსტება, თუ სად იჭრებოდა ეს მონეტები. აშკარაა, სადღაც სახალიფოს ჩრდილო-დასავლეთში, თუ ვიმსჯელებთ მმართველის სახელითა და თარიღით, და იმ ფაქტით, რომ იმავე მმართველის სახელის მატარებელი და მხოლოდ 1 წლით ადრინდელი (ჰ. 163 წლით დათარიღებული) სპილენძის მონეტები იმავე რეგიონში იჭრებოდა, კერძოდ, ქალაქ ბარდაში.

საზოგადოდ, იასიდ ბ. უსაიდის ფელსები ცნობილი იყო მხოლოდ ბარდისა და დაბილის ზარაფხანებისთვის; დიზაინის თვალსაზრისით, ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სამონეტო ტიპს (ზარაფხანის სახელის მითითების გარეშე?) ახასიათებს ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომელიც გვხვდება იასიდ ბ. უსაიდის როგორც დაბილის ჰ. 159 წლით⁷⁷, ასევე ბარდის 159 და 163 წლებით⁷⁸ დათარიღებულ მონეტებზე, კერძოდ: 2 შიდა კონცენტრული რკალი, მაშინ როდესაც იასიდ ბ. უსაიდის ბარდის ფელსებზე საერთოდ არ არის ცენტრალური და წრიული ლეგენდების გამმიჯნავი რკალი/ები,

⁷⁷ Mayer, Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas, 138-139, #1207; Мусегян, *Денежное обращение Двина по нумизматическим данным*, 66-67, VII, #62, XV, #96.

⁷⁸ Пахомов, *Монеты Азербайджана. Вып. I*, 76; Mayer, Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas, 150-151, ##1256-1262 (#1261 შეიძლება გამონაკლისს წარმოადგენდეს, ვინაიდან გამოსახულება არ არის საკმარისად კარგი ხარისხის იმისთვის, რომ რაიმე დასკვნები გამოვიტანოთ). მუშეგიანის წიგნში მოყვანილი ერთი მონეტის რეპროდუქციის ხარისხი ასევე არასაკმარისია. Мусегян, *Денежное обращение Двина по нумизматическим данным*, VII, #64.

განსხვავებით დაბილის ფელსებისგან; მეორეს მხრივ, ე. პახომოვმა გამოაქვეყნა (თუმცა, ილუსტრაციის თანდართვის გარეშე) ბარდის ჰ. 159 წლით დათარიღებული ფელსი⁷⁹ რომელიც განსხვავდებოდა ბარდის ჰ. 159 წლით დათარიღებული სხვა ფელსებისგან, რომელსაც ვიცნობთ (რომლის გამოსახულებებიც ხელმისაწვდომია)⁸⁰ - 5 რგოლის არსებობით, ჩვენი მონეტების მსგავსად, მაშინ როდესაც დაბილის ფელსებზე რგოლები საერთოდ არ არის. შაჰადას პირველი ნაწილი ჰ. 159 წლით დათარიღებული ფელსების ორივე სახესხვაობაზე ერთნაირად არის განაწილებული სტრიქონებს შორის - ⅃ მეორე ხაზშია, მაგრამ ასე არ არის ბარდის ჰ. 163 წლისა⁸¹ და დაბილის 159⁸² წლის ფელსებზე.⁸³ ჩვენ შეგნებულად იგნორირებას ვუკეთებთ დიზაინის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა ვარდულები და ვარსკვლავები, ვინაიდან მხოლოდ გამოქვეყნებული ილუსტრაციების მიხედვით მათ შესახებ მსჯელობა რთულია და მიზანშეწონილად არ ვთვლით.

პოვნის ადგილი შეიძლება მიუთითებდეს მოჭრის ადგილზედაც, ვინაიდან იმ ეპოქის სპილენძის მონეტები გამოშვების პუნქტს ძალიანაც, საფიქრებელია, არ შორდებოდნენ; ან, ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობა მაინც, რჩებოდა და მიმოიქცეოდა მოჭრის ადგილსა და მის მახლობლად. ვინაიდან გაურკვეველია, ზემოთ ხსენებული, ე. პახომოვის მიერ გამოქვეყნებული დაბილის ფელსი იმავე ტიპის იყო თუ არა, უნდა ჩავთვალოთ, რომ პოვნის ადგილი უცილობლად ცნობილია მხოლოდ იმ სამი მონეტისთვის, რომელიც ნაპოვნია თბილისში, და ჩვენს მიერ ქვეყნდება. ეს შეიძლება წარმოადგენდეს არაპირდაპირ მითითებას, რომ ამ ტიპის ფელსები იჭრებოდა სწორედ თბილისში. საზოგადოდ, უკვე დამტკიცებულია, რომ კარგად ცნობილი (ომაიანთა და

⁷⁹ Пахомов, *Монеты Азербайджана*. Вып. I, 73-74.

⁸⁰ Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 150-151, ##1256-1261.

⁸¹ Ibid.: 150-151, #1262.

⁸² Ibid.: 138-139, #1207; Мушегян, *Денежное обращение Двина по нумизматическим данным*, 66-67, VII, #62, XV, #96.

⁸³ ხ. მუშეგიანის გამოქვეყნებული ფელსი დვინის გათხრებიდან გამოქვეყნდა როგორც *ბარდაში მოჭრილი*. Ibid.: 68, #37. ამასთან, ილუსტრაცია არ გამოქვეყნდა, და ატრიბუციაც, თეორიულად მაინც, შეიძლება მცდარი იყოს. ორი კონცენტრული რგოლის არსებობა შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ფელსი დაბილის ზარაფხანაში მოჭრეს; თუმცა რგოლები უფრო ბარდაზე მიუთითებს.

‘აბასიანთა) დირჰემების გარდა თბილისში სპილენძის საფასეც იჭრებოდა.⁸⁴ აღმოსავლეთ საქართველოში ქუფური ფელსების პოვნის შემთხვევები საკმარისად ხშირია⁸⁵, რომ ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში სპილენძის საფასის მნიშვნელობაზე ვისაუბროთ.⁸⁶

რასაკვირველია, ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ მტკიცებისაგან, რომ აღნიშნული ტიპის, ჰ. 164 წლით დათარიღებული და იასიდ ბ. უსაიდის სახელის მატარებელი ფელსები ნამდვილად თბილისში მოიჭრა. ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა - ახალი აღმოჩენები მას ან დაადასტურებს, ან უარყოფს. თეორიულად, ასევე დასაშვებია, რომ ეს ფელსები იჭრებოდა დაბილსა ან ბარდაში, ანდა სამხრეთ კავკასიის სულაც რაიმე სხვა ქალაქში. აღნიშნული ტიპის მონეტების ახალი ეგზემპლარების აღმოჩენა მოგვცემს შუბლის წრიული ლეგენდის წაკითხვის შესაძლებლობას, რის საფუძველზედაც მოხერხდება უფრო ზუსტი დასკვნების გაკეთება.

ამ ეტაპზე კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამონეტო ტიპით დაფიქსირებული იაზიდ ბ. უსაიდის მონეტებისთვის აქამდე უცნობი თარიღი - ჰ. 164 წელი (780/1), იძლევა საფუძველს ჩავთვალოთ, რომ ეს ისტორიული პირი სამხრეთ კავკასიას უფრო ხანგრძლივად მართავდა.

ქვეთავი 1.3. ჯა'ფარიანთა პერიოდი

‘ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის საფასე

⁸⁴ Shamma, *A Catalogue of Abbasid Copper Coins*, :233 (Tübingen University Collection, AM10B3); Paghava, Turkia, “The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus”; Schindel, “Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II. b. Muhammad from the Caucasus – Additional Comments”.

⁸⁵ Ирина Джалаганиа, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.* (Тбилиси: Мецниერება, 1979): 48.

⁸⁶ ასევე აღსანიშნავია, რომ IX საუკუნის შუა წლებიდან წვრილი ანგარიშსწორებისათვის დაიწყო ასევე პატარა ფრაგმენტებად დაჭრილი დირჰემების გამოყენებაც, რასაც განძების ადასტურებს. Ibid.:54-55.

‘ალი ბ. ჯა’ფარ (II)-ის საფასე მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი გოჩა ჯაფარიძეს.⁸⁷ ამასთანავე, პუბლიკაციის შემდეგ ცნობილი გახდა თბილისის ამავე ამირის კიდევ რამდენიმე სამონეტო ტიპი. ჩვენი ამოცანა - მათი პუბლიკაცია-ანალიზია.

მოვიყვანთ მონეტების აღწერილობას.

სურ. 1.3.1. ჯერჯერობით უნიკალურია. ერთადერთი ეგზემპლარი გაიყიდა აუქციონზე (Gorny & Mosch Auction House, auction 169-173, 13-17 November 2008, lot 9030). მონეტის წარმომავლობა უცნობია.

AR? (შენადნობის ლაბორატორიული ანალიზი შუძლებელი იყო); წონა: 2.43 გ; კვეთა: 17.9-18.1 მმ; სიქების თანაფარდობა: 7 სთ-ზე.



შუბლი: ცენტრში

لا اله الا
الله وحده
لا شريك له
[... - ?]

წრიული ლეგენდის კვალი? (ფრაგმენტი ჩანს 7-11 სთ-ზე)

ზურგი: ცენტრში

...
رسول الله
الطابع لله
الامير المظفر
علي بن جعفر

⁸⁷ ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“; Japaridze, “On the Coins of the Tbilisi Amīr ‘Ali b. Ġa’far”; Джапаридзе, “О монетах Тбилисского эмира Али б. Джафара”.

წრიული ლეგენდის კვალი? (ფრაგმენტი ჩანს 7-8 სთ-ზე)

*

‘ალი ბ. ჯა’ფარ (II)-ის მონეტა ხალიფა ათ-თაის სახელითა და თარიღით [ჰ.] 386 [წ.] (996/7) პირველად დ. კაპანაძემ გამოაქვეყნა, 1944 წელს (კვეთა 27-28 მმ, წონა 3.84 გ).⁸⁸ ევგენი პახომოვის 1957 წლის ცნობით, კიდევ ერთი ეგზემპლარი ინახებოდა მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (წარმომავლობა ე. პახომოვმა არ მიუთითა).⁸⁹ გ. ჯაფარიძემ თავის დროზე ვერ მოახერხა ამ ეგზემპლარის de visu შესწავლა, ვინაიდან მუზეუმი სარემონტოდ იყო დაკეტილი; მიუხედავად ამისა, პატივცემულმა მეცნიერმა მაინც მოახერხა მონეტის ანაბეჭდისა და მეტროლოგიური მონაცემების (კვეთა 27-28 მმ, წონა 4.62 გ) მიღება განსვენებული ე. პახომოვის კართოტეკიდან, რომელიც სანქტ-პეტერბურგში, სახელმწიფო ერმიტაჟის ნუმიზმატიკურ დეპარტამენტში ინახებოდა.⁹⁰ ანაბეჭდის მიხედვით გ. ჯაფარიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ორივე მონეტა ერთი და იგივე ტიპის იყო, თუმცა კი სიქების სხვადასხვა წყვილით მოიჭრა.⁹¹ ი. ჯალაღანიამ თავის 1979 წლის ცნობილ წიგნში ახსენა⁹² ამ წლით დათარიღებული კიდევ ერთი ეგზემპლარი, რომელიც, მისი თქმით, „ერევნის ისტორიულ მუზეუმში“ ინახებოდა - ინფორმაციის წყარო ამ შემთხვევაშიც ე. პახომოვის კართოტეკა ყოფილა. გ. ჯაფარიძემ ვერ მოახერხა ერევანში მსგავსი მონეტის მოძიება.⁹³ უფრო მეტიც, *სომხეთის*

⁸⁸ კაპანაძე, „X საუკუნის თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა“. გამომცემელმა მონეტა 1932 წლის დეკემბერში შეიძინა; მონეტა მომდინარეობდა „არაბული“ დირჰემების ჯგუფიდან, რომელიც სადღაც თბილისის შემოგარენში აღმოაჩინეს. Ibid.:183. ამჟამად მონეტა საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული, განძების ფონდი #5129. ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“, 134.

⁸⁹ Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск VII* (Баку, 1957): 39-40; ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“, 135.

⁹⁰ Ibid.: 135.

⁹¹ Ibid.

⁹² Джалаганиа, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв*, 64.

⁹³ პირადი ცნობა მიღებული გოჩა ჯაფარიძისგან.

ისტორიული მუზეუმის ფონდებში, მსგავსი მონეტა არ არის.⁹⁴ ამრიგად, აქამდე ამ ტიპის მხოლოდ ორი ცალი იყო ცნობილი.

ეს მონეტაც, რომელსაც ახლა ვაქვეყნებთ, ასევე ხალიფა ათ-თაის სახელს ატარებს, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული ტიპისაა. განსხვავება შემდეგში მდგომარეობს (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თავად მონეტა უფრო უხეშია და მეტროლოგიური კუთხითაც გამორჩეულია):

- შუბლის ცენტრალურ ლეგენდაში ქვემოთ კიდეც ერთი, მეოთხე სტრიქონია დამატებული: მასში მოხვედრილი გრაფემები შედარებით უფრო მცირე ზომისაა, ზედა სამ, განსაკუთრებით კი სულ ზედა სტრიქონთან შედარებით, მაგრამ ეს გადაჭედვისა ან ორმაგი დარტყმის შედეგი არაა. სამწუხაროდ, მოჩანს ტექსტის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი; ამჟამად მის წაკითხვას ვერ ვახერხებთ;
- მიუხედავად იმისა, რომ როგორც შუბლის, ასევე ზურგის პერიფერია თითქმის მთლიანად გადასულია, 7-11 სთ-ზე მაინც თითოსდა მოჩანს წრიული ლეგენდის კვალი, რომლის გრაფემები შეერთებულია და ირგვლივ ხაზოვან რკალს ქმნის (ათ-თაის სახელით მოჭრილი, აქამდე ცნობილი ტიპის შემთხვევაში ხაზოვანი რკალები ცენტრალურ ლეგენდას ორი წრიულისაგან გამოყოფდა⁹⁵);
- დ. კაპანაძის მიერ გამოქვეყნებულ სამონეტო ტიპს შუბლის ხაზოვანი რკალის შიგნითა მხარეს 12, 3, 6 და 9 სთ-ზე რგოლები ქონდა;⁹⁶ მაგრამ ამ მონეტაზე

⁹⁴ პირადი ცნობა მიღებული რუბენ ვარდანიანისგან (სომხეთის ისტორიის მუზეუმის ნუმიზმატიკური განყოფილება, გამგე).

⁹⁵ კაპანაძე, „X საუკუნის თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა“, 185; ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“, 135, ფოტოტაბულა, #1 (შეცდომაა, შუბლი ორჯერაა ნაჩვენები); Джапаридзе, “О монетах Тбилисского эмира Али б. Джафара”, 207, фототаблица 1, #1; Japaridze, “On the Coins of the Tbilisi Amīr ‘Ali b. Ġa’far”, 98-99, plate 1, #1; გაგოშიძე იულონი, ანთაძე მერი, ღვაბერიძე ცილა, და სხვ., *ფული საქართველოში* (თბილისი, 2000), 36, #46.

⁹⁶ ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“, 135, ფოტოტაბულა, #1 (შეცდომაა, შუბლი ორჯერაა ნაჩვენები); Джапаридзе, “О монетах Тбилисского эмира Али б. Джафара”, 207, фототаблица 1, #1; Japaridze, “On the Coins of the Tbilisi Amīr ‘Ali b. Ġa’far”, 98-99, plate 1, #1; გაგოშიძე იულონი, ანთაძე მერი, ღვაბერიძე ცილა, და სხვ., *ფული საქართველოში* (თბილისი, 2000), 36, #46.

მსგავსი რგოლები არაა, ყოველ შემთხვევაში, 9 სთ-ზე, სადაც მონეტის პერიფერია უკეთესად არის შენახული, და რგოლიც, არსებობის შემთხვევაში, გამოჩნდებოდა;

- შუბლზე, შაჰადას მეორე სტრიქონში **ا**ح و წერია როგორც **ا**ح و. დ. კაპანაძის გამოქვეყნებულ მონეტაზე არის **ا**ح و.⁹⁷

ჩვენი აზრით, აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს წინაშაა ‘ალი ბ. ჯა’ფარ (II)-ის ახალი სამონეტო ტიპი.

წრიული ლეგენდა პრაქტიკულად მთლიანად გადასულია, ასე რომ თარიღის წაკითხვაც შეუძლებელია. მაგრამ, შეგვიძლია ვივარაუდოთ მაინც, როდის გამოუშვეს ეს მონეტა / სამონეტო ტიპი; ამ მხრივ ინფორმატიულია მითითებული ხალიფას სახელი და მონეტის სიუხეზე.

‘ალი ბ. ჯა’ფარ (II)-ის წინამორბედის, ჯა’ფარ II ბ. მანსურის ბოლო მონეტა ჰ. 374 წლით (984/5) არის დათარიღებული,⁹⁸ მაშინ როდესაც ‘ალი ბ. ჯა’ფარ (II)-ის ყველაზე ადრეული, ჩვენთვის ცნობილი მონეტა, როგორც უკვე ვახსენეთ, ჰ. 386 წელს (996/7) მოიჭრა (ათ-თაის სახელით); მომდევნო სამონეტო ტიპი კი უკვე ჰ. xx4 წელს არის გამოშვებული - ანუ, 394 ან 404 წელს⁹⁹ და უკვე ხალიფა ყადირ ბი-ლლაჰის სახელს ატარებს.¹⁰⁰ ათ-თაი გადააყენა ბუვეიჰიანმა ბაჰა ად-დაულამ ალ-ყადირ ბილლაჰის გულისთვის, ჰ. 381 წელს (991). მაგრამ ათ-თაი ლი-ლაჰი გადაურჩა გადატრიალებას, რამაც განაპირობა გადაყენებული ხალიფის სასარგებლოდ ლეგიტიმისტური ოპოზიციური მოძრაობის გაჩენა. ზოგიერთმა მაჰმადიანმა გამგებელმა, მაგალითად სამანიანებმა, ზოგიერთმა ბუვეიჰიანმაც კი, და, ასევე, ‘ალი ბ. ჯა’ფარ (II)-მა, არ ცნეს ალ-ყადირ ბი-ლლაჰი და სიქა / ხუტბა ათ-თაის სახელზე გააგრძელეს; ალ-ყადირმა თავისი ძალაუფლების კონსოლიდაცია მხოლოდ ჰ. 390 წლისთვის (999/1000) მოახერხა,

⁹⁷ კაპანაძე, „X საუკუნის თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა“.

⁹⁸ Молчанов, “Дирхам тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.”; Молчанов, “Новые данные о монетной чеканке Джафаридов (дирхем тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.)”; Molchanov, “New Evidence of Ja’farid Coinage (a Dirham of Emir Ja’far b. Mansur, Tiflis AH374)”.

⁹⁹ ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“, 138.

¹⁰⁰ Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*, 15-16, plate I, #10; ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“, 137-138.

საბოლოოდ კი, ათ-თაის გარდაცვალების დროისთვის ჰ. 393 წლისთვის (1003).¹⁰¹ აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მონეტაც მოიჭრა დროის შემდეგ მონაკვეთში - ჰ. 374-393 წლები, უფრო კი ამ პერიოდის შუაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰ. 386 წლის დირჰემი ასევე ათ-თაის სახელით, გაცილებით ნაკლებად არის დაშორებული კლასიკური ქუფური დირჰემის სტანდარტს, ასე რომ, ვერცხლის კრიზისის პირობებში ჯა'ფარიანთა საფასის დაკნინების გათვალისწინებით, ეს ახალი მონეტა, საფიქრებელია უფრო ჰ. 386-390, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჰ. 386-393 წლებში უნდა ყოფილიყო გამოშვებული.

სურ. 1.3.2. ჯერჯერობით უნიკალურია. მონეტა, გადმოცემით, შავი ზღვის *ჩრდილოეთ* სანაპიროზე იპოვეს. უფრო ზუსტი წარმომავლობა უცნობია.

AR? ან ბილონი, ანდა სპილენძი ვერცხლით გამდიდრებული ზედაპირით (მონეტა შესწავლილია de visu, შენადნობის ლაბორატორიული ანალიზი შუძლებელი იყო); წონა: 0.82 გ; კვეთა: 9-10 მმ; სიქების თანაფარდობა: 7 სთ-ზე.



შუბლი:

... الله ا
 الله وحده
 لا شريك له
 ... القادر بالله

ანუ, ჯა'ფარიანთა საფასისთვის სტანდარტული შაჰადა და ხალიფის სახელის მითითება:

لا اله الا الله / الله وحده / لا شريك له / القادر بالله

წრიული ლეგენდები, არსებობის შემთხვევაში, სამონეტო ნამზადზე ვერ მოხვდა.

¹⁰¹ კაპანაძე, „X საუკუნის თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა“, 187-188; Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*, 14; ჯაფარიძე, „თბილისის ამირას 'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები“, 137.

ზურგი: ცენტრში

؟؟?
... مظفر ابو ال...
علي بن جعفر...
?

ანუ, მმართველის აღმნიშვნელი ფორმულა, მისი სახელისა და ტიტულის მითითებით

المظفر ابو ال... [الحسن؟] / علي بن جعفر

წრიული ლეგენდები, არსებობის შემთხვევაში, სამონეტო ნამზადზე ვერ მოხვდა.

ორივე სიქა ზომით აღემატებოდა სამონეტო ნამზადს.

*

შუბლისა და, განსაკუთრებით, ზურგის ლეგენდების შემონახული ფრაგმენტები ავლენს ამ ახალი სამონეტო ტიპის გამოხატულ მსგავსებას ჰ. 394 თუ 404 წლით დათარიღებულ სამონეტო ტიპთან,¹⁰² თუმცა კი, უკანასკნელის შემთხვევაში პატარა რგოლებისგან შემდგარი ხაზია (ქვემოთ კი - ... مظفر ابو). სახეზეა გარკვეული მსგავსება ჰ. 413 და 418 წლებით დათარიღებულ მონეტებთან¹⁰³, მაგრამ ლაყაბი المظفر იქ სხვა სტრიქონშია.

ამგვარად, ეს მონეტაც ახალ, აქამდე უცნობ სამონეტო ტიპად უნდა ჩაითვალოს.

კალიგრაფიისა და, განსაკუთრებით, ერთადერთი შემონახული ცალის მეტროლოგიური მახასიათებლების (რომელიც საკმაოდ დაკნინებულია) მიხედვით მონეტა 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის ზეობის ბოლო წლებს უკეთ მიესადაგება.

ახალი აღმოჩენების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის სამონეტო ტიპოლოგიის ხელახლა კლასიფიცირება; ისევე როგორც გ. ჯაფარიძის ნაშრომთან სამონეტო ტიპის შესაბამისობის სქემის მოყვანა. იხ. ცხრილი 1.3.1.

¹⁰² Ibid., 137-138.

¹⁰³ Ibid., 138-146.

ცხრილი 1.3.1. 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის სამონეტო ტიპები (შესაბამისობის სქემა)

ახალი მონაცემების გათვალისწინებით ტიპების (პირობითი) თანმიმდევრობა	ახალი აღნიშვნები	გ. ჯაფარიძის თანახმად	აღიარებული ხალიფა
I	ჰ. 386	I	ათ-თაი ლი-ლლაჰი
II	ჰ. 386-394 (ახალი ტიპი)	-	ათ-თაი ლი-ლლაჰი
III	ჰ. 394 or 404	II	ალ-ყადირ ბი-ლლაჰი
IV	მანსური	V	ალ-ყადირ ბი-ლლაჰი
V	გამარჯვებული (ახალი ტიპი)	-	ალ-ყადირ ბი-ლლაჰი
VI	ჰ. 413 წლის მაგვარი	VI	ალ-ყადირ ბი-ლლაჰი
VII	ჰ. 413	III	ალ-ყადირ ბი-ლლაჰი
VIII	ჰ. 418	IV	ალ-ყადირ ბი-ლლაჰი

ჯა'ფარ (III) ბ. 'ალის საფასე

აღმოვაჩინეთ სამი მონეტა, რომელიც წარმოადგენს თბილისის ამირა ჯა'ფარ III ბ. 'ალის აქამდე უცნობ საფასეს.

თავდაპირველად შესასწავლად ხელმისაწვდომი გახდა ორი მონეტა, რომელიც 2007 წელს იპოვეს მდინარე მტკვრის კალაპოტში თბილისის ტერიტორიაზე (ამჟამად ორივე საქართველოში ინახება, კერძო კოლექციებში). მოვიყვანთ მათ აღწერილობას:

სურ. 1.3.3. A? (შემადგენლობის ლაბორატორიული ანალიზი ვერ განხორციელდა);
წონა¹⁰⁴: 2.35 გ; კვეთა: 12.8-13.8 მმ; სისქე: მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი, მაქსიმუმ 2.5 მმ;
სიქების თანაფარდობა: 12 სთ-ზე.



შუბლი: ლეგენდა ცენტრში - სამონეტო ნამზადზე მოხვდა ლეგენდის მხოლოდ ორი ქვედა სტრიქონის მარჯვენა ნაწილი:

لا شريك له
القايم بأمر الله

სამი წერტილი.

ირგვლივ წერტილოვანი რკალის კვალი (ქვევით).

წრიული ლეგენდა, არსებობის შემთხვევაში, ნამზადზე პრაქტიკულად ვერ მოხვდა.
მარჯვენა ქვედა კვადრანტში შესაძლოა ჩანდეს მისი ნარჩენი?

ზურგი:

ლეგენდა ცენტრში - სამონეტო ნამზადზე მოხვდა ლეგენდის მხოლოდ ორი ქვედა სტრიქონის მარჯვენა მხარე:

المنصور ...
جعفر بن ...

ორი თუ სამი წერტილი.

ირგვლივ წერტილოვანი რკალის კვალი (ქვევით, მარჯვნივ)

წრიული ლეგენდა, არსებობის შემთხვევაში, ნამზადზე პრაქტიკულად ვერ მოხვდა.
ორივე სიქა ნამზადის ფართზე გაცილებით უფრო დიდი იყო. ორივე აცდა ცენტრს.

¹⁰⁴ არცერთი მონეტა არ იყო გაწმენდილი.

სურ. 1.3.4. *Æ?* ზოგიერთ უბანში მოჩანს მოვერცხვლის კვალი (შენადნობის შემადგენლობის ანალიზი ვერ განხორციელდა); წონა: 2.62 გ, კვეთა: 13.6-14.2 მმ; სისქე: მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი, მაქსიმუმ 2.2 მმ, სიქების თანაფარდობა 4:45 სთ-ზე.



შუბლი: ლეგენდა ცენტრში:

لا اله الا

لا

ქვემოთ მოჩანს კარტუშის (?) რკალები?

წრიული ლეგენდა, არსებობის შემთხვევაში, ნამზადზე პრაქტიკულად ვერ მოხვდა.

ზურგი: ნამზადზე მოხვდა მხოლოდ ორი ქვედა სტრიქონის ნაწილები

المنصور ابو ...

جعفر بن علي

წრიული ლეგენდა, არსებობის შემთხვევაში, ნამზადზე პრაქტიკულად ვერ მოხვდა.

კალიგრაფია განსაკუთრებულად მდარეა.

შუბლის სიქა ნამზადზე რამდენადმე უფრო დიდი იყო. ზურგის სიქა ნამზადზე გაცილებით უფრო დიდი იყო. ორივე რამდენადმე აცდა ცენტრს.

*

სამონეტო ნამზადებზე მოხვდა ლეგენდების მხოლოდ ნაწილი, განსაკუთრებით პირველი მონეტის შემთხვევაში; მეორე მონეტა კი ძალიან ცუდად არის შენახული: სიქები, როგორც ჩანს, დაბალი რელიეფის იყო, და მონეტის ზედაპირზე მტკვრის დაბინძურებული წყლის ქიმიური ზემოქმედების მსხვერპლიც გახდა; აქედან გამომდინარე, რაც მოხვდა ნამზადზე, ისიც კი არასრულად იკითხება.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, გვაქვს საკმარისი ინფორმაცია რომ დავადგინოთ, თუ ვინ არის ამ მონეტების ემიტენტი.

ჩვენი არგუმენტაცია შემდეგნაირია:

1. ორივე მონეტაზე მითითებულია *ისმი* ჯა'ფარ, ანუ, ის პირადი სახელი, რომელიც მეტად დამახასიათებელი იყო ჯა'ფარიანთა დინასტიის ამირებისათვის; მაგრამ არა რეგიონის სხვა დინასტიებისათვის. მეორე მონეტაზე მოჩანს მმართველის ნასაბი - 'ალი, ყოველ შემთხვევაში, სახეზეა გრაფემა გ;
2. ისტორიოგრაფია იცნობს ჯა'ფარიანთა დინასტიის ამ სახელის მატარებელ სამ წარმომადგენელს:
 - a. ჯა'ფარ I ბ. 'ალის, რომელიც აბულ-კასიმის ლაშქრობასთან დაკავშირებით მოიხსენიება (908-914 = 295/6-301/2 AH)¹⁰⁵; მის ზეობაში თბილისში იჭრებოდა დირჰემები მხოლოდ 'აბასიანი ხალიფის სახელით;¹⁰⁶
 - b. ჯა'ფარ II ბ. მანსურს (!), რომელმაც უკვე დაიწყო კლასიკურ ქუფურ დირჰემებზე 'აბასიანი ხალიფას გარდა ასევე საკუთარი სახელის მითითებაც;¹⁰⁷

¹⁰⁵ მარიამ ლორთქიფანიძე, "თბილისის საამიროს ისტორიიდან", *საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტ-ის მიმომხილველი ტ.* II (1951): 196.

¹⁰⁶ Игорь Добровольский, "Редкие грузинские монеты в собрании Эрмитажа", *Прошлое нашей родины в памятниках нумизматики* (Ленинград: Аврора, 1977), 161-162; იგორ დობროვოლსკი, „ზოგიერთი იშვიათი ქართული მონეტა სახელმწიფო ერმიტაჟის კოლექციიდან“, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* XXX-B (1974): 62; დუნდუა, დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი*, 173-174; Джалагания, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв*, 60-61; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 56-57; Lang, "Notes on Caucasian Numismatics", 12-13; Пахомов, *Монеты Грузии*, 41-46.

¹⁰⁷ Добровольский, "Редкие грузинские монеты в собрании Эрмитажа", 162; დობროვოლსკი, „ზოგიერთი იშვიათი ქართული მონეტა სახელმწიფო ერმიტაჟის კოლექციიდან“, 62; დუნდუა, დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი*, 176; Джалагания, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв*, 63-64, примечания 211-212, 215, 217; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 57; Lang, "Notes on Caucasian Numismatics", 12-13; Пахомов, *Монеты Грузии*, 41-46; დავითი კაპანაძე, „ქართული ნუმიზმატიკის სიახლენი“, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. კრებ. მიძღვნილი აკად. ნ. ბერძენიშვილისადმი*, რედ. გიორგი მელიქიშვილი (თბილისი: მეცნიერება, 1966), 63; Молчанов, "Дирхам тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х."; Молчанов, "Новые данные о монетной чеканке Джафаридов (дирхам тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.); Molchanov, "New Evidence of Ja'farid Coinage (a Dirham of Emir Ja'far b. Mansur, Tiflis AH374)"; Евгений Пахомов, "Монетные клады Азербайджана и Закавказья". *Труды о-ва обследования и*

- ც. ჯა'ფარ III ბ. 'ალის, რომელიც თბილისის ამირა მამამისის შემდეგ გახდა (ამ უკანასკნელის სახელის მატარებელი ყველაზე გვიანდელი საფასე ჰ. 418 წლით არის დათარიღებული (1027/8)¹⁰⁸); ის გარდაიცვალა 1046 წლის გაზაფხულამდე, შესაძლოა 1045 წელსაც კი.¹⁰⁹
3. როგორც შუბლზე, ასევე ზურგზე ლეგენდები და მათი განაწილება ორივე შემთხვევაში შეესაბამება ჯა'ფარ III ბ. 'ალის მამის, 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის საფასეს;¹¹⁰
4. თავდაპირველად მაღალი სინჯის ქუფური დირჰემის დაკნინება, რის მშვენიერ დასურათებას წარმოადგენს ეს ორი მონეტა, კარგად შეესაბამება კავკასიაში XI საუკუნეში არსებულ მდგომარეობას, როდესაც *ვერცხლის კრიზისს* უკვე საკმაოდ ღრმად ქონდა ფესვები გადგმული.¹¹¹ თავისი სინჯით, ორივე მონეტა აშკარად ვერ იქნება მოჭრილი 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის საფასემდე - 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის ფულის ადრეული ნიმუშები ხომ ჯერ კიდევ სრულფასოვან ვერცხლის დირჰემს წარმოადგენს;
5. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანი მეზობლებისგან შეწუხებული თბილისის საამირო პოლიტიკურ-სამხედრო თვალსაზრისით გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ვიდრე სამხრეთ კავკასიის ისეთი უფრო ძლიერი მაჰმადიანური ერთეულები, როგორც შადადიანთა თუ შირვანშაჰთა სახელმწიფო; ამას სავსებით შეეძლო საფასის სინჯის უფრო ადრეული და ინტენსიური დაცემა გამოეწვია;

изучения Азербайджана вып. 3. (Баку: Издание Общества обследования и изучения Азербайджана, 1926), 81, #271; Пахомов, *Монеты Грузии*, 48-49.

¹⁰⁸ ჯაფარიძე, „თბილისის ამირას 'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები“, 140-142, ფოტოტაბულა, ##5-7.

¹⁰⁹ ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორიის II წიგნი“, *თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II*. (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983), 144; რევაზ კიკნაძე, „XI-XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან“, *ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები* V, ნაკვ. 1 (1960): 111; მარიამ ლორდკიპანიძე, *თბილისი (IV-XV სს.)*. *Исторический очерк* (თბილისი, 1991), 74-75; ლორთქიფანიძე, „თბილისის საამიროს ისტორიიდან“, 197.

¹¹⁰ ჯაფარიძე, „თბილისის ამირას 'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები“.

¹¹¹ Fedorov Mikhail. "On the "Silver Crisis" in Central Asia, Caucasus and Adjacent Regions of the Middle East". *Oriental Numismatic Society Newsletter* 167 (2001): 5-9; Лебедев, Марков, Койфман, *Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шадмადидов (сер. X – XI вв.)*, 75-77.

6. მონეტაზე მითითებულია ხალიფა ალ-ყაიმ ბი-ამრ ალლაჰის სახელი (ჰ. 422-475 წლები / 1031-1075). ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯა'ფარ III ბ. 'ალი თბილისის ამირად იჯდა დაახლოებით 1030-1045/1046 წლებში. როგორც ვხედავთ, ალ-ყაიმის სახელით მონეტის გამოშვება მხოლოდ ჯა'ფარ III ბ. 'ალის შეეძლო;
7. პოვნის ადგილი (თბილისი) ასევე, ირიბად, მაგრამ მჭევრმეტყველად, მიუთითებს ამ საფასის ყველაზე მოსალოდნელ მოჭრის ადგილზე.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის / არგუმენტების საფუძველზე ვთვლით, რომ ზემოთ აღნიშნული ორი სამონეტო ტიპი ჯა'ფარ III ბ. 'ალის ადმინისტრაციამ გამოუშვა.

2010 წელს აღმოვაჩინეთ ჯა'ფარ III ბ. 'ალის კიდევ ერთი ახალი, მეტად საინტერესო სამონეტო ტიპი.

წინა ორი მონეტის მსგავსად, ეს მონეტაც მკვრის კალაპოტშია აღმოჩენილი, თბილისის ტერიტორიაზე (ამჟამად ასევე საქართველოში ინახება, კერძო კოლექციაში). მოვიყვანთ მის აღერილობას.

სურ. 1.3.5. A? (de visu, შენადნობის შემადგენლობის ანალიზი ვერ განხორციელდა); წონა: 3.97 გ¹¹²; კვეთა: 16.2-17.8 მმ; სისქე: მეტ-ნაკლებად თანაბარი, მაქსიმუმ 2.3 მმ; სიქების თანაფარდობა: 10 სთ-ზე.



შუბლი:

[ل ش] ريك له

القائم بأمر [الله]

წრიული ლეგენდა, არსებობის შემთხვევაში, ნამზადზე პრაქტიკულად ვერ მოხვდა.

ზურგი:

¹¹² მონეტა გაუწმენდავია, მაგრამ არსებითი ინკრუსტაციები არ ქონდა.

السيد المظفر]

إلى فضل جعفر

...

წრიული ლეგენდა, არსებობის შემთხვევაში, ნამზადზე პრაქტიკულად ვერ მოხვდა.

შუბლის სიქა ნამზადზე უფრო დიდი იყო. შუბლის სიქა აცდა ნამზადის ცენტრს, სიქის ზედა ნაწილი ნამზადზე ვერ აღიბეჭდა.

ამ მონეტასაც ჯა'ფარ III ბ. 'ალის მივაკუთვნებთ; ჩვენი არგუმენტაცია შემდეგნაირია:

1. სახელი ჯა'ფარი;
2. სამონეტო ლითონი - სპილენძი, - რომელიც ასევე უდგება ჯა'ფარ III ბ. 'ალის ზეობის დროინდელი ეკონომიკურ მდგომარეობას თბილისის საამიროში;
3. პოვნის ადგილი - თბილისი;
4. კალიგრაფია, რომელიც ძალიან ემსგავსება იმას, რასაც ვხედავთ ჯა'ფარ III ბ. 'ალის პირველ მონეტაზე;
5. ყათრან თაბრიზიმ, იმ დროის სპარსმა პანეგირისტმა, ხოტბა შეასხა ჯა'ფარ III ბ. 'ალის თავის ერთ-ერთ ოდაში, და მას უწოდა საიიდი ამირა აბუ ალ-ფადლ ჯა'ფარ ბ. 'ალი.¹¹³ საიიდის ტიტული მითითებულია ამ მონეტაზე, ისევე როგორც ალ-ფადლ (ჯა'ფარის წინ), რაც სხვა ვერაფერი იქნება, თუ არა ნაწილი ამირას ქუნიისა აბუ ალ-ფადლ;
6. მონეტაზე ასევე მითითებულია ხალიფა ალ-ყაიმ ბი-ამრ ალლაჰის სახელი (ჰ. 422-475 წლები / 1031-1075), რაც შეესაბამება ჯა'ფარ III ბ. 'ალის ზეობის წლებს.

აღნიშნული არგუმენტები, ჩვენი აზრით, სავსებით საკმარისია, რომ ეს სამონეტო ტიპიც ჯა'ფარ III ბ. 'ალის მივაკუთვნოთ.

შესაძლებელია მონეტის შემდეგნაირად რეკონსტრუქცია:

შუბლი:

[إلى الله إلا الله وحده]

لا شريك له

¹¹³ 45-46, 284-286: (تبريز، ١٣٣٣). باهتمام محمد نخجواني. 'ديوان'. قطران تبریزی. Grigol Beradze, "Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shi'i Tradition", *Journal of Persianate Studies, Special Issue on Georgia and Iran* Volume 1, No. 2 (2008): 213.

წრიული ლეგენდა?

ზურგი:

[محمد رسول الله ؟]

[الأمير السيد المضر المنصور ؟]

[أبو الفضل جعفر بن علي]

...?...

წრიული ლეგენდა?

*

ეს სამონეტო ტიპი მეტად საინტერესოა, ვინაიდან ის სრულად შეესაბამება (და ადასტურებს) ყათრან თაბრიზის ცნობას. ჩვენს არგუმენტაციაში არ არის ლოგიკური შეცდომა: მართალია, რომ ვიყენებთ ყათრან თაბრიზის პოეტურ ცნობას ატრიბუციის მიზნით, მაგრამ ჯა'ფარ III ბ. 'ალისტვის ამ მონეტის მისაკუთვნებლად სხვა არგუმენტებიც გვაქვს. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ აღნიშნული საფასე და მასზე მითითებული *საიიდ [აბუ] ალ-ფადლ ჯა'ფარ* ყათრან თაბრიზის მონაცემების ნუმისმატიკურ დადასტურებად. ფაქტიურად, ჩვენს წინაშე ძალზე თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ ხერხდება სხვადასხვა (ამ შემთხვევაში - ლიტერატურული და ნუმისმატიკური) ისტორიული წყაროს ურთიერთშეჯერებით წარსულის ფრაგმენტების აღდგენა.

მანსურ (II) ბ. ჯა'ფარის (III) საფასე

მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ის საფასე გერმანელმა კოლეგამ აღმოაჩინა.¹¹⁴ მაგრამ ახალი მონაცემები გაცილებით მეტ წარმოდგენას გვაძლევს ამ ერთ-ერთი უკანასკნელი ჯა'ფარიანი ამირას ნუმისმატიკურ მემკვიდრეობაზე და, საზოგადოდ, ზეობაზე.

მისი საფასის ისტორიულ მნიშვნელობას ქვემოთ განვიხილავთ. პირველ რიგში კი, აუცილებელია მოვიყვანოთ როგორც უკვე ცნობილი, ასევე ჩვენს მიერ ახლად აღმოჩენილი სამონეტო ტიპების აღწერილობა, ამ ამირის დღემდე შემორჩენილი საფასის 5 ეგზემპლარის მიხედვით.

¹¹⁴ Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110-111, ##1005-1006.

მოვიყვანო მათ აღწერილობას ტიპების¹¹⁵ მიხედვით:

ტიპი 1. პირველად გამოაქცვეყნა თობიას მაიერმა.¹¹⁶ წარმოდგენილია 2 ეგზემპლარით.

სურ. 1.3.6. AE. წონა 5.46 გ, სიქების თანაფარდობა 7:30 სთ-ზე. წარმომავლობა უცნობია.



შუბლი: ლეგენდა თითქმის მთლიანად არის შენახული, ქვედა სტრიქონის გარდა

لا اله

الا الله وحده

لا شريك له

...¹¹⁷

ოთხრკალიან (?), ზევითკენ წაწვეტიებულ კარტუშში.

წრიული ლეგენდა გაცვეთილია / ნაწილობრივ არის აღბეჭდილი.

ზურგი:

عز

محمد رسول الله

[الا]مير¹¹⁸ السيد انو نصر

¹¹⁵ სამონეტო ტიპების თანმიმდევრობა შემთხვევითია, და, სავარაუდოდ, არ ასახავს საფასის გამოშვების (ჩვენთვის უცნობ) ქრონოლოგიას.

¹¹⁶ მონეტა იენის აღმოსავლურ მიუნცკაბინეტში ინახება. Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110-111, #1005. მადლობას მოვახსენებთ S. Heidemann-სა და T. Mayer-ს პუბლიკაციის უფლებისათვის.

¹¹⁷ ქვედა სტრიქონი თავდაპირველმა გამომცემელმა შემდეგნაირად აღადგინა: القاييم بامر الله. Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110, #1005.

¹¹⁸ ამ ტიპის მეორე ეგზემპლარსაც თუ გავითვალისწინებთ, სიტყვის السيد წაკითხვა ეჭვს არ იწვევს. შეად. Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110.

[منصور بن جعفر]

?

ხაზოვან წრეში.

წრიული ლეგენდა გაცვეთილია / ნაწილობრივ არის აღბეჭდილი.

მონეტა შეიძლება მივაკუთვნოთ მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ის საფასეს შემდეგის საფუძველზე: 1. XI საუკუნის ჯაფარიანული მონეტებისთვის დამახასიათებელი იერი (უწესო ჭედვა, სპილენძი, როგორც სამონეტო ლითონი); 2. მმართველის ნასაბი - بن جعفر; 3. ქუნიის გამო - აბუ ნასრ - ჯა'ფარიანთა გვარის სხვა წარმომადგენლებს განსხვავებული ქუნია ქონდათ.¹¹⁹

სურ. 1.3.7. AE. წონა 1.03 გ, სიქების თანაფარდობა 3:45 სთ-ზე. ორივე მხარე, შესაძლოა, სიქების ერთი და იგივე წყვილით იყოს მოჭრილი. ნაპოვნია მდინარე მტკვრის კალაპოტში.¹²⁰ სამონეტო ნამზადის მცირე ზომისა და შუბლის გაცვეთილობიდან გამომდინარე, იკითხება ლეგენდის მხოლოდ ფრაგმენტები:



შუბლი:

... 4 و ...

... شريك ...

ზურგი:

... رسول ...

... لسيد انو نص ...

¹¹⁹ 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის ქუნია იყო აბუ ალ-ჰასანი, ხოლოდ მანსურის ძმას კი - აბუ ალ-ჰეიჯა. ჯაფარიძე, „თბილისის ამირას 'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები“; Paghava, Turkia. “A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflīs”; Gogava Giorgi, Paghava Irakli, Gabashvili Goga, Turkia Severiane. “Ja'farid Onomastics and Monetary Circulation in the Tiflīs Emirate (Mixed Hoard of the 11th C. Ja'farid Coins)”. (Forthcoming).

¹²⁰ ამჟამად მონეტა საქართველოში, კერძო კოლექციაში ინახება.

... بن جعفر ...

მონეტა შეიძლება მივაკუთვნოთ მანსურ II-ს (იგივე სიქებით მოჭრილ?) წინა ეგზემპლართან ანალოგიით.

ტიპი 2. აქამდე არ გამოქვეყნებულა. ემსგავსება ტიპ 1-ს. წარმოდგენილია ჯერჯერობით 1 ეგზემპლარით.

სურ. 1.3.8. მოვერცხლილი AE / ბილონი (?). წონა 4.72 გ, სიქების თანაფარდობა 1:00 სთ-ზე. წარმომავლობა უცნობია.¹²¹



შუბლი: შენახულობა ძალიან ცუდია. ლეგენდის გარჩევას ისიც უშლის ხელს, რომ ამ მხარეს სიქა, როგორც ჩანს, ორჯერ დაარტყეს.

ამასთან, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ XI საუკუნის ჯა'ფარიანული მონეტების შუბლზე ტრადიციულად უთითებდნენ შაჰადასა და თანადროული ხალიფის სახელს. იგივე, ჩვენი აზრით, ამ მონეტაზედაც არის მოსალოდნელი.

ქვემოდან მეორე სტრიქონის მარცხენა ნაწილში, სადაც ცალკეული გრაფემების გარჩევა შეიძლება, ასევე გვეჩვენება, შესაძლოა იქნებ ამოვიკითხოთ ხალიფა ალ-მუკტადის (1075-1094) სახელი - [المقتدي] ... ,

ხოლო ქვედა სტრიქონში კი მისი დაბოლოება - بامر الله (?).

ხალიფის (ალ-კაიმის) სახელის ორ სტრიქონზე განაწილება გვხდება ალი ლაშქარი II-ისა და შავურ შადადიანების ბილონის დირჰემებზე, ალ-მუკტადის

¹²¹ ეს მონეტაც საქართველოში, კერძო კოლექციაში ინახება.

შემთხვევაში კი იგივეს ვხედავთ ერთ გვიან-შადადიანურ მონეტაზე,¹²² ისევე როგორც თვით ალ-მუკტადის მადინათ ას-სალამში მოჭრილ დინარებზე.¹²³

თუ შემორჩენილი გრაფემების ჩვენებური ინტერპრეტაცია მართალია, მაშინ გამოდის, რომ აღნიშნულ სამონეტო ტიპს უშვებდნენ 1075 წლის შემდეგ (ალ-მუკტადი ამ დროს გახდა ხალიფა) - და 1080-იანი წლების დასაწყისამდე (?), როდესაც ჯა'ფარიანებმა საბოლოოდ დაკარგეს ხელისუფლება თბილისში?¹²⁴.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალიფა ალ-კაიმის (1031-1075) სახელი არ იკითხება (შესაძლოა გაცვეთილია ან არ მოხვდა სამონეტო ნამზადზე) მანსურის ჩვენთვის ცნობილ არცერთ მონეტზე. მისი არსებობა მხოლოდ ნავარაუდები იყო ადრე გამოქვეყნებული ორი მონეტის შემთხვევაში.¹²⁵ ამგვარად, თეორიულად შეიძლება დავუშვათ, რომ მანსურის ზოგიერთი სამონეტო ტიპი მაინც იჭრებოდა არა ალ-კაიმის, არამედ ალ-მუკტადის პერიოდში. რასაკვირველია, სასურველია დაველოდოთ ახალი, იმედია, უკეთ შენახული ეგზემპლარების გამოჩენას, რომელიც მოგვცემდა შესაძლებლობას ეს საკითხი მეტი დამაჯერებლობით გადაგვეჭრა.

ზურგი:

...لامير ال[سيد؟]

انو نصر منصور[ر]

...

ლეგენდაში სიტყვების სხვანაირი განაწილება განასხვავებს ამ ტიპს წინამორბედისგან.

შეიძლება მივაკუთვნოთ მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ს შემდეგის საფუძველზე - 1. ისმი მანსურ; 2. ქუნია აბუ ნასრ.

¹²² Лебедев, Марков, Койфман, *Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шадбадидов* (сер. X – XI вв.), 39, 46-47, 58-59.

¹²³ Jafar, *The Seljuk Period in Baghdad 447-552 H, a Numismatic and Historical Study*, 27-37.

¹²⁴ Vladimir Minorsky, "Caucasica in the History of Mayyāfāriqīn", *Bulletin of the School of Oriental and African Studies* Vol. XIII, part I (1949): 31-32.

¹²⁵ Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110-111, ##1005-1006.

ტიპი 3. პირველად გამოქვეყნდა თობიას მაიერის მიერ.¹²⁶ წარმოდგენილია 1 ეგზემპლარით.

სურ. 1.3.9. წონა 2.83 გ, სიქების თანაფარდობა 3:30 სთ-ზე.



შუბლი: ლეგენდის ფრაგმენტები, მსხვილი წერტილები (?). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცენტრში შეიძლება ზალიფის სახელი ყოფილიყო მითითებული - القايم¹²⁷ ხაზოვარ რკალში.

წრიული ლეგენდისგან ძალიან ცოტა რამ შემორჩა, როგორც ჩანს, მხოლოდ ظه... , ანუ ფრაგმენტი ყურანიდან 9:33.

ზურგი:

[محمد رسول الله] (?)¹²⁸

[الامير] ... [الس]يد اناو نصر

[منصور] بن جعفر

ხაზოვარ რკალში.

წრიული ლეგენდა პრაქტიკულად მთლიანად აცდა სამონეტო ნამზადს.

შეიძლება მივაკუთვნოთ მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ეს შემდეგის საფუძველზე: 1. XI საუკუნის ჯაფარიანული მონეტებისთვის დამახასიათებელი იერი (უწესო ჭედვა, სპილენძი, როგორც სამონეტო ლითონი); 2. მმართველის ნასაბი - بن جعفر; 3. ქუნიის გამო - აბუ ნასრ; 4. ას-საიდის წოდება (წინა ტიპებთან ანალოგიით).

ტიპი 4. ადრე არ გამოქვეყნებულა. წარმოდგენილია 1 ეგზემპლარით.

¹²⁶ მონეტა იენის აღმოსავლურ მიუნცკაბინეტში ინახება. Ibid.: 110-111, #1006.

¹²⁷ Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110-111, #1006.

¹²⁸ ვეტანხმებით გამოქვეყნებულ რეკონსტრუქციას. Ibid.: 110, #1006.

სურ. 1.3.10. წონა 1.81 გ, სიქების თანაფარდობა ვერ დგინდება. ზურგის 12:00 სთ-ზე გურტზე კარგად ჩანს პატარა ნახევრადსფეროსებრი წანაზარდი.¹²⁹ ნაპოვნია მდინარე მტკვრის კალაპოტში.¹³⁰



შუბლი: ლეგენდის ფრაგმენტი, რომელიც გარჩევას არ ექვემდებარება.

ხაზოვან რკალში.

წრიული ლეგენდისგან შემორჩა მხოლოდ ... احمد رسو ..., ანუ ყურანის ფრაგმენტი - IX, 33.

ირგვლივ გარეთა ხაზოვანი რკალი.

ზურგი:

... رسول الله

... سيد انو نص ...

... ن ...

ტიპები 3 და 4 ერთმანეთს ემსგავსება. მიუხედავად ამისა, შუბლის ცენტრალურ უბნებს შორის არსებულ სხვაობას მივიჩნევთ საკმარის საფუძვლად, რომ ეს მონეტები სხვადასხვა ტიპებად ჩავთვალოთ.

შეიძლება მივაკუთვნოთ მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ს შემდეგის საფუძველზე: 1. ქუნია აბუ ნასრ; 2. ას-საიიდის წოდება (წინა ტიპებთან ანალოგიით).

**

მიზანშეწონილია მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ის ნუმისმატიკური მემკვიდრეობის ცალკეული მახასიათებლებისა და მათი ისტორიული მნიშვნელობის განხილვა.

¹²⁹ მსგავსი წარმონაქმნები ხშირად გვხვდება თამარ მეფისა და გიორგი IV-ის უწყესო ჭედვის მონეტებზე. ეს, საფიქრებელია, ტექნოლოგიის მსგავსებაზე მიუთითებს.

¹³⁰ ეს მონეტაც საქართველოში, კერძო კოლექციაში ინახება.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ, მართალია, ჩვენამდე ამ ამირას ჯერჯერობით მხოლოდ ხუთმა მონეტამ მოაღწია, ისინი მაინც ოთხ განსხვავებულ სამონეტო ტიპს მიეკუთვნება.

ოთხი სხვადასხვა სამონეტო ტიპის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მანსურ ბ. ჯა'ფარის მიერ მონეტის მოჭრა არცთუ სპორადულ ხასიათს ატარებდა და, საფიქრებელია, არცთუ მცირე დროის განმავლობაში ხორციელდებოდა. აქვე დავამატებთ, რომ ჯერჯერობით ვიცნობთ აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარის ერთადერთ სამონეტო ტიპს.

რეგიონის პოლიტიკური ისტორიის ანალიზი¹³¹ გვიჩვენებს, რომ მანსურ ბ. ჯა'ფარის მიერ საკუთარი მონეტის მოსაჭრელად ყველაზე მოსალოდნელი დრო შეადგენდა 1051-1062 და, მოგვიანებით 1064-1067/8 წლებს. ამასთანავე, თუ მანსურის ერთ-ერთ მონეტაზე ხალიფა ალ-მუჰტადის სახელი ზუსტად ამოვიკითხეთ, რომელიც ხალიფა 1075 წელს გახდა, მაშინ გამოდის, რომ ჯა'ფარიანთა გვარის ამ წარმომადგენელმა დაიბრუნა თბილისი უკვე 1070-იან წლებში, უკვე მას შემდეგ, რაც ბაგრატ IV-ს თბილისში დასმული ყავდა ვინმე სითილაბარა.

მანსურის მონეტების გაფორმების არორთოდოქსალურობა გვაგარაუდებინეს, რომ ისინი მისი ძმის მონეტების შემდეგ იჭრებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის უცნობია, რომელი ძმა იყო უფროსი. მიუნეჟჯიმ ბაში მათ მხოლოდ ორჯერ ახსენებს,¹³² და ორივეჯერ ჩამოთვლას მანსურით იწყებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ ის უფროსად ჩავთვალოთ.

უნდა ითქვას, რომ ძმების მიერ საფასის გამოშვების ქრონოლოგია შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

*

საინტერესოდ გვეჩვენება მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ის, როგორც ჩანს, ყველა სამონეტო ტიპზე საპატიო ტიტულ ას-საიიდის მითითება. ას-საიიდი გვხვდება ასევე,

¹³¹ Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis", 9.

¹³² Vladimir Minorsky, *Studies in Caucasian History. I. New Light on the Shaddāids of Ganja. II. The Shaddāids of Ani. III. Prehistory of Saladin* (London: Taylor's Foreign Press, 1953), 23.

არსებული მონაცემებით, კიდევ მანსურისა და აბუ ალ-ჰეიჯის მამის - ჯა'ფარ III ბ. 'ალის ზოგიერთ მონეტაზე. მაგრამ ეს ტიტული არ იყო მითითებული აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ის ცნობაში მოყვანილ მონეტაზე.¹³³ არც ამ დინასტიის სხვა წარმომადგენლების მონეტაზე გვხდება.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში უკვე განხილულია ჯა'ფარ III ბ. 'ალისა და მისი ძის, მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ის მიერ ამ საპატიო ტიტულის გამოყენების საკითხი; გამოთმულია მოსაზრება, რომ ჯა'ფარიანები წარმოშობით შეიძლება 'ალიდები ყოფილიყვნენ¹³⁴ (ისიც უნდა ითქვას, რომ IX-X საუკუნეებში თბილისში რამდენიმე 'ალიდი ცხოვრობდა¹³⁵). შიიტურ ტრადიციაში თბილისს საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი ეკავა.¹³⁶ უადგილო არ იქნებოდა ასევე გვეხსენებინა ჯა'ფარიანთა გვარში ისეთი სახელების გავრცელება, როგორც 'ალი, ჯა'ფარ, ჰასან; ასევე ისიც, რომ მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ის ბაბუას - 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ს ერთ-ერთი თავისი თხოულება მიუძღვნა შიიზმის აქტიურმა მიმდევარმა, მუჰამმად ალ-ჰასან ბ. ბუნდარ ათ-თიფლისიმ.¹³⁷ საინტერესოა, რომ უფრო ადრე, ჰ. 373 წლისთვის / 982/3, გარკვეულ ალიდოფილურ გრნობებს გამოხატავდნენ შირვანშაჰებიც.¹³⁸

ამასთან, ტიტული *ას-საიდი* მიეთითებოდა სამხრეთ კავკასიის კიდევ ერთი ცნობილი დინასტიის - განჯის შადადიანთა ზოგიერთ სამონეტო ტიპზედაც. კერძოდ, ამ

¹³³ Paghava, Turkia, "A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflīs"; Gogava, Paghava, Gabashvili, Turkia, "Ja'farid Onomastics and Monetary Circulation in the Tiflīs Emirate (Mixed Hoard of the 11th C. Ja'farid Coins)", (Forthcoming).

¹³⁴ 271-272, 277-280: (تهران ۲۵۳۵). 'شهریاران گمنام'. احمد كسروی; Beradze, "Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shi'i Tradition", 213.

¹³⁵ გოჩა ჯაფარიძე, „მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის წისბით VIII-XIV საუკუნეებში“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია* 4 (1989): 82-84.

¹³⁶ Beradze, "Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shi'i Tradition".

¹³⁷ Ibid.:212-213.

¹³⁸ Akopyan, Vardanyan, "A Donative Dirham of the Shirwānshāh Muḥammad ibn Aḥmad (AH 370–81) struck at Barda'a in AH 373 (982/3)".

საპატიო ტიტულს თავის მონეტებზე ათავსებენ ფადლ I (375¹³⁹-422 რ.ხ. / 985-1031) და 'ალი ალ-ლაშქარი II (425-441 რ.ხ. / 1034-1049),¹⁴⁰ განჯის რკინის კარზე (მაგრამ არა თავის მონეტებზე¹⁴¹) ას-საიდი ეწოდება შავურსაც (441-459 რ.ხ. / 1049-1067).¹⁴² ამასთან, XI საუკუნის სპარსი პანეგირისტი ყათრან თაბრიზი ას-საიდს უწოდებდა მხოლოდ ჯა'ფარ III ბ. 'ალის, მაგრამ არა რომელიმე შადადიან მმართველს.¹⁴³

თეორიულად შეიძლება იქნებ ისიც დავუშვათ, რომ ტერმინ ას-საიდს იყენებდნენ პირდაპირი მნიშვნელობითაც - „თემის ბელადი, თავკაცი, ხელმძღვანელი“.¹⁴⁴ ეს ახსნიდა, თუ რატომ გვხვდება ეს ტიტული მანსურის (უფროსი ძმის? ოჯახური კლანის მეთაურის?) მონეტებზე, მაგრამ არა აბუ ალ-ჰეიჯას საფასეზე. მეორეს მხრივ კი მაინც გაუგებარი რჩება, თუ რატომ აღნიშნავდა ამ ტიტულს თავის საფასეზე დინასტიის მხოლოდ ზოგიერთი თაობის წარმომადგენელი.

*

უნდა აღვნიშნოთ, რომ მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ის მონეტები წარმოადგენენ ახალ სიტყვას ჯა'ფარიანთა სამონეტო საქმეში სამონეტო დიზაინის თვალსაზრისით (თუმცა კი, რთული კარტუში უკვე ჯა'ფარ III-ის ერთ-ერთ სამონეტო ტიპზედაც კი ჩანს). ტიპი 1-ის მონეტები გამოირჩევა შუბლზე ოთხრკალიანი კარტუმის არსებობით - სახეზეა ქუფური დირჰემის გაფორმების სტანდარტული კანონიდან აშკარა გადახვევა. ინოვაციურად გვეჩვენება ასევე ტიპი 3 და 4-ის მონეტების შუბლის გაფორმებაც.

¹³⁹ მმართველობის თარიღები მინორსკის მიხედვით არის მოყვანილი, თუმცა კი პირველწყარო ყველა შემთხვევაში, როგორც ჩანს, არ შეიცავს ცნობებს, რომელიც მოგვცემდა შესაძლებლობას ჰიჯრის წელი ზუსტად გადაგვეყვანა. შეად. Minorsky, *Studies in Caucasian History*, 16, 18-19.

¹⁴⁰ Лебедев, Марков, Койфман, *Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шамс-ад-დინ (сер. X – XI вв.)*, 17-40, 71.

¹⁴¹ ჩვენ ვერ ვნახეთ ეს ტიტული არც მოყვანილ სურათებზე და არც ცალკე ამოწერილ ლეგენდებზე. Ibid.: 72, 46-53.

¹⁴² Ibid.: 9.

¹⁴³ ეს ცნობა ბატონმა გრიგოლ ბერაძემ მოგვაწოდა პირველწყაროს (قطران تبریزی) გაცნობის საფუძველზე; ვისარგებლებთ შემთხვევით გულითადი მადლობა მოვახსენოთ.

¹⁴⁴ მოსაზრების ავტორი ალექსანდრე აკოპიანია; მადლობას მოვახსენებთ გაზიარებისათვის.

ქუფური დირჰემების დიზაინის სტანდარტისგან კიდევ უფრო გამოხატულ გადახრებს ვხვდებით რეგიონის ისეთი გამოჩენილი დინასტიის საფასეზე, როგორიც შადადიანები იყო. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით თვალში საცემია ალი ლაშქარი II-ის, შავურისა და მისი მემკვიდრე განჯის შადადიანების მონეტები (კარტუმებისა და გეომეტრიული ელემენტების ხშირი გამოყენება, ტიპის ხშირი შეცვლა)¹⁴⁵, ასევე ისქანდარ ბ. შავურის, დვინის შადადიანი მმართველის მინიმალისტური მიდგომა.¹⁴⁶

ამგვარად, შადადიანებთან შედარებით, სამონეტო დიზაინის თვალსაზრისით ჯა'ფარიანები პირიქით, საკმაო კონსერვატორებად გვევლინებიან. ასე გვეჩვენება, რომ თბილისი, რომელიც იმდროინდელი მაჰმადიანური სამყაროს პერიფერიაზე მდებარეობდა, პრაქტიკულად, ქრისტიანი მეზობლების მიერ გარშემორტყმულ ანკლავს წარმოადგენდა, და ლითონის ფულის გაფორმების საკითხში მოდისაგან შედარებით შორს იდგა.

აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ის საფასე

ახალადმოჩენილი მონეტა იძლევა შესაძლებლობას ვამტკიცოთ, რომ თავის საფასეს ჭრიდა ჯა'ფარ III ბ. 'ალის კიდევ ერთი ვაჟიშვილი - აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარი.

ეს მონეტა ნაპოვნია 2009 წელს თბილისში, მკვრის კალაპოტში (და ამჟამად კერძო კოლექციაში ინახება). მონეტის გული, როგორც ჩანს, სპილენძისაა; ალაგ-ალაგ ეტყობა მოვერცხვლის კვალი. მოვიყვანთ მონეტის აღწერილობას.

¹⁴⁵ Лебедев, Марков, Койфман, *Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шаддадидов* (сер. X – XI вв.), 70-74.

¹⁴⁶ Акопян, “К шаддадидской нумизматике: чекан Искандара б. Шавура, правителя Двина”.

სურ. 1.3.11. მოვერცხლილი სპილენძის დირჰემი.

წონა 1.96 გ, კვეთა 16.0-17.1 მმ, სიქების თანაფარდობა 7:30 სთ-ზე.



შუბლი: ორმაგი დარტყმის კვალი. იკითხება ლეგენდის მხოლოდ ფრაგმენტები:

...لا اله...

...لا اله... لا...

...

ეს შაჰადას მხარე უნდა იყოს, და რამდენიმე სტრიქონად ასე თუ ისე განაწილებული ლეგენდაც შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს:

لا اله الا الله وحده لا شريك له

ასეთი ტიპის შაჰადას ვხვდებით ‘ალი ბ. ჯა’ფარ (II)-ის ყველა სამონეტო ტიპზე, ისევე როგორც ჯა’ფარ III ბ. ‘ალის სამივე სამონეტო ტიპზე. ხალიფის სახელი ჩვეულებრივ აღინიშნებოდა ქვედა სტრიქონში - ყველა ზემოთ აღნიშნულ სამონეტო ტიპზე, ისევე როგორც ყველაზე ცოტა მანსურ ბ. ჯა’ფარ (III)-ის ერთ სამონეტო ტიპზე.¹⁴⁷

ზურგი: ეს მხარე, საბენდიეროდ, ძალიან კარგად არის შენახული:

محمد رسو...

الامير المظ...

ابو لهيجا

بن جع...

გვეძლევა შესაძლებლობა ლეგენდა თითქმის მთლიანად აღვადგინოთ:

¹⁴⁷ Japaridze, “On the Coins of the Tbilisi Amīr ‘Alī b. Ġa’far”, 97–107; Paghava, Turkia, “A New Early Coin Type of ‘Alī b. Ja’far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tā’ī li-Ilāh”; Turkia, Paghava, “The Coinage of Ja’far III B. ‘Alī, Emir of Tiflis”; Paghava, Turkia. “A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja’far III b. ‘Alī, Ja’farid Emir of Tiflis”; Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110–11, nos 1005–1006; Пагава, Туркия, “Монетное наследие Мансура II б. Джа’фара (III) (к нумизматической истории Тифлисского амирата)”.

محمد رسول الله

الامير المظفر

ابو لهيجا ...؟...

بن جعفر

*

მოჭრის ადგილი არ არის მითითებული, ან, ყოველ შემთხვევაში, სამონეტო ნაშადაზე ვერ მოხვდა (კიდევში იყო მითითებული? წრიული ლეგენდის არსებობის შემთხვევაში), მაგრამ ალბათ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ეს მონეტა თბილისის საამიროში მოიჭრა; ჩვენი არგუმენტაცია შემდეგია:

1. მონეტაზე მოხსენიებული მმართველის ნასაბი არის ჯა'ფარი - სახელი, რომელიც მეტად დამახასიათებელია ჯა'ფარიანებისთვის, მაგრამ არა რეგიონის სხვა დინასტიებისათვის;
2. მონეტაზე ასევე მითითებულია ამირას ქუნია - აბუ ალ-ჰეიჯა. ეს სახელი დამოწმებულია ჯა'ფარ III ბ. 'ალის ვაჟიშვილისთვის მიუნეჯჯიმ-ბაშის (გარდ. 1702 წელს) თხზულებაში *ჯამი ად-დუვალ*, ავტორი სარგებლობდა ქრონიკით *თარიხ ალ-ბაბ ვა ალ-შირვან* (რომელიც დაასრულეს 1106 ან იქნებ, რაც უფრო სარწმუნოა, სულაც 1075 წელს).¹⁴⁸ აღსანიშნავია, რომ მიუნეჯჯიმ-ბაშიმ აბუ ალ-ჰეიჯა ახსენა მხოლოდ ორჯერ, თანაც სახელი სხვადასხვანაირი ფორმით გადმოგვცა:

أبي الهيجا و أبا الهيجا.¹⁴⁹

იგივე ქუნია მიეთითებოდა შადადიანი მმართველის, ფადლ I-ის (ჰ. 375-422 / 985-1031) ვერცხლის დირჰემებზე, რომელიც იჭრებოდა ჰ. 393-397 / 1002/3-1006/7 წლებში; ამ მონეტებზე აბუ ალ-ჰეიჯა წარმოდგენილია შემდეგი ფორმით: *أبي الهيجا* ან *أبو الهيجا*, მაგრამ თავად მონეტები საკმაოდ განსხვავებულია დიზაინით, ლეგენდებითა და შენადნობით.¹⁵⁰ გარდა ამისა, ნასაბი ჯა'ფარი შადადიანებში არ გვხვდება;

¹⁴⁸ Minorsky, *Studies in Caucasian History*, 3–4.

¹⁴⁹ Ibid.: 13*, 17*; cf. Ibid.: 19, 23.

¹⁵⁰ Лебедев, Марков, Койфман, *Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шадбадидов (сер. X – XI вв.)*, 19–23, 41–2, 71, 85–9, 124–5.

3. ლეგენდები და მათი განაწილება შუბლსა და ზურგზე შეესაბამება იმას, რასაც ვხედავთ 'ალი ბ. ჯა'ფარისა (II) და შემდეგ ჯა'ფარ III ბ. 'ალის მონეტებზე;¹⁵¹
4. ლეგენდების კალიგრაფია სპეციფიურია, და მეტად ემსგავსება ჯა'ფარ III ბ. 'ალის მონეტებზე გამოყენებულს;¹⁵²
5. და ბოლოს, პოვნის ადგილი - თბილისი, ანუ, თბილისის საამიროს ძველი დედაქალაქი, ირიბად, მაგრამ მაინც, ასევე მონეტის ადგილობრივ წარმომავლობაზე მიუთითებს.

ცალ-ცალკე ეს არგუმენტები შეიძლება არ იყოს აბსოლუტური ხასიათის, მაგრამ მათი კომბინაცია ცალსახად გვაკუთვნებინებს ამ მონეტას ჯაფარიანებისადმი. თუმცა კი, რჩება კითხვა - ვინ და როდის გამოუშვა ეს საფასე? ვინაიდან მონეტაზე ზუსტი თარიღი არ არის მითითებული, უნდა დავკმაყოფილდეთ მონეტის მეტროლოგიის შესწავლით. ის კი XI საუკუნეზე მიუთითებს. ამის შემდეგ კი შესაძლებელია უკვე შესაძლო ემიტენტების ძიება.

ვეცდებით გავაანალიზოთ ამ მონეტის მეტროლოგიური მახასიათებლები.

მანსურ I ბ. ჯა'ფარ (I)-ისა და ჯა'ფარ II ბ. მანსურ (I)-ის მონეტები წარმოადგენს სხვადასხვა წლებით დათარიღებულ კლასიკური ტიპის ვერცხლის დირჰემებს.¹⁵³ 'ალი ბ. ჯა'ფარ (II) ჭრიდა საფასეს ჰ. 386 წლიდან (996/7) ან კიდევ უფრო ადრეული დროიდან ჰ. 418 წლამდე (1027/8), და სულ რვა სამონეტო ტიპი მოჭრა. მისი ყველა ადრეული მონეტა ჰ. 386 წლით არის დათარიღებული და კლასიკურ, მეტ-ნაკლებად მრგვალი ფორმის ვერცხლის დირჰემს წარმოადგენს. თუმცა კი, ორი ცნობილი ეგზემპლარიდან ერთ-

¹⁵¹ Japaridze, "On the Coins of the Tbilisi Amīr 'Alī b. Ġa'far"; Paghava, Turkia, "A New Early Coin Type of 'Alī b. Ja'far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tā'ī li-Ilāh"; Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis"; Paghava, Turkia. "A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja'far III b. 'Alī, Ja'farid Emir of Tiflis".

¹⁵² Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis"; Paghava, Turkia. "A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja'far III b. 'Alī, Ja'farid Emir of Tiflis".

¹⁵³ Пахомов, *Монеты Грузии*, 46–9; Джалаганиа, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв*, 63–4; Molchanov, "New Evidence of Ja'farid Coinage (a Dirham of Emir Ja'far b. Mansur, Tiflis AH374)"; Молчанов, "Дирхам тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х."; Молчанов, "Новые данные о монетной чеканке Джафаридов (дирхем тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.)".

ერთის სინჯი შედარებით დაბალია, ხოლო ორივე ეგზემპლარის წონა საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან: 3.84 და 4.62 გ.¹⁵⁴ უნიკალური, II ტიპის მონეტა ჯერ კიდევ მაღალი სინჯის შენადნობისგან არის დამზადებული; ეს უკანასკნელი ჯერ არ გაანალიზებულა, მაგრამ მონეტა მრგვალი ნანდვილად არ არის და საკმაოდ დაუდევრადაც არის მოჭრილი; მისი წონა 2.43 გრამია.¹⁵⁵ უფრო გვიანდელი მონეტების სინჯი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო დაბალია: III ტიპის უნიკალური მონეტა სქელია, უხეში ფაქტურის, რაც გვაფიქრებს სინჯის დაქვეითებაზე, თუმცა კი დ. ლანგმა მას მაინც „დირჰემი“ უწოდა.¹⁵⁶ IV ტიპის ორი შემონახული ცალის სინჯი დაახლოებით 70%-ია, მაშინ როდესაც V ტიპის ორი ეგზემპლარის შემთხვევაში ის, შესაძლოა, კიდევ უფრო დაბალია, 50-70%-ის ფარგლებში. გარდა სინჯის დაქვეითებისა (რაზედაც, უნდა ვაღიაროთ, შესასწავლად ხელმისაწვდომი მონეტების უკიდურესად მწირი რიცხვის მიხედვით ვმსჯელობთ), IV და V ტიპის მონეტების ზომა-წონა ასევე უწესოა. IV ტიპის ორი მონეტის კვეთაა 27 და 18 მმ, მაშინ როდესაც V ტიპისთვის ეს ციფრებია 17.5 და 11 მმ. წონა კიდევ უფრო ფართო ფარგლებში მერყეობს. IV ტიპის ორი მონეტის წონა 4.75 და 1.84 გ, მაშინ როდესაც V ტიპისთვის ეს ციფრებია 3.82 და 0.99 გ.¹⁵⁷ უფრო გვიანდელი, 3. 413 და 418 წწ. დათარიღებული მონეტების (VI-VII ტიპის) შემთხვევაში წონისა და ზომის ვარიაბელურობა პიკს აღწევს: კაპანაძის მიერ გამოქვეყნებული განძის¹⁵⁸ 411 მონეტისთვის ზომისა და წონის ვარიაბელურობა შეადგენდა შესაბამისად 5-30 მმ და 0.12-5.23 გრამს. გარდა ამისა, ზოგიერთ მონეტას მეტად უცნაური ფორმაც ქონდა.¹⁵⁹ 3. 413 და 418 წლებით დათარიღებული მონეტების სინჯიც უკიდურესაც დაბალი იყო, ნულოვანი თუ არა. 10 ცალის შემოწმებამ აჩვენა 50%-ზე ნაკლები ვერცხლის

¹⁵⁴ კაპანაძე, „X საუკუნის თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა“, 183–90; Japaridze, “On the Coins of the Tbilisi Amīr 'Alī b. Ġa'far”, 98–9, footnote 9, plate, 1; Turkia, Paghava, “The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis”, 8, footnote 21.

¹⁵⁵ Paghava, Turkia, “A New Early Coin Type of 'Alī b. Ja'far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tā'ī li-llāh.”

¹⁵⁶ Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*, 15, no. 7.

¹⁵⁷ Japaridze, “On the Coins of the Tbilisi Amīr 'Alī b. Ġa'far”, 104–6. სინჯი სასინჯო ქვის გამოყენებით დადგინდა.

¹⁵⁸ Капанадзе, “Клад монет начала XI в. тбилисского эмира Али ибн Джафара”, 71–8.

¹⁵⁹ Ibid.: 72–3, иллюстрация no. 7.

შემცველობა. ამ ათიდან 2 მონეტის მიკროშესწავლამ გამოავლინა, რომ ისინი „ბრინჯაოსგან“ იყო დამზადებული, ოღონდ, ზევიდან 100-მიკრონზე ნაკლები სისქის ვერცხლის ფენა ქონდათ გადაკრული. ზოგიერთ მონეტაზე ვერცხლი გადასული იყო და შეუიარაღებელი თვალითაც მოჩანდა სპილენძის გულის სიწითლე.¹⁶⁰ ჯა'ფარ III ბ. 'ალის საფასე, რომელიც თბილისის ამირა 1030 წლიდან მაინც იყო, და 1045 თუ 1046 წელს გარდაიცვალა, შედგება სხვადასხვა ზომა-წონის სპილენძის მონეტების, ამასთან, სამი ცნობილი ეგზემპლარიდან ერთ-ერთს მოვერცხვლის კვალი ეტყობა.¹⁶¹ მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ის მონეტები ასევე, პრაქტიკულად სპილენძს წარმოადგენს; მხოლოდ ერთი მათგანი არის მოვერცხლილი.¹⁶² შემონახული ცალები მეტად ვარიაციულურია ზომა-წონის თვალსაზრისით, ამასთან წონის მერყეობა შეადგენს 1.03-5.46 გრამს. შემორჩენილი ცალები ცხადყოფს, რომ ჯა'ფარიანთა საფასის ევოლუციას დაღი დაასვა ვერცხლის კრიზისმა და პოლიტიკურმა გართულებებმა. ბაგრატიონთა მზარდი ძალა და დაპყრობები თბილისის საამიროს თვით არსებობასაც კი დაემუქრა.¹⁶³ უკვე 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის ზეობის მეორე ნახევრიდან ამ ფაქტორებმა განაპირობა ჯა'ფარიანთა საფასის სინჯის დაქვეითება, ისევე როგორც წონის, ზომისა და ფორმის მზარდი მერყეობა. თუ გავითვალისწინებთ ამ შედარებით სწრაფ დაკნინებას, ახალადმოჩენილი ჯა'ფარიანული, მოვერცხლილი სპილენძის მონეტა შეესაბამება XI საუკუნეს, მაგრამ არა უფრო ადრეულ პერიოდს.

რაკი გაირკვა, რომ მონეტა XI საუკუნეშია მოჭრილი, მაშინ ემიტენტის როლი შეედლება სამ ისტორიულ პიროვნებას შეესრულებინა: 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ს და მის ორ შვილიშვილს - მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ს და აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ს. სამივე იგივენაირი ნასაბი ქონდა - ბ. ჯა'ფარ, რომელიც ამ მონეტაზედაც არის მითითებული. XI

¹⁶⁰ Japaridze, "On the Coins of the Tbilisi Amīr 'Alī b. Ġa'far", 103, footnotes 27–8.

¹⁶¹ Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis", 5–6, footnote 13; Paghava, Turkia. "A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja'far III b. 'Alī, Ja'farid Emir of Tiflis".

¹⁶² Mayer, *Sylogie der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110–11, nos 1005–1006; Парава, Туркия, "Монетное наследие Мансура II б. Джа'фара (III) (к нумизматической истории Тифлисского амирата)".

¹⁶³ Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis", 8–9.

საუკუნის კიდევ ერთი ჯა'ფარიანი ამირა - ჯა'ფარ III ბ. 'ალი შეგვიძლია თამამად გამოვრიცხოთ, ვინაიდან მისი ნასაბი განსხვავებული იყო - ბ. 'ალი.

ზემოთ ჩამოთვლილი სამიდან, მხოლოდ ერთის ქუნიაა 'აბუ ალ-ჰეიჯა'. 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის ქუნია იყო აბუ ალ-ჰასან, როგორც ამას მისი მონეტები გვიჩვენებს;¹⁶⁴ ხოლო მანსურ ბ. ჯა'ფარ (III)-ის ქუნია იყო აბუ-ნასრ, რასაც ასევე მისი მონეტები გვაუწყებს.¹⁶⁵ თეორიულად, 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-სა და მანსურ ბ. ჯა'ფარ (III)-ს შეეძლოთ ერთზე მეტი ქუნია ქონოდათ, მაგრამ, ბუნებრივია, შეუდარებლად მეტია იმის ალბათობა, რომ მონეტაზე სწორედ აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III) არის მოხსენიებული.

*

მაშასადამე, ირკვევა, რომ საკუთარი საფასის მოჭრას ახორციელებდა თბილისის კიდევ ერთი-ერთი უკანასკნელი ჯა'ფარიანი ამირა - აბუ ალ-ჰეიჯა.

ეპოქის ისტორიის გათვალისწინებით, მონეტის გამოშვება, საფიქრებელია, 1051–62, უფრო კი 1064-1067/8 ანდა 1068/9 წლებში წარმოებდა.

ქვეთავი 1.4. თბილისის პოსტ-ჯა'ფარიანული საფასე

ბოლო წლების აღმოჩენებმა ცხადყო, რომ (ჯა'ფარიანთა ხელში მყოფ, და მათი სამფლობელოების ცენტრ) თბილისში საფასის გამოშვება არ შემწყდარა XI საუკუნის I მეოთხედში, როგორც ეს ჯერ კიდევ 1990-იან წლებში ივარაუდებოდა.¹⁶⁶ დღეისთვის უკვე დადგენილია, რომ მონეტას თბილისში 'ალი ბ. ჯა'ფარის შემდეგ ჰრიდნენ მისი ვაჟიშვილი - ჯა'ფარ III ბ. 'ალი, და შვილიშვილები, მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III) და აბულ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III).¹⁶⁷

¹⁶⁴ Japaridze, "On the Coins of the Tbilisi Amīr 'Alī b. Ġa'far", 100–4, plate, nos 2–7.

¹⁶⁵ Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110–11, nos 1005–1006.

¹⁶⁶ ჯაფარიძე, „თბილისის ამირას 'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები“, 149.

¹⁶⁷ Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis"; Paghava, Turkia. "A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja'far III b. 'Alī, Ja'farid Emir of Tiflis"; Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110–11, nos

ახალი ნუმიზმატიკური მონაცემები¹⁶⁸ იძლევა შესაძლებლობას ვამტკიცოთ, რომ თბილისში საფასე იჭრებოდა ჯა'ფარიანთა დინასტიის საბოლოოდ გაძევების შემდეგაც.

აღწერით ჩვენს მიერ აღმოჩენილ და დაგროვილ სამონეტო მასალას. სულ მონეტები იყოფა 2 ტიპად. მოვიყვანოთ, სათითაოდ, მათ აღწერილობას:

ტიპი 1. სურ. 1.4.1.



შუბლი: არაბული ქუფური წარწერა; გრაფემები ცენტრისკენულად არის მიმართული იმნაირად, რომ ლეგენდა კვადრატს ქმნის -

المستظهر بالله

გარეთა სეგმენტებში არაბული ლეგენდის ნარჩენები (ხელმისაწვდომ ეგზემპლარებზე არ იკითხება).

ზურგი: არაბული ქუფური წარწერა; გრაფემები ცენტრისკენულად არის მიმართული იმნაირად, რომ ლეგენდა კვადრატს ქმნის -

السلطان المعظم

გარეთა სეგმენტებში არაბული ლეგენდის ნარჩენები (ხელმისაწვდომ ეგზემპლარებზე არ იკითხება).

ტიპი 2. სურ. 1.4.2.



შუბლი: ქუფური ლეგენდა 3 სტრიქონად -

1005–1006; Пагава, Туркия, “Монетное наследие Мансура II б. Джа'фара (III) (к нумизматической истории Тифлисского амирата)”; Paghava, Turkia. “A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflis”.

¹⁶⁸ Paghava, Turkia, “Between Ja'farids and Bagratids: The Last Monetary Issues of Muslim Tiflis in the Name of al-Mustazhir (1094-1118)”.

محمد
المستظهر
?

ზურგი: ჰექსაგრამა წერტილით ცენტრში, ხაზოვანი, წერტილოვანი და ისევ ხაზოვანი რკალებისგან შემდგარ წრეწირში.

ირგვლივ არაბული ლეგენდის ნარჩენები (ხელმისაწვდომ ეგზემპლარებზე არ იკითხება).

მონეტები უწესო ფორმის, ზომისა და სისქისაა, წონის მერყეობა შეადგენს ტიპი 1 და ტიპი 2 მონეტებისთვის - შესაბამისად 0.66-4.28 (16 ეგზემპლარის მიხედვით) და 1.01-8.13 გრამს (17 ეგზემპლარის მიხედვით); ამრიგად, ორივე ტიპის საფასე არსობრივად ე.წ. უწესო ჯედვის სპილენძის მონეტას წარმოადგენს.

ორივე ტიპის შემონახულ ეგზემპლარებზე ზარაფხანის / მოჭრის ადგილის სახელი არ შემოინახა. მაგრამ ვიცით ცნობილი ცალების პოვნის მიახლოებითი ადგილი - დაახლოებით 90% ნაპოვნია მდინარე მტკვრის კალაპოტში, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ანდა თბილისის შემოგარენში; დანარჩენი აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს - ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე ეს სამონეტო ტიპები წარმოდგენილია ათობით ეგზემპლარით, და არანაირ იშვიათობას არ წარმოადგენს; ეს ციფრი მნიშვნელოვნად აღემატება თუნდაც XII საუკუნის დასაწყისის ქართველ ბაგრატიონთა საფასის პოვნის აღრიცხულ შემთხვევებს. ცნობილი ეგზემპლარების აბსოლუტური უმრავლესობის პოვნის ადგილის გათვალისწინებით, ეჭვი არ რჩება, რომ მოჭრის ადგილიც ადგილობრივაა საძიებელი, და ამ მხრივ ყველაზე მოსალოდნელი კანდიდატურა - გამოშვების ეპოქისა და ზოგადი ისტორიული ფონის გათვალისწინებით, სწორედ თბილისია.

ორივე ტიპის მონეტებზე მითითებული ალ-მუსთაჰჰირ ბი'ლლაჰი, ბუნებრივია, 'აბასიანი ხალიფაა (1094-1118 წლებში). მეორე მხარეს კი ერთ შემთხვევაში მითითებულია **السلطان المعظم**, რაც დიდი სელჯუკი სულთნის ტიტული უნდა იყოს, მეორე სამონეტო ტიპის შემთხვევაში კი - ვინმე „მუჰამმადი“. ჩვენი აზრით, ორივე შემთხვევაში მითითებულია მუჰამმად ბ. მალიქ-შაჰის სახელი; ეს პიროვნება დიდ

სელჯუკთა დინასტიას მიეკუთვნებოდა, ჯერ არრანს მართავდა, 1092 წლიდან, შემდეგ კი დიდი სელჯუკი სულთანი გახდა (გარდაიცვალა 1118 წელს). ამგვარად, ორივე სამონეტო ტიპის მოჭრის პერიოდი შემოიფარგლება 1094-1118 წლებით.

მაშასადამე, ჩვენს წინაშეა 2 ტიპის საფასე, რომელსაც ჭრიდა ჯერ კიდევ მაჰმადიანების ძალაუფლებლის ქვეშ მყოფი თბილისი შედარებით მოკლე პერიოდში ჯა'ფარიანთა გამეფებიდან (გადაშენებიდან?), და ქალაქის დავით აღმაშენებლის მიერ აღებამდე (1080-იანი წლები - 1122). ამრიგად, ეს მონეტები ავსებს ნუმისმატიკურ შუალედს აბუ ალ-ჰეიჯასა და მანსურის გამოშვებებს, ერთის მხრივ, და დავით აღმაშენებლის მონოეპიგრაფიკულ არაბულენოვან თბილისურ ფულებს შორის, მეორეს მხრივ. ეს ფაქტი, თავისთავად, საქართველოს ნუმისმატიკური და ეკონომიკური ისტორიისათვის, უმნიშვნელო მონაპოვარი არ უნდა იყოს.

მაგრამ აღმოჩენას აქვს მნიშვნელობა XI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიისთვისაც. აშკარა ხდება, რომ თბილისის მმართველი წრეები (ადგილობრივი სავაჭრო ოლიგარქია?), რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნის 40-იანი წლებიდან ეძებდა საგარეო პოლიტიკურ ძალას, რომლის მფარველობაც უზრუნველყოფდა თბილისის უსაფრთხოებას (კარს მომდგარი ქრისტიანული სახელმწიფოების მიერ შთანთქმის საფრთხისაგან), ესეთი ძალა ჰპოვეს დიდ სელჯუკებში, კერძოდ კი არრანის მმართველ მუჰამმად ბ. მალიქ-შაჰში.

ქვეთავი 1.5. ქუფური საფასე საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში

ზოტის განძი

ქართულ-არაბული ნუმისმატიკური კავშირების ისტორიის ანალიზისთვის აუცილებელია ხელმისაწვდომი მონაცემების დაწვრილებითი შესწავლა, რასაც, ბუნებრივია, ჯერ მასალის ფიქსაცია უნდა უძღოდეს წინ. კერძოდ, მიზანშეწონილია სხვადასხვა სამუზეუმო დაწესებულებათა ფონდებში შენახული მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში, შეძლებისდაგვარად, სრულად შეყვანა.

ამ ამოცანის განხორციელების ფარგლებში შევისწავლეთ და გამოსაქვეყნებლად მოვამზადეთ გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ ზოტში ნაპოვნი განძი.

ზოტის განძი იპოვეს გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს. ცნობა განძის აღმოჩენის შესახებ სოფელ ზოტში მცხოვრებმა სტუდენტმა მიაწოდა ბატონ ამირან კახიძეს, ქ. ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმის დირექტორს. სამწუხაროდ მონეტების მპოვნელმა განძი მთლიანი სახით არ გამოუჩინა (150-მდე მონეტა ყოფილა) და მოხერხდა მხოლოდ თიხის ჭურჭლის ძირისა და 12 მონეტის გადარჩენა. განძი დამარხული ყოფილა დიდი ქვის ქვეშ. მუზეუმის ფონდებში ინახება და შესასწავლად ხელმისაწვდომია 11 მონეტა და, კიდევ, 1 მონეტის 3 ნატეხი; მონეტები გატარებულია საერთო საინვენტარო ნომრით: VI:06-70. ისინი ინახებოდა ქოთანში, რომლისგანაც შემორჩენილია ფრაგმენტები ძირისა და კედლების სახით (პ. 7 სმ, დ. 5.5 სმ).

მოგვყავს ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში შენახული ზოტის განძის მონეტების აღწერილობა; აღწერისას ვყერდნობოდით Lovick-სა და Vardanyan-ის შრომებს.¹⁶⁹

მონეტა №1 (სურ. 1.5.1):

ალ-მუჰამმადია, პ. 181 წ., მორწმუნეთა ამირას (ხალიფას) ძის ამირა ალ-ამინ მუჰამმადის სახელით; ჯა'ფარი



შუბლი:

ლეგენდა A

¹⁶⁹ Lowick, *Early 'Abbāsid Coinage, A Type Corpus*; Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia*, vol. 1, *Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsid Period (142-277 AH / 759-891 AD)*.

ირგვლივ: بسم الله ضرب هذا الدرهم بالمحمدية سنة احدى وثمانين و مئة

• ქვეშ სიტყვაში ს-ბ

3 ხაზოვანი რკალი.

რგოლები: 00 00 00 00

ზურგი:

و

محمد رسول الله

مما امر به الامير الامين

محمد بن امير المومنين

جعفر

2 ხაზოვანი რკალი.

ირგვლივ: ყურანი 9:33

1 ხაზოვანი რკალი და 5 (?) წერტილი: • • • • •

წონა 2.93 გ, სიქების თანაფარდობა 8:30 სთ-ზე.

Lowick, №1749.

მონეტა №2 (სურ. 1.5.2):

ალ-ბასრა, ჰ. 147 წ., ანონიმური.



შუბლი:

ლეგენდა A

ირგვლივ: بسم الله ضرب هذا الدرهم بالبصرة سنة سبع و اربعين و مئة

3 წერტილოვანი რკალი და რგოლები: 000 000 000

ზურგი:

ლეგენდა B

•[?]

3 წერტილოვანი რკალი.

ირგვლივ: ყურანი 9:33

1 წერტილოვანი რკალი და წერტილები: • • • • •

წონა 2.87 გ, სიქების თანაფარდობა 6:15 სთ-ზე.

Lowick: აღუწერელი.

მონეტა №3 (სურ. 1.5.3):

მადინათ ას-სალამი, ჰ. 151 წ., ანონიმური.



შუბლი:

ლეგენდა A

ირგვლივ: بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة احدى و خمسين و مئة

2 ხაზოვანი რკალი და რგოლები: 000 000 000

ზურგი:

ლეგენდა B

ქვევით: ع

2 ხაზოვანი რკალი.

ირგვლივ: ყურანი 9:33

2 ხაზოვანი რკალი და რგოლები: 0 0 0 0 0

წონა 2.84 გ, სიქების თანაფარდობა 2:30 სთ-ზე.

Lowick, №1174.

მონეტა №4 (სურ. 1.5.4):

მადინათ ას-სალამი, ჰ. 151 წ., ანონიმური.



როგორც მონეტა №3

წონა 2.94 გ, სიქების თანაფარდობა 3:00 სთ-ზე.

Lowick, №1174.

მონეტა №5 (სურ. 1.5.5):

მადინათ ას-სალამი, ჰ. 162 წ. ხალიფა ალ-მაჰდის სახელით.



შუბლი:

ლეგენდა A

ირგვლივ: بِسْمِ اللَّهِ ضَرَبَ هَذَا الدَّرْهَمَ بِمَدِينَةِ السَّلَامِ سَنَةِ اثْنَتَيْنِ وَ سِتِينَ وَ مِائَةٍ

3 ხაზოვანი რკალი.

რგოლები: 000 000 000

ზურგი:

محمد رسول

الله صلى الله

عليه و سلم

الخليفة المهدي



1 ხაზოვანი რკალი.

ირგვლივ: ყურანი 9:33

1 ხაზოვანი რკალი და წერტილები: • • • • •

წონა 2.92 გ, სიქების თანაფარდობა 3:00 სთ-ზე.

Lowick, №1220.

მონეტა №6 (სურ. 1.5.6):

მადინათ ას-სალამი, ჰ. 181 წ., მორწმუნეთა ამირას (ხალიფას) მის ამირა ალ-ამინ მუჰამმადის სახელით; ჯა'ფარი



შუბლი:

ლეგენდა A

ირგვლივ: بِسْمِ اللَّهِ ضَرَبَ هَذَا الدَّرْهَمَ بِمَدِينَةِ السَّلَامِ سَنَةِ اَحَدَى و ثَمَانِينَ و مِئَةٍ

1 წერტილოვანი რკალი.

რგოლები: ○ ○ ○ ○ ○

ზურგი:

محمد رسول الله

مما امر به الامير الامين

محمد بن امير المومنين

جعفر

2 წერტილოვანი რკალი.

ირგვლივ: ყურანი 9:33

1 წერტილოვანი რკალი.

წონა 2.91 გ, სიქების თანაფარდობა 4:00 სთ-ზე.

Lowick, №1333.

მონეტა №7 (სურ. 1.5.7):

მადინათ ას-სალამი, ჰ. 182 წ., მორწმუნეთა ამირას (ხალიფას) მის ამირა ალ-ამინ მუჰამმადის სახელით; ჯა'ფარი



შუბლი:

ლეგენდა A

ირგვლივ: بِسْمِ اللَّهِ ضَرْبَ هَذَا الدِّرْهَمِ بِمَدِينَةِ السَّلَامِ سَنَةِ اثْنَتَيْنِ وَ ثَمَانِينَ وَ مِئَةِ

2 ხაზოვანი რკალი.

რგოლები: 00 00 00 00

ზურგი:

محمد رسول الله

مما امر به الامير الامين

محمد بن امير المومنين

جعفر

2 ხაზოვანი რკალი.

ირგვლივ: ყურანი 9:33

1 ხაზოვანი რკალი.

წონა 1.92 g (მონეტისგან დარჩენილია მხოლოდ სამი ნატეხი, რომელიც ჯამში მონეტის მხოლოდ ფრაგმენტს შეადგენს), სიქების თანაფარდობა უცნობია.

Lowick, №1340-1344.

მონეტა №8 (სურ. 1.5.8):

მადინათ ას-სალამი, ჰ. 194 წ., ანონიმური.



შუბლი:

ლეგენდა A

ორგვლივ: بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة اربع و تسعين و مئة

3 წერტილოვანი რკალი და რგოლები: ୧୦୦ ୧୦୦ ୧୦୦

ზურგი:

ربي الله

ლეგენდა B

2 წერტილოვანი რკალი.

ორგვლივ: ყურანი 9:33

1 წერტილოვანი რკალი.

წონა 2.96 გ, სიქების თანაფარდობა 1:00 სთ-ზე.

Lowick, №1394.

მონეტა №9 (სურ. 1.5.9):

მადინათ ას-სალამი, ჰ. 195 წ., ალ-ამინ მუჰამმადი როგორც მონა ალაჰისა და

მორწმუნეთა ამირა



შუბლი:

ლეგენდა A

ირგვლივ: بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة خمس و تسعين و مئة

3 წერტილოვანი რკალი.

რგოლები: 00 00 00 00 00

ზურგი:

ربي الله
محمد رسول الله
مما امر به عبد الله الامين
محمد امير المومنين
العباس

1 წერტილოვანი რკალი.

ირგვლივ: ყურანი 9:33

1 წერტილოვანი რკალი.

წონა 2.94 გ, სიქების თანაფარდობა 3:00 სთ-ზე.

Lowick, №1401.

მონეტა №10 (სურ. 1.5.10):

მადინათ ას-სალამი, ჰ. 195 წ., ალ-ამინ მუჰამმადი როგორც მონა ალაჰისა და
მორწმუნეთა ამირა



როგორც მონეტა №9

წონა 2.85 გ, სიქების თანაფარდობა 3:15 სთ-ზე.

Lowick, №1401.

მონეტა №11 (სურ. 1.5.11):

არმინია, ჰ. 191 წ., ხუზაიმა ბ. ხაზიმი და ისმაილ ბ. იბრაჰიმი; ხალიფას მემკვიდრის
ალ-ამინის სახელით



შუბლი:

ლეგენდა A

ირგვლივ: بِسْمِ اللَّهِ ضَرَبَ هَذَا الدَّرْهَمَ بَارْمِينِيَّةَ سَنَةِ أَحَدَى وَتَسْعِينَ وَمِائَةٍ

რგოლები: ○ ○ ○ ○ ○

ზურგი:

خزيمه بن خازم

محمد رسول

الله للامين ولي

عهد المسلمين

اسماعيل بن ابراهيم

ირგვლივ: ყურანი 9:33

წონა 2.91 გ, სიქების თანაფარდობა 6:15 სთ-ზე.

Vardanyan, №69.

მონეტა №12 (სურ. 1.5.12):

არმინია, ჰ. 191 წ., ხუზაიმა ბ. ხაზიმი და ისმაილ ბ. იბრაჰიმი; ხალიფას მემკვიდრის
ალ-ამინის სახელით



როგორც მონეტა №11

წონა 2.95 გ, სიქების თანაფარდობა 11:45 სთ-ზე.

Vardanyan, №69.

ზოტის განძი ძალიან პატარაა: შედგება 11 მთლიანი და 1, რამდენიმე ფრაგმენტად გატეხილი, მონეტისგან.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ განძის თორმეტივე მონეტა სტანდარტული – დირჰემის ნომინალისაა.

12 მონეტიდან 9 ერაცის ზარაფხანებშია მოჭრილი (8 მაღინათ ას-სალამში და 1 ალ-ბასრაში), 1 ჯიბალში (ალ-მუხამადია) და 2-ც ამიერკავკასიაში (ორივეზე გამომშვებ ცენტრად მითითებულია პროვინციის სახელწოდება - არმინია). სახალიფოს სხვა რეგიონების ზარაფხანები განძში წარმოდგენილი არ არის.

ყველაზე ადრეულია ჰ. 147 წლით დათარიღებული ალ-ბასრაში მოჭრილი დირჰემი, გვიანდელი – ჰ. 195 წლით დათარიღებული მაღინათ ას-სალამის ორი დირჰემი. განძის ჩაფლობაც ჰ. 195 წლის შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს, ამასთან, ვინაიდან ქუფური დირჰემები დიდ ხანს რჩებოდა მიმოქცევაში, ხოლო განძი, არ არის გამორიცხული, ნაკლული სახით არის შემონახული, ეს შეიძლება რამდენიმე ათწლეულის გასვლის შემდეგაც მომხდარიყო.

განძის მონეტები თავისთავად განსაკუთრებულ სიახლეს არ გვაძლევს – ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ალ-ბასრაში ჰ. 147 წ. მოჭრილი ანონიმური დირჰემი – ეს სახესხვაობა არ არის მოყვანილი აბასიანთა ადრეული პერიოდის მონეტების Lowick-ის მიერ შედგენილ კორპუსში.

ხელვაჩაურის განძი

საქართველოში არაბული საფასის მიმოქცევის შესასწავლად განსაკუთრებული ინტერესის ღირსია რეგიონული მუზეუმების ფონდები. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმად ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფონდებისგან განსხვავებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ

სამუზეუმო დაწესებულებათა კოლექციებში შენახულ ქუფურ მონეტებს აქამდე შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. არადა, იქ თავმოყრილი მონეტები, ჩვეულებრივ, ადგილობრივადაა ნაპოვნი, და, ამრიგად, ძალიან ინფორმატიულია სწორედ ადგილობრივი სამონეტო მიმოქცევის შესასწავლად. მაგრამ სრულიად საქართველოში ამა თუ იმ ეპოქაში ფულადი მიმოქცევის ზოგადი სურათიც ხომ ქვეყნის ცალკეულ მხარეებში სამონეტო მიმოქცევის შესახებ დაგროვილი ცოდნის შეჯერების შედეგს წარმოადგენს.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმში საქართველოს მიერ უკვე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 1990-იან – 2000-იან წლებში შესული ქუფური მონეტების ორი განძი. ერთ-ერთი მათგანი სოფელ ზოტშია (გურია) აღმოჩენილი (*vide supra*), მეორეს კი ჩვენი ნაშრომის წინამდებარე ნაწილი ეძღვნება - ვგულისხმობთ აჭარაში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ ხელვაჩაურში ნაპოვნ განძს.

ხელვაჩაურის განძი შემთხვევით აღმოჩნდა 2004 წელს, დაბა ხელვაჩაურში, მოქალაქე ზ. ზაქარაძის საკარმიდამო ნაკვეთში. იმავე წელს ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმმა შეისყიდა. განძი მუზეუმის ფონდებში მთლიანი სახით შევიდა. გატარებულია VI: 04-39 ნომრით. განძი შედგება 149 მთლიანი მონეტისგან და 1 მონეტის ნატეხისგან. მონეტებთან ერთად განძში შედიოდა ვერცხლის ბეჭედი (დიამეტრი = 2.1 სმ) და ორი ვერცხლისვე საკიდი. განძი თიხის ქოთანში იყო მოთავსებული (ქოთნის სიმაღლე = 10 სმ, პირის დ. = 6 სმ, ტანის დ. = 12 სმ, ძირის დ. = 8.5 სმ, ხუფის დ. = 2.2 სმ).

მოგვყავს ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში შენახული ხელვაჩაურის განძის ზოგადი აღწერილობა; განძში შემავალი მონეტების სრული სია სათანადო ატრიბუციასა და მეტროლოგიურ მონაცემებთან ერთად მოყვანილია დანართის სახით (იხ. ცხრილი 1.5.1).

განძი საკმაოდ დიდია. მუზეუმში ის, როგორც ჩანს, სრული სახით შევიდა, რაც შედარებით იშვიათ (და ნუმიზმატიკური მეცნიერებისთვის საბედნიერო) მოვლენას წარმოადგენს. გადარცვას გადარჩენილი კომპლექსის სამონეტო ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 150 ცალი მონეტისგან შედგება (ჯამური წონა - 426.07 გ). ამგვარად,

საქართველოში აღმოჩენილ ქუფური მონეტების განძებს შორის ის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილია (ევროპის ჩრდილოეთ მხარეებში გვხვდება გაცილებით უფრო დიდი ზომის, რამდენიმე კილოგრამიანი და ათეულკილოგრამიანი განძებიც კი). შედარებისთვის მოვიყვანთ ინფორმაციას როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ისტორიულ არგვეთში აღმოჩენილი ქუფური საფასის განძების შესახებ¹⁷⁰:

აღმოსავლეთი საქართველო: ისტორიული კახეთი, ჰერეთი, თბილისი და მისი შემოგარენი (არაბული ძალაუფლების ფორპოსტი აღმოსავლეთ საქართველოში): ფშაველის განძი: 125 დირჰემი (ომაიანები, ომაიანები ესპანეთში, აბასიანები, აღლაბიანები) და სასანური ტიპის კიდევ 2 ვერცხლის მონეტა; მთისძირის: 302 დირჰემი (ომაიანები, ომაიანები ესპანეთში, აბასიანთა მომხრეები, აბასიანები, იდრისიანები) და 3 სასანური დრამა; ფიჩხოვანის: 113 დირჰემი (ომაიანები, ომაიანები ესპანეთში, აბასიანები, იდრისიანები, 8 განუსაზღვრელი მონეტის ჩათვლით) და 5 სასანური დრამა; ლელიანის განძი: 163 ქუფური დირჰემი, 1 ნატეხის ჩათვლით (ომაიანები, აბასიანები) და 8 სასანური ტიპის ვერცხლის მონეტა; კავშირის განძი: 36 ქუფური დირჰემი (ომაიანები, აბასიანები) და 2 სასანური დრამა; აფენის განძი: 354 დირჰემი, მათ შორის, 13 ნატეხი, და 40 სასანური ტიპის მონეტა (ომაიანები, ესპანეთის ომაიანები, აბასიანები); დლივის განძი: 30 დირჰემი (ომაიანები, აბასიანები) და სასანური ტიპის კიდევ 3 ვერცხლის მონეტა (33 მონეტიდან 19 ნატეხების სახით იყო წარმოდგენილი); უპასპორტო განძი (ნაპოვნია "სადღაც აღმოსავლეთ საქართველოში"): 52 დირჰემი (ომაიანები, აბასიანები); არგვეთი: სავანის განძი - 68 დირჰემი (ომაიანები, აბასიანები).

აღვნიშნავთ, რომ ხელვაჩაურის განძის ყველა მონეტა სტანდარტული – დირჰემის ნომინალისაა. ამასთანავე, 149 მონეტა მთლიანი სახითაა წარმოდგენილი, 1 კი ნატეხს წარმოადგენს, რომელიც ზომებით დაახლოებით 1/2 დირჰემს შეესაბამება (წონა: 1.54 გ, ანუ, აგრეთვე, დაახლოებით დირჰემის ნახევარი).

¹⁷⁰ ჯალაღანია, *საქართველოს სამონეტო განძები*, I, 29, 35-42; თამარი ლომოური, „სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი“, *ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში*, რედ. თინათინ ქუთელია (თბილისი: არტანუჯი, 2005), 16-46.

სწორედ ამ უკანასკნელი ერთი მონეტის გარდა მოჭრის ადგილი იკითხება ყველა (149) დირჰემზე. განძში შემავალი მონეტების განაწილება რეგიონებისა და ზარაფხანების მიხედვით შემდეგნაირია (მონაცემები შეჯამებულია ჰისტოგრამების სახითაც - იხ. ჰისტოგრამა 1.5.1-1.5.2):

- სავადი (სამხრეთი ერაყი) (105 დირჰემი – საერთო რიცხვის 70.5%): ალ-ბასრა (4, 2.7%), ალ-ქუფა (4, 2.7%), მადინათ ას-სალამი (97, 65.1%);
- ალ-ჯაზირა (ზემო მესოპოტამია) (2, 1.3%): არ-რაფიკა (2, 1.3%);
- ჯიბალი (სპარსეთის ერაყი) (26, 17.4%): ალ-მუჰამმადია (26, 17.4%);
- სეჯესთანი და ქირმანი (3, 2.0%): მადინათ ზარანჯი (1, 0.7%), ქირმანი (2, 1.3%);
- ხორასანი (9, 6.0%): მადინათ ნისაბური (1, 0.7%), მადინათ ბალხი (7, 4.7%), მადინათ მარვი (1, 0.7%);
- მავერანნაჰრი (1, 0.7%): მადინათ სამარკანდი (1, 0.7%);
- არმინია (3, 2.0%): არრანი (#3, 2.0%).

სახალიფოს სხვა რეგიონების ზარაფხანები განძში წარმოდგენილი არ არის.

თვალში საცემია სავადში (ძირითადად, მადინათ ას-სალამში) მოჭრილი მონეტების სიჭარბე. ქართულენოვან ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ფაქტი მიუთითებს სახალიფოს უპირატესად ამ რეგიონთან სავაჭრო ურთიერთობებზე;¹⁷¹ არსებობს საპირისპირო შეხედულებაც - ი. ჯალაღანიას თანახმად, ამგვარი დასკვნის გამოტანა არ იქნებოდა გამართლებული, ვინაიდან სახალიფოში ერთიანი სამონეტო ბაზარი არსებობდა, სხვადასხვა ზარაფხანის ნაწარმი კი შორს გადიოდა მოჭრის ადგილიდან; შესაბამისად, ერაყის ქალაქებში მოჭრილი დირჰემების სიუხვე უფრო შესაბამისი ზარაფხანების მუშაობის ინტენსიურობაზე მიუთითებს.¹⁷² ი. ჯალაღანიას მოსაზრებები საკმაოდ საფუძვლიანად გვეჩვენება. დავამატებთ, რომ სახალიფოს სხვა რეგიონებზე უფრო ახლომდებარე პროვინცია არმინიის მონეტებზე მოდის ხელვაჩაურის განძის მონეტების მხოლოდ 2% (3 მონეტა 149-დან); ეს არა არმინიის ურბანულ ცენტრებთან კავშირების დეფიციტზე მეტყველებს (პირიქით,

¹⁷¹ თენგიზ პაპუაშვილი, *პერეთის ისტორიის საკითხები* (თბილისი: მეცნიერება, 1970), 364-370.

¹⁷² Джалаганиа, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.*, 53.

ამიერკავკასიაში სპილენძის საფასის მიმოქცევის ხასიათიდან გამომდინარე, ეს კავშირები მეტად ინტენსიური იყო¹⁷³), არამედ პროვინცია არმინიაში ქუფური საფასის გამოშვების არაინტენსიურობაზე მიუთითებს. ამასთან, ჩვენი აზრით, არ არის მიზანშეწონილი ამგვარი მიდგომის სისწორის აბსოლუტიზაცია. ორ კონტინენტზე გადაჭიმული სახალიფო ძალიან ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. არ იქნებოდა სწორი, სამონეტო ბაზარი ამ სახელმწიფოს ყველა მხარეში იდენტურად ჩაგვეთვალა. ასე, მაგალითად, ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის მხარეებში გასული ქუფური ვერცხლის გამოშვების რეგიონებად განაწილების მიხედვით შესაძლებლად მიიჩნევა სავაჭრო კონტაქტების მიმართულებაზე მსჯელობა.¹⁷⁴ ჩვენი აზრით, ხელვაჩაურის განძში სავადაში მოჭრილი დირჰემების ესოდენ გამოხატული სიჭარბე (საერთო რიცხვის 70.5%), მაინც, დიდი სიფრთხილით, შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვანწილად (მაგრამ, ბუნებრივია, არა ექსკლუზიურად) სახალიფოს სწორედ ამ რეგიონთან ეკონომიკური კავშირების განსაკუთრებულ ინტენსიურობაზე.

განძში შემავალ პრაქტიკულად ყველა მონეტაზე (გადატეხილის ჩათვლით) (მოჭრის) თარიღი საკმაოდ სარწმუნოდ იკითხება; რამდენიმე მონეტაზე, სამწუხაროდ, არ იკითხება თარიღის ერთეული (იხ. დანართი 1). ყველაზე ადრეულია ჰ. 132 წლით დათარიღებული ქუფაში მოჭრილი დირჰემი, გვიანდელი – ჰ. 199 წლით დათარიღებული მადინათ ას-სალამის ორი დირჰემი. განძის ჩაფლობაც ჰ. 199 წლის შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს; ეს შეიძლება ჰიჯრის მესამე საუკუნის პირველ ათწლეულებშიც მომხდარიყო (ქრისტეშობიდან 810-820-იან წლებში?).

მონეტების განაწილება გამოშვების დროის მიხედვით (ათწლეულების მიხედვით) შეჯამებულია ჰისტოგრამის სახით (ჰისტოგრამა 1.5.3). სახეზეა ჰიჯრის 160-იანი და 180-იანი წლებით დათარიღებული დირჰემების სიჭარბე. საფიქრებელია, რომ ამ წლებში სახალიფოს შესაბამისი ზარაფხანები უფრო ინტენსიურად მოქმედებდა; ანდა,

¹⁷³ Paghava, Turkia, "Circulation of Kufic Fulus the Tiflis Emirate", (Forthcoming).

¹⁷⁴ Вячеслав Кулешов, "Редкие и примечательные аббасидские дирхамы последней трети IX и начала X в. из Козьянковского клада", *Гісторыя і археалогія Полацка і Полацкай зямлі. Матэрыялы VI Міжнароднай навуковай канферэнцыі (1-3 лістапада 2012 г.). У дзвюх частках. Частка 1* (Полацк, 2013), 203.

აღნიშნულ ათწლეულებში ადგილობრივ ბაზარზე ქუფური დირჰემი უფრო აქტიურად შემოდიოდა. პირველი უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება.

იშვიათი გამონაკლისის გარდა (იხ. ქვემოთ), განძის მონეტები თავისთავად განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენს, თუმცა კი, მათ შორის გვხვდება ისეთი შედარებით იშვიათი ცალები, როგორიცაა ალ-ქუფაში მოჭრილი ჰ. 132 წლით (აბასიანთა სახელით ემისიის დასაწყისი) დათარიღებული დირჰემი (სურ. 1.5.13), არ-რაფიკაში გამოშვებული ჰ. 188 და ჰ. 192 წწ. დათარიღებული დირჰემები (სურ. 1.5.14-1.5.15), არრანში ჰ. 184 და ჰ. 188 წწ. მოჭრილი მონეტები (სურ.1.5.16-1.5.18), მადინათ მარვის ჰ. 194 წ. დირჰემი (სურ. 1.5.19), ქირმანში ჰ. 166 და 167 წწ. გამოშვებული საფასე (სურ. 1.5.20-1.5.21).



სურ. 1.5.13



სურ. 1.5.14



სურ. 1.5.15



სურ. 1.5.16



სურ. 1.5.17



სურ. 1.5.18



სურ. 1.5.19



სურ. 1.5.20



სურ. 1.5.21

თავისთავად იშვიათი არ არის, მაგრამ საქართველოში შედარებით იშვიათად გვხვდება მადინათ ნისაბურსა და მადინათ სამარკანდში მოჭრილი დირჰემები - ხელვაჩაურის განძში შესაბამისად ჰ. 194 და 195 წწ. დათარიღებული მონეტებია (სურ. 1.5.22-1.5.23).



სურ. 1.5.22



სურ. 1.5.23


საგანგებო განხილვის ღირსია მადინათ ას-სალამის ჰ. 177 წლით დათარიღებული დირჰემი (სურ. 1.5.24).




სურ. 1.5.24

მონეტის შუბლზე მითითებულია მოჭრის თარიღი (177), ხოლო ზურგზე კი - ხალიფა ალ-მაჰდის სახელი, რომლის ზეობის წლებიცაა ჰ. 158-169 წლები (775-785). წლის აღმნიშვნელი გრაფემები სიქაზე ძალიან მკაფიოდ დაიტანეს, ასე რომ, ინტერპრეტაციის შეცდომა აქ გამორიცხებულია. მონეტა მინაბადს არ უნდა წარმოადგენდეს - ყველა ზედწერილის კალიგრაფია სრულყოფილია. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ზარაფხანაში ორგანიზაციული ხასიათის შეცდომა მოხდა - ახალ, ჰ. 177 წლით დათარიღებულ სიქასთან ერთად მონეტის მოსაჭრელად გამოიყენეს ძველი სიქა, უკვე გარდაცვლილი ხალიფის სახელით (რომელიც არ ყოფილა განადგურებული!).

ჰისტოგრამა 1.5.1.




ჰისტოგრამა 1.5.2.



ჰისტოგრამა 1.5.3.

ჰისტოგრამა 3. განაწილება ათწლეულების მიხედვით
(აბსოლუტურ რიცხვებში)



ცხრილი 1.5.1. ხელვაჩაურის განძის მონეტების სია

მითითებული ზარაფხანა	თარიღი ჰიჯრით	შეესაბამება თარიღს ქრისტეშობით	წონა	სიქების თანაფარდობა	საიდენტიფიკა- ციო კოდი
ვერ ისაზღვრება	180	796/7	1.54	3:00?	138
ალ-ბასრა	161	777/8	2.88	12:00	77
ალ-ბასრა	162	778/9	2.81	3:15	132
ალ-ბასრა	165	781/2	2.85	3:15	103
ალ-ბასრა	167	783/4	2.7	1:30	22
არ-რაფიკა	188	803/4	2.92	3:15	143
არ-რაფიკა	192	807/8	3	3:15	70
ალ-ქუფა	132	749/50	2.71	10:00	124
ალ-ქუფა	134	751/2	2.86	9:00	43
ალ-ქუფა	135	752/3	2.83	9:30	51
ალ-ქუფა	142	759/60	2.8	8:00	24
არრანი	184	800/1	2.91	9:00	46
არრანი	184	800/1	2.82	2:45	146
არრანი	188	803/4	2.93	11:00	27
მადინათ ას-სალამი	152	769/70	2.86	8:45	1

მადინათ ას-სალამი	152	769/70	2.83	2:15	38
მადინათ ას-სალამი	155	771/2	2.93	10:00	49
მადინათ ას-სალამი	156	772/3	2.89	3:30	55
მადინათ ას-სალამი	156	772/3	2.84	9:30	96
მადინათ ას-სალამი	156	772/3	2.76	4:00	100
მადინათ ას-სალამი	156	772/3	2.89	9:00	110
მადინათ ას-სალამი	156	772/3	3.05	3:15	140
მადინათ ას-სალამი	157	773/4	2.86	7:30	18
მადინათ ას-სალამი	157	773/4	2.88	5:45	118
მადინათ ას-სალამი	158	774/5	2.92	1:00	129
მადინათ ას-სალამი	160	776/7	2.76	12:30	39
მადინათ ას-სალამი	160	776/7	2.74	11:45	45
მადინათ ას-სალამი	160	776/7	2.83	10:00	116
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.9	12:15	4
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.91	12:30	11
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.78	6:15	17
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.87	9:15	33
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.9	3:30	35
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.88	12:00	40
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.93	10:30	68
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.76	11:45	115
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.91	9:30	134
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.34	9:30	137
მადინათ ას-სალამი	161	777/8	2.76	15:45?	149
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.82	6:15	8
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.82	9:00	23
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.81	11:45	58
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.71	3:15	64
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.85	8:30	67
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.84	3:00	83
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.87	6:15	107
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.92	3:00	122
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.88	12:30	133

მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.85	8:15	136
მადინათ ას-სალამი	162	778/9	2.89	6:00	145
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.81	3:30	21
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.83	12:15	28
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.71	3:30	75
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.88	12:00	82
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.83	3:45	89
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.89	3:15	99
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.87	9:30	102
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.86	6:30	112
მადინათ ას-სალამი	163	779/80	2.89	5:45	139
მადინათ ას-სალამი	164	780/1	2.83	5:15	9
მადინათ ას-სალამი	164	780/1	2.8	8:00	78
მადინათ ას-სალამი	165	781/2	2.82	11:30	42
მადინათ ას-სალამი	165	781/2	2.9	2:45	119
მადინათ ას-სალამი	165	781/2	2.86	3:30	141
მადინათ ას-სალამი	166	782/3	2.87	3:15	56
მადინათ ას-სალამი	166	782/3	2.65	11:00	93
მადინათ ას-სალამი	166	782/3	2.75	12:00	111
მადინათ ას-სალამი	177	793/4	2.58	5:30	125
მადინათ ას-სალამი	178	794/5	2.75	12:00	109
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.9	7:30	31
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.92	3:30	32
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.89	6:15	37
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.96	11:30	62
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.91	11:45	88
მადინათ ას-სალამი	179	795/6	2.41	3:00	113
მადინათ ას-სალამი	180	796/7	2.89	1:00	60
მადინათ ას-სალამი	180	796/7	2.89	2:45	92
მადინათ ას-სალამი	180	796/7	2.9	9:00	106
მადინათ ას-სალამი	180	796/7	3.08	8:30	108
მადინათ ას-სალამი	180	796/7	2.93	9:00	120
მადინათ ას-სალამი	181	797/8	2.94	4:00	16

მადინათ ას-სალამი	181	797/8	2.91	8:00	74
მადინათ ას-სალამი	181	797/8	2.92	9:00	104
მადინათ ას-სალამი	182	798/9	2.81	5:00	98
მადინათ ას-სალამი	182	798/9	2.88	10:00	130
მადინათ ას-სალამი	185	801/2	2.92	8:30	13
მადინათ ას-სალამი	185	801/2	2.81	9:45	87
მადინათ ას-სალამი	185	801/2	2.91	5:30	148
მადინათ ას-სალამი	186	802	2.95	3:45	114
მადინათ ას-სალამი	186	802	2.88	5:45	150
მადინათ ას-სალამი	187	802/3	2.91	9:00	14
მადინათ ას-სალამი	187	802/3	2.87	9:15	101
მადინათ ას-სალამი	188	803/4	2.82	10:00	73
მადინათ ას-სალამი	188	803/4	2.96	9:00	79
მადინათ ას-სალამი	188	803/4	2.82	2:45	95
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.85	9:00	2
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.93	8:15	3
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.93	7:00	19
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.82	9:00	26
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.91	8:30	30
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.89	9:15	80
მადინათ ას-სალამი	189	804/5	2.9	3:30	128
მადინათ ას-სალამი	195	810/1	2.84	9:00	81
მადინათ ას-სალამი	195	810/1	2.83	9:15	126
მადინათ ას-სალამი	196	811/2	2.94	3:00	63
მადინათ ას-სალამი	198	813/4	2.88	9:00	72
მადინათ ას-სალამი	199	814/5	3.1	1:15	57
მადინათ ას-სალამი	199	814/5	2.9	9:30	117
მადინათ ას-სალამი	16x		2.85	11:00	94
მადინათ ას-სალამი	18x		2.75	2:00	41
მადინათ ას-სალამი	18x		2.93	9:15	142
მადინათ ბაღზი	181	797/8	2.94	1:00	52
მადინათ ბაღზი	182	798/9	2.79	10:45	44
მადინათ ბაღზი	182	798/9	2.89	8:00	91

მადინათ ბალხი	185	801/2	2.79	8:30	47
მადინათ ბალხი	185	801/2	2.95	10:00	135
მადინათ ბალხი	186	802	2.79	3:30	97
მადინათ ბალხი	195	810/1	2.87	8:45	25
მადინათ ზარანჯი	189	804/5	2.63	6:15	15
მადინათ მარვი	194	809/10	2.9	3:00	144
მადინათ ნიშაბური	194	809/10	2.7	8:00	131
მადინათ სამარკანდი	195	810/1	2.76	2:45	123
ალ-მუჰამადია	166	782/3	2.74	10:48	5
ალ-მუჰამადია	161	777/8	2.82	9:30	6
ალ-მუჰამადია	163	779/80	2.88	12:15	7
ალ-მუჰამადია	182	798/9	2.86	9:00	12
ალ-მუჰამადია	166	782/3	2.83	1:30	20
ალ-მუჰამადია	187	802/3	2.9	3:30	29
ალ-მუჰამადია	181	797/8	2.81	9:30	34
ალ-მუჰამადია	184	800/1	2.6	7:30	36
ალ-მუჰამადია	188	803/4	2.93	9:00	48
ალ-მუჰამადია	180	796/7	2.87	7:30	50
ალ-მუჰამადია	186	802	2.89	9:00	53
ალ-მუჰამადია	175	791/2	2.9	9:00	54
ალ-მუჰამადია	180	796/7	2.88	3:15	59
ალ-მუჰამადია	181	797/8	2.9	8:00	61
ალ-მუჰამადია	168	784/5	2.74	4:00	65
ალ-მუჰამადია	150	767/8	2.55	10:00	66
ალ-მუჰამადია	189	804/5	2.94	8:45	69
ალ-მუჰამადია	171	787/8	3.01	2:30	76
ალ-მუჰამადია	180	796/7	2.9	9:15	84
ალ-მუჰამადია	189	804/5	2.94	11:00	85
ალ-მუჰამადია	167	783/4	2.87	8:45	86
ალ-მუჰამადია	166	782/3	2.81	2:45	90
ალ-მუჰამადია	170	786/7	2.85	8:30	105
ალ-მუჰამადია	18x		2.88	3:15	121
ალ-მუჰამადია	166	782/3	2.86	3:00	127

ალ-მუჰამადია	166	782/3	2.83	8:45	147
ქირმანი	166	782/3	2.88	12:30	10
ქირმანი	167	783/4	2.77	3:00	71

დირჰემები დასავლეთ საქართველოს მიმოქცევაში

ამა თუ იმ ეპოქაში საქართველოს ფულადი მიმოქცევის შესასწავლად, მათ შორის ქუფური საფასის ტრიალის ჩათვლით, განძების გარდა, დიდ მნიშვნელობას იძენს ცალკეული აღმოჩენებიც. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთა რიცხვმა ბოლო წლებში მკვეთრად იმატა ლითონის დეტექტორების შემოსვლასა და ფართოდ გამოყენების დაწყებასთან ერთად. ამ გზით მოპოვებული არტეფაქტების უმეტესი ნაწილი, როგორც წესი, კერძო კოლექციებში ილექება და მეცნიერებისთვის იკარგება (ყოველ შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც სამონეტო აღმოჩენის პასპორტიზაციაზე შეიძლება ვისაუბროთ). გასაგებია, რომ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში აღმოჩენილი მონეტების რაც შეიძლება სრული რეგისტრაცია ცალკეული მკვლევარისთვის არც თუ ადვილ, მაგრამ ნუმიზმატიკური მეცნიერებისათვის მეტად საჭირობოროტო ამოცანას წარმოადგენს. ანტიკვარული კომერციული ბაზრისკენ (სამუზეუმო / სამეცნიერო დაწესებულებების ავლით) მიმართული სამონეტო მასების ნაკადის აღრიცხვა-შესწავლა იძლევა საშუალებას გამოვლინდეს და შენარჩუნდეს მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი ინფორმაცია; ამ გზით მიღებული ცნობების პროფესიული შესწავლა და ოპერატიული პუბლიკაცია აუცილებელი წინაპირობაა საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის ნუმიზმატიკური (ანუ, ეკონომიკურ-პოლიტიკური) ისტორიის დარგში ჩვენი ცოდნის გასაღრმავებლად.

ანტიკვარულ ბაზარზე „ამოტივტივებული“ მონეტების პოვნის ზუსტი ადგილისა და გარემოებების დადგენის ობიექტური სირთულის გათვალისწინებით, ხშირად ვერ ხერხდება ყოველი ცალკეული აღმოჩენის ზუსტი პასპორტის შედგენა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ღრმა რწმენით, თუნცად ნაწილობრივ უპასპორტო მონეტების პუბლიკაცია, რომელიც მხოლოდ მიახლოებით თუ უკავშირდება ამა თუ იმ გეოგრაფიულ პუნქტს

(არქეოლოგიური ობიექტის, დასახლებული პუნქტის, რაიონისა თუ თუნდაც უფრო მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე) მაინც დამატებით ინფორმაციას გვაწვდის რეგიონის ფულად მიმოქცევაზე, ვინაიდან აფართოვებს ნუმისმატიკურ მონაცემთა ბაზას. ამგვარი მიდგომის მართებულობა-დასაშვებობაზე წერდა ჯერ კიდევ ევგენი პახომოვი.¹⁷⁵ და პირიქით, ამ (თუნდაც არასრული) ინფორმაციის იგნორირება ანტიმეცნიერულად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში ქუფური საფასის პოვნის შემთხვევები (1990-იანი წლების ბოლოდან 2014 წლის ჩათვლით). მონაცემებს ვაგროვებდით აღნიშნულ წლებში თბილისის ანტიკვარული ბაზრის მონიტორინგის პროცესში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ყველა ჩვენს მიერ შესწავლილი მონეტა კერძო კოლექციებში მოხვდა, და, ეს პუბლიკაცია რომ არა, ფულადი მიმოქცევის თვალთახედვით სამეცნიერო დამუშავებისათვის სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა.

აღმოჩენები (სულ 21 მონეტა) შესაძლებელია გეოგრაფიული პრინციპით დალაგდეს:

დაბა ჩაქვი (აჭარა) - 1 ეგზემპლარი;

სოფელი ხელვაჩაური (აჭარა) - 2 ეგზ.;

სოფელი მერია (გურია) – 9 ეგზ.;

საზოგადოდ, იმერეთი - 8 ეგზ. (მათ შორის 3 დირჰემი ზემო იმერეთიდან).

საზოგადოდ, დასავლეთ საქართველო - 1 ეგზ.

მოვიყვანთ მონეტების აღწერილობას. ცალკეული ტიპებისათვის მითითებულია ანალოგები ლიტერატურაში: Stephen Album, Michel Klat, Nicholas Lowick, Luke Treadwell, Aram Vardanyan, Ashmolean (Oxford) მუზეუმის ისლამური მონეტების კოლექცია.¹⁷⁶

¹⁷⁵ Пахомов, “Монетные клады Азербайджана и Закавказья”, 3-6.

¹⁷⁶ Stephen Album, *Checklist of Islamic Coins. 3rd Edition* (Santa Rosa, 2011); Klat, *Catalogue of the Post-Reform Dirhams. The Umayyad Dynasty*; Lowick, *Early 'Abbāsid Coinage, A Type Corpus*; Treadwell, *Buyid Coinage. A Die Corpus (322-445 A.H.)*; Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia, vol. 1, Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsid Period (142-277 AH / 759-891 AD)*; Norman Nicol, *Sylloge of Islamic Coins in the Ashmolean, vol. 4, Later 'Abbasid Precious Metal Coinage (from 219 AH)* (Ashmolean Museum Oxford, 2012).

ჩაქვი.

№1. სურ. 1.5.25. 'აბასიანები, მადინათ ას-სალამი, ჰ. 166 წ.

(წარწერა Lowick C1c, მონეტა L 1241).

წონა 2.91 გ, კვეთა 23.6-24 მმ, სიქების თანაფარდობა 11:45 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 4 x 00

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة ست و ستين و مئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

محمد رسول

الله صلى الله

عليه و سلم

الخليفة المهدي

بخ

ხელვაჩაური.

№2. სურ. 1.5.26. 'აბასიანები, მადინათ ას-სალამი, ჰ. 157 წ.

(წარწერა Lowick A1a, მონეტა L 1203).

წონა 2.82 გ, კვეთა უცნობია, სიქების თანაფარდობა 3:30 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 5? x 0

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة سبع وخمسين و مئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

ლეგენდა B

ب خ

№3. სურ. 1.5.27. 'აბასიანები, მადინათ ას-სალამი, ჰ. 192 წ.

(წარწერა Lowick A1a, მონეტა L 1380).

წონა 2.87 გ, კვეთა უცნობია, სიქების თანაფარდობა 3:00 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 4? x 00

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة اثنتين وتسعين ومئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

ლეგენდა B

•

მერია.

№4. სურ. 1.5.28. ომაიანები, ვასითი, ჰ. 95 წ.

(Klat-ის მიხედვით K 690.a).

წონა 2.77 გ, კვეთა 25 მმ, სიქების თანაფარდობა 11:45 სთ-ზე.



შუბლი:

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بواسط في سنة خمس و تسعين

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

ლეგენდა UR

N5. სურ. 1.5.29. 'აბასიანები, მუჰამადიია, ჰ. 18[2] წ.

(წარწერა Lowick K4a, მონეტა L 1775)

წონა 2.79 გ, კვეთა 24.9-25.1 მმ, სიქების თანაფარდობა 16:00 სთ-ზე.



ზურგი:

რგოლები: 3 x ○○○ და 3 x ○

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بالمحمدية سنة اثنتين و ثمنين و مئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

و

محمد رسول الله

مما أمر به الأمير الأمين

محمد بن أمير المؤمنين

جعفر

№6. სურ. 1.5.30. 'აბასიანები, მაღინათ ას-სალამი, ჰ. 149 რ.ხ.

(წარწერა Lowick A1a, მონეტა L 1170).

წონა 2.79 გ, კვეთა 24.9-25.3 მმ, სიქების თანაფარდობა 2:45 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 3 x o n 3 x ●●

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة تسع و اربعين و مئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

ლეგენდა B

№7. სურ. 1.5.31. ომაიანები, ვასითი, ჰ. 107 წ.

(Klat-ის მიხედვით მონეტა K 700).

წონა 2.83 გ, კვეთა 26-26.1 მმ, სიქების თანაფარდობა 1:00 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 3 x 6

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بواسط سنة سبع و مئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

ლეგენდა UR.

№8. სურ. 1.5.32. ომაიანები, ვასითი, ჰ. 104 წ.

(Klat-ის მიხედვით მონეტა K 697).

წონა 2.86 გ, კვეთა 25.8-26.2 მმ, სიქების თანაფარდობა 10:00 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 4 x 00.

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بواسط سنة اربع و مئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

ლეგენდა UR

№9. სურ. 1.5.33. 'აბასიანები, მადინათ ას-სალამი, ჰ. 179 წ.

(წარწერა Lowick K4a, მონეტა L 1320)

წონა 2.88 გ, კვეთა 2.43-25.3 მმ, სიქების თანაფარდობა 2:45 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 3 x c

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة تسع و سبعين و مئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

محمد رسول الله

مما أمر به الأمير الأمين

محمد بن أمير المؤمنين

جعفر

N^o10. სურ. 1.5.34. 'აბასიანები, მაღინათ ას-სალამი, ჰ. 152 წ.

(წარწერა LowickA1a, მონეტა L1179).

წონა 2.92 გ, კვეთა 23.8-24 მმ, სიქების თანაფარდობა 5:45 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 3 x ○ და 3 x ●●

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة اثنتين و خمسين و مئة

ცენტრში –

ლეგენდა **A**

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი **9:33**

ცენტრში –

ლეგენდა **B**

خ

№11. სურ. 1.5.35. ომაიანები, ვასითი, ჰ. 104 წ.

(Klat-ის მიხედვით მონეტა K 697).

წონა 2.92 გ, კვეთა 2.63-27 მმ, სიქების თანაფარდობა 11:00 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 4 x ○○

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بواسط سنة اربع و مئة

ცენტრში –

ლეგენდა **A**

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი **9:33**

ცენტრში –

ლეგენდა **UR**

№12. სურ. 1.5.36. ბუვეიჰიანები, რუქნ ად-დაულა აბუ 'ალი ჰასან ბ. ბუვეიჰ, შირაზი, ჰ.
360 წ.

(Treadwell-ის მონეტა Sh360).

წონა 2.93 გ, კვეთა 27.6-28 მმ, სიქების თანაფარდობა 9:00 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 5 x 0

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بشيراز سنة ستين و ثلثمائة

ცენტრში –

ابن

لا اله الا الله

وحده لا شريك له

ركن الدولة

أبو علي

بويه

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

ف

محمد رسول الله

المطيع لله

الأمير العدل

عضد الدولة

أبو شجاع

იმერეთი.

№13. სურ. 1.5.37. 'აბასიანები, ბასრა, ჰ. 133 წ.

(წარწერა LowickA1a, მონეტა L965).

წონა 2.81 გ, კვეთა 24-24.2 მმ, სიქების თანაფარდობა 17:30 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 3 x 000

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بالبصرة سنة ثلث و ثلثين و مئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

ლეგენდა B

№14. სურ. 1.5.38. 'აბასიანები, მაღინათ ზარანჯი, ჰ. 178 წ.

(წარწერა Lowick I6b, მონეტა L2398)

წონა 2.92 გ, კვეთა 24.9-25 მმ, სიქების თანაფარდობა 11:45 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 5 x 0

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة زرنج سنة ثمان وسبعين ومئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

محمد رسول الله

صلى الله عليه و سلم

الخليفة الرشيد

جعفر

№15. სურ. 1.5.39. 'აბასიანები, მუჰამადია, ჰ. 155 წ.

(წარწერა Lowick B1a, მონეტა L1616)

წონა 3.03 გ, კვეთა 25.3-26 მმ, სიქების თანაფარდობა 8:30 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 5 x 0

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بالمحمدية سنة خمس و خمسين و مئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

مما أمر به

المهدي محمد

بن أمير المؤمنين

№16. სურ. 1.5.40. ირანის ომაიანი ნაცვლები, „ბიშ“ (ბიშაპური), ჰ. 80 წ.

(ტიპით Album A35.2)

წონა 3.27 გ (მონეტა შემოტეხილია), კვეთა 27-27.2 მმ, სიქების თანაფარდობა 15:00
სთ-ზე.



შუბლი:

بسم الله (მარჯვენა კიდეში, ქვემოთ)

ცენტრში – მმართველის პორტრეტი სასანიანთა „ფრთიანი“ გვირგვინით, მისი სახის წინ
არაბული ლეგენდა:

الحجاج بن يوسف

სახის მარცხნივ (ფალაური ლეგენდა) Apzut Xvarrah

𐭠𐭣𐭥𐭥𐭥

GDH

ზურგი:

ცენტრში – ათაშდანის გვერდზე ორი ფიგურის გამოსახულება. მარჯვნივ - ზარაფხანის
აღნიშვნა, ფალაური „ბიშ“:

𐭠𐭣𐭥𐭥𐭥

მარცხნივ თარიღი ჰიჯრით, ფალაურად - „ოთხმოცი“:

𐭠𐭣𐭥𐭥𐭥

№17. სურ. 1.5.41. ‘აბასიანთა დირჰემის იმიტაცია, „მადინათ ას-სალამი“, ჰ. "3(2)2" წ.

(Zeno:#47601)

წონა 4.25 გ, კვეთა 24.5-25.9 მმ, სიქების თანაფარდობა 11:45 სთ-ზე.



შუბლი:

გარეთა წრიული ლეგენდა – ყურანი **30:4,5**

შიგნითა წრიული ლეგენდა (შეცდომით არის დაწერილი - საერთოდ გამოტოვებულია ათწლეული, ასწლეული შეცდომითაა დაწერილი, ხელწერა არამყარია) –

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة اثنتين (؟) و ثلثمائة (sic!)

ცენტრში –

ლეგენდა **A**

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი **9:33**

ცენტრში –

الله

ლეგენდა **B**

الراضي بالله

ზემო იმერეთი.

№18. სურ. 1.5.42. 'აბასიანები, არრანი, ჰ. 145 წ.

(წარწერა Lowick A1a, მონეტა L751)

წონა 2.87 გ, კვეთა 24.8-25 მმ, სიქების თანაფარდობა 15:15 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 5 x 0

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم باران سنة خمس و اربعين و مئة

ცენტრში –

ლეგენდა **A**

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი **9:33**

ცენტრში –

ლეგენდა **B**

№19. სურ. 1.5.43. 'აბასიანები, ჰარუნ აბადი, ჰ. 169 r.x.

(წარწერა Lowick E1a, მონეტა L867).

წონა 2.90 გ, კვეთა 26 მმ, სიქების თანაფარდობა 14:45 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 3 x 000

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بهرون آباد سنة تسع و ستين و مئة

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

ارمينية

الخليفة المهدي

مما أمر به هارون

بن أمير المؤمنين

حسن

№20. სურ. 1.5.44. 'აბასიანები, მადინათ არრანი, ჰ. 208 წ.

(ამ ტიპის და ამ წლით დათარიღებული ამ ზარაფხანის მონეტა არ არის Lowick-ისა და Vardanyan-ის შრომებში)

წონა 2.89 გ, კვეთა 25-25.1 მმ, სიქების თანაფარდობა 16:30 სთ-ზე.



შუბლი:

რგოლები: 6 x 0

წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة اراڤ سنة ثمان و مائتين

ცენტრში –

ლეგენდა A

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

محمد رسول الله

مما أمر به الأمير صدقة بن

علي مولى أمير المؤمنين

بخ

საქართველოს დასავლეთი რეგიონები.

№21. სურ. 1.5.45. 'აბასიანები, მადინათ ას-სალამი, ჰ. 304 r.x.

(SICA IV, მონეტა № 1068)

წონა 2.56 გ, კვეთა უცნობია, სიქების თანაფარდობა 14:00 ყ.



შუბლი:

გარეთა წრიული ლეგენდა – ყურანი 30:4,5

შიგნითა წრიული ლეგენდა –

بسم الله ضرب هذا الدرهم بمدينة السلام سنة اربع و ثلثمائة

ცენტრში –

لا اله الا

الله وحده

لا شريك له

أبو العباس

بن أمير المؤمنين

ზურგი:

წრიული ლეგენდა – ყურანი 9:33

ცენტრში –

الله

ლეგენდა B

المقتدر بالله

ყველა მონეტა ერთსა და იმავე ნომინალს - ღირჰემს წარმოადგენს.

*

ზემოთ აღწერილი მონეტები უმეტესწილად განსაკუთრებულ იშვიათობას არ წარმოადგენს და თავისთავად განსაკუთრებული ინტერესის ღირსი არ არის. თუმცა კი, არის რამდენიმე გამონაკლისიც.

ასე, მაგალითად, მადინათ არრანის ჰ. 208 წლის მონეტა ამირა სადაყა ბ. 'ალის (მართლმორწმუნეთა მეუფეს კლიენტის) სახელით აქამდე ცნობილი არ იყო; ამგვარი

მონეტები ცნობილი იყო მხოლოდ ჰ. 209 წლისთვის, ხოლო ჰ. 208 წლით დათარიღებულ მონეტებზე კი სადაყა ბ. 'ალის სახელს თან ახლდა ალ-'აბას ბ. ხალიდისა და მუჰამმად ბ. 'აბდალლაჰ ალ-ყალბის მოხსენიება.¹⁷⁷ შესაბამისად, ზემო იმერეთში ნაპოვნი მონეტა იძლევა შესაძლებლობას შეივსოს ჩვენი მონაცემები სამხრეთ კავკასიაში ქუფური ვერცხლის მოჭრის შესახებ, და ზოგიერთ ისტორიულ მოვლენასაც აზუსტებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბუვეიჰიანთა დირჰემი (შირაზი, ჰ. 360 წ.). ამ დინასტიის მონეტებს საქართველოში ძალიან იშვიათად პოულობენ. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი ამგვარი მონეტა 1857 წლის ბორჩალოს განძის შემადგენლობაში.¹⁷⁸ გარდა ამისა, ბუვეიჰიანთა მონეტებს ნახულობდნენ სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც - ნახჭევნის მიდამოებში (19 მონეტა შედარებით მსხვილი, 525-გრამიანი განძის შემადგენლობაში¹⁷⁹), და მასსალის რაიონში, თანამედროვე აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთში, კასპიის ზღვის სანაპიროზე - 2 განძის შემადგენლობაში: ერთი შედგებოდა 61 მონეტისგან (აქედან 12 ბუვეიჰიანთა), და მეორე კი დაახლოებით 300 მონეტისგან (აქედან 56 ბუვეიჰიანთა).¹⁸⁰ ჩვენს მიერ გამოქვეყნებული მონეტა, საფიქრებელია, დღეისთვის ბუვეიჰიანთა სამფლობელოებიდან გასული მათი საფასის სამხრეთ კავკასიაში პოვნის ყველაზე დაშორებული წერტილია.

მეტად საინტერესოა 'აბასიანთა დირჰემის მინაბადი (მონეტა №17), რომელზედაც მითითებულია ზარაფხანა „მადინათ ას-სალამი“ და თარიღი ჰ. „3(2)2“ წელი. საქართველოს ტერიტორიაზე ამ მონეტის პოვნის ფაქტი თეორიულად შესაძლოა ასახავდეს ქუფური დირჰემების მინაბადების გამოშვებას სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზედაც.

¹⁷⁷ Cf. Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia*, vol. 1, *Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD)*, 75.

¹⁷⁸ Пахомов, "Монетные клады Азербайджана и Закавказья", 48, №88.

¹⁷⁹ Пахомов Евгений. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск III (Баку: Издательство АзФАН, 1940), 39-42, №826.

¹⁸⁰ Пахомов Евгений. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск IX (Баку: Издательство Академии Наук Азербайджанской ССР, 1966), 34-62, №2106-2107.

ქუფური ფელსების ახალი აღმოჩენები

საქართველოს არაბთა მიერ დაპყრობას ბუნებრივია თან ახლდა ეკონომიკური კავშირების გაძლიერებაც, რასაც ადასტურებს სახალიფოს სხვადასხვა ადგილას მოჭრილი ქუფური საფასის ეგზემპლარების აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე.¹⁸¹ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საამიროს ტერიტორიაზე სამონეტო მიმოქცევა აქამდე არ ყოფილა ამომწურავად შესწავლილი.¹⁸² ეს განსაკუთრებით მართალია სპილენძის საფასესთან მიმართებაში. აქამდე გამოქვეყნებულა მხოლოდ ცალკეული აღმოჩენები,¹⁸³ მაშინ როდესაც ხელმისაწვდომი მონეტების უმრავლესობა იდენტიფიკაცია-ატრიბუციის გარეშე რჩებოდა.

ადგილობრივი სამონეტო ბაზრის ზოგადი ინტერპრეტაცია ერთგვარად არალოგიკური ჩანდა: ი. ჯალაღანიას მიხედვით, თბილისის ტერიტორიაზე მონეტების მრავალრიცხოვანი აღმოჩენები ასახავდა სპილენძის საფასის აქტიურ მიმოქცევას, და, შესაბამისად, წვრილი ალბ-მიცემობის განვითარებას თბილისში VIII-IX საუკუნეებში; მეორეს მხრივ კი, იმავე ავტორის მიხედვით, საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციების ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფელსების რიცხვი მკვეთრად ჩამოუვარდებოდა იქვე აღმოჩენილი დირჰემების რაოდენობას.¹⁸⁴

საბედნიეროდ, ახალი აღმოჩენები გვამლევს შესაძლებლობას ახლებურად მივუდგეთ თბილისის საამიროში სპილენძის საფასის როლს. ჩვენი მიზანია მტკვრის კალაპოტში (თანამედროვე თბილისის საზღვრებში) 1998-2013 წლებში აღმოჩენილი

¹⁸¹ ცალკეული აღმოჩენები და მთლიანი განმეტი უკვე გამხდარა სამეცნიერო ინტერესის ობიექტი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ირინა ჯალაღანიას შრომები: Джалагания, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв*, 44-57; ჯალაღანია, *ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში*; ჯალაღანია, „ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში“, 69-80.

¹⁸² შეად. Paghava, Turkia, „Circulation of Kufic Dirhams and Dinārs in the Tiflis Emirate (New Monetary Evidence)“.

¹⁸³ Paghava, Turkia, „The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus“; Turkia, Paghava, „The Prolongation of Yazīd b. Usayd’s Reign in the North-West of the Caliphate“.

¹⁸⁴ Джалагания, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв*, 56; ჯალაღანია, „ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში“, 77-78.

ქუფური ფელსების შესწავლა; საქართველოსა და, საზოგადოდ, ამიერკავკასიაში არაბთა სამფლობელოების ეკონომიკური ისტორიისათვის ამ პირველწყაროს მნიშვნელობის დადგენა.

ჩვენი კვლევა ეფუძნება 110 ახალი ფელსის აღმოჩენას, რომელთაგან 42 ექვემდებარება იდენტიფიკაციას.

ეს ნიშნავს საკვლევად ხელმისაწვდომი სამონეტო ბაზის მკვეთრ გაფართოებას. ნუმისმატიკური ლიტერატურის მიხედვით, აქამდე თბილისის საამიროს ტერიტორიაზე ნაპოვნი იყო მხოლოდ 42 ფელსი, აქედან მოხერხდა მხოლოდ 3-ის იდენტიფიკაცია: 32 ფელსი ინახა თბილისის ტერიტორიაზე, 1 იდენტიფიცირებულის ჩათვლით; 6 მცხეთის მახლობლად, 1 იდენტიფიცირებულის ჩათვლით; 2 რუსთავის მიდამოებში; 1 დმანისის მახლობლად; 1 ბოლნისის (იდენტიფიცირებულ იქნა).¹⁸⁵ ახალი, არაიდენტიფიცირებული ფელსებიც რომ ვუგულებელვყოთ, ახალი აღმოჩენების წყალობით თბილისის საამიროში სპილენძის საფასის საკვლევად ხელმისაწვდომი ფელსების რიცხვი 14-ჯერ გაიზარდა (თუ არაიდენტიფიცირებულ ფელსებსაც გავითვალისწინებით, შესასწავლად ხელმისაწვდომი ფელსების რიცხვმა იმატა 2.6-ჯერ).

ყველა ახალი ფელსი მკტვრის კალაპოტიდან მომდინარეობს, თბილისის მონაკვეთიდან. წყლის დონეს მდინარეში რამდენიმე რაზი არეგულირებს. წყლის დონის მერყეობა ზოგჯერ გააშიშვლებს ხოლმე კალაპოტს, რაც როგორც შესაბამისი ჰობის მქონეთ, ასევე საშოვარზე გასულ ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას სვადასხვა არტეფაქტი ეძებონ, ჯართთან ერთად. აღმოჩენები შემდეგ თბილისის ნუმისმატიკურ ბაზარზე ხვდება და კერძო კოლექციების გროვდება.¹⁸⁶ საკვლევი მონეტების ამგვარი წარმომავლობა ორმაგად სახარბიელოა:

პირველ რიგში, ერთი კონკრეტული შემოზღუდული ადგილიდან, ტერიტორიიდან, ცალკეული მონეტების პოვნის ფაქტების ერთმანეთთან შეპირისპირება და ერთობლიობაში განხილვა იძლევა შესაძლებლობას ადგილობრივი სამონეტო

¹⁸⁵ ჯალაღანია, *ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში*, 5, 7, 12, №№ 7, 12, 32.

¹⁸⁶ საბედნიეროდ, მონეტების ამჟამინდელმა მფლობელებმა დაგვრთეს ნება გავცნობოდიოთ მათ კოლექციებს. ვისარგებლებთ შემთხვევით მადლობა მოვახსენოთ.

მიმოქცევა შევაფასოთ. უფრო მეტიც, ეს ერთობლიობა შეიძლება შევადაროთ ხანგრძლივი დაგროვების განმს (კლასიკური განმების უმრავლესობისგან განსხვავებით, რომელიც წარმოადგენს უფრო მოკლე, და არა ხანგრძლივი დაგროვების პროდუქტს). ამ თვალსაზრისით მტკვრის კალაპოტში აღმოჩენილი ქუფური ფელსები, როგორც ჩანს, ინფორმაციის უებარი წყაროა თბილისში, და, შესაბამისად, საფიქრებელია, მთელს თბილისის საამიროში VIII-IX საუკუნეებში სპილენძის საფასის მიმოქცევის შესახებ.

გარდა ამისა, მეცნიერი არ დგას ეთიკური დილემის წინაშე, როდესაც ამ გზით და ამ წყაროდან მოპოვებულ მონეტებს იკვლევს, და, ამრიგად, ზრდის მათზე მოთხოვნილებას, და, შესაბამისად, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ზემოთ აღნიშნულ საქმიანობასაც ასტიმულირებს - მტკვრის გაშიშვლებული კალაპოტიდან ძველი დროის არტეფაქტების მოპოვებისას *ჩამოყალიბებული* არქეოლოგიური გარემო არ ირღვევა. უფრო მეტიც, შუასაუკუნოვანი თბილისის მოსახლეობისაგან შემორჩენილი ისტორიული არტეფაქტები, რომელიც მდინარის დინებამ თავისი კალაპოტიდან, ანუ ძველი კულტურული ფენებიდან ამორეცხა, მაინც გაყვებოდა წყლის დინებას, გზად დაზიანდებოდა და მეცნიერებისთვის სამუდამოდ დაიკარგებოდა. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღწერილი საქმიანობა, თუნდაც არა პროფესიონალი არქეოლოგების მიერ წარმოებული, მაინც შეიძლება ჩავთვალოთ *არქეოლოგიური მონაცემების გადარჩენად*.

*

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენი კვლევა ეფუძნებოდა შესასწავლდ ხელმისაწვდომი, ახლად აღმოჩენილი (და ინდენტიფიცირებადი) ფელსების, ისევე როგორც ირინე ჯალალანიას მიერ უკვე გაკეთებული ძველი აღმოჩენების ანალიზს. მრავალი, მეტ-ნაკლებად კოროდირებული სპილენძის მონეტის, რომელიც მსხვილ (1.4-1.5-მილიონიან) ურბანულ ცენტრში გამავალი და საკმაოდ დაბინძურებული მდინარიდან გამომდინარეობს, ცუდი შენახულობა ხელს უშლიდა მრავალი ეგზემპლარის ზუსტ ატრიბუციას. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ფელსისთვის უკვე გამოქვეყნებული ამა თუ იმ გრაფიკული ელემენტების გამოყოფამ შეგვადლდებინა ზოგიერთი თუნდაც უკიდურესად გაცვეთილი ფელსის სარწმუნო ატრიბუცია.

ჩვენი აზრით, თბილისის საამიროს ტერიტორიაზე სპილენძის საფასის მიმოქცევის ერთი კონკრეტული შემთხვევის შესწავლა მოგვცემს შესაძლებლობას ვიმსჯელოთ ფელსების ტრიალის თავისებურებებზე ამიერკავკასიის მთელს სამხრეთ / სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში - სახალიფოს ადრეულ პერიოდში. ამ უკანასკნელი მიზნის გათვალისწინებით, ჩავატარეთ *შედარებითი ანალიზი*, რომელშიც ჩავრთეთ დვინში (არაბ. დაბილი) ნაპოვნი სპილენძის მონეტებიც (სულ 94 ფელსი).¹⁸⁷ როგორც თბილისისთვის, ასევე დაბილისთვისაც შევისწავლეთ (და შევადარეთ ერთმანეთს) შემდეგი პარამეტრები: განაწილება მმართველი დინასტიის მიხედვით; განაწილება ზარაფხანების მიხედვით (კავკასიური და არაკავკასიური, ცალკეული ზარაფხანების მიხედვით); მმართველი დინასტიის მიხედვით აღმოჩენების განაწილებისას ასევე თბილისში ადრეც აღმოჩენილი ფელსები გავითვალისწინეთ.

ხელმისაწვდომი კოლექციების კვლევამ გამოავლინა 42 იდენტიფიცირებადი ფელსი (გარდა იმ 1-სა, რომელიც ადრეც იყო იდენტიფიცირებული ი. ჯალაღანიას მიერ: ალ-მაჰდის სახელით, ჰ. 166 წ., ზარაფხანის მითითების გარეშე¹⁸⁸). ეს მონეტები თარიღდება დროის შუალედით ჰ. 114-126 წწ. ჰ. 208 წლამდე, და ატარებს 8 განსხვავებული კავკასიური ზარაფხანის სახელს. სია შემდეგნაირია (დასურათების სახით მოყვანილია ყოველი სამონეტო ტიპის მხოლოდ თითო ეგზემპლარი):

ალ-ბაბი: ჰ. 154 წ., ალ-ჰასანის სახელით (სურ. 1.5.46);¹⁸⁹



¹⁸⁷ დაბილსა და მის ჰინტერლანდში ქუფური ფელსების მიმოქცევის შესახებ ცნობები ამოღებული გვაქვს ხაჩატურ მუშეგიანის ნაშრომიდან. Мушегян, *Денежное обращение Двина по нумизматическим данным*, 60-80, 109-112.

¹⁸⁸ ჯალაღანია, „ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში“, 7, № 12.

¹⁸⁹ Пахомов, *Монеты Азербайджана. Вып. I*, 71 (?).

ალ-იაზიდია: ჰ. 150 წ., ანონიმური (სურ. 1.5.47);¹⁹⁰



არრანი: ჰ. 153 წ., ბაქარის სახელით (4 ეგზემპლარი) (სურ. 1.5.48);¹⁹¹



ჰ. 177 წ., ხალიდ ბ. იაზიდის სახელით (4 ეგზემპლარი) (სურ. 1.5.49);¹⁹²



ჰ. 178 წ., მუსა ბ. ისას სახელით (სურ. 1.5.48);¹⁹³



¹⁹⁰ Ibid. С. 66-67.

¹⁹¹ Пахомов, *Монеты Азербайджана. Вып. I*, 69-70.

¹⁹² Евгений Пахомов, *Монеты Азербайджана. Вып. II* (Баку, 1963), 89.

¹⁹³ Ibid. С. 89-90.

პ. 184 წ., ასად ბ. იაზიდის სახელით (2 ეგზემპლარი) (სურ. 1.5.49);¹⁹⁴



პ. 186 წ., მუჰამმად ბ. იაზიდის სახელით (სურ. 1.5.50);¹⁹⁵



ბარდა: პ. 142 წ., იაზიდ ბ. უსაიდის სახელით (2 ეგზემპლარი) (სურ. 1.5.51);¹⁹⁶



პ. 142 წ., იაზიდ ბ. უსაიდის სახელით (განსხვავებული ტიპი) (სურ. 1.5.52);¹⁹⁷



¹⁹⁴ Ibid. C. 95.

¹⁹⁵ Пахомов, *Монеты Азербайджана. Вып. II*, 98.

¹⁹⁶ Пахомов, *Монеты Азербайджана. Вып. I*, 61.

¹⁹⁷ Ibid.: 60-61.

პ. 158 წ., ალ-ჰასანის სახელით (2 ეგზემპლარი) (სურ. 1.5.53);¹⁹⁸



პ. 159 წ., იაზიდ ბ. უსაიდის სახელით (5 ეგზემპლარი) (სურ. 1.5.54);¹⁹⁹



თბილისი: დაუთარილებელი, მარუან ბ. მუჰამმადის სახელით (სურ. 1.5.55);²⁰⁰



არმინია: დაუთარილებელი, იაზიდ ბ. უსაიდის სახელით (სურ. 1.5.56);²⁰¹

¹⁹⁸ Ibid.: 72-73.

¹⁹⁹ Пахомов, *Монеты Азербайджана. Вып. I*, 73-74.

²⁰⁰ Paghava, Turkia, "The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus"; Schindel, "Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II. b. Muhammad from the Caucasus – Additional Comments".

²⁰¹ Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia, vol. 1, Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD)*, 104, № 232.



დაბილი: ჰ. 159 წ., იაზიდ ბ. უსაიდის სახელით (სურ. 1.5.57);²⁰²



ჰ. 187 წ., მუჰამმად ბ. იაზიდის სახელით (სურ. 1.5.58); როგორც ჩანს, ეს არის ამ მმართველის სახელის მატარებელი ახალი, აქამდე უცნობი სამონეტო ტიპი. ჩანს ზარაფხანის სახელის აღმნიშვნელი სიტყვის მხოლოდ ბოლო გრაფემა, რომელიც უფრო დაბილის კ-ს გავს, ვიდრე არრანის კ-ს. მონეტა შემდეგნაირია:



შუბლი: ცენტრალური ლეგენდა

لا اله الا

الله وحده

لا شريك له

კიდევები გაცვეთილია - წრიული ზედწერილი გარეშე?

ზურგი: ცენტრალური ლეგენდა

مما امر به

²⁰² Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia*, vol. 1, *Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD)*, 112, № 252.

الامير محمد

بن يزيد

اماد (?)

بسم الله ... ل. سنة سبع و ثمانين و مئة

წრიული ლეგენდა ზ. მუჰამადის სახელით (სურ. 1.5.59),²⁰³



ალ-ჰარუნია: ზ. 169 წ., ხუზაიმა ბ. ხაზიმი (4 ეგზემპლარი) (სურ. 1.5.60);²⁰⁴



მოჭრის ადგილის სახელის მითითების გარეშე. ზ. 164 წ., იაზიდ ბ. უსაიდი (5 ეგზემპლარი) (სურ. 1.5.61);²⁰⁵



²⁰³ Мүшегян, *Денежное обращение Двина по нумизматическим данным*, 75, № 69.

²⁰⁴ Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia*, vol. 1, *Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD)*, 115, № 259.

²⁰⁵ Turkia, Paghava, "The Prolongation of Yazīd b. Usayd's Reign in the North-West of the Caliphate".

ჰ. 208 წ., ისა ალ-მამუნისა და მუჰამმად ბ. სალამის სახელებით (3 ეგზემპლარი)
(სურ. 1.5.62),²⁰⁶



გადაცვეთილი მოჭრის ადგილის აღნიშვნით (არრანი?), გადაცვეთილი თარიღით
(ჰ. 193 წ.): ალ-აბბას ბ. ზუფარის სახელით (სურ. 1.5.63) - ეს შეიძლება იყოს ჰ. 193 წელს
არრანში მოჭრილი ფელსი ალ-აბბას ბ. ზუფარის სახელით,²⁰⁷ თუმცა, შუბლის მე-3 ხაზის
ქვე მითითებული სახელი არის 'ადლი, და არა რაღაც სახელი, როგორც ამას წერდა
ევგენი პახომოვი. შესაძლებელია, ესეც ახალი ტიპი იყოს.



*

როდესაც ვსწავლობდით ფელსების განაწილებას მმართველი დინასტიის
მიხედვით, გავითვალისწინეთ ასევე ის 32 ფელსი, რომელიც ძველი თბილისის
ტერიტორიაზე ადრეც იპოვეს და გამოაქვეყნეს, და ან ომაიანებს, ან 'აბასიანებს
მიაკუთვნეს; ამას, ბუნებრივია, უნდა მიემატოს 110 ახლად აღმოჩენილი ფელსიც (სულ
142 გამოდის). ამ რიცხვიდან (გვიან-)ომაიანურ პერიოდს მიეკუთვნება მხოლოდ 5
(მურვან ბ. მუჰამმადის სახელიანი მონეტის ჩათვლით), ანუ, 3.5 %. ყველა დანარჩენი
(96.5%) 'აბასიანური ფელსია. დაბილში ნაპოვნ სპილენძის მონეტათა შორის ამ
დინასტიის საფასე აგრეთვე უმრავლესობას შეადგენდა, თუმცა კი, ნაკლებად
გამოხატულს (82 ფელსი 94-დან, ანუ 87.2%).


²⁰⁶ Пахомов, Монеты Азербайджана. Вып. II, 117.

²⁰⁷ Пахомов, Монеты Азербайджана. Вып. II, 107-108.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი და მოჭრის ადგილის სახელის მატარებელი ფელსების აბსოლუტური უმრავლესობა ($n = 34$, აქედან 33 ახალი აღმოჩენებიდან და 1 ადრე გამოქვეყნებული ფელსი) გამოშვებულია ერთ-ერთ ზემოთ ჩამოთვლილ კავკასიურ ზარაფხანაში. კავკასიაში არ იყო მოჭრილი მხოლოდ 1 ფელსი 34-დან (3.0%). დაბილის შემთხვევაში შეფარდება ამის მსგავსი იყო; ვიცით მხოლოდ 1, საფიქრებელია, ჰ. 166 წელს მადინათ ას-სალამში მოჭრილი ფელსის შესახებ, შესაბამისად, შეფარდება შეადგენს 1 ფელსს 43-დან (2.3%).

ზარაფხანების / მოჭრის ადგილების განაწილების თვალსაზრისით, არრანის ზარაფხანაში მოჭრილი ფელსები ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო თბილისში ნაპოვნ იდენტიფიცირებად მონეტებს შორის (იმ ფელსების ჩათვლით, რომელზედაც არც იყო მითითებული მოჭრის ადგილი) - 12 მონეტა 43-დან (ერთი ადრეც აღმოჩენილი მონეტის ჩათვლით) (27.9%); არრანის ზარაფხანის ნაწარმი საკმაოდ ხშირი იყო დაბილის აღმოჩენებს შორისაც - 11 ცალი 43-დან (25.6%); ბარდის ზარაფხანა თითქმის თანაბარი სიხშირით იყო წარმოდგენილი როგორც თბილისის, ასევე დვინის აღმოჩენებში - შესაბამისად 10 / 43 (23.3%) და 7 / 43 (16.3%); გასაგებია, რომ არმინიაში მოჭრილი ფელსები თბილისისთვის უფრო იშვიათი აღმოჩენა იყო, ვიდრე დაბილისთვის: შესაბამისად 1 მონეტა 43-დან (2.3%) და 5 ცალი 43-დან (1.6%); დაბილში მოჭრილ ფელსებს დვინში, ბუნებრივია, დიდი რაოდენობით პოულობდნენ - 19 ფელსი 43-დან (44.2%), მაშინ როდესაც თბილისისთვის ეს იშვიათი აღმოჩენა იყო - 3 მონეტა 43-დან (7.0%); საინტერესოა, რომ თბილისში აღმოჩენილ ფელსებში *ერთადერთი* ატარებდა თბილისის სახელს - 43-დან (2.3%), დვინში კი თბილისის ფელსი აღმოჩენილი აქამდე მაინც არ ყოფილა (0%); მეორეს მხრივ, თბილისში აღმოჩენილი ფელსებიდან 9-ზე (43-დან) მოჭრის ადგილი არ იყო მითითებული (20.9%), მაშინ როდესაც დვინის აღმოჩენებში ასეთი მონეტები, როგორც ჩანს, საერთოდ არ იყო (?) (0%); ალ-ბაბის, ალ-იაზიდისა და ალ-ჰარუნის ზარაფხანები წარმოდგენილი იყო მხოლოდ თბილისის აღმოჩენებში: შესაბამისად 1 (2.3%), 1 (2.3%) და 4 (9.3%) ფელსი 43-დან. მონაცემები წარმოდგენილია ჰისტოგრამის სახით (ჰისტოგრამა 1.5.4).

ჰისტოგრამა 1.5.4. ფელსები თბილისისა და დვინის აღმოჩენებიდან. განაწილება ზარაფხანების მიხედვით



თავი 2. ქრისტიანული რეკონკისტა და საქართველოს გაერთიანება

ქვეთავი 2.1. ქართულ-ბიზანტიური საფასე

ახალი ეგ ზემპლარები

XI საუკუნის ქართველი (დასავლეთ საქართველოს) მეფეების სამონეტო გამოშვებები ქართველი მონარქის სახელით და მისი ქართული და ბიზანტიური

ტიტულებით (ქართულ ენაზე და ასომთავრულით) შუბლზე,²⁰⁸ და ღვთისმშობლის გამოსახულებით ზურგზე, წარმოადგენს უკიდურესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების საკვლევად. სამწუხაროა, რომ დღემდე ეს საფასე არ გამხდარა მონოგრაფიული გამოკვლევის საგანი. შემონახული სამონეტო მასალის იშვიათობა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საჯარო თუ კერძო კოლექციებში ინახება 3 მონარქის (ბაგრატ IV, გიორგი II და დავით IV) 8 სხვადასხვა ტიპის საფასის 150 ეგზემპლარამდე.²⁰⁹ მით მეტ მნიშვნელობას იძენს თუნდაც ცალკეული მონეტების პუბლიკაცია, რასაც თავის დროს უთმობდნენ ისეთი ცნობილი მკვლევარებიც, როგორც ევგენი პახომოვი, დავით კაპანაძე, დევიდ ლანგი და სხვები.²¹⁰

ჩვენი მიზანია გამოვაქვეყნოთ გიორგი II-ისა და დავით IV-ის სახელით მოჭრილი აქამდე უცნობი მონეტები.

მონეტა №1. ემიტენტი: გიორგი II, *კესაროსის*²¹¹ ტიტულით:

ინახება ამერიკის ნუმისმატიკური საზოგადოების კოლექციაში, №1966.87.1 (წარმომავლობა უცნობია). გამოსახულება ხელმისაწვდომია საზოგადოების ვებსაიტზე - <http://numismatics.org/collection/1966.87.1>.

შუბლი: წრიული ლეგენდა იწყება 6:15 სთ-ზე: *ჟიჲშჟი ...* *დიჲსტბ*

²⁰⁸ ვეთანხმებით რევაზ ქებულაძეს, რომ შუბლად უნდა მივიჩნიოთ ის მხარე, სადაც ემიტენტია მოხსენიებული, და არა ის მხარე, სადაც ღვთისმშობლის გამოსახულებაა. Кебуладзе, "Клад из села Цихесулори", 106-107.

²⁰⁹ Cf. კაპანაძე, *ქართული ნუმისმატიკა*, 68.

²¹⁰ David Lang, "Notes on Caucasian Numismatics", *Numismatic Chronicle* Sixth Series XVII (1957): 142-143; Paghava, Patsia, "A New Variety of a No-Cross Type Silver Coins of Davit IV of Georgia"; Paghava, "Silver Coinage of David IV the Builder with no Byzantine Title (Attribution, Dating, Significance)"; Капанадзе, "Неизданный вариант грузинской монеты XI века"; Капанадзе, "Новый тип монеты Давида Строителя"; Пахомов, "Неизданные грузинские монеты XI века"; პატარიძე, "ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან"; პატარიძე, "დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან".

²¹¹ თავაძე, "კეისრის ტიტული შუასაუკუნოვან ქართულ პოლიტიკურ რეალობაში", 108-137.

ჟორსტჱ ჰშიდჱ ჴორგჱ [აფხაზთა და ქარ]ტჱჱნტა ჰე-

და გრძელდება ცენტრში:

ფშჱ / ჴჱსჱ / ტღსჱ

-ფე შჱ / ჴჱსჱ- / -ტღსჱ

ზურგი: ღვთისმშობლის გამოსახულება, ბერძნული ასოები არ ჩანს (გაცვეთილია?).

გახვრეტილია 12 სთ-ზე (მონეტას საკიდად იყენებდნენ?²¹² წონა 1.29 გ, კვეთა და სიქების თანაფარდობა უცნობია.

საყურადღებოდ გვეჩვენება, რომ სიტყვა **ჰეჴე** განაწილდა წრიულ და ცენტრალურ ზედწერილებს შორის.²¹³ როგორც ჩანს, ხელოსანმა ლეგენდების ამოკვეთა წრიულიდან დაიწყო, ვერ გაითვალისწინა რომ თავისუფალი სივრცე არ რჩებოდა, მაგრამ მაინც აუცილებლად ჩათვალა თუნდაც დაქარაგმებული სიტყვა ორი თანხმოვნით მაინც გადმოეცა; თუმცა კი, ჩვენთვის ცნობილია ამ ტიტულის მხოლოდ ერთასოიანი დაქარაგმების შემთხვევები.²¹⁴ არ არის გამორიცხული, რომ სიქებს სხვადასხვა ხელოსნები ამზადებდნენ.

*

მონეტა №2. სურ. 2.1.1. ემიტენტი: გიორგი II, კესაროსის ტიტულით:

ინახება კერძო კოლექციაში. ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, ეს მონეტა პირველად (თავდაპირველი წარმომავლობა უცნობია) 1985 წელს (გაიყიდა აუქციონზე - Crédit Suisse Bern sale 4, 1985, lot 855). 2009 წელს მონეტა იყიდებოდა კიდევ ერთ აუქციონზე (Stack, The Golden Horn Collection, Moneta Imperii Romani Byzantini, lot 3461).

²¹² Cf. პატარიძე, "დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან," 297.

²¹³ Cf. Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 69-75.

²¹⁴ Ibid.: 71-73.



შუბლი: წრიული ლეგენდა იწყება 3:15 სთ-ზე:

ჟღერდებიან ... ზეპირად

ქრისტე ღმერთი ქორონიქონისა და ჟაჟიჟიჟი

და გრძელდება ცენტრში:

მეფე / მსჯე / მს

მეფე / -მსჯე- / -მს

ზურგი: ღვთისმშობლის გამოსახულება, ბერძნული ასოების ფრაგმენტები.

ორმაგი დარტყმის კვალი (ამ ჯგუფის საფასურის ამ ტიპის წარმოების წუნი უკვე აღწერილია²¹⁵). „გულის“ ფორმის ნახვრეტი (მონეტას საკიდად ან ხატის შესაწირად იყენებდნენ?), წონა 1.22 გ, კვეთა - უცნობია, სიქების თანაფარდობა 12 სთ.

მეფის აღმნიშვნელი ასოები (**ქ**) ჩანს მხოლოდ ნაწილობრივ, მაგრამ ატრიბუცია ექვს არ იწვევს, ვინაიდან მითითებული *კესაროსის* ბიზანტიური ტიტული, რომელსაც ქართველი მონარქებიდან მხოლოდ გიორგი II ატარებდა.²¹⁶

ყურადღებას იპყრობს *მეფის* ტიტულის საერთოდ, გამოტოვება (თუმცა, მსგავსი რამ ადრეც დაფიქსირებულა²¹⁷). ეს ასევე შეიძლება მომხდარიყო შუბლის სიქაზე გრაფემების არაადეკვატურად განაწილების გამო.

*

²¹⁵ Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 68.

²¹⁶ Cf. თავაძე, "კეისრის ტიტული შუასაუკუნოვან ქართულ პოლიტიკურ რეალობაში."

²¹⁷ Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 70-71.

მონეტა №3. სურ. 2.1.2. ემიტენტი: დავით IV, ჯვრით ცენტრში
ინახება კერძო კოლექციაში საქართველოში.



შუბლი: წრიული ლეგენდა იწყება 5:45 სთ-ზე:

...ქ?ღჴჴ...ტ?ფ?ქ?...ღს?.ჴს?...

ქრისტე? ღმრადი შავით ტეფი დღ სეჴასტოსი?

ცენტრში: ჯვარი კვარცხლბეკზე.

ზურგი: ღვთისმშობლის გამოსახულება, ბერძნული ასოების ფრაგმენტები.

წონა 0.75 გ, კვეთა 24-25 მმ, სიქების თანაფარდობა 11:30 სთ-ზე.

ამ ტიპის მონეტები დიდი იშვიათობაა. 1909 წელს აღმოაჩინეს პირველი ოთხი ეგზემპლარი,²¹⁸ და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მას შემდეგ და აქამდე ამ რაოდენობას მეტი მონეტა არ მიმატებია.²¹⁹

*

მონეტა №4. სურ. 2.1.3. ემიტენტი: დავით IV, ჯვრის გარეშე. თანამედროვე
ნაყალბევი

დაფიქსირდა თბილისის კერძო ნუმიზმატიკურ ბაზარზე 2005-2006 წლებში.

²¹⁸ Пахомов, "Неизданные грузинские монеты XI века."

²¹⁹ Cf. ქებულაძე, "დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები", 45-51.



შუბლი: წრიული ლეგენდა იწყება 2:30 სთ-ზე:

...შაჰ-ჟიშ...

ქრისტე ადიდე? შავიჰ ჰეჟი შა სევასტოსი?

და, საფიქრებელია, გრძელდება ცენტრში, სადაც იკითხება შემდეგი ქართული, ასომთავრული გრაფემები, რომელიც ხაზებს შორის უწესოდ არის განაწილებული:

აჟი / ან / რ

(ასომთავრულში არ არის ასო რ; შესაძლოა მისი საშუალებით გადმოსცეს ასომთავრული **ი** ან **ჲ**; ამ ასოებისგან რაიმე სიტყვა ვერ ეწყობა)

ზურგი: ღვთისმშობლის გამოსახულება, ბერძნული ასოების ფრაგმენტები.

წონა და კვეთა არ არის ცნობილი, სიქების თანაფარდობა დაახლოებით 12 სთ-ზე.

ჩვენი აზრით, ეს ეგზემპლარი წარმოადგენს თანამედროვე გამყალბების ფანტაზიის ნაყოფს, რომელიც დავით აღმაშენებლის ვერცხლის საფასით იყო შთაგონებული. ჩვენი არგუმენტები შემდეგნაირია: შუბლის ცენტრში ფანტასტიკური ლეგენდა (რაც მეტად ატიპიურია ნამდვილი ქართულ-ბიზანტიური მონეტებისთვის); სიქებზე გრაფემების ამოტვიფვრის ტექნიკური თავისებურებები; წრიულ ლეგენდაში გრაფემების განაწილება; მონეტის ზოგადი იერი (სტილი, ზედაპირის ფაქტურა), გაურკვეველი წარმომავლობა, პოვნის ადგილის შესახებ ცნობების არარსებობა. მიუხედავად ამისა, ვთვლით რომ მისი გამოქვეყნება და გათვალისწინება მაინც აუცილებელია.

*

129

წონა 1.06 გ, კვეთა 24.5-24.9 მმ, სიქების თანაფარდობა 6:00 სთ-ზე.

*

მონეტა №6. სურ. 2.1.5. ემიტენტი: დავით IV, ლეგენდით ცენტრში
ინახება კერძო კოლექციაში საქართველოში.



შუბლი: წრიული ლეგენდა იწყება 12:00 სთ-ზე:

ჟი ში ჟი [ჟ]ი

და გრძელდება ცენტრში: როგორც წინა მონეტაზე.

ზურგი: როგორც წინა მონეტაზე.

წონა, კვეთა და სიქების თანაფარდობა უცნობია.

ორივე მონეტის შუბლის ლეგენდების შედარებისას ვღებულობთ შემდეგ
წაკითხვას:

ჟრისტი ჟშიდე შავიჩ ჟეჟი შ? აჟხაჟა

შჟ სჟჟასჟჟს

ეს მონეტები, თუკი ნაღდია, წარმოადგენს ახალ სახესხვაობას (მონეტის შუბლს
ვგულისხმობთ, თუმცა, ზურგის მოსაჭრელადაც გამოყენებული სიქები განსხვავდება იმ
სიქებისგან, რომელიც აქამდე იყო ცნობილი - სხვა სახესხვაობის ეგზემპლარების
მოსაჭრელად იყო გამოყენებული). სხვაობა სახესხვაობებს შორის, ისევე როგორც
შედარება ჯვრიან სამონეტო ტიპთან შეჯამებული გვაქვს ცხრილის სახით (ცხრილი
2.1.1).

ცხრილი 2.1.1. ასომთავრული ლეგენდები დავით აღმაშენებლის ვერცხლის საფასეზე

უჯვრო ტიპი	წრიული ლეგენდა					ცენტრში	
გამოქვეყნდა 1956 წელს ²²¹	[ჩუ]	[ღუ]	შტ	ღფჴნტ	ჴ[ფუ]	შ[ღ]	სუჴსღსნ
ახალი სახესხვაობა ²²²	ჩუ	ღუ	შტ	ჴფუ	შ ფტ	შღ	სუჴსღღ
ჯვრიანი ტიპი ²²³	ჩუ	ღუ	შტ	ჴფუ	შღ სღნ	ჯვრის გამოსახულება	

საინტერესოა, რომ თავის უნიკალურ, ბიზანტიური ტიპის სპილენძის მონეტაზე დავით აღმაშენებელი ასევე მოიხსენიება, როგორც *მეფე აფხაზთა* (და არა *აფხაზთა მეფე*).²²⁴ მეორეს მხრივ, ასო **ღ**, რომლითაც ბოლოვდება სიტყვა *სევასტოსი* ამ ახალი სახესხვაობის მონეტებზე, ქართულ-ბიზანტიური საფასის მრავალ სხვა ეგზემპლარზედაც ასევე ბიზანტიური ტიტულის ბოლოში გვხვდება.²²⁵

იმედს ვიტოვებთ, რომ ამ ეგზემპლარების გამოქვეყნება თავის წვლილს შეიტანს შემორჩენილი სამონეტო მასალის შეგროვებასა და ანალიზში, რაც ქართულ-ბიზანტიური მონეტების სამეცნიერო კატალოგის შექმნის აუცილებელი წინაპირობაა.

დავით IV-ის ვერცხლის საფასე ბიზანტიური ტიტულის გარეშე

დავით IV აღმაშენებლის (1085-1089-1125) პიროვნების მასშტაბი, ისევე როგორც მისი მრავალმხრივი საქმიანობის გამოსავალმა, ისევე, ალბათ, როგორც ამ უკანასკნელის

²²¹ ორივე მონეტა სიქების იმავე წყვილითაა მოჭრილი. კვადრატულ ფრჩხილებში მოქცეული გრაფემები ორივე ეგზემპლარზე გაცვეთილი იყო; აღვადგინეთ იმავე ტიპის სხვა მონეტების ანალოგიით. შეად. Капанაძე, “Новый тип монеты Давида Строителя”.

²²² ორივე მონეტა სიქების იმავე წყვილითაა მოჭრილი.

²²³ შეჯამებული წაკითხვისთვის იხ. სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, 246-249.

²²⁴ კაპანაძე, „ქართული ნუმიზმატიკის სიახლენი“, 64.

²²⁵ სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, 227-245.

შორეულმა შედეგებმა და სტაბილურობამ, ბუნებრივია, მრავალი მკვლევრის ინტერესი მიიზიდა. გამონაკლისს არც ამ დიადი ქართველი მონარქის ზეობის ნუმისმატიკური ასპექტები წარმოადგენს. ბოლო წლებში ინტერესი დავით IV აღმაშენებლის ზეობის ნუმისმატიკური მემკვიდრეობისადმი განსაკუთრებით გაცხოველდა.²²⁶

²²⁶ რამდენადაც ვიცით, 2000 წლის შემდეგ გამოქვეყნდა ან ქვეყნდება 19 ნაშრომი, რომელიც ამ თემას/აც ეხება: მანანა გაბაშვილი, „ქართული ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ურთიერთობა ნუმისმატიკური მასალების მიხედვით (X-XIII სს.)“, *ლოგოსი* IV (2007): 375-381; გიორგი დუნდუა, „დავით აღმაშენებლის სპილენძის იშვიათი მონეტა“, *ისტორიანი*, რედ. ბუბა კუდავა, ბონდო კუპატაძე, გოჩა საითიძე, ჯაბა სამუშია (თბილისი: არტანუჯი, 2009), 194-204; დუნდუა, დუნდუა, *ქართული ნუმისმატიკა. I ნაწილი*; თედო დუნდუა, „გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები. თეოდორე გაბრასი და დავით აღმაშენებელი“, *დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. სპეციალური გამოშვება*. რედ. თედო დუნდუა, დარეჯან თვალთვალაძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ალექსანდრე ბოშიშვილი (თბილისი: მერიდიანი, 2012), 50-69; თედო დუნდუა, *ბიზანტიური პროვინციული ნუმისმატიკა. გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები* (თბილისი, 2011); თედო დუნდუა, *სევასტოსები და მართლმადიდებლური სიმბოლე*. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი (თბილისი, 2003); თავაძე, „სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში“; პატარიძე, „დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან“; სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*; თინათინ ქუთელია, „კიდევ ერთხელ დავით აღმაშენებლის სპილენძის უნიკალური მონეტის შესახებ“, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე* II (47-B) (2010): 270-275; თინათინ ქუთელია, „კიდევ ერთხელ დავით გიორგის ძის მონეტების შესახებ“, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები* 359 (2005): 188-195, 381; ნიკოლოზი ჯავახიშვილი, „მეფე დავით აღმაშენებლის ასახვა ქართულ სახელმწიფო და სამხედრო სიმბოლიკაში (XVIII-XX საუკუნეები)“, *დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. სპეციალური გამოშვება*. რედ. თედო დუნდუა, დარეჯან თვალთვალაძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ალექსანდრე ბოშიშვილი (თბილისი: მერიდიანი, 2012), 107-119; Tedo Dundua, „Review of Georgian Coins with Byzantine Iconography“, *Quaderni ticinesi di numismatica e antichita classiche* Vol. XXIX (2000): 387-396; Paghava, Patsia, „A New Variety of a No-Cross Type Silver Coins of Davit IV of Georgia“; Paghava, Spanderashvili, „Georgian-Byzantine Type Coins of Giorgi II and Davit IV: New Specimens“; Paghava, „The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah“; Paghava, „Silver Coinage of David IV the Builder with no Byzantine Title (Attribution, Dating, Significance)“; Акопян, „К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах“; Тедо Дундуа, Грузинские Монеты X-XII вв. как Исторический Источник (Тбилиси, 2011); შეაღ. ასევე Tsukhishvili, Depeyrot, *History and Coin Finds in Georgia. Late Roman and Byzantine Hoards* (4th-13th c.).

მიუხედავად ამისა, ერთგვარად უგულებელყოფილი და თითქმის მივიწყებული²²⁷ რჩებოდა ერთი მეტად საინტერესო სამონეტო ტიპი, რომელიც აგრეთვე შეიძლება დავით აღმაშენებლისთვის მიგვეწერა; მდგომარეობა მხოლოდ 2011 წელს შეიცვალა, ა. აკოპიანის პუბლიკაციასთან ერთად.²²⁸ თუმცა კი, ვთვლით, რომ ხსენებულმა ავტორმა საკითხი სრულად ვერ ამოწურა; უფრო მეტიც, ვერც ავტორის დასკვნებს დავეთანხმებით. აქედან გამომდინარე, აუცილებლად ჩავთვალებთ ამ თემის ირგვლივ ჩვენი მოსაზრებებიც ჩამოგვეყალიბებინა.

ჩვენი ამოცანაა ჯერჯერობით უნიკალური, ქართულ-ბიზანტიური ტიპის მონეტის განხილვაა, ღვთისმშობლის გამოსახულებით, მაგრამ ბიზანტიური ტიტულის გარეშე; ასევე, ამ მონეტის ლეგენდების ზედწერილებისა და მათი მნიშვნელობის ინტერპრეტაცია.

ეგზემპლარი, რომელიც დღესაც უნიკუმს წარმოადგენს, ინახება გერმანიაში (Staatliche Museen zu Berlin, Münzkabinett, Objektnummer 18232003).²²⁹

მოვიყვანთ მონეტის აღწერილობას²³⁰:

სურ. 2.1.6. წონა 0.51 გ (მონეტა შემოჭრილია და გახვრეტილი), კვეთა 15-16 მმ, სიქების თანაფარდობა 1 სთ-ზე.



შუბლი: წერტილოვანი (?) რკალის შიგნით

²²⁷ თუ არ ჩავთვლით მოკლე შენიშვნას ჯ. სტეფანიძის 1976 წლის სტატიაში. ჯემალ სტეფნაძე, „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“ (თბილისი: მეცნიერება, 1976), 160, სქოლიო 26.

²²⁸ Акопян, “К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах”.

²²⁹ Münzkabinett der Staatlichen Museen zu Berlin, [18232003], The Berlin Münzkabinett Online Catalogue www.smb.museum/ikmk.

²³⁰ Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 75-77, таблица V, №81.

ბქ²³¹

ჩბ

ჩჩ

ზური:

ღვთისმშობლის გამოსახულება წერტილოვანი შარავანდით. შარავანდის მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ასოების ფრაგმენტები.

პრობლემის დაყენება. ღვთისმშობლის გამოსახულებიანი ქართულ-ბიზანტიური საფასის ყველა სხვა ეგზემპლარისგან განსხვავებით, ეს ეგზემპლარი შემოჭრილია, რის გამოც დაკარგულია წრიული ლეგენდები, რომელიც დამახასიათებელია ამ სამონეტო ტიპისთვის, და შეიცავს მმართველი მონარქის სახელს განმადიდებელ ფორმულას (მომავალში მას *სამეფო პროტოკოლს* ვუწოდებთ); ეს უკანასკნელი წრიულ ლეგენდაში იწყება და ცენტრში მთავრდება; შევადაროთ სხვა მონეტებს, სადაც სტანდარტული წრიული ლეგენდება იუწყება: „ქრისტე, ადიდე [მონარქის სახელი], ...თა და ...თა [რამდენიმე ტიტული, რომელიც ქვეშევრდომთა ჯგუფს აღნიშნავს] მეფე“, და შემდეგ ცენტრში ბოლოვდება „და [ბიზანტიური ტიტული]“²³² (შეად. სურ. 2.1.7-2.1.9).



სურ. 2.1.7



სურ. 2.1.8

²³¹ ასომთავრულში ამგვარი - J - გრაფემა არ არის. მისი შესაძლო მნიშვნელობის შესახებ vide infra.

²³² სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, 227-245.



სურ. 2.1.9

დავით აღმაშენებლის ერთი ქართულ-ბიზანტიური სამონეტო ტიპის შემთხვევაში კი ბიზანტიური ტიტული ირგვლივ ლეგენდაში იყო მოყვანილი (*მეფის ქართული ტიტულის გვერდით*), მაშინ როდესაც ცენტი *ჯვარმა* დაიკავა (შეად. სურ. 2.1.10).²³³



სურ. 2.1.10

დავით აღმაშენებლის მონეტებზე ზოგიერთ შემთხვევაში ტიტული „მეფე“ თავსდება სამეფო პროტოკოლის დასაწყისში - „... დავით, მეფე ...თა და ...თა [რამდენიმე ტიტული, რომელიც ქვეშევრდომთა ჯგუფს აღნიშნავს]“²³⁴ (შეად. სურ. 2.1.11).



სურ. 2.1.11

მაგრამ, ამ შემოჭრილი მონეტის შემთხვევაში, მმართველი მონარქის სახელის არარსებობის გამო მონეტის ცალსახა ატრიბუცია გაძნელებული იყო.

ვინაიდან ეს მონეტა, ისევე როგორც ქართულ-ბიზანტიური საფასის სხვა ტიპები, არ იყო დათარიღებული, მოჭრის ქრონოლოგიის დადგენა ასევე კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენდა.

²³³ სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, 246-252.

²³⁴ კაპანაძე, „ქართული ნუმისმატიკის სიახლენი“, 63-64. Cf. Paghava, Patsia, „A New Variety of a No-Cross Type Silver Coins of Davit IV of Georgia“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სამონეტო ტიპი ცნობილია უნიკალური ეგზემპლარით, რომელიც შემოჭრილია. გაურკვეველია, ეს შეგნებულად გაკეთდა (ხელისუფლების მიერ), იქნებ შემცირებულ წონით სტანდარტთან მისადაგების მიზნით, თუ ეს ბოროტმოქმედება იყო, რომლის მიზანიც გარკვეული რაოდენობით დამატებით ძვირფასი ლითონის მიღება იყო.

ამ მონეტის ცენტრში განთავსებულ ასომთავრულ ტექსტს არ გააჩნია ანალოგები სხვა ქართულ-ბიზანტიურ სამონეტო ტიპებს შორის. უფრო მეტიც, მისი მნიშვნელობაც კი გაურკვეველია. პირველი ასოები - „და“ (**ԾԸ**) შეიძლება წარმოადგენდეს *დავითის* სახელის დასაწყისს²³⁵, ანდა კავშირს *და*²³⁶. შემდეგი სამი ასო კი, როგორც ჩანს, წარმოადგენს რაღაც ტიტულს (**ԵԽԺ**), რომელსაც მოყვება კავშირი *და* და კიდევ ერთი ტიტული „ტნთ“ (**ԲԽԺ**). სიმბოლო **Ե** კი, საფიქრებელია, წარმოადგენს ან ასომთავრულ „რ“-ს (**Ի**), რომელსაც აკლია მარჯვენა ჰორიზონტალური ელემენტი, ანდა, რაც ნაკლებ მოსალოდნელია, შებრუნებულ ასომთავრულ „ს“-ს (**Տ**). ეს უკანასკნელი ვერსია პირველად ე. პახომოვმა გააჟღერა. ტიტული უნდა იყოს, შესაბამისად, ან *რანთა* (**ԻԽԺ**), ან *სვანთა* (**ՏԽԺ**)²³⁷. ბოლო ტიტულის - *ტნთ* (**ԲԽԺ**) - ინტერპრეტაცია სამეცნიერო დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. ამაზე *vide infra*.

კვლევის ისტორია. ეს მონეტა პირველად თავადმა მიხაილ ბარათაევმა (ბარათაშვილმა) გამოაქვეყნა, 1844 წელს - იმ დროს მონეტა ამ ქართველი ნუმისმატიკოსი კოლექციონერისა და მკვლევრის პირად კოლექციაში იმყოფებოდა. ავტორმა ეს სამონეტო ტიპი დავით აღმაშენებელს მიაკუთვნა - ვინაიდან, როგორც ჩანს, ერთადერთმა - შუბლის ცენტრალური ლეგენდის პირველი ორი ასო მონარქის სახელის აღნიშვნად ჩათვალა, ხოლო ტიტული კი წაიკითხა როგორც *რანთა და ტაონთა*.²³⁸

²³⁵ Баратаев, *Нумизматические факты грузинского царства*, Разряд II, с. 16-17, №VI.

²³⁶ Langlois, *Numismatique de la Géorgie au moyen âge*, 18; Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 77.

²³⁷ Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 76.

²³⁸ Баратаев, *Нумизматические факты грузинского царства*, Разряд II, с. 15-18, №VI.

მოგვიანებით ეს სამონეტო ტიპი განიხილა მარი ბროსემ,²³⁹ რომელმაც გააკრიტიკა **РНГ** -ს ბარათავესეული წაკითხვა (*ტაონთა*), და (სამართლიანად) შენიშნა,²⁴⁰ რომ ტაოს, ამ ქართული პროვინციის მკვიდრთა აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი *ტაოელი*, და არა *ტაონი*; მანვე შემოგვთავაზა უკანასკნელი ტიტულის რამდენადმე ფანტასტიკური ინტერპრეტაციები - ჰიპოთეზები, რომელთა თანახმად ის უკავშირდებოდა *დარინს* (*ტარინთა?*), *ტარონს*, *ტერუნაკანს*; უფრო მეტიც, მარი ბროსემ, როგორც ჩანს, ეჭვი შეიტანა ბარათავეს ჩანახატშიც კი, და გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ უკანასკნელმა შეცდომა დაუშვა,²⁴¹ და წაიკითხა **РНГ** - **ԿԿԴ**-ს მაგიერ - [*მეფე*] *კახთა* ხომ ქართველი მონარქების ერთ-ერთ სტანდარტულ ტიტულს წარმოადგენდა. უნდა ითქვას, რომ დღეისთვის უკვე ხელმისაწვდომია ამ უნიკალური მონეტის ფოტოგამოსახულება, რომელიც სრულებით გამორიცხავს მარი ბროსეს აღნიშნულ ეჭვს.

ვიქტორ ლანგლუა აღნიშნულ მონეტას ორჯერ შეეხო - ჯერ 1852 წელს²⁴², და ის დავით აღმაშენებელს მიაკუთვნა, მაგრამ თან ცენტრალური ლეგენდის აბსოლუტურად მცდარი აღწერა დაურთო (ასომთავრული ორიგინალური ტექსტიც, მისი მხედრულ ტრანსკრიფციაც და ფრანგული თარგმანიც - სამივეში სხვადასხვა შეცდომა გაეპარა, მაშინ როდესაც თანმხლებ ჩანახატში ლეგენდა სწორად იყო გადმოცემული). ვიქტორ ლანგლუა აღნიშნულ მონეტას 1860 წელს მიუბრუნდა,²⁴³ ამჯერად შეიკავა თავი მისი რომელიმე მონარქისადმი მიკუთვნებისაგან, და გამოთქვა ბრძნული იმედი, რომ ახალი ეგზემპლარის აღმოჩენა - უფრო სრული ლეგენდებით - ხელს შეუწყობდა ამ სამონეტო ტიპის დაზუსტებულ ატრიბუციას.

²³⁹ Brosset, *Revue de la numismatique Géorgienne*.

²⁴⁰ Cf. სიმონი ყაუხჩიშვილი (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით), *ქართლის ცხოვრება, ტომი I* (თბილისი: სახელგამი, 1955), 422; სიმონი ყაუხჩიშვილი (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით), *ქართლის ცხოვრება, ტომი II* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1959). 685.

²⁴¹ Cf. Langlois, *Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'à nos jours*, 43.

²⁴² Langlois, *Numismatique de la Géorgie au moyen âge*, 18, pl. II, #2. პახომოვმა შეცდომით მიუთითა ამ შრომის მე-17 გვერდი. Пахомов, *Монеты Грузии, ч. I*, 75.

²⁴³ Langlois, *Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'à nos jours*, 42-43.

ჟაკ დე მორგანი 1889 წელს შეიზღუდა მხოლოდ აღნიშნული მონეტის ჩანახატის რეპროდუცირებით.²⁴⁴

ევგენი პახომოვმა 1910 წელს²⁴⁵ შეაჯამა თავის წინამორბედთა ჰიპოთეზები, და გააკრიტიკა მარი ბროსეს ვარაუდები - ჩათვალა ისინი ნაკლებ დამაჯერებლად. მანვე მიაქცია ყურადღება ბიზანტიური ტიტულის არარსებობას, და შენიშნა, რომ პირველი ტიტული (შუბლის ცენტრალურ ლეგენდაში) შეიძლება თეორიულად ასევე ყოფილიყო *სვანთა* (თუმცა, როგორც თავად ევგენი პახომოვმაც აღნიშნა, *სვანები* არასდროს ჩანდნენ იმ ეპოქის ქართველ მეფეთა ტიტულატურაში. ე. პახომოვმა (მოვლენებს გავუსწრებთ და დავამატებით - *შეცდომით*) ისიც აღნიშნა, რომ შემონახული ლეგენდები თანაბრად უდგებოდა ყველა ქართველ მონარქს, ბაგრატ IV-დან და დავით IV-ის ჩათვლით; ასევე, რომ სიტყვა *მეფე*, როგორც ჩანს, გამოტოვეს, ვინაიდან ის არ იყო სამეფო ფორმულის ბოლოში (პატივცემულ მკვლევარს მაშინ ჯერ ვერ ეცოდინებოდა, რომ *მეფე* შეიძლება ყოფილიყო სამეფო პროტოკოლის დასაწყისშიც;²⁴⁶ თუმცა კი, ზოგიერ შემთხვევაში ქართულ-ბიზანტიური საფასის ზოგიერთ ეგზემპლარზე ამ ტიტულს ნამდვილად გამოტოვებდნენ²⁴⁷). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ევგენი პახომოვმა გამოაქვეყნა მეტად ღირებული მოსაზრებები ღვთისმშობლის გამოსახულების (დეგრადირებულ) სტილთან დაკავშირებით; იკონოგრაფიის სტილისტური ანალიზის საფუძველზე მან დაათარიღა ის გიორგი II-ის ზეობის მეორე ნახევრით, და ისიც კი ჩათვალა დასაშვებად, რომ მონეტა XII საუკუნის დასაწყისში ყოფილიყო მოჭრილი. არ იქნება უადგილო აქვე აღგვნიშნა, რომ პახომოვმა იცოდა, რომ გიორგი II როდი გადააგდეს ტახტიდან 1089 წელს, არამედ ის (ნომინალურად მაინც) მეფობდა 1112 წელს გარდაცვალებამდე.²⁴⁸ საზოგადოდ, პახომოვმა მოათავსა ეს მონეტა გიორგი II-ესა და დავით IV-ს შორის;

²⁴⁴ Jacques de Morgan, *Mission scientifique au Caucase, Études Archéologiques & Historiques, Tome Deuxième, Recherches sur les origines des peuples du Caucase* (Paris, 1889), 245.

²⁴⁵ Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 75-77.

²⁴⁶ კაპანაძე, „ქართული ნუმისმატიკის სიახლენი“, 63-64. Cf. Paghava, Patsia, „A New Variety of a No-Cross Type Silver Coins of Davit IV of Georgia“.

²⁴⁷ Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 70-71.

²⁴⁸ Ibid., 65.

თუმცა კი, ეს ეგზემპლარი და მისი აღწერილობა მოათავსა და განიხილა თავისი წიგნის იმ განაკვეთში, რომელიც ეხებოდა გიორგი II-ის ზეობის ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას.²⁴⁹

იქნებ ატრიბუციის გაურკვევლობიდან გამომდინარე (და იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ ერთადერთი შემორჩენილი / ცნობილი ეგზემპლარი გერმანიაში ინახებოდა და არა საბჭოთა კავშირში), ქართული ნუმიზმატიკის მკვლევართა შემდგომმა თაობებმა ამ სამონეტო ტიპის სრული იგნორირება მოახდინეს, და გამოტოვეს ის თავის ნაშრომებში.²⁵⁰ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს სამონეტო ტიპი გაითვალისწინა მხოლოდ ჯ. სტეფნაძემ.²⁵¹

და ბოლოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2011 წელს მას შეეხო ალექსანდრე აკოპიანი,²⁵² რომელმაც უარყო ვერსიები - *ტაონთა*, *ტარონთა*, *ტერუნაკანთა* და *დარინთა* მათი არარეალობისა და უმნიშვნელობის საფუძველზე, ბოლო ტიტული წაიკითხა როგორც *ტა[ვ]უშთა*, და მიაკუთვნა ეს სამონეტო ტიპი დავით აღმაშენებელს, „რანთა და ტა[ვ]უშთა მეფეს“. ამ ჰიპოთეზას ქვემოთ განვიხილავთ.

ატრიბუცია და დათარიღება. ჩვენი აზრით, ამ მონეტის დავით აღმაშენებლისადმი ატრიბუცია ეჭვს არ იწვევს. ჩვენი არგუმენტები შემდეგნაირია:

²⁴⁹ იქნებ სწორედ ამიტომ იგნორირებას უკეთებდნენ ამ სამონეტო ტიპს დავით აღმაშენებლის ნუმიზმატიკური ისტორიის მკვლევარები.

²⁵⁰ Cf. დუნდუა, დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი*; თედო დუნდუა, *საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით* (თბილისი: მერიდიანი, 1995); თედო დუნდუა, *ქართული ეთნოკულტურული რევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით* (თბილისი: მერიდიანი, 1997); თედო დუნდუა, „X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, *თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები* 310 (1992): 18-30; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*; სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*; ქებულაძე, "დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები"; Dundua, "Review of Georgian Coins with Byzantine Iconography"; Дундуа, Грузинские Монеты X-XII вв. как Исторический Источник.

²⁵¹ სტეფნაძე, „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“, 160, სქოლიო 26.

²⁵² Акопян, "К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах".

სრულად ვეთანხმებით ე. პახომოვს, რომელმაც ჩათვალა, რომ ამ მონეტისთვის *terminus ante quem non* იყო „გიორგი II-ის ზეობის მეორე ნახევარი“, ან, იქნებ, XII საუკუნის დასაწყისიც კი (სტილისტური დეგრადაციის დამახასიათებელ ნიშნებად მკველვარმა მიუთითა ფიგურის შესრულების ზოგადი სიუხეზე და სქემატურობა, განსაკუთრებით კი ღვთისმშობლის თავსაბურავი, რომელიც უფრო ქუდს წააგავს, ისევე როგორც ტანსაცმლის ნაკეცების გამომსახველი ხაზების სიტლანქე²⁵³). ამგვარად, მონეტა ნამდვილად უნდა მიეკუთვნოს ან გიორგი II-ს, ან დავით IV-ს.

თუმცა კი, მხოლოდ ღვთისმშობლის გამოსახულების ანალიზით შეუძლებელია ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა; აუცილებელი ხდება დამატებითი ინფორმაციის გათვალისწინებაც, რომელიც თავად სამონეტო ტიპმა შემოგვინახა. ვგულისხმობთ შუბლის ცენტრალურ ლეგენდას (წრიული, რომელიც, საფიქრებელია, მონარქის სახელს შეიცავდა, სამწუხაროდ, შემოჭრის მსხვერპლი გახდა).

ცენტრალური ლეგენდა არ შეიცავს ქართველი მონარქის *ბიზანტიურ* ტიტულს, რომელიც ქართულ-ბიზანტიურ საფასეზე ყოველთვის ცენტრალურ ლეგენდაში თავსდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უკანასკნელს ჯვრის გამოსახულება ენაცვლებოდა, ბიზანტიური ტიტული კი ირგვლივ ლეგენდაში გადაინაცვლებდა ხოლმე.²⁵⁴ აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ ამ სამონეტო ტიპზე ბიზანტიური ტიტული საერთოდ არ იყო მითითებული. უფრო მეტიც, ვიცით, რომ დავით აღმაშენებელი იყო ამ ეპოქის ერთადერთი ქართველი მეფე, რომელიც, ერთის მხრივ, უშვებდა ქართულ-ბიზანტიური ტიპის საფასეს ღვთისმშობლის გამოსახულებით, და, ამასთანავე, თავისი პოლიტიკური კარიერის გარკვეულ ეტაპზე უარყო თავისი ბიზანტიური ტიტული, რასაც ადასტურებს მისი ხსენება ამ ტიტულის გარეშე ეპოქის ისეთ მნიშვნელოვან საბუთში, როგორც რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (1104). წყაროს მოწმობა გასნაკუთრებულად სანდოა, თუ

²⁵³ Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 77. ამ არგუმენტისადმი ჯემალ სტეფნაძის მიერ გამოთქმული სკეპტიციზმი უსაფუძვლო და გაუგებარი გვეჩვენება, და მას, ცხადია, არ ვიზიარებთ. სტეფნაძე, „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“, 160, სქოლიო 26.

²⁵⁴ სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, 227-252.

გავითვალისწინებთ, რომ მის მიხედვით, გიორგი II, რომელიც გარდაიცვალა მხოლოდ 1112 წელს, კვლავინდებურად ატარებს თავის ტიტულს *კეისარი*.²⁵⁵ ამგვარად, ბიზანტიური ტიტულის არარსებობა მიუთითებს დავით IV აღმაშენებელზე.

უფრო მეტიც, იმავე რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის მიხედვით, *კახთა და რანთა მეფის* ტიტულს ატარებდა დავით IV, მაგრამ არა მამამისი - გიორგი II.²⁵⁶ დიდი ალბათობით საკვლევ მონეტაზედაც მეფე ატარებს *რანთა მეფის* ტიტულს (*vide infra*). ესეც, მართალია, ირიბად, მიუთითებს დავით IV აღმაშენებელზე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ დავით აღმაშენებლის საფასეზე შეგვხვდრია *მეფის* ტიტული სამეფო პროტოკოლის დასაწყისში, და არა ბოლოში.²⁵⁷

ჩვენი აზრით, პრაქტიკულად უეჭველია, რომ ეს სამონეტო ტიპი დავით IV აღმაშენებელმა გამოუშვა.

*

საბედნიეროდ, გვაქვს შესაძლებლობა, უფრო მეტადაც შევაფიქროვოთ ამ სამონეტო ტიპის ქრონოლოგიური ჩარჩოები. ცენტრალური ლეგენდა იძლევა კიდევ უფრო ზუსტ *terminus ante quem non* -ს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვთვლით, რომ მასში იკითხება ტიტული *[მეფე] რანთა*. ეს უკანასკნელი გულისხმობს სუვერენიტეტს ჰერეთ-კახეთის სამეფოზე. არადა, ცნობილია, თუ როდის მოახდინა დავით IV აღმაშენებელმა ამ ყველაზე აღმოსავლური ქართული პოლიტიკური ერთეულის ანექსია - 1104 წელს.²⁵⁸ აქედან გამომდინარე, ეს სამონეტო ტიპი (ბიზანტიური ტიტულის გარეშე) უნდა გამოეშვათ 1104-1125 წლებში. უფრო მეტიც, ვინაიდან დაახლოებით 1122 წლისთვის დავით IV აღმაშენებელმა დაიწყო მონოეპიგრაფიკული, არაბულენოვანი უწესო ჭედვის

²⁵⁵ ენრიკო გაბიძაშვილი, *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა: ფილოლოგიური-ტექსტოლოგიური გამოკვლევა* (თბილისი: მეცნიერება, 1978).

²⁵⁶ *Ibid.*

²⁵⁷ კაპანაძე, „ქართული ნუმისმატიკის სიახლენი“, 63-64. Cf. Paghava, Patsia, „A New Variety of a No-Cross Type Silver Coins of Davit IV of Georgia“.

²⁵⁸ გოჩა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი: მეცნიერება, 1995), 24-26.

სპილენძის მონეტების გამოშვება,²⁵⁹ ლოგიკურია, ალბათ, ვიგულისხმობ, რომ ეს სამონეტო ტიპი იჭრებოდა 1104-1122 წლებში, საფიქრებელია, ამ პერიოდის უფრო დასაწყისში, ვიდრე ბოლოში.

თუ ბოლო მითითებული ტიტულის ჩვენებული ინტერპრეტაცია (*[მეფე] ტაონთა* - ტაოს მკვიდრთა = „ტაონთა“) მართალია (ამაზე *vide infra*), მაშინ მოჭრის ქრონოლოგია შეიძლება კიდევ დავიწროვდეს - დავით აღმაშენებლის კამპანია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თარიღდება დაახლოებით 1116 წლით²⁶⁰, ასე რომ სამონეტო ტიპი შეიძლება იქნებ 1116-1122 წლებით დათარიღდეს.

ტიტულატურა. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, რთულია იმის უარყოფა, რომ პირველი ტიტული შუბლის ცენტრში არის *[მეფე] რანთა* და არა *სვანთა*. სვანები ამ ეპოქის ქართველ მეფეთა ტიტულატურაში არასდროს ჩანდნენ, მაშინ როდესაც *რანები* - პირიქით - საკმაოდ ხშირად,²⁶¹ და მათი ჩართვა სამეფო ფორმულაში (ხშირად *კახთა* მითითებასთან ერთად, თუმცა ყოველთვის არა²⁶²) მიუთითებდა ჰერეთისა და კახეთის სამეფოს ფლობას (ჰერეთი, *resp.* რანი; ტერმინი უკავშირებდა არრანს - მაგრამ ჩვეულებრივ აღნიშნავდა არა მეტ-ნაკლებად მაჰმადიანურ არრანს,

²⁵⁹ Paghava, “The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah”.

²⁶⁰ მზექალა შანიძე (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო), *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი* (თბილისი: მეცნიერება, 1992), 179-180; ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 31.

²⁶¹ სტეფნაძე, „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“; დავით მუსხელიშვილი, „დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა“, *დავით აღმაშენებელი, სტატიების კრებული*, რედ. როინ მეტრეველი (თბილისი: მეცნიერება, 1990). 66-69.

²⁶² Cf. ვალერი სილოგავა (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა), *ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდალური წარწერები II. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.)* (თბილისი: მეცნიერება, 1980), 54-55.

არამედ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციას).²⁶³ გარდა *რანთა* და *სვანთა* პრინციპულად განსხვავებული სტატუსისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად იგივენაირი შეცდომა, ანუ **ს** -ის ჩანაცვლება **ქ** გრაფემით უკვე დაფიქსირებულია ქართულ-ბიზანტიური საფასისთვის²⁶⁴ (თუმცა კი, ასევე დაფიქსირებულია **ქ** გრაფემის გამოყენება **ს** -ის მაგიერ²⁶⁵). ვფიქრობთ, რომ გრაფემები **ქჩ** უნდა წავიკითხოთ, როგორც **სჩ** და არა როგორც **სჩჩ**.

რაც შეეხება მეორე ტიტულს, ამ გამოცანის ამოხსნა უფრო რთულია. ვეთანხმებით ე. პახომოვსა და ა. აკოპიანს, რომ *დარინის (ტარინის?), ტარონისა და ტერუნაკანის* ვერსიები ნაკლებად არის მოსალოდნელი²⁶⁶ - პირველ რიგში, გამომდინარე იმდროინდელი ქართული მსოფლმხედველობისათვის ამ ტოპონიმების უმნიშვნელობისა და არარელევანტურობიდან.

ამასთან, ა. აკოპიანის ახალი ვერსია (*ტავუშთა*)²⁶⁷ იგივენაირ წინააღმდეგობას აწყდება. მკვლევარმა გაბედული მოსაზრება წარმოთქვა; მისი აზრით, მეორე ტიტულის შუა ასო 180 გრადუსი უნდა დატრიალდეს, ხელოსნის შეცდომის გამოსასწორებლად, რის შედეგადაც ასომთავრული **ჩ** გარდაიქცევა **შ** -დ. ამ გზით ავტორმა მიიღო **ქშჩ** და არა **ქჩჩ**; მას გააკეთა დასკვნა, რომ ამ აკრონიმის ყველაზე მოსალოდნელი განმარტებაა *ტავუშთა* - [მეფე] *ტავუშთა* - „ტავუში ... - უკანასკნელ კვირიკიანთა სამთავრო იმავე სახელის მატარებელი ციხე-სიმაგრის გარშემო ჩრდილოეთ სომხეთში“²⁶⁸.

რა შეიძლება ითქვას ამ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით?

²⁶³ სტეფნაძე, „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“; მუსხელიშვილი, „დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა“, 66-69; Cf. სტეფნაძე, „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“, 157, სქოლიო 4.

²⁶⁴ Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 67. Cf. მსგავს შეცდომას - **ქ** მითითებულია **ჩ** ნაცვლად. Ibid., 64.

²⁶⁵ Ibid., 74.

²⁶⁶ Ibid., 76; Акопян, „К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах“, 19-20.

²⁶⁷ Ibid., 20-21.

²⁶⁸ აღნიშვნის ღირსია, რომ ტავუში მდებარეობდა გარდაბნის, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე - ქართულ პროვინციაში, რომელიც ანექსირებულ იქნა სომხების მიერ X საუკუნეში. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 56.

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ავტორი მოიხსენიებს ქართულ-ბიზანტიური საფასის მრავალ მაგალითს, როდესაც ხელოსანს შეცდომით ქონდა ამოტვიფვრული ესა თუ ის გრაფემა.²⁶⁹ თუმცა კი, ხაზს გავუსმევთ იმ გარემოებას, რომ არ არის ცნობილი გრაფემების 180 გრადუსით შეტრიალების შემთხვევები, მათ უფრო სარკისებურად (რაც სტანდარტული შეცდომაა, ვინაიდან ხელოსნებს ხშირად ავიწყდებოდათ, რომ სიქებზე ყველაფერი ნეგატივში, სარკისებურად უნდა გამოესახათ), ან რაღაც ფრაგმენტის გარეშე გამოსახავდნენ.²⁷⁰ რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამ ეპოქაში ასომთავრული **ჟ**²⁷¹ არ შეესაბამებოდა გადმოტრიალებულ **ჩ**-ს, ვინაიდან მას ერთი დამატებითი ვერტიკალურად ამოწეული ელემენტი გააჩნდა, რასაც ძალიან კარგად კომპიუტერული ფონტის კი გვიჩვენებს. თუ დავუშვებთ, რომ **ჟ**-ის მაგიერ შეედლოთ სიქაზე **ჩ** გამოესახათ, მაშინ ასევე უნდა დავუშვათ, რომ თეორიულდ **ჩ**-ით შეედლოთ ჩაენაცვლებინათ ძალიან ბევრი მეტ-ნაკლებად მსგავსი ასომთავრული გრაფემა, მაგალითად, **ჟ, ზ, ლ, ჟ, ჩ, ლ, ჟ, ჟ**. ამის საფუძველზე კი, სურვილის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება კიდევ ბევრი ჰიპოთეზის აგება - რომელიმე მეტ-ნაკლებად მსგავსი ჟღერადობის ტოპონიმის მოშველიებით. ნებისმიერი ესეთი ჰიპოთეზა დამაჯერებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს აუბავს რაიმე პარალელური მტკიცებულებითი მასალა.

ამ შემთხვევაში კი ისტორიული ფაქტები სწორედ რომ პრაქტიკულად გამორიცხავს ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც ქართულ სამეფო ტიტულატურაში შეიძლება იყოს შესული ტიტული, დაფუძნებული *ტავუშზე/ტაუშზე*. იმდროინდელი ქართველი მემკვიდრის მოწმობით, დავით IV-მ დაიპყრო გაგნი, ტერუნაკალი, [კავ]აზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაკარი (დაახლოებით) 1124 წელს;²⁷²

²⁶⁹ Акопян, “К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах”, 20.

²⁷⁰ Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 64, 67, 74.

²⁷¹ Cf. სილოგავა, *ქართული წარწერების კორპუსი*, 133, 137, 139, 141.

²⁷² შანიძე, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, 196. თარიღი 1124 მიახლოებითია, ვინაიდან, როგორც კარგად არის ცნობილი, დავით აღმაშენებლის ცხოვრების მკვიდრის ტექსტში თარიღები რომელიმე ადრეულმა რედაქტორმა ჩაამატა, და არ არის ავტორისეული. Ibid., 141-143. გამოთქმულია ჰიპოთეზაც, რომ 1124 წლისთვის ჩამოთვლილი მრავალრიცხოვანი სამხედრო ღონისძიებები ესეთ მოკლე ვადაში ვერ

როგორც ვხედავთ, ჩამონათვალში ტავუში არ არის. მართალია, სომეხი მემკვიდრეები ქართული დაპყრობების ამ სიას ამატებენ სხვა დასახლებულ პუნქტებსაც, მათ შორის ტავუშსაც.²⁷³ არ გვაქვს საფუძველი, ექვი შევიტანოთ მათ მოწმობაში; თუმცა კი, აშკარაა, რომ ტავუშის მნიშვნელობა გამარჯვებული ქართველებისათვის ძალიან დაბალი იყო. დავით IV აღმაშენებლის მემკვიდრე, რომელიც თავისი გვირგვინოსანი გმირის სამხედრო კამპანიების შესახებ ჩვეულებრივ საკმაოდ დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის, თავის საკმაოდ გრძელ ქრონიკაში ტავუშს საერთოდ არ ახსენებს.²⁷⁴ უფრო მეტიც, XI-XII საუკუნეების ყველა ქართული ქრონიკა ასევე დუმს ტავუშის შესახებ.²⁷⁵ აბსოლუტურად გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება მოხვედრილიყო სამეფო ტიტულატურაში იმ ტოპონიმიდან გამომდინარე ტიტული, რომელიც იმ ეპოქის ქართული ეროვნული პოლიტიკური თუ კულტურული მსოფლმხედველობის პერიფერიაზედაც კი არ იმყოფებოდა.

უკვე ნაჩვენებია / დადგინდა, რომ ქართველი მეფეები ისაკუთრებდნენ და თავის ტიტულატურაში რთავდნენ მხოლოდ დიდი პოლიტიკური ერთეულებიდან გამომდინარე ტიტულებს, და სამეფო პროტოკოლს მიღმა ტოვებდნენ მცირე ან ვასალური ტიპის ტომებს / ერებს.²⁷⁶ ტავუშს, რომელიც *უფრო მოგვიანებით* წარმოადგენდა გვიან კვირიკიანთა პატარა სამთავროს ორი ციხე-სიმაგრეიდან ერთ-ერთს²⁷⁷ ბუნებრივია არ გააჩნდა ისეთი პოლიტიკური წონა, რომ ის შედარებით

განხორციელდებოდა, და სინამდვილეში ორი წლის - 1123 და 1124 - განმავლობაში წარმოებდა. სოსო მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ - ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ* (თბილისი: სიესტა, 2006), 178-179. სტეფანოს ორბელიანმაც დაპყრობები 1123 წლით დაათარიდა. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 55, სქოლიო 38.

²⁷³ Ibid., 55.

²⁷⁴ Cf. შანიძე, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, 237.

²⁷⁵ Cf. ყაუხჩიშვილი, *ქართლის ცხოვრება, ტომი I*, 422; ყაუხჩიშვილი, *ქართლის ცხოვრება, ტომი II*, 686.

²⁷⁶ სტეფანაძე, „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“, 163; მუსხელიშვილი, „დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა“, 69.

²⁷⁷ 1124 წლისთვის ტავუშს კვირიკიანები აღარ ფლობდნენ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 56-57. Cf. ქეთევან ქუთათელაძე, *ქვემო*

სიტყვადუნწ სამეფო ფორმულაში ჩაერთო. მით უფრო, რომ 1124 წლისთვის, როდესაც ის დავით აღმაშენებელმა დაიპყრო, მას კვირიკიანები როდი მართავდნენ (როგორც ამას ა. აკოპიანი თვლის?²⁷⁸): სტეფანოს ორბელიანმა არაორაზროვნად მიუთითა, რომ ციხე *თურქებს* წაართვეს.²⁷⁹

ქრონოლოგიური პარალელი, რომელსაც ავტორი ატარებს „არანის ჩრდილოეთისა“ და „ტავუშის“²⁸⁰ დაპყრობებს შორის, ასევე მცდარია. ა. აკოპიანმა არ გაითვალისწინა, რომ ტიტული *[მეფე] რანთა* გულისხმობდა ჰერეთს, და არ არრანს.

აქედან გამომდინარე, უეჭველია, რომ არ არსებობს არანაირი საფუძველი ეს გაუგებარი ტიტული წავიკითხოთ როგორც *ტავუშთა*.

*

ამასთან, ეს საკითხი გადაუჭრელი რჩება. მაშ რას აღნიშნავდა ამ მონეტაზე მითითებული **ԷԽԻ**?

პირადად ჩვენ ვიხრებით იმ მოსაზრებისკენ, რომ ამ შემთხვევაში მაინც იგულისმება *ტაონთა* (*ტაოს მკვიდრთა*) - დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რამდენად უწიგნურად შეიძლება ჟღერდეს ეს ტერმინი, ის მაინც ყველა უფრო სარწმუნო ვერსიას წარმოადგენს; ან, უკეთ რომ ვთქვათ, ყველაზე ნაკლებდ არასარწმუნოს.

აღარ გავჩერდებით ტაოს (განსხვავებით ყველა სხვა შემოთავაზებული ვერსიისაგან) მნიშვნელობაზე იმდროინდელი ქართული პოლიტიკური / კულტურული აზროვნებისათვის; ამის მაგიერ შევიზღუდებით ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველი კიდევ ერთი, ახალი არგუმენტის მოყვანით: ჩამოთვლილთაგან, ტაო იყო ერთადერთი ტოპონიმი, რომელიც ოდესმე მაინც ფიგურირებდა ქართველ მონარქთა ტიტულატურაში²⁸¹: კაცხის ტამარში ბაგრატ III-ის კარგად ცნობილ ლაპიდარულ

ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია) (თბილისი: მთაწმინდელი, 2001), 138-142.

²⁷⁸ Акопян, “К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах”, 20-21.

²⁷⁹ ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 57.

²⁸⁰ Акопян, “К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах”, 21-22.

²⁸¹ მუსხელიშვილი, „დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა“, 67-68, სქოლიო 10.

წარწერაში *მეფის ტიტულატურაში* ტაო ჩამოთვლილია ქართველთა სხვა მიწებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფების გვერდით; მოვიყვანთ ორიგინალური ასომთავრული ზედწერილის მხედრულ ტრანსკრიფციას (კვადრატული ფრჩხილები აღნიშნავს რეკონსტრუირებულ ფრაგმენტებს, მაშინ როდესაც მრგვალ ფრჩხილებში მოქცეულია აღდგენილი შემოკლებები):²⁸²

„წ(მიდა)ო ს(ა)მ(ე)ბ(ა), ა(დი)დე შ(ე)ნ მ(ი)ერ დამყ(ა)რ(ე)ბ(უ)ლი ბ(ა)გრ(ა)ტ აფ[ხ](ა)ზთ[ა] [და] [ქ(ა)რთ]ვ(ე)ლთა მ(ე)ფე, ტაო(ა)სა, და რანთა, კ(ა)ხთა და ყ(ოვ)ლისა აღმ(ო)ს(ა)ვ(ა)ლისა დ(ი)დი კ(უ)რ(ა)პ(ალა)ტი“.

ტექსტის ინტერპრეტაცია ორნაირად შეიძლება - წარწერაში წმინდა სამებისადმი მიმართვაა - განადიდოს

- ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, [მეფე] ტაოსა და რანთა, კახთა; და ასევე ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კუროპალატი; ანდა
- ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე; ტაოსა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კუროპალატი;

ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, აქაც *ტაო* და *რანი* გვერდიგვერდ არის აღნიშნული.

როგორც უკვე აღნიშნა ე. პახომოვმა,²⁸³ ამ შემოჭრილ მონეტაზე მითითებული ტიტულატურა მეტად ღირსშესანიშნავია, ვინაიდან არ მოიცავს ბიზანტიურ ტიტულს, რომელიც ესოდენ ტიპიური იყო ქართულ-ბიზანტიური სამონეტო სერიებისათვის. ამ შემთხვევაშიც ვერ დავეთანხმებით ა. აკოპიანის ნაშრომს. ავტორმა სცადა აეხსნა ბიზანტიური ტიტულის გამოტოვება ქართულ-ბიზანტიური კავშირების შეკვეცით.²⁸⁴ მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ბიზანტიური ტიტულის უარყოფა (და მეფე თანმიმდევრულად რამდენიმე მათგანს ფლობდა²⁸⁵) მონარქის

²⁸² სილოგავა, *ქართული წარწერების კორპუსი*, 55-56.

²⁸³ Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, 77.

²⁸⁴ Акопян, “К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах”, 20.

²⁸⁵ სტეფნაძე, „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“, 161; სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, 249-252.

პრინციპული გადაწყვეტილება იყო,²⁸⁶ რომლის ძალითაც, საფიქრებელია, გამოაცალა საკუთარი თავი და თავისი სამეფო ბიზანტიურ იერარქიას, ბიზანტიის მიერ დომინირებულ პოლიტიკურ (ასევე, გარკვეულწილად, კულტურულ) ოიკუმენეს. დავით აღმაშენებლის პრინციპულ პოზიციას ხაზს უსვამს მამამისის, გიორგი II-ის გადაწყვეტილება, შეინარჩუნოს *კეისრის* ბიზანტიური ტიტული, რასაც ადასტურებს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა.²⁸⁷ მეორეს მხრივ კი, კავშირები ბიზანტიასთან კვლავინდებურად საკმაოდ ინტენსიური იყო, რასაც ადასტურებს დავით აღმაშენებლის გადაწყვეტილება, თავისი ქალიშვილი კატა კონსტანტინეპოლში გაეთხოვებინა.²⁸⁸

შეჯამება. ჯერჯერობით უნიკალური მონეტით წარმოდგენილ ზემოთ განხილულ სამონეტო ტიპს მივაკუთვნებთ დავით IV აღმაშენებელს - ტიტულატურისა და იკონოგრაფიული სტილის ანალიზის საფუძველზე. ამგვარად, ეს მონეტა წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ვერცხლის საფასის *მესამე ტიპს*, რაც დამატებით ინფორმაციას გვაწვდის თანადროული ქართული ადმინისტრაციის სამონეტო პილიტიკაზე.

ეს სამონეტო ტიპი აღსანიშნავია იმით, რომ მასზე არ არის მითითებული ქართველი მონარქის ბიზანტიური ტიტული, რომელიც უკლებლივ გვხვდება ქართულ-ბიზანტიური საფასის ყველა დანარჩენ გამოშვებაზე. ეს არის დავით აღმაშენებლის პირადი გადაწყვეტილების სამონეტო ილუსტრაცია - უარყო ბიზანტიური ტიტული, და ამგვარად გამოეცალა თავისი თავი და თავისი სამეფო ბიზანტიურ ორიენტაციასა და ბიზანტიის დომინირების პრიმატზე დამყარებული იდეოლოგიური დისკურსიდან; ის, ჩვენი აზრით, ასევე ასახავს ქართული სამეფო კარის მიმდინარე ორიენტალიზაციას.

შუბლის ცენტრში მითითებული ტიტულებია *მეფე რანთა* და *[ტაონთა?]*. ჩვენი დასკვნა მეორე ტიტულთან დაკავშირებით საკამათოა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ბევრად

²⁸⁶ სტეფნაძე, „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“, 161.

²⁸⁷ გაბიძაშვილი, *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა*.

²⁸⁸ როინ მეტრეველი, *დავით აღმაშენებელი* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1990); შანიძე, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, 180.

უფრო სარწმუნოა, ვიდრე ყველა სხვა შემოთავაზებული ჰიპოთეზა. ამას ადასტურებს კაცხის ლაპიდარული წარწერა, რომელშიც ტაო ასევე ფიგურირებს ქართველი მონარქის ტიტულატურაში. თუ ჩვენი ჰიპოთეზა მართალია, მაშინ ჩვენს წინაშეა საქართველოს მეფის სამეფო პროტოკოლში ქართული პროვინცია ტაოს ხსენების მეორე შემთხვევა.

ტიტული *[მეფე] რანთა* მიუთითებს იმაზე, რომ ეს სამონეტო ტიპი მოიჭრა 1104 წლის შემდგომ, როდესაც დავით აღმაშენებელმა მოახდინა ჰერეთისა და კახეთის სამეფოს ანექსია; სამონეტო ტიპს, საფიქრებელია ვერ გამოუშვებდნენ 1122 წელს თბილისის აღების შემდეგ. შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ვერცხლის საფასის მოჭრას ქართული ხელისუფლება ახორციელებდა ადრეულ XII საუკუნეშიც კი, მიუხედავად მიმდინარე *ვერცხლის კრიზისისა*.

ვინაიდან ჩვენთვის ხელმისაწვდომია დავით აღმაშენებლის ვერცხლის საფასის მესამე ტიპის ერთადერთი ეგზემპლარი, ამ ეტაპზე ვერ ვაზუსტებთ, ის ხელისუფლების ბრძანებით შემოჭრეს (იქნებ მიმოქცევაში მყოფი ვერცხლის საფასის წონითი სტანდარტის შესაცვლელად), თუ არა.

იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი ეგზემპლარების აღმოჩენები მეტ შუქს მოჰფენს ქართული ნუმიზმატიკური ისტორიის ამ ფურცელს.

ქვეთავი 2.2. დავით აღმაშენებლის სამონეტო რეფორმა

კვლევის ისტორია. არაბ ლიტერატორს, ალ-ფარიკის, რომელსაც საქართველოშიც უცხოვრია (დემეტრე I-ის მდივნად²⁸⁹ უმუშავია ჰ. 548-459 წლებში / 1153-1154)²⁹⁰ დაუტოვია მეტად საინტერესო მოწმობა, რომლის თანახმადაც დავით აღმაშენებელმა (ახალდაპყრობილი) თბილისის მაჰმადიანი მოსახლეებისათვის მოჭრა „დირჰემები“,

²⁸⁹ ესეც ისლამის სამყაროსთან კავშირების ახალ საფეხურზე ასვლის კიდევ ერთი მაგალითი. Cf. Minorsky, “Caucasica in the History of Mayyāfāriqīn”, 31.

²⁹⁰ Ibid.; ეთერ სიხარულიძე, „ალ-ფარიკის ცნობა დემეტრე I-ის გარდაცვალების შესახებ“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* II (1999): 15.

რომელთა ცალ მხარეს იყო მითითებული სულთნისა და ხალიფის სახელები, მეორე მხარეს კი - ალლაჰისა და მისი მოციქულის სახელები, მაშინ როდესაც თავად მეფის საკუთარი სახელი მხოლოდ მონეტის კიდეში იყო მოქცეული.²⁹¹

სათანადო ნარატიული ცნობის საწინააღმდეგოდ, თავად ამგვარი მონეტები არსად ჩანდა. არ იყო ცნობილი არა მარტო აღწერილის ზუსტი შესატყვისები, არამედ, საერთოდ, ისეთი არაბულენოვანი მონეტა, რომელსაც მეტ-ნაკლები სარწმუნოებით დავით IV აღმაშენებელს მივაკუთვნებდით.

ალ-ფარიკის აღწერილად ზოგიერთი მკვლევარი²⁹² შემდეგ მონეტას მიიჩნევდა:

შუბლი: გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულება, ასომთავრული ინიციალებით **Մ** ან **ԾԻ** (დავით).

ზურგი:

ملك الملوك
حسام المسيح
داود بن كيوركس

სავსებით ვეთანხმებით იმ ნუმიზმატებს, ვინც ეს სამონეტო ტიპი დავით VI გიორგის ძეს (1247-1270) მიაწერა,²⁹³ დავით აღმაშენებლის შთამომავალს, რომელის

²⁹¹ Minorsky, "Caucasica in the History of Mayyāfāriqīn", 33-34.

სიბტ ბ. ალ-ჯაუზიმ, XIII საუკუნის I ნახევრის კომპილატორი, ასევე შეეხო ამ საქმიანობას, და დირჰემებთან ერთად დინარებიც ახსენა. ოთარ ცქიტიშვილი, „სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ“, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, შრომები* 118 (1967): 204-205. თუმცა კი, ეს ინფორმაცია უდიდესი ალბათობით, ალ-ფარიკისგან მომდინარეობს, და ამ უკანასკნელის პირველადი ცნობის მხატვრული გადამუშავების ნაყოფია; არ გვგონია, რომ ოქროს მონეტაც (დინარებიც) მოჭრილა.

უფრო მეტიც, ის დირჰემებიც კი, რომელსაც ახსენებს ალ-ფარიკი, როგორც ჩანს, წარმოადგენდა უწესო ჭედვის სპილენძის საფასეს - ირაკლი ფაღავას მიერ უკვე პოსტულირებულია, რომ *დრამა* - დირჰემის ქართული ექვივალენტი, თავდაპირველად სწორედ რომ უწესო ჭედვის სპილენძის საფასეს აღნიშნავდა. ფაღავა, „ჯავახთ უფლის მონეტები - კომპლექსური ანალიზი“, 324-327. ალ-ფარიკის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია ადასტურებს ამ მოსაზრებას.

²⁹² Давид Капанадзе, "Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия", *Эпиграфика Востока* XII (1958): 39-47. Cf. ქუთელია, „კიდევე ერთხელ დავით გიორგის ძის მონეტების შესახებ“.

ტახტზე თავისი დიადი წინაპრის გარდაცვალებიდან დაახლოებით 170 წელიწადში ავიდა: ამის სასარგებლოდ მეტყველებს ზედწერილების კალიგრაფიული სტილი - ნასხი, იკონოგრაფია (მხედრის გამოსახულება),²⁹⁴ მონეტის მოჭრის ტექნიკა (ნამზადების ერთგვაროვნება, მათ მისაღებად გამოყენებული ტექნოლოგია) - ეს ყველაფერი მიუთითებს მონღოლთა ბატონობის ეპოქაზე, მაშინ როდესაც ამპარტავანი ტიტულების (*მეფე მეფეთა / მახვილი მესიისა*) მითითება არ ეწინააღმდეგება ამ ატრიბუციას, ვინაიდან მონღოლური ადმინისტრაცია ხშირად თავს იკავებდა დამორჩილებული / დაქვემდებარებული პოლიტიკური ერთეულების მიერ საფასის გამოშვების მკაცრად გამკონტროლებისგან.²⁹⁵

ახალმა მონაცემებმა ცხადყო, რომ დავით აღმაშენებელს სულ სხვა ტიპის არაბულენოვანი საფასე გამოუშვია.

მიზნად დავისახეთ, განგვეხილა სპილენძის საფასე არაბული ლეგენდებით, რომელიც მოიჭრა ვინმე *დავითის, მეფეთა მეფისა და მესიის მახვილისა და სელჯუკი სულთნის* სახელით, რომელსაც ადრე დავით V-ის, დავით IV აღმაშენებლის შვილიშვილის ზეობის ნუმისმატიკურ მემკვიდრეობად თვლიდნენ;²⁹⁶ ასევე გაგვეანალიზებინა ამ აღმოჩენის ნუმისმატიკური, და, საზოგადოდ, ისტორიული მნიშვნელობა.

²⁹³ Cf. გოჩა ჯაფარიძე, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები)“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია* 4 (1989): 89-90, სქოლიო 3.

²⁹⁴ Ibid.

²⁹⁵ გოჩა ჯაფარიძემ ივარაუდა, რომ ეს სამონეტო ტიპი დავით გიორგის ძის ანტი-მონღოლური აჯანყების დროს მოიჭრა, 1260-1261 წლებში, რამაც განაპირობა კიდევაც ამპარტავანი ტიტულატურის გაჩენაც. ჯაფარიძე, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები)“, 89-90, სქოლიო 3.

ქართული ნუმისმატიკურ-ანტიკვარული ბაზრის ჩვენს მიერ წარმოებულმა მონიტორინგმა დაგვანახა, რომ ამ მონეტებს საკმაოდ ხშირად პოულობენ, რაც შეიძლება აიხსნებოდეს მათი შედარებით მასიური / დროში გაწელილი ემისიით, რაც ნაკლებად უხდება აჯანყების ჰიპოთეზას.

²⁹⁶ მისი ზეობის ისტორიისათვის იხ. სტეფანაძე ჯემალი. *დემეტრე პირველი* (თბილისი: მეცნიერება, 1990), 19-23; სიხარულიძე, „ალ-ფარიკის ცნობა დემეტრე I-ის გარდაცვალების შესახებ“.

ამ სამონეტო ტიპის აღმოჩენის პრიორიტეტი ევგენი პახომოვს ეკუთვნის, რომელმაც მისი გამოქვეყნება თავის მოსწავლეს - ირინე ჯალაღანიას ანდო.²⁹⁷

ირინა ჯალაღანიამ ეს სამონეტო ტიპი პირველად 1958 წელს გამოაქვეყნა (სურათის გარეშე), და ის შემდეგნაირად აღწერა:²⁹⁸

შუბლი:

ملك...و.²⁹⁹

حسام الم...

داد

ზურგი:

محمد

السلطان...ها.³⁰⁰

ب...و.

მითითებული ტიტულებისა და ეპითეტების, ასევე სახელების (სულთანი ბარქიარუკი, 1094-1105 და მესიის მახვილი, მეფე დავითი) საფუძველზე პატივცემულმა მკვლევარმა ეს მონეტა დავით IV აღმაშენებელს (1089-1125) მიაკუთვნა.³⁰¹ მოგვიანებით, 1979 წელს, მან ეს სამონეტო ტიპი კვლავ იმავე მონარქის საფასედ წარმოადგინა.³⁰²

1064 წელს ის გაკვრით დავით კაპანაძემაც მოიხსენია (თავის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც მონღოლთა პერიოდის ქართულ ნუმისმატიკას ეხებოდა); დ. კაპანაძემ ლეგენდები სხვანაირად თარგმნა, კერძოდ, ასე: „მეფეთა მეფე დავით, მე გიორგისა, მესიის მახვილი“.³⁰³ გაურკვეველია, სად ამოიკითხა დ. კაპანაძემ „მე გიორგისა“ -

²⁹⁷ კაპანაძე, „ქართული ნუმისმატიკის სიახლენი“, 64.

²⁹⁸ Ирина Джалагания, *Из истории монетного дела в Грузии XIII века* (Тбилиси: Издательство АН Грузинской ССР, 1958), 40-41.

²⁹⁹ აღწერილობა მონეტას არ შეესაბამება.

³⁰⁰ რუსული თარგმანით თუ ვიმსჯელებთ, იგულისხმებოდა - المظم.

³⁰¹ Джалагания, *Из истории монетного дела в Грузии XIII века*, 41.

³⁰² Джалагания, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.*, 77-78.

³⁰³ Давид Капанадзе, „Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным“, *Советская археология* 2 (1964): 67, примечание 11; კაპანაძე დ., 1966: 65.

გადმოცემით³⁰⁴, ევგენი პახომოვის კოლექციაში იმყოფებოდა ამ ტიპის 2 ეგზემპლარი, და დ. კაპანაძემაც მოიხსენია ე. პახომოვის კოლექცია,³⁰⁵ მაგრამ არ დააზუსტა - მონეტა თუ მისი ანაბეჭდი de visu შეისწავლა, თუ ე. პახომოვს სიტყვებს დაეყრდნო.

უკანასკნელი უფრო მოსალოდნელია, ვინაიდან 1970 წელს დ. კაპანაძემ გამოთქვა თავისი წუხილი იმის გამო, რომ ეს მონეტა არ უნახავს.³⁰⁶ მკვლევარმა დაამატა, რომ მონეტა უწესო ჭედვის იყო, და ხსენებული დავითი დავით IV აღმაშენებლად ჩათვალა.³⁰⁷

ასე თუ ისე, უკვე 1966 წლისთვის დ. კაპანაძემ უარყო თავისი საწყისი ვერსია, ი. ჯალაღანიას ატრიბუცია მცდარად გამოაცხადა და მონეტა შემდეგნაირად აღწერა (ამჯერად უკვე არაბული ლეგენდების მოყვანით)³⁰⁸:

შუბლი:

...
... سام الم...
... داو

ზურგი: „არაბული ზედწერილიდან მკაფიოდ იკითხება მხოლოდ „სულთან“...“.³⁰⁹

თავდაპირველად დ. კაპანაძემ, როგორც ჩანს, უარყო „სულთან ბარქიარუკის“ წაკითხვა, რომლის მმართველობის წლებიც (1094-1105) ემთხვეოდა დავით აღმაშენებლის ზეობას (1089-1125). მანვე აღნიშნა, რომ, იმის გათვალისწინებით, თუ როდის უშვებდნენ საქართველოში უწესო ჭედვის სპილენძს, თეორიულად, ამ საფასის

³⁰⁴ vide infra.

³⁰⁵ Капанадзе, “Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным”, 67, примечание 11.

³⁰⁶ Давид Капанадзе, “Комментарии к книге Пахомова Е.А. “Монеты Грузии”. Пахомов Евгений. *Монеты Грузии*. (Тбилиси, Мецниереба, 1970), 295.

³⁰⁷ თანდართული არაბული ტექსტი პრაქტიკულად იმეორებდა ი. ჯალაღანიას აღწერილობას. Ibid.

³⁰⁸ კაპანაძე, „ქართული ნუმისმატიკის სიახლენი“, 65.

³⁰⁹ გოჩა ჯაფარიძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ ხელმისაწვდომი გამოსახულება იძლეოდა უფრო სრულად აღწერის საშუალებას. ჯაფარიძე, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები)“, 90-91, სქოლიო 7.

გამოშვება შეეძლო ორ ქართველ მონარქს - ამ დავით IV აღმაშენებელს, ან დავით V დიმიტრის ძეს. აქედან გამომდინარე დ. კაპანაძე შეეწინააღმდეგა ამ საფასის დავით აღმაშენებლისადმი მიკუთვნების კატეგორიულობას³¹⁰ და, როგორც ჩანს, არ გამორიცხავდა, რომ ის დავით V-ს ზეობის დროის მოიქრა.

მიუხედავად ამისა, მოგვიანებით ქართული ნუმისმატიკის პატივცემულმა მკვლევარმა გაიზიარა ი. ჯალაღანიას ატრიბუცია, მათ შორის ლეგენდაში სულთან „ბარქიარუკის“ სახელის ამოკითვა, თუმცა კი, არ იყო ბოლომდე დარწმუნებული, რომ მონეტაზე „მუჰამადი“ იყო მითითებული, და ამ წაკითხვას თავის ორივე შრომაში, რომელიც ამ საკითხს ეხებოდა, კითხვნის ნიშანი დაურთო.³¹¹

ამ სამონეტო ტიპის კვლევაში ახალი ეტაპი უკავშირდება გ. ჯაფარიძის სახელს.³¹² მან პირველმა მიაქცია ყურადღება, რომ შუბლზე წრიული ლეგენდაც იყო (სამწუხაროდ, მეტწილად ვერ მოხვდა სამონეტო ნამზადზე), ისევე, როგორც გაურკვეველი სიმბოლოები შუბლზე ცენტრალური ლეგენდის ლატერალურად („შესაძლოა, არაბული ლეგენდის ფრაგმენტი, ან ორნამენტი“); შენიშნა, რომ ლეგენდების კალიგრაფიული სტილი (ქუფური) ასევე ათარიღებდა ამ ემისიას XII საუკუნით, ისევე როგორც ამას აკეთებდა მონეტის უწესოდ მოჭრის ფაქტი და მითითებული ტიტული (სულთანი), რაც მიუთითებს, რომ მონეტაზე აღნიშნული უცხო მმართველი სწორედ სელჯუკი სულთანი იყო.³¹³

³¹⁰ კაპანაძე, „ქართული ნუმისმატიკის სიახლენი“, 67.

³¹¹ Капанадзе, „Комментарии к книге Пахомова Е.А. “Монеты Грузии”, 294-295.

³¹² პატივცემულმა მკვლევარმა თავისი მოსაზრებები ჯერ ზეპირად მოახსენა. ჯაფარიძე, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები)“, 89, სქოლიო *. შემდგომში კი სამჯერ სტატიის სახით. Ibid.; Гоча Джапаридзе, „Грузинские монеты XII в. с арабскими легендами (медные монеты с именем царя Давида: вопросы атрибуции)“, *Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины* Вып. 4 (1997): 155-161; Джапаридзе Гоча. „Медные монеты грузинского царя Давида 5-го (1155 г.) с арабскими надписями“. *Бартольдские чтения. Тезисы докладов и сообщений* (Москва, 1990), 30.

³¹³ ჯაფარიძე, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები)“, 158-159.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ *ბარქიარუკის* სახელის მითითება (რომლის ზეობის წლებიც იყო 1094-1105) გამორიცხავდა ამ მონეტის ალ-ფარიკის მიერ აღწერილ საფასესთან გაიგივებას (ამ უკანასკნელის გამოსაშვებად terminus ante quem non არის თბილისის აღება 1122 წელს).³¹⁴

სწორედ გ. ჯაფარიძემ ასევე მიაგნო ამ სამონეტო ტიპის ადეკვატური ატრიბუციის გასაღებს: მან მხედველობაში მიიღო არა მარტო ქვედა, არამედ ასევე ზედა ხაზშიც მითითებული სახელები; მან პირველმა შენიშნა³¹⁵, რომ

- ქვედა ხაზში არ იყო მითითებული *ბარქიარუკის* სახელი (მით უფრო, რომ ამ სახელში - **بركيارق** - არ არის *გავი* - **و**), არამედ:

بن محمد . . .

(ე.ი. *მუჰამმადი*) ან *მაჰმუდი*;

- პიროვნება, ვისი სახელიც ზედა ხაზში იყო აღნიშნული³¹⁶ (და რომელიც გ. ჯაფარიძემ ი. ჯალალანიასა და დ. კაპანაძის მსგავსად *მუჰამმადად* წაიკითხა), იყო ქვედა სტრიქონში მითითებული პირის ძე.

ამ დაკვირვებებმა მიიყვანა პატივცემული მკვლევარი იმ დასკვნამდე, რომ ამ სამონეტო ტიპის ზურგზე მითითებული პირი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მუჰამმად ბ. მაჰმუდი, ერაცის (და დასავლეთ ირანის) სელჯუკი სულთანი (1153-1160), ვინაიდან ამგვარი *ისმისა* და *ნასაბის* მქონე სხვა პირი (სელჯუკი სულთანი) არავინ ჩანდა. ერთდერთი დავითი, საქართველოს მეფე, რომლის ზეობაც ემთხვეოდა მუჰამმად ბ. მაჰმუდის მმართველობას, იყო დავით V, ძე დიმიტრი I-სა (როგორც ჩანს, მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში მეფობდა 1155 წელს³¹⁷); ადრე ითვლებოდა, რომ ამ

³¹⁴ Ibid.: 158. Cf. Ibid., 93, სქოლიო 15, სადაც ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 1122 წლამდე დავით აღმაშენებლის არაბულენოვანი საფასის ძიებას აზრი არა აქვს.

³¹⁵ Ibid., 91.

³¹⁶ და რომლის მნიშვნელობაც სხვა მკვლევრებს შეუსწავლელი დარჩათ. Ibid., 91. იქნებ, სწორედ ქვედა სტრიქონში შეცდომით ამოკითხული ბარქიარუკთან მუჰამმადთან დაკავშირების სიძნელიდან გამომდინარე; ისიც არ არის გამორიცხული, რომ ეს *მუჰამმადი* მოციქულად ჩათვალოს.

³¹⁷ სტეფნაძე, *დემეტრე პირველი*, 19-23; სიხარულიძე, „ალ-ფარიკის ცნობა დემეტრე I-ის გარდაცვალების შესახებ“.

უკანასკნელს საკუთარი ფული არ მოუჭრია, განსხვავებით ამ ეპოქის ყველა სხვა მონარქისგან. შესაბამისად, გ. ჯაფარიძემ ეს სამონეტო ტიპი დავით V-ს მიაკუთვნა, და სამონეტო ტიპიც შემდეგნაირად აღადგინა:³¹⁸

შუბლი:

ملك [الملوك]

حسام الم [سيح]

داود

ზურგი:

محمد

السلطان ال [عظم]

بن مد [مود]

გ. ჯაფარიძის ვერსია მიღებულ და რეპროდუცირებულ იქნა შემდგომი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიერ.³¹⁹

მაგრამ ახალი მონაცემები ეწინააღმდეგება ღრმად პატივცემული მკვლევრის დასკვნებსა და იძლევა ამ სამონეტო ტიპის ალტერნატიული ატრიბუციის საშუალებას.

სამონეტო მასალა. პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ ხელმისაწვდომი ნუმიზმატიკური არტეფაქტები, ამ ტიპის ახალი ეგზემპლარების ჩათვლით - ჩვენთვის ხელმისაწვდომია *შვიდი ახალი მონეტა*³²⁰.

³¹⁸ ჯაფარიძე, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები)“, 92-93.

³¹⁹ გაგოშიძე, ანთაძე, ღვაზირიძე, და სხვ., *ფული საქართველოში*, 44-45, №64, 210; დუნდუა, დუნდუა, ჯავახიშვილი, და სხვ., 33, №64.

საკვირველია და გაუგებარი, მაგრამ ქართული ნუმიზმატიკისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ბოლო დროს გამოცემულ დიდტანიან ნაშრომში ეს სამონეტო ტიპი ორჯერ არის აღერილი, ერთი გვერდის გამოტოვებით, ოღონდ სხვადასხვანაირად - ჯერ მიკუთვნებულია დავით IV აღმაშენებლისა და ბარქიარუკისადმი, ხოლო მეორეჯერ კი დავით V და მუჰამმად ბ. მაჰმუდისადმი. დუნდუა, დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*. I ნაწილი, 199-200, 202-203.


³²⁰ მონეტები საქართველოში ინახება, სამ სხვადასხვა კერძო კოლექციაში. მაღლობელნი ვართ მათი მფლობელობის გაწეული დახმარებისათვის.

მაგრამ ახალი ცალების გამოქვეყნებადმე, უპრიანი იქნებოდა ხელახლა აგვედწერა ის ოდესღაც უნიკალურად მიჩნეული ცალიც.

ეგზემპლარი №0: სურ. 2.2.0.

პოვნის ადგილი უცნობია³²¹.

AE, წონა: 6.09 გ, კვეთა: 14-23 მმ, სიქების თანაფარდობა უცნობია.



შუბლი:

... ملك الملو

... سام الم

... دا و

ზურგი:

... محمد³²²

... السلطان ال

... بن صد

ახალი ეგზემპლარები კი შემდეგნაირია:

ეგზემპლარი №1: სურ. 2.2.1.

აღმოჩენილია ახმეტის მუნიციპალიტეტში, დაუზუსტებელ ადგილას.

AE. წონა: 3.54 გ, კვეთა: 16.9-18.9 მმ, სიქების თანაფარდობა: 5:45 სთ-ზე.

³²¹ იქნებ ამ მონეტის წარმომავლობა ეგვიპტის პახომოვის კარტოტეკაში იყოს დაცული, რომელიც ახლა სახელმწიფო ერმიტაჟში ინახება.

³²² რუხი ფერით აღნიშნული გრაფემის ჩვენი წაკითხვა ახლებურია. ადრე მას ყოველთვის დალად (د) მიიჩნევდნენ, სავარაუდოდ, ხელმისაწვდომი ფოტოგამოსახულების მდარე ხარისხიდან გამომდინარე. მაგრამ ვინაიდან ყველა ეგზემპლარი ერთსა და იმავე ტიპს მიეკუთვნება, სხვა ცალებთან შედარება ცხადყოფს, რომ ეს გრაფემა მართლაც ვავია (و).



მონეტა საკმარისად კარგად არის შენახული:

შუბლი:

... ملك

... حسام

داود

?

ვერტიკალურად ორიენტირებული ვინიეტი მარჯვნივ.

ყველაფერი ორმაგი ხაზოვანი საზღვრით არის შემორტყმული?

გეომეტრიული (კუთხოვანი?) ორნამენტაციის ნაკვალევი მარჯვნივ 5 სთ-ზე?

ზურგი:

... 323 محمد

... سلطان ...

... بن محمد

ეგზემპლარი №2. სურ. 2.2.2.

აღმოჩენილია მტკვრის კალაპოტში თბილისის ტერიტორიაზე, დაუზუსტებელ ადგილას.

AE. წონა: 2.50 გ, კვეთა: 11.2-19.6 მმ, სიქების თანაფარდობა: 12:30 სთ-ზე.

³²³ ამ შემთხვევაშიც სხვა ეგზემპლარებთან შედარება ადასტურებს, რომ აქაც ნამდვილად ვავია (𐌆), და არა დალი (𐌇).



მონეტა კარგად არის შენახული:

შუბლი:

... ملك

... سام الم

... او بن كو ...

ზურგი:

...

... سلطان ال ...

... بن مد ...

ხაზოვანი საზღვრის კვალი 5 სთ-ზე.

ეგზემპლარი №3. სურ. 2.2.3.

აღმოჩენილია მტკვრის კალაპოტში თბილისის ტერიტორიაზე, დაუზუსტებელ ადგილას.

AE. წონა: 0.85 გ, კვეთა: 8.6-14.1 მმ, სიქების თანაფარდობა: 7:00 სთ-ზე.



მონეტა ძალიან პატარაა, მაგრამ კარგად არის შენახული, რაც კი ლეგენდა დაეჭიან სამონეტო ნამზადზე, ყველა იკითხება:

შუბლი:

...

... سام الم ...

... و ...

ზურგი:

...

... سلطان ...

... مد ...

ეგზემპლარი №4. სურ. 2.2.4.

აღმოჩენილია დმანისის შემოგარენში, დაუზუსტებელ ადგილას.

AE. წონა: 4.07 გ, კვეთა: 18.3-22.9 მმ, სიქების თანაფარდობა: 10:00 სთ-ზე.



მრავლობითი ინკრუსტაციები და კოროდირებული ადგილები. იკითხება ლეგენდების მხოლოდ პატარა ფრაგმენტები; მონეტა არ იყო გაწმენდილი; ორივე მხარეს სიქა ცენტრს აცდა:

შუბლი:

... ك ...

... المس ...

... بن كو ... د ...

ზურგი:

...

... سلطان ا ...

بن محمد

ხაზოვანი საზღვრის ფრაგმენტი 5-6 სთ-ზე.

ეგზემპლარი №5. სურ. 2.2.5.

აღმოჩენილია ახმეტის მუნიციპალიტეტში, უცნობ ადგილას.

AE. წონა: 5.20 გ, კვეთა: 11.7-25.5 მმ, სიქების თანაფარდობა: 7:00 სთ-ზე.



მონეტა გაცვეთილია, მაგრამ ლეგენდები მაინც საკმარისად კარგად იკითხება:

შუბლი:

... ملك

... حسام

... او. بن ؟

ვერტიკალურად ორიენტირებული ვინიეტი მარჯვენა მხარეს.

ორმაგი ხაზოვანი საზღვრის ფრაგმენტები 1-3 სთ-ზე.

ზურგი:

محمود

... السلطان

...

ორმაგი ხაზოვანი საზღვრის ფრაგმენტები 1-3 სთ-ზე.

მონეტის ფრაგმენტი გადიდებული სახითაც მოგვყავს. სურ. 2.2.5გ.



ეგზემპლარი №6. სურ 2.2.6.

აღმოჩენილია მტკვრის კალაპოტში თბილისის ტერიტორიაზე, დაუზუსტებელ ადგილას.

AE. წონა: 0.91 გ, კვეთა: 8.5-11.0 მმ, სიქების თანაფარდობა: 5:45 სთ-ზე.



მონეტა ძალიან პატარაა, მაგრამ საკმაოდ კარგად არის შენახული, რაც კი ლეგენდა დაეჭვითაა სამონეტო ნაშნადზე, ყველა იკითხება:

შუბლი:

...
...الم...
...ال...

ზურგი:

...
...ان...
...م...

ეგზემპლარი №7. სურ. 2.2.7.

აღმოჩენილია ახმეტის მუნიციპალიტეტში, დაუზუსტებელ ადგილას.

AE. წონა: 9.18 გ, კვეთა: 20.0-21.0 მმ, სიქების თანაფარდობა: 10:30 სთ-ზე.



მონეტა გადაჭედილია. ჩანს მასპინძელი მონეტის დიზაინის ნაწილები, მაგ. წრიული ელემენტები (?), ლეგენდის გაურკვეველი ფრაგმენტებიც კი; მიუხედავად ამისა, მისი დადგენა ვერ ხერხდება. სამაგიეროდ იკითხება ზემოდან დარტყმული ლეგენდების უმრავლესობა:

შუბლი:

...الم...

حسام الم... .

... اواد ...

ზურგი:

مو... .

... لطان الم... .

حم... .

**

არადამაკმაყოფილებელი შენახულობისა და ზოგიერთი უკეთესად შენახული ცალის სიმცირის გამო, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა იმის დადგენა, ამ მონეტების მოსაჭრელად სიქების თუ რამდენი წყვილი გამოიყენეს; თუმცა კი, უეჭველია, რომ ერთზე მეტი.

შვიდივე ახალი ეგზემპლარი (სურ. 2.2.1-2.2.7) წარმოადგენს ე.წ. უწესო ჭედვის სპილენძის საფასეს, რომლის ზომა (კვეთა)-წონაც ფართო ფარგლებში მერყეობს³²⁴ (წონის ფლუქტუაციის დიაპაზონი ამ საფასისათვის, ყველა ცნობილი ცალის მიხედვით, შეადგენს 0.85-9.18 გრამს).

სამონეტო ტიპის რეკონსტრუქცია და რეატრიბუცია. თუ გავითვალისწინებთ ამ სამონეტო ტიპზე მოჭრის თარიღის არარსებობას (თეორიულად შეიძლება დავუშვათ მისი არსებობა წრიულ ლეგენდაში, რომელიც ყველა შემორჩენილ ეგზემპლარზე სამონეტო ნაშადას თითქმის მთლიანად აცდა), სასტარტო წერტილი მისი მოჭრის ქრონოლოგიისა და ემიტენტის დასადგენად არის შემდეგი: სამონეტო ლითონი, სამონეტო ტიპი საზოგადოდ, მეტროლოგიური მონაცემები, ლეგენდები. სამონეტო ლითონი (სპილენძი), ლეგენდების კალიგრაფიული სტილი (ქუფური), მონეტების უწესოდ მოჭრა (წონის, ზომისა და ფორმის თვალსაზრისით), ასევე *სულთნის* ტიტული - ყველა ამ კრიტერიუმის ძალით ყველა მკვლევარმა ეს სამონეტო ტიპი XII საუკუნეს მიაკუთვნა (დასაშვებია ასევე ვიფიქროთ XI საუკუნის II ნახევარზე, ან XIII საუკუნის

³²⁴ Cf. ჯაფარიძე, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები)“, 93-94.

დასაწყისზე); რაც შეეხება ემიტენტს, მოხსენიებული დავუდი (ანუ, დავითი), მესიის მახვილი - ქრისტიანი მონარქი უნდა იყოს, ხოლო ზურგზე მითითებული სულთანი კი - სელჯუკი.

ეს სამონეტო ტიპი საქართველოში (საქართველოს სამეფოში) გამოუშვეს, ვინაიდან ყველა ცნობაში მოყვანილი მონეტა იქაა ნაპოვნი, და ჩვენც ამ პერიოდის ქართველ ბაგრატიონთა შორის 3 დავითს ვიცნობთ - დავით IV-ს, გიორგის ძეს; დავით V-ს, დიმიტრის ძეს, და დავით სოსლანს, თამარ მეფის კონსორტს. ამ ეპოქისთვის ამ სახელის მატარებელ სხვა ქრისტიან მონარქს კი, პირიქით - არ ვიცნობთ. დავით სოსლანი ნაკლებ მოსალოდნელი კანდიდატურაა (მართალია ის მოხსენიებულია თამართან ერთობლივ ემისიებზე, სადაც არაბულ ლეგენდაში მხოლოდ თამარის სახელია³²⁵), მაგრამ XIII საუკუნის დასაწყისისთვის სელჯუკი სულთნები ქართულ მონეტებზე აღარ მიეთითებოდნენ. შესაბამისად, ყუდადღება უფრო დანარჩენ ორ კანდიდატურაზე უნდა გავამახვილოთ.

უკვე განვიხილეთ ჩვენს წინამორბედთა არგუმენტები ზურგზე მითითებული სელჯუკი სულთნის ვინაობასთან დაკავშირებით, და სამონეტო ტიპის ატრიბუციისათვის ამის მნიშვნელობაზე. თავდაპირველად ეს სამონეტო ტიპი დავით IV აღმაშენებელს მიაწერეს, თუმცა კი აშკარად მცდარი არგუმენტების საფუძველზე. მოგვიანებით, განხორციელდა ხსენებული სამონეტო ტიპის რეატრიბუცია და ის დავით V -ს მიეკუთვნა. ჩვენი აზრით ისევ აუცილებელია სამონეტო ტიპის რეატრიბუცია - ჩვენ მას ისევ დავით IV აღმაშენებელს მივაკუთვნებთ, თუმცა კი, პრინციპულად განსხვავებული, შემდეგი არგუმენტების საფუძველზე:

1. თუ გავითვალისწინებთ ზემოთ აღწერილ ახალ ეგზემპლარებს, უეჭველი ხდება, რომ სულთნის ისმი არის მაჰმუდი (محمود), და არა მუჰამმადი (محمد);³²⁶ ერთ-ერთ ახალ ეგზემპლარზე (სურ. 2.2.1) ზურგის ზედა ხაზის ლეგენდის მეოთხე გრაფემა

³²⁵ Пахомов, *Монеты Грузии*, 94.

³²⁶ დავით კაპანაძის სამეცნიერო ინტუიცია და სიფრთხილე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: ერთ-ერთ თავის ნაშრომში, „მუჰამმადის“ წაკითხვისას მან ამ წაკითხვას მაინც კითხვის ნიშანი დაურთო. Капанадзе, „Комментарии к книге Пахомова Е.А. „Монеты Грузии“, 294.

ნაწილობრივ მაინც მოხვდა სამონეტო ნაშადაზე და უფრო ვავს (გ) გავს, ვიდრე დაღს (ა). პრინციპში, დაკვირვებისას, იგივეს თქმა შეიძლება სულ პირველ ეგზემპლარზედაც, ე. პახომოვის კოლექციიდან (სურ. 2.2.0).³²⁷ თუმცა კი, ეს ალბათ არ იქნებოდა საკმარისი საბოლოოდ დასკვნის გამოსატანად, რომ არა კიდევ ორი ეგზემპლარი (სურ. 2.2.5, 2.2.5გ, 2.2.7), რომელზედაც ზურგის ზედა ხაზი თითქმის სრულად არის წარმოდგენილი, და სადაც მარჯვნიდან მეოთხე პოზიციაზე ცალსახად იკითხება ვავი (გ), რომელსაც მარჯვნივ, როგორც ჩანს, კიდევ დალი (ა) მოსდევს. ამგვარად, ზურგის ზედა სტრიქონში ცალსახად იკითხება სახელი მაჰმუდი (ماحمدي).

შესასწავლად ხელიმსაწვდომი რვავე ეგზემპლარი ერთმანეთს იმდენად გავს (ლეგენდებითა და კალიგრაფიით), რომ, ყველა, უეჭველია, ერთსა და იმავე სამონეტო ტიპის მიეკუთვნება, და, შესაბამისად, ერთსა და იგივე ლეგენდებს ატარებს - ანუ სახელს *მაჰმუდი* ზურგის ზედა სტრიქონში. რაც შეეხება ამ პიროვნების *ნასაბს*, ხუთ ეგზემპლარზე ზურგის ქვედა სტრიქონში ჩანს მხოლოდ 2 გრაფემა - ...م (სურ. 2.2.0-2.2.3, 2.2.6), მაშინ როდესაც კიდევ ორ ეგზემპლარზე, როგორც ჩანს, იკითხება ბოლო ასოები - მიმი და დალი (دم), თუმცა კი ცუდად ჩანს (მონეტების ცუდი შენახულობის გამო) (სურ. 2.2.4, 2.2.7). ნებისმიერ შემთხვევაში, ნასაბი ვერ იქნებოდა *მაჰმუდი* (ماحمدي), ვინაიდან სელჯუკი სულთანი *მაჰმუდ ბ. მაჰმუდი* (ماحمود بن ماحمدي) არ არსებობდა. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია *მაჰმუდ ბ. მუჰამმადი* (ماحمود بن محمد), ერაყისა და დასავლეთ ირანის სელჯუკი სულთანი (1118-1131) წლებში. მაგრამ მისი ზეობის წლები არ შეესაბამება დავით V-ის მოკლე მმართველობას (1155); სამაგიეროდ შეესაბამება დავით IV აღმაშენებლის ზეობას (1089-1125).

2. გვაქვს კიდევ ერთი არგუმენტი ამ მონეტის დავით IV აღმაშენებლისადმი მიკუთვნების სასარგებლოდ. ეს არის შუბლის ქვედა სტრიქონის ლეგენდა, რომელიც მოსდევს მონარქის სახელს (დავუდ), როგორც ეს რამდენიმე ეგზემპლარზე ჩანს (Figs. 1.2, 1.4, 1.5?, 1.7?). ჩენი აზრით, ეს სხვა არაფერი იქნება, თუ არა ამ დავუდის ნასაბი.

³²⁷ თუმცა, ცხადია, ერთადერთი ეგზემპლარის მდარე ხარისხის ფოტოსურათით სარგებლობის შემთხვევაში ცალსახა ინტერპრეტაცია გამწვანებული უნდა ყოფილიყო.

ზოგიერთ მონეტაზე იკითხება ვერტიკალურად ორიენტირებული გრაფემა, რომელიც, ჩვენი აზრით, არის სიტყვა *ძეს* (𐌆𐌗) შემადგენელი ასო (𐌆). კალიგრაფია თავისებურია, მაგრამ არა შეუძლებელი, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რა არაორთოდოქსალურად იყო გადმოცემული ეს სიტყვა დიმიტრი I-ის, დავით IV-ის ძისა და მემკვიდრის ადრეულ მონეტებზე.³²⁸

კიდევ უფრო მარცხნივ იკითხება ორი (?) გრაფემა, რომელიც კარგად ჩანს მონეტა #2-ზე (სურ. 2.2.2). ჩვენი აზრით, ეს არის ურთიერთშეერთებული 𐌆𐌗; როგორც ჩანს სწორედ ეს 2 გრაფემა ჩანს ასევე კიდევ ერთ ეგზემპლარზე (სურ. 2.2.4). ეს ორი გრაფემა უნდა შეადგენდეს მოხსენიებული მეფე დავუდის *ნასაბს*. ვფიქრობთ, რომ აქ არის ჩაწერილი სახელი *გიორგი*.

სანამ ჩვენ მოსაზრებას განვმარტავდეთ, აღვნიშნავთ, რომ, როგორც ჩანს, არ არსებოდა ქართული პერსონალური სახელების არაბული ანბანით გადმოცემის მკაცრი და / ან უნივერსალური წესები. მაგალითად კარგად ცნობილი მეფე თამარის სახელს მისივე, ისევე როგორც მისი შვილების - გიორგი IV-ისა და რუსუდანის მონეტებზე გადმოსცემდნენ შემდეგი ფორმით: 𐌕𐌗𐌆, როგორც ვიცით, გამონაკლისების გარეშე; ამასთან, ამ ეპოქის არაბულ წყაროებში დაფიქსირებულია ისეთი ფორმებიც, როგორც 𐌕𐌗𐌆 / 𐌕𐌗𐌆 / 𐌕𐌗𐌆, ისევე როგორც 𐌕𐌗𐌆 / 𐌕𐌗𐌆 უფრო გვიანი პერიოდის ოსმალურ პირველწყაროებში.³²⁹ უფრო მეტიც, არაბ ავტორებსაც რომ თავი დავანებოთ, ამ საკითხში საქართველოს ზარაფხანის ადმინისტრაციაც კი არათანმიმდევრული აღმოჩნდა: კარგად არის ცნობილი, რომ რუსუდან მეფის სპილენძის მონეტების არაბულ

³²⁸ Turkia, Paghava, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia", 9, Figs. 1-2 Paghava, Turkia, Zlobin, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum".

ორივე მონარქის საფასის შემთხვევაში სიტყვის 𐌆 ამგვარი ორიენტაცია / მოყვანილობა შეიძლება, სხვათა შორის, აიხსნებოდეს ასევე ხელოსნის სურვილით დაზოგოს სივრცე.

³²⁹ Григол Берадзе, Л. Смирнова, *Материалы по истории ирано-грузинских взаимоотношений в начале XVII века* (Тбилиси: Мецниереба, 1988), 50, комментарий 10. ბატონ გრიგოლ ბერაძემ მიგვითითა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ზედწერილში ის იწერებოდა როგორც (سوادان), ხოლო (შედარებით იშვიათ) ვერცხლის საფასეზე, როგორც (سوادان).³³⁰

რაც შეეხება გიორგის გადმოცემას, გიორგი III-ის, მისი ქალიშვილის - თამარ მეფისა და შვილიშვილის - გიორგი IV-ის მონეტებზე ეს ერთი და იგივენაირად კეთდებოდა, შემდეგი ფორმით: كيورك³³¹ (Figs. 2.7, 2.10-2.11). ამასთან, თავად ალ-ფარიკიმ გამოიყენა მეტად თავისებური (დამახინჯებული) ფორმა كركو.³³² ამის გათვალისწინებით, ეჭვი არ გვეპარება, რომ გიორგი შეიძლება გადმოეცათ ასევე ამ ფორმითაც - كركو.

ასე თუ ისე, ლეგენდა დავუდის მარცხნივ გაცილებით უფრო გავს გიორგის, ფორმით ქურქი (كورك) ვიდრე დიმიტრის (ديمطر)³³³, რაც დავით V-ის ნასაბს წარმოადგენდა.

ცხადია, რომ მონეტაზე მოხსენიებულია ქართველი მეფე დავუდ (დავით) ბ. / ძე ქურქისა (გიორგისა), და სელჯუკი სულთანი მაჰმუდ ბ. მუჰამმადი (1118-1131); უეჭველია, რომ ეს სამონეტო ტიპი გამოუშვა დავით IV აღმაშენებელმა (1085-1189-1125), გიორგი II-ის ძემ.

ეს სამონეტო ტიპი არ შეესაბამება სრულად ალ-ფარიკის აღწერას (vide supra), მაგრამ მაინც ყველაზე სავარაუდო კანდიდატს წარმოადგენს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ალ-ფარიკიმ საქართველო გაცილებით უფრო გვიან მოინახულა, დავით

³³⁰ Пахомов, *Монеты Грузии*, 106.

ევგენი პახომოვმა ვიქტორ ლანგლუას მიაწერა რუსუდანის სახელის შემდეგი ვარიანტის გამოქვეყნება - رسوادان - და ეს უზუსტობად ჩათვალა. Ibid. დავით კაპანაძემ კი თავის კომენტარში აღნიშნა, რომ ცნობილი ცალების სიმრავლე შესაძლებელს ხდის ყველანაირი სახის გადახრას. Капанадзе, “Комментарии к книге Пахомова Е.А. “Монеты Грузии”, 301. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, გაუგებრობას ქონდა ადგილი: ვიქტორ ლანგლუას სტანდარტული ვარიანტი ქონია მითითებული - رسوادان. Langlois, *Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'à nos jours*, 72.

³³¹ Пахомов, *Монеты Грузии*, 81-82, 90-91, 94, 96, 99-100.

³³² სიხარულიძე, „ალ-ფარიკის ცნობა დემეტრე I-ის გარდაცვალების შესახებ“,

³³³ ან دلو طر , როგორც დიმიტრი I-ის ექსკლუზიურად არაბულენოვან სამონეტო ტიპზე. Turkia, Paghava, “A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia”, 9-10, Fig. 1; Paghava, Turkia, Zlobin, “A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum”.

აღმაშენებლის გარდაცვალებიდან დაახლოებით 30 წლის შემდეგ, და მის მოწმობაშიც მონეტის აღწერილობა შეიძლება ადვილად შერყვნილიყო, ნაწილობრივ მაინც. ვთვლით, რომ ალ-ფარიკი სწორედ ზემოთ განხილულ სამონეტო ტიპს გულისხმობდა.

*

ვეცდებით სამონეტო ტიპის შემდგომი დაგვარად სრული რეკონსტრუირება მოვახდინოთ.

აღსანიშნავია, რომ შუბლის ქვედა სტრიქონის ქვემოთ რაღაც არაიდენტიფიცირებული სიმბოლოა. მისი მნიშვნელობა გაურკვეველია. იმედია, (ახალი ეგზემპლარების) მომავალი აღმოჩენები მოგვცემს შესაძლებლობას მეტი შუქი მოვფინოთ ამ საკითხს.

იგივე უნდა ითქვას როგორც შუბლის, ასევე ზურგის კიდეებზე. გაურკვეველია, იყო იქ რაიმე ლეგენდა, თუ უბრალოდ ორნამენტები: რაღაცა მოჩანს სულ პირველი ეგზემპლარის შუბლის ხაზოვანი საზღვრის გარეთ (სურ. 2.2.0): ან სხვა ხაზოვანი საზღვარი, ანდა (არაბულენოვანი?) წრიული ლეგენდა; გარდა ამისა, ერთ-ერთ ახალ ეგზემპლარზე (სურ. 2.2.2) მკაფიოდ მოჩანს ორმაგი ხაზოვანი რკალი, რომლის გარეთაც ან (არაბულენოვანი?) ლეგენდაა, ანდა გეომეტრიული სახე³³⁴. თავდაპირველი ეგზემპლარის ზურგზე მარჯვნივ თითქოსდა ჩანს წრიული ლეგენდის ნარჩენები (სურ. 2.2.0), ხოლო ახალ ეგზემპლარებზე - #2-ზე და 4-ზე მკაფიოდ ჩანს ცალხაზიანი რკალოვანი საზღვარი; #4-ზე იქნებ წრიული ლეგენდის კვალიც ჩანდეს (სურ. 2.2.2, 2.2.4).

რამდენადაც ეს სულთნის ტიტულს შეეხება, თავდაპირველ ეგზემპლარზე ის მხოლოდ ნაწილობრივ ჩანდა; გამოითქვა მოსაზრება რომ იქ იყო

السلطان الأعظم

და არა

السلطان المعظم³³⁵.

³³⁴ მსგავსი სახე მოჩანს დიმიტრი I-ის ადრეულ მონეტებზედაც, ოღონდ, ცენტრში. Vide infra.

³³⁵ ჯაფარიძე, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები)“, 92.

თავიდანვე სხვა აზრის ვიყავით: მაჰმუდ ბ. მუჰამმადი ყოველთვის მიუთითებდა სწორედ ამ უკანასკნელ ტიტულს (السلطان المعظم) თავის ოქროს მონეტებზე, რომელიც არაკავკასიურ ზარაფხანებში იჭრებოდა;³³⁶ სწორედ ამ ტიტულით არის ის აღნიშნული ასევე დემეტრე I-ის, დავით IV-ის ძის ადრეულ, არაბულენოვან საფასეზე³³⁷. დავით IV-ის სახელის მატარებელ არცერთ ახალ ეგზემპლარზე ეს ტიტული სრულად არ ჩანს, გარდა ყველაზე ბოლოს გამოჩენილი ცალისა - (№7, სურ. 2.2.7); ამ უკანასკნელზე ძალიან მკაფიოდ იკითხება, რომ ზურგის ცენტრალურ ხაზში ნამდვილად მითითებულია ტიტული السلطان المعظم.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტებისა და მონაცემების საფუძველზე, სამონეტო ტიპს შემდეგნაირად აღვადგენთ:

შუბლი:

ملك الملوك

حسام المسيح

داود بن كوركى

[?]

ვინიეტი მარჯვნივ (ასევე მარცხნივაც?).

(ორმაგი რკალისგან შემდგარი?) საზღვრის შიგნით, ირგვლივ გეომეტრიული ორნამენტი (წრიული ლეგენდა?)

ზურგი:

محمود

السلطان المعظم

بن محمد

(ორმაგი რკალისგან შემდგარი?) საზღვრის შიგნით, გარედან წრიული ლეგენდა?

მოჭრის ადგილი და დრო. ალ-ფარიკის ცნობა, ისევე როგორც ამ საფასის აღმოსავლური, არაბული, მონოეპიგრაფიკული იერი გვარწმუნებს თბილისთან მის კავშირში; ცნობილია, რომ თბილისის საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა მაჰმადიანური

³³⁶ Cf. T. Ходжаниязов, *Каталог монет государства великих Сельджуков* (Ашхабад, 1979), 138-139.

³³⁷ Turkia, Paghava, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia"; Paghava, Turkia, Zlobin, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum".

სამყაროს ფორპოსტს საქართველოს ტერიტორიაზე. ვინაიდან სამონეტო ტიპი, ყოველ შემთხვევაში, ალ-ფარიკის მოწმობის³³⁸ თანახმად, თბილისის ადგილობრივი მაჰმადიანური მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი, და ის გამოუშვეს ქალაქის ალების შემდეგ, ლოგიკური იქნებოდა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ ეს საფასეც სწორედ იქ მოიჭრა - გაერთიანებული საქართველოს ახალ დედაქალაქში.

თბილისმა აღიარა დავით IV აღმაშენებლის სიუზერენიტეტი (ყოველ შემთხვევაში, ნომინალურად³³⁹) ჯერ კიდევ სანამ მას იერიშით ქართული ჯარი აიღებდა. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი არგუმენტები (განსაკუთრებით კი ალ-ფარიკის პირდაპირი მოწმობა) გვარწმუნებს, რომ აღნიშნულ საფასეს იქამდე ვერ მოჭრიდნენ. ხოლო თბილისი კი ქართულმა ჯარმა 1122 წელს აიღო (1123 წელს?³⁴⁰), მაშინ როდესაც დავით აღმაშენებელი 1125 წელს გარდაიცვალა. ამგვარად, ეს არაბულენოვანი საფასე უნდა გამოეშვათ 1122 (1123?) - 1125 წლების შუალედში.

ვინაიდან ცნობაში მოყვანილი ეგზემპლარები სიქების სხვადასხვა წყვილებით მოიჭრა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ემისია სპორადულ ხასიათს არ ატარებდა, და გარკვეული დროის განმავლობაში გრძელდებოდა.

მიმოქცევის არეალი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენთვის ცნობილია დავით აღმაშენებლის არაბული საფასის ყველაზე ცოტა 8 ეგზემპლარი. სამწუხაროდ, ე. პახომოვის ნაქონი მონეტისთვის პოვნის ადგილი / გარემოებები უცნობია. საბედნიეროდ, ცნობილია, მიახლოებით მაინც, ის ადგილი, სადაც აღმოაჩინეს ახალი შვიდი ეგზემპლარი. ესენი შემდეგია (აღნიშნულია რუკა 2.2.1-ზე):


- მტკვრის კალაპოტი (თბილისის ტერიტორიის ფარგლებში): 3 ეგზემპლარი (№2-3, 6);
- ახმეტის მუნიციპალიტეტი, თუ, საზოგადოდ, კახეთი: 3 ეგზემპლარი (№1, 5, 7);
- დმანისის მიდამოები: 1 ეგზემპლარი (№4).

³³⁸ Minorsky, "Caucasica in the History of Mayyāfāriqīn", 33-34.

³³⁹ Ibid.,.

³⁴⁰ რაულ ჩაგუნავა, „დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო ოთხწლეულის ქრონოლოგიისათვის“, *მრავალთავი* 22 (2007): 301-314.

რუკა 2.2.1. დავით აღმაშენებლის არაბულენოვანი მონეტების პოვნის გეოგრაფია (1 – „აფხაზთა სამეფო“; 2 - თბილისის საამირო; 3 - დავით IV-ის მიერ დაპყრობილი ტერიტორია; წილადი ხაზი - მონეტების პოვნის ადგილი)



რასაკვირველია, ცნობების სიმწირე მაინც ხელს უშლის მსჯელობას ამ საფასის როლზე იმ დროის საქართველოს სამეფოს (და, შესაძლოა, მეზობელი რეგიონების) ფულად მიმოქცევაში. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი ერთი განმაც კი, რომლის შემადგენლობაში ამ ტიპის მონეტებიც იქნებოდა შესული. ამგვარი განმის ანალიზი ნაწილობრივ მაინც გააშუქებდა ამ საფასის მნიშვნელობას (ფუნქციას?) ეროვნულ (რეგიონალურ?) ფულად მიმოქცევაში. მიუხედავად ამისა, ახალი ეგზემპლარები ამ საკითხზე გარკვეულ წარმოდგენას მაინც გვიქმნის.

როგორც დავინახეთ, დავით IV აღმაშენებლის არაბული საფასე თბილისში იჭრებოდა. მაგრამ პოვნის ფაქტები ცალსახად მიუთითებს, რომ მათი მიმოქცევა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ თბილისით / თბილისის *ჰინტერლანდით*; ანუ, ეს მონეტები არ წარმოადგენდა მხოლოდ *ლოკალურ* საფასეს. ისინი მიმოიქცეოდა უფრო შორეულ, უკეთ რომ ვთქვათ, თბილისისგან შედარებით დაშორებულ რეგიონებში, ყოველ შემთხვევაში, მთელს აღმოსავლეთ საქართველოში (ახმეტის მუნიციპალიტეტი, დმანისის მიდამოები).

განსაკუთრებულად საინტერესოდ გვეჩვენება, რომ 7 ახალი ეგზემპლარიდან 3 მაინც (ანუ, 43%) აღმოაჩინეს კახეთის ჩრდილოეთ ნაწილში (თანამედროვე ახმეტის მუნიციპალიტეტში), რომელიც, საფიქრებელია (და განსხვავებით იმ დროის თბილისისა და დმანისისგან) ექსკლუზიურად ქრისტიანებით იყო დასახლებული. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ამ საფასეს იყენებდნენ არა მარტო თბილისისა თუ დმანისის მაჰმადიანი ვაჭრები; შესაძლოა, მონეტები მართლაც მათი შემოტანილი იყო, მაგრამ შემდეგ ისინი აღწევდნენ ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში ქრისტიანებით დასახლებულ რეგიონებშიც კი. უადგილო არ იქნება აღვნიშნოთ, რომ, ჯა'ფარიანთა საფასე აგრეთვე, როგორც ჩანს, ცდებოდა მათი ტერიტორიულად დაკნინებული, მაგრამ ეკონომიკურად კვლავინდებურად ძლიერი სამფლობელოების, კერძოდ, თბილისის საზღვრებს.³⁴¹

რთულია იმის თქმა, აღწევდა თუ არა ეს მონეტები დასავლეთ თუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში, ანდა სომხეთის ჩრდილოეთ პროვინციებში თუ შირვანში, რომელიც დავით აღმაშენებელმა დაიპყრო. აღმოჩენები ცნობილია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთვის, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ, რომ მონეტები უფრო შორსაც გადიოდა, უბრალოდ, შემდგომში, უკვე ჩვენს დროს, აღმოჩენის შემთხვევაში ვეღარ მოაღწია თბილისის ნუმიზმატიკურ ბაზრამდე ანდა ჩვენთვის ხელმისაწვდომ კერძო თუ საჯარო კოლექციებამდე, განსხვავებით იმ ცალეზისგან, რომელიც თბილისის მახლობლად, ანდა, საქართველოში მაინც აღმოაჩინეს. მეორეს მხრივ, გვიანდელი ეპოქის (XII საუკუნე, ადრეული XIII საუკუნე) ქართველი მეფეების უწყესო ჭედვის სპილენძები ასევე ძირითადად სამეფო აღმოსავლეთ პროვინციებში მიმოიქცეოდა³⁴² (?). ისინიც, საფიქრებელია, სახელმწიფოს დედაქალაქში, თბილისში იჭრებოდა. თეორიულად, ასევე თბილისში მოჭრილ დავით აღმაშენებლის

³⁴¹ ვგულისხმობთ თბილისის საამიროს მონეტების ქვახვრელის განმს. ანთაძე, „ქვახვრელის განმი“.

³⁴² Пахомов, „Монетные клады Азербайджана и Закавказья“, 26-27; Dickran Kouymjian. *A Numismatic History of Southeastern Caucasia and Adharbayjān Based on the Islamic Coinage of the 5th/11th to the 7th/13th Centuries*, (Columbia University, Ph.D. Thesis. 1969), 119-123, 128. ეს თავისთავად მეტად საინტერესო საკითხია, რომელის შემდგომ კვლევასა და ვერიფიკაციასაც საჭიროებს.

საფასესაც შესაძლებელია მსგავსი ხასიათის მიმოქცევა ქონოდა. იმედია, ახალი აღმოჩენები გამოარკვევს ამ საკითხს.

ნებისმიერ შემთხვევაში, უეჭველია, რომ დავით IV აღმაშენებლის არაბული საფასის მიმოქცევა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ თბილისით; მეტ-ნაკლებად აქტიურად ის მონაწილეობდა სამეფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ სამონეტო ტიპისადმი მიკუთვნებული მონეტების შედარებით ფართო გავრცელება თბილისისგან დაშორებულ (და ქრისტიანებით დასახლებულ რეგიონებში) განსაკუთრებულად ღირსშესანიშნავია, თუ გავიხსენებთ რომ ამ საფასეს უშვებდნენ ყველაზე მეტი - 3 წლის განმავლობაში (1122-1125).

რეფორმა და მისი არსი. ზემოთ აღწერილი / განხილული საფასის კვლევა, მართალია, შორს არის დასრულებისაგან (უფრო დიდი ზომის ცალების აღმოჩენამ შეიძლება შუქი მოჰფინოს ამ სამონეტო ტიპის კიდეების შინაარსს). მიუხედავად ამისა, უკვე შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ დავით V, დიმიტრის ძე არ ჭრიდა საკუთარ მონეტას (ან მას ჩვენამდე არ მოუღწევია), ხოლო მისდამი ადრე მიკუთვნებული სამონეტო ტიპი კი სინამდვილეში ბაბუამისმა, დავით IV აღმაშენებელმა, გიორგის ძემ გამოუშვა. უდიდესი ალბათობით, სწორედ ამ საფასეს გულისხმობდა ალ-ფარიკი.

ახლა ცხადი გახდა, რომ სწორედ დავით IV-მ წამოიწო რევოლუციური ხასიათის სამონეტო რეფორმა (სხვა დანარჩენ რეფორმებთან ერთად), და თბილისის აღების შემდეგ გამოუშვა ამ ქალაქში (1122-1225 წლებში) ე.წ. პირველი *ქართულ-არაბული საფასე*. თუ შევადარებთ ამ მონეტებს წინა პერიოდის ქართველი მონარქების, და თუნდაც თავად დავით აღმაშენებლის მიერ გამოშვებულ *ქართულ-ბიზანტიური ტიპის კერცხლის* მონეტებს, ცხადი ხდება, თუ რამდენად სერიოზული ცვლილება შემოიტანა დავით აღმაშენებელმა, მისმა ადმინისტრაციამ, ქართულ სამონეტო საქმეში. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ინოვაციის სერიოზულობა გვაძლევს საფუძველს მას *რეფორმა* ვუწოდოთ.

თავი 3. გაერთიანებული სამეფო

ქვეთავი 3.1. დიმიტრი I-ის არაბულენოვანი საფასე

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ მონოეპიგრაფიკული სამონეტო ტიპი ექსკლუზიურად არაბული ლეგენდებით, რომელიც, ჩვენი აზრითა და დასკვნით, ქართული ნუმისმატიკური მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია.

ხსენებული სამონეტო ტიპი ჩვენთვის ცნობილია 6 ეგზემპლარის მიხედვით. ლეგენდების შემორჩენილი ფრაგმენტები ისევე როგორც ზოგადი დიზაინი პრაქტიკულად იდენტურია. გამყოფი „ხაზის“ მიხედვით შესაძლებელია ორი ქვეტიპის გამოყოფა.

პირველ რიგში მოვიყვანთ მონეტების აღწერილობას:

ქვეტიპი 1.

ეგზემპლარი 1. სურ. 3.1.1. (იყიდეზოდა თბილისის ანტიკვარულ ნუმისმატიკურ ბაზარზე 2009 წელს), წონა 3.29 გ, კვეთა 14.9-16.9 მმ, სიქების თანაფარდობა 12 სთ-ზე:



შუბლი: ხაზოვან რკალში

...دايمطرى بن داو (?)

სქელი ჰორიზონტალური გამყოფი ხაზი სქელი ვერტიკალური შტრიხებით.

წამოწეული წერტილი, რომელიც შეესაბამება ფარგლის ფეხს (ფარგალს, საფიქრებელია, გარეთა რკალის მოსანიშნად იყენებდნენ³⁴³).

გაურკვეველი არაბული ლეგენდის ფრაგმენტი (თავდაყირა).

ზურგი: ხაზოვან რკალში

محمود بن محمد

გამყოფი ხაზის როლს ასრულებს გეომეტრიული ორნამენტის ზოლი. წამოწეული წერტილი, რომელიც შეესაბამება ფარგლის ფეხის კვალს.

...السلطان (თავდაყირა).

ეგზემპლარი 2. სურ. 3.1.2. (ნაპოვნია მტკვრის კალაპოტში თბილისის ტერიტორიაზე), წონა 1.04 გ, კვეთა 11.0-11.9 მმ:



შუბლი: ჩანს მხოლოდ ცენტრალური არის ზედა მარცხენა კვადრანტი.

ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი.

...ى بن داود

ჰორიზონტალური ხაზი (შერწყმული სქელი ვერტიკალური შტრიხებისგან შემდგარი?).

ზურგი: თითმის მთლიანად გაცვეთილია. არაბული ლეგენდის კვალი.

ეგზემპლარი 3. სურ. 3.1.3. (ნაპოვნია კახეთში, დაუზუსტებელ ადგილას), წონა 1.74 გ, კვეთა 10.9-12.2 მმ, სიქების თანაფარდობა 1:30 სთ-ზე:

³⁴³ ეს ტექნიკური ხერხი ასევე გამოიყენებოდა თბილისში ქუფური დირჰემების წარმოებისას. Пахомов, Монеты Грузии, 39, примечание 1.



შუბლი: ჩანს ცენტრალური არის 2 მარცხენა კვადრანტი
ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი.

... بن داود

სქელი ჰორიზონტალური ხაზი (შერწყმული სქელი ვერტიკალური შტრიხებისგან შემდგარი?).

არაბული ლეგენდის ფრაგმენტი (*თავდაყირა*).

ზურგი: ნამზადზე მოხვდა მხოლოდ სიქის ზედა მარცხენა ნაწილი.

წრიული არაბული ლეგენდის კვალი.

ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი.

არაბული ლეგენდის ფრაგმენტი. ჩანს მხოლოდ 3 გრაფემის ვერტიკალური ფრაგმენტები?

... ط ل ...?

ქვეტიპი 2.

ეგზემპლარი 4. სურ. 3.1.4 (წარმომავლობა უცნობია), წონა 1.29 გ, კვეთა 10-12 მმ, სიქების თანაფარდობა 12 სთ-ზე:



შუბლი:

... بن داود

გამყოფი ხაზის როლს ასრულებს გეომეტრიული ორნამენტის ზოლი.

სიქის ცენტრის ქვედა ნაწილი სამონეტო ნამზადს აცდა

ზურგი.:

წრიული არაბული ლეგენდის კვალი.

ხაზოვან რკალში

...د بن محمد

ეგზემპლარი 5. სურ. 3.1.5 (წარმომავლობა უცნობია), წონა, კვეთა და სიქების თანაფარდობა უცნობია:



შუბლი:

...وطر...

გამყოფი ხაზის როლს ასრულებს გეომეტრიული ორნამენტის ზოლი.

გაურკვეველი არაბული ლეგენდის ფრაგმენტი (თავდაყირა).

ზურგი.:

...حمود بن...

გამყოფი ხაზის როლს ასრულებს გეომეტრიული ორნამენტის ზოლი.

გაურკვეველი არაბული ლეგენდის ფრაგმენტი (თავდაყირა).

ეგზემპლარი 6. სურ. 3.1.6. (წარმომავლობა უცნობია), წონა, კვეთა და სიქების თანაფარდობა უცნობია:



შუბლი:

طرى بن د... ..

გამყოფი ხაზის როლს ასრულებს გეომეტრიული ორნამენტის ზოლი.

ملك الملوک (თავდაყირა).

ზურგი:

არაბული ლეგენდის ფარგმენტი

გამყოფი ხაზის როლს ასრულებს გეომეტრიული ორნამენტის ზოლი.

...سلطان المع... (თავდაყირა).

*

როგორც ვხედავთ, ქვეტიპები განსხვავდება ერთმანეთისგან შუბლის გამყოფი ხაზით; ქვეტიპ 1-ზე ეს არის სქელი ხაზი ვერტიკალური შტრიხებით, ხოლო ქვეტიპ 2-ზე - გეომეტრიული (წერტილები რომებში) ორნამენტის ზოლი; ზურგზე არის სხვანაირი სახის (პარკეტისებრი?) მქონე ზოლი (ორივე ქვეტიპზე).

მიუხედავად მცირე სხვაობისა, ექვსივე მონეტა ერთი და იგივე ტიპისაა, შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით შესაძლებელია მთლიანი სამონეტო ტიპის (ყოველ შემთხვევაში, ცენტრალური ლეგენდების) რეკონსტრუქცია:

შუბლი: გაურკვეველი წრიული არაბული ლეგენდა

ხაზოვან რკალში, ცენტრში

دالمطرى بن داود (დამატური?)

სქელი ჰორიზონტალური ხაზი (შერწყმული სქელი ვერტიკალური შტრიხებისგან შემდგარი?); წამოწეული წერტილი, რომელიც შეესაბამება ფარგლის ფეხის კვალს.

ანდა - გამყოფი ხაზის როლს ასრულებს გეომეტრიული ორნამენტის (წერტილები რომებში) ზოლი.

ملك الملوك (თავდაყირა).

ზურგი: გაურკვეველი წრიული არაბული ლეგენდა
ხაზოვან რკალში, ცენტრში

محمود بن محمد

გამყოფი ხაზის როლს ასრულებს გეომეტრიული (პარკეტისებრი) ორნამენტის ზოლი.

წამოწეული წერტილი, რომელიც შეესაბამება ფარგლის ფეხის კვალს.

السلطان المعظم (თავდაყირა).

*

შემდეგი საფეხურია - მოვახდინოთ ამ რეკონსტრუირებული სამონეტო ტიპის ზუსტი ატრიბუცია.

მონეტებზე მითითებული სახელისა (მაჰმუდ ბ. მუჰამადი) და ტიტულის (სულთანი უზენაესი) კომბინაცია, ჩვენი აზრით, ცალსახად მიუთითებს მაჰმუდ II ბ. მუჰამადზე, ერაყისა და დასავლეთ ირანის სულთანზე. ამგვარად ვიღებთ ქრონოლოგიის საკვლევად მყარ საყრდენ წერტილს - მისი ზეობის წლებია 1118-1131 (ჰ. 511-525 წწ.).

თავად მონეტების ზომის, ფორმისა და წონის მხრივ უწესოდ მოჭრა აგრეთვე მიუთითებს ე.წ. ვერცხლის კრიზისის პერიოდზე, როდესაც მონეტები წონით ფასობდა, და არა ანგარიშით.³⁴⁴ სხვა სიტყვებით, მეტროლოგიური მონაცემები ადასტურებს მონეტის მიკუთვნებას ადრეული XII საუკუნისადმი.

აქედან გამომდინარე, ამ სხვადასხვა წონის მონეტებს სხვადასხვა ნომინალებად ვერ ჩავთვლით.

საკვანძო მნიშვნელობისაა, თუ ვინ არის მოხსენიებული იმ მხარეზე, რომელიც ჩვენ საბოლოო ჯამში შუბლად ჩავთვალეთ.

ამ პიროვნების ნასაბი, ანუ მამის სახელი, არის *داو* - დავუდ, რაც შეესაბამება ქართულ *დავითს*. მმართველის საკუთარი სახელი, *ისმი*, ემსგავსება იმას, თუ როგორ

³⁴⁴ Пахомов, *Монеты Грузии*, 75. არა გვგონია, რომ ეს სამი მონეტა სხვადასხვა ნომინალს წარმოადგენს.

იწერებოდა დიმიტრი I-ის სახელი როგორც მის საკუთარ³⁴⁵ (სურ) ასევე მისი ვაჟიშვილის - გიორგი III-ის მონეტებზე³⁴⁶ - ³⁴⁷دیمطري. თუმცა კი, ისმის მეორე და მესამე ასოები უფრო გავს ლამის და ვავის გადაბმას - ლ, ვიდრე -ს; ამრიგად, მონეტაზე იკითხება دالمطرى; მესამე გრაფემაც, რომელიც ვავს უფრო გავს ვიდრე მიმს, არ ებმევა შემდეგ ასოს, როგორც ეს მიმს უნდა გაეკეთებინა. მიუხედავად ამისა, შესაძლებლად მივიჩნევთ აღნიშნული გადახრა კალიგრაფიულ თავისებურებად ჩავთვალოთ (უნდა ითქვას, რომ არაბული კალიგრაფია აღნიშნულ სამონეტო ტიპზე მკვეთრად განსხვავდება დიმიტრი I-ის შემდგომი ტიპებისგან³⁴⁸); აქედან გამომდინარე, პირად სახელს ვკითხულობთ როგორც დიმიტრი, და ვთვლით, რომ ამ ტიპის საფასეს უშვებდა

³⁴⁵ Ibid., 77-78, #46. მონეტის ის ფრაგმენტი, სადაც მეფის სახელია მითითებული, ჩვეულებრივ მეტნაკლებად გადაცვეთილია, რაც მეტად აძნელებს მისი ჩაწერის თავისებურებების აღქმას. და მაინც, უკეთესად შენახულ ცალეზე, მაგალითად ევგენი პახომოვის მიერ გამოქვეყნებულ ეგზემპლარზე (Ibid., таблица VI, #89) მაინც ჩანს, რომ სახელი გადმოცემულია ფორმით - in᠓᠒éi.

³⁴⁶ Ibid., 82, #50-51.

³⁴⁷ აღსანიშნავია, თუ რამდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან ლეგენდების კალიგრაფია დიმიტრი I-სა და გიორგი III-ის ამ მონეტებზე. ბიკოვი წერდა საქართველოში ჩამოყვანილ ხელოსნებზე, რომლებიც დიმიტრის მონეტის მოსაჭრელად (სიქების დამზადებისთვის) გამოიყენა. Алексей Быков, "Грузинские монеты XII-XIII вв." Сборник "Памятники эпохи Руставели", Гос. Эрмитаж (Ленинград, 1938), 80. მაგრამ წყარო ავტორს არ მიუთითებია, და უცნაურად გვეჩვენება, რომ სათანადო კვალიფიკაციის ხელოსნები ვერ მოიძებნა ადგილობრივად, თბილისში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მაჰმადიანთა მფლობელობაში იმყოფებოდა და ასევე ისლამური საფასის გამოშვების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნდა. საზოგადოდ, ეჭვი გვეპარება, აქ უბრალოდ ავტორის ჰიპოთეზასთან ხომ არ გვაქვს საქმე - რომელმაც არ იცოდა, რომ არაბულენოვანი ზედწერილებით საფასის გამოშვება დაიწყო არა დიმიტრი I-მა, არამედ მამამისმა - დავით IV-მ.

³⁴⁸ Cf. Пахомов, *Монеты Грузии*, 74-79, ##45-47, plate VI, #83-94. „პირველი“ ტიპი თეორიულად შეიძლება ასევე წარმოადგენდეს დიმიტრის მამის, დავით აღმაშენებლის ემისიასაც. Ibid., 75-76, #45. ხოლო „ბოლო“ ტიპი კი - დიმიტრის ძის, დავით V-ის ემისიას. Ibid., 79, #47. თუმცა კი, ჩვენი აზრით, ორივე ჰიპოთეზა ნაკლებად სარწმუნოა.

დიმიტრი / დემეტრე I, საქართველოს მეფე (1125-1155, 1155-1156)³⁴⁹, ძე დავით IV აღმაშენებლისა (1089-1125). არგუმენტები შემდეგნაირია:

- გამოშვების ქრონოლოგია, რომელზედაც ვმსჯელობთ სელჯუკი სულთნის ზეობის წლებით (1118-1131) და მონეტების უწესოდ მოჭრის ფაქტით (XII ს.), შეესაბამება დიმიტრის ზეობას;
- *ისმისა* (დიმიტრი?) და *ნასაბის* (დავუდ-დავითი) კომბინაცია შესანიშნავად მიესადაგება დიმიტრი I-ს, დავითის ძეს, მაგრამ არცერთ სხვა მმართველს;
- დიმიტრი I-ის პირველი ორი სამონეტო ტიპი აგრეთვე ატარებს მაჰმუდ ბ. მუჰამადის სახელს³⁵⁰, მაშინ როდესაც მესამე ტიპზე კიდევ ერთი სელჯუკი სულთნის - მაჰმუდის ძმის, მასუდის სახელია;³⁵¹ ასე რომ, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ დიმიტრი I-ის ამ სამონეტო ტიპზედაც მოხსენიებულია მაჰმუდ ბ. მუჰამადი, სელჯუკი სულთანი;
- დიმიტრი I-ის მონეტების დიზაინის დამახასიათებელი თავისებურებაა ცენტრალური ლეგენდების ნაწილის თავდაყირა გამოსახვა; ამ ქართველი მონარქის პირველი ორი სამონეტო სწორედ ასეთია, თუმცა კი იქ ლეგენდები შიგნიდან არის შეტრიალებული³⁵², და არა გარეთ, როგორც ამ შემთხვევაში; და მაინც, მიდგომა მეტად მსგავსია; საზოგადოდ, ქართულ და რეგიონალურ ნუმისმატიკაში ვერ ვიხსენებთ ლეგენდების ამგვარად ორიენტაციის მაგალითებს;
- უპირობოდ დიმიტრი I-ის მონეტები ასევე წარმოადგენს უწესო ჭედვის სპილენძს; ამ მხრივ სახეზეა მეტროლოგიურ-ტექნოლოგიური იდენტურობა;
- ექვსი მონეტიდან მეტ-ნაკლებად პასპორტიზირებული მხოლოდ სამია; ყველა საქართველოშია ნაპოვნი.

³⁴⁹ ამ ქართველი მონარქის ცხოვრებისა და საქმიანობისთვის იხ. სტეფანაძე, *დემეტრე პირველი*. დიმიტრის ზეობაში მეზობელ მაჰმადიან სახელმწიფოებთან საქართველოს დამოკიდებულებისათვის იხ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 85-100.

³⁵⁰ Пахомов, *Монеты Грузии*, 75-77, ##45, 45a.

³⁵¹ Ibid., 77-79, #46.

³⁵² Ibid., 75-77, ##45, 45a.

ზემოთ მოყვანილი, ჩვენი აზრით, საკვებით საკმარისია, რომ განვაცხადოთ დიმიტრი I-ის ახალი, მეხუთე სამონეტო ტიპის აღმოჩენის შესახებ.

ვეცდებით, დავაზუსტოთ მისი გამოშვების ქრონოლოგიური ჩარჩოები.

დიმიტრი I-ისა და მაჰმუდ ბ. მუჰამადის ზეობები ემთხვევა ერთმანეთს 1125-1131 წლებში, და სამონეტო ტიპიც სწორედ ამ დროს უნდა გამოეშვათ. მეორეს მხრივ, სიქებს, როგორც ჩანს, მხოლოდ დროდადრო თუ განაახლებდნენ; ამრიგად, უცხო მმართველის სახელი სამონეტო ტიპს შეიძლება დიდ ხანს შერჩენოდა, მისი გარდაცვალების შემდეგაც კი.³⁵³ ასე რომ, არ არის გამორიცხული, რომ ამ სამონეტო ტიპს 1131 წლის შემდეგაც უშვებდნენ. ზუსტი თარიღი (სამონეტო ტიპის შემოღების წელი?) იქნებ ირგვლივ ლეგენდაში იყო აღნიშნული, მაგრამ ირგვლივ ლეგენდებს შემორჩენილ ცალებზე ვერ ვკითხულობთ.

მოჭრის ადგილი ცენტრის არეში ჩვენთვის ხელმისაწვდომ / იდენტიფიცირებულ ლეგენდებში არ იკითხება - იქნებ ირგვლივ ლეგენდაში იყო მოთავსებული? ნებისმიერ შემთხვევაში, ვფიქრობთ, უდიდესი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ადგილი დავით აღმაშენებლის მიერ განთავისუფლებული თბილისი, სახელმწიფოს დედაქალაქი უნდა ყოფილიყო.

*

ამ სამონეტო ტიპის ლეგენდები საკმაოდ ღირშესანიშნავია.

1. პირველ ყოვლისა, ძალიან საინტერესოა, რომ ეს სამონეტო ტიპი ერთადერთია დიმიტრი I-ის ნუმისმატიკურ მემკვიდრეობაში,³⁵⁴ რომელზედაც მითითებულია მეფის ნასაბი, ანუ მამამისის - დავით IV-ის სახელი. შეიძლება თუ არა ამის საფუძველზე ვიფიქროთ რომ ეს სამონეტო ტიპი ყველაზე ადრეულია და დიმიტრი I-ის ადმინისტრაციამ ის წინამორბედის გარდაცვალებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ გამოუშვა? ფაქტია, რომ რაღაც ეტაპზე (უფრო მოგვიანებით?) დიმიტრი I თავის საფასეზე წინამორბედი მეფისა და მამის სახელს აღარ მიუთითებდა. ის, რომ შეწყდა ამის გაკეთება, ძალიან საინტერესო ფაქტად გვეჩვენება;

³⁵³ Пахомов, *Монеты Грузии*, 76-77.

³⁵⁴ შეად. სხვა სამონეტო ტიპებსაც. Ibid., 74-79, ##45-47.

2. აღსანიშნავია, რომ მონეტაზე არ არის ასომთავარული შ - მეფის სახელის ინიციალი, რომელიც ტიპიურია დიმიტრი I-ის აქამდე ცნობილი ყველა სამონეტო ტიპისათვის³⁵⁵; საზოგადოდ, ამ ეპოქის ქართველ მონარქთა საფასეზე თავს იჩენს ტრადიცია - თავის საფასეზე ქართულად სულ უფრო გრძელი ლეგენდები მოეთავსებინათ. ამის გათვალისწინებითაც ეს ექსკლუზიურად არაბულენოვანი სამონეტო ტიპი ასევე ადრეული - თავდაპირველი უნდა იყოს;
3. საფასეზე აღარ თავსდება მამის, დავით აღმაშენებლის დროს სამონეტო სამეფო პროტოკოლში შემოსული *მახვილი მესიისა* - حسام المسيح (sic);
4. ისევე როგორც მამის, დავით აღმაშენებლის საფასეზე, ამ სამონეტო ტიპზე გრძელდება დიდი სელჯუკი სულთნის მოხსენიება; და გრძელდება ხალიფის მოუხსენიებლობა, ყოველ შემთხვევაში, მონეტის ცენტრში, საპატიო ადგილას.

იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი, უფრო დიდი ზომის ეგზემპლარების აღმოჩენა მოგვცემს საშუალებას წავიკითხოთ წრიული ლეგენდებიც.

ქვეთავი 3.2. მემორიალური ქართული მონეტები

ქართული ისტორიოგრაფია მოიცავს ნაშრომს, რომელიც საგანგებოდ მიეძღვნა XII საუკუნის ქართულ მემორიალურ მონეტებს.³⁵⁶ ავტორმა ყურადღება გაამახვილა ალ-ფარიკის მიერ ნახსენებ დავით აღმაშენებლის არაბულენოვან სპილენძის მონეტებზე³⁵⁷

³⁵⁵ Пахомов, *Монеты Грузии*, 74-79, ##45-47.

³⁵⁶ გაბაშვილი, „შუა საუკუნეების ქართული მემორიალური და საზეიმო ხასიათის მონეტები (XII ს.)“, 31-49.

³⁵⁷ ამ პუბლიკაციიდან დაახლოებით ოთხ წელიწადში გამოქვეყნდა ირაკლი ფაღავას ნაშრომი, რომელმაც გამოარკვია იმ მონეტების რაობა, რომელიც ალ-ფარიკის შთაგონების წყაროდ იქცა. Paghava, “The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah”.

და თამარისა და გიორგის ერთობლივ გამოშვებაზე.³⁵⁸ ჩვენი აზრით, თავისი გამორჩეულობით, მემორიალური და დონატიური მონეტის შთაბეჭდილებას უფრო სხვა სამონეტო ტიპები ტოვებს. ვგულისხმობთ შემდეგს:

1. დავით IV აღმაშენებლის გამოსახულებიანი უნიკალური სპილენძის ფული (სურ. 3.2.1);



2. გიორგი III-ის წესიერი ჭდვის მონეტა მისი გამოსახულებით (სურ. 3.2.2.);



3. გიორგი IV ლაშას გამოსახულებიანი უნიკალური სპილენძის ფული (სურ. 3.2.3);



³⁵⁸ ავტორმა სწორედ ეს სამონეტო ტიპი მიიჩნია მემორიალურად, რომელსაც, მისი აზრით, უშვებდნენ გიორგი III და თამარი. გაბაშვილი, „შუა საუკუნეების ქართული მემორიალური და საზეიმი ხასიათის მონეტები (XII ს.)“, 46. ავტორს არ ვეთანხმებით, თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ ამ მონეტების მიკუთვნება გიორგი III-სადმი (და არა, დავუშვათ, თამარის პირველი ქმრისა თუ მისადმი), ჩვენი აზრით, სადისკუსიოა.

4. რუსუდანის ვერცლის დრამები და ნახევარ-დრამები მაცხოვრის გამოსახულებით (სურ. 3.2.4).



სანამ შუასაუკუნოვანი ქართული მემორიალური / დონატიური ფულის შესაძლო კანდიდატურებს განვიხილავდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია ჩამოვყალიბოთ მონეტის მემორიალურად / დონატიურად კვალიფიცირების კრიტერიუმები. ჩვენი აზრით, ესენი შემდეგია:

1. შინაარსობრივად განსაკუთრებული სამონეტო ლეგენდები ან იკონოგრაფია, რომელიც იქნებ გამოშვების რაღაც საგანგებო მიზანზე / დანიშნულებაზე მიუთითებდეს;
2. ლეგენდებისა თუ იკონოგრაფიის განსაკუთრებული მხატვრული ღირსებები, რაც მიუთითებს ამ გამოშვებისადმი მინიჭებულ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე;
3. განსაკუთრებულობა თარიღისა, რომელსაც საგანგებოა მნიშვნელობა უნდა ქონოდა სამეფო კარისათვის, რაზედაც პარალელური ისტორიული წყაროებით შეგვიძლია / უნდა ვიმსჯელოთ;
4. სამონეტო ტიპის იშვიათობა, რაც მემორიალური თუ დონატიური მონეტის, როგორც წესი, შედარებით შეზღუდული ტირაჟით გამოშვების ლოგიკური შედეგია.

ზემოთ ჩამოთვლილი სამონეტო ტიპები, ისევე როგორც თამარ-გიორგის საფასე აღნიშნული კრიტერიუმებით შევაფასეთ. შედეგები ცხრილის სახით გვაქვს წარმოდგენილი (ცხრილი 3.2.1).

ჩამოყალიბებული კრიტერიუმების მიხედვით განხილვა-გაანალიზება იძლევა გარკვეულ საფუძველს ვამტკიცოთ, რომ დანამდვილებით მემორიალურ-დონატიურს წარმოადგენს უნიკალური სპილენძის მონეტა გიორგი ლაშას გამოსახულებით, ასევე,

სავარაუდოდ, უნიკალური სპილენძის მონეტა დავით აღმაშენებლის გამოსახულებით. რაც შეეხება თამარ-გიორგის ერთობლივ გამოშვებას, ეს უფრო რეგულარული, ჩვეულებრივი ემისია უნდა იყოს. რაც შეეხება სპილენძის საფასეს გიორგი III-ის გამოსახულებით, ისევე როგორც რუსუდანის ვერცხლის მონეტას მაცხოვრის გამოსახულებით, ამ ორი ემისიის ბუნების საბოლოოდ გარკვევისათვის, ჩვენი აზრით, არსებული მონაცემები საკმარისი არ არის.

ცხრილი 3.2.1. მემორიალური ხასიათის (?) ქართული მონეტები

	განსაკუთრ. იკონოგრაფია	განსაკუთრ. ლეგენდები	მხატვრული ღირსებები / გაწაფულობა	თარიღი	იშვიათობა
სპილენძი დავით IV-ის გამოსახულებით	არის?	არის?	მინიმალური	დაუთარ.	უნიკ.
სპილენძი გიორგი III-ის გამოსახულებით	არის?	არ არის	გამორჩეული	[1174]	იშვიათი
თამარ-გიორგის ერთობლივი გამოშვება	ეპიგრაფიკ.	არ არის	საშუალო დონის	დაუთარ.	ხშირი
სპილენძი გიორგი IV-ის გამოსახულებით	არის - ღვთიური ხელები	არ არის	გამორჩეული	[1210], მეფედ კურთხევა	უნიკ.
რუსუდანის ვერცხლის საფასე მაცხოვრის გამოსახულებით	არის?	არ არის	საშუალო	[1230], თბილისის განთავისუ ფლება	იშვიათი

ქვეთავი 3.3. ხელოსნები და ზარაფხანის ორგანიზაცია

სამწუხაროდ, ჯერჯერობით მაინც, არ გაგვაჩნია არანაირი არქეოლოგიური მინიშნება გაერთიანებულ-გაძლიერებულ საქართველოში ზარაფხანების ორგანიზაცი-
მუშაობისა თუ მათში მომუშავე პერსონალის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ხელოსნებისა და ზარაფხანების პროდუქციის - თავად მონეტების გაანალიზებით შესაძლებელია, არაპირდაპირი გზით, აღნიშნული საკითხის განხილვა.

მოვიყვანო ჩვენს მოსაზრებებს იმ ანონიმურ ხელოსნებზე, რომლებმაც შექმნეს შუა საუკუნეების საქართველოს ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა, რომელსაც ახლა ვაფასებთ და ვიკვლევთ.

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ დავით აღმაშენებლის ზეობის დასაწყისში სამეფო ზარაფხანა გამოცდილი პერსონალით იყო დაკომპლექტებული. „გამოცდილში“ ვგულისხმობთ გამოცდილებას სიქაზე ასომთავრული ლეგენდების ამოტვიფვრაში. ლეგენდები როგორც ვერცხლის საფასეზე, ასევე უნიკალურ სპილენძის მონეტაზე - საკმაოდ დახელოვნებულად არის გამოყვანილი. ალბათ, იმავე ხელოსნებს დაევალებათ ასევე განსაკუთრებული დავალება - სიქაზე მონარქის გამოსახულების დატანაც, რაც მათ შესაძლებლობებს აშკარად აღემატებოდა (დავით აღმაშენებლის ვერცხლის საფასეზედაც ხომ ღვთისმშობლის გამოსახულება საკმაოდ მდარედ არის შესრულებული). აშკარაა, რომ ამ კონკრეტული სიქის დამზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ იმდროინდელ ოქრომჭედლებს, რომელთაც ქონდათ შესაბამისი გამოცდილება მცირე პლასტიკაში, თუნდაც დაბალი რელიეფით ფიგურების გამოყვანაში (ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის დროისთვის ქართულ ოქრომჭედლობას უკვე საკმაო განვითარების სტადიისთვის მიუღწევია). სწორედ ამან განაპირობა ამ იქნებ ყველაზე ცნობილი ქართული მონეტის საკამათო / სათუო მხატვრული ღირებულება.

არაბების მიერ საუკუნეების წინ დაპყრობილი თბილისის განთავისუფლების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა დაიწყო ექსკლუზიურად ეპიგრაფიკული (სპილენძის) მონეტების მოჭრა არაბული ლეგენდებით. აშკარაა, რომ ზარაფხანა თბილისში მდებარეობდა (თბილისში გადაიტანეს), და ადგილობრივი ხელოსნებით დააკომპლექტეს, რომელთაც გააჩნდათ საკმაო გამოცდილება არაბული გრაფემების დაწერაში.³⁵⁹ ამასთან, იკონოგრაფიული საფასის გამოშვება, როგორც ჩანს, შეწყდა. ეს

³⁵⁹ Paghava, "The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah".

არც უნდა იყოს იმდენად გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ამოცანის შესრულება ახალ ხელოსნებსაც თავის ქართველ კოლეგებზე უკეთ როდი შეეძლოთ - იმდროინდელ ისლამურ სამონეტო ხელოვნებაში ხომ „კერპთთაყვანისმცემლობაზე“ მეტ-ნაკლებად ეფექტური აკრძალვა ვრცელდებოდა.

მას შემდეგ, საუკუნე-ნახევარზე მეტი დროის განმავლობაში, ყველა ქართულ მონეტაზე (ე.წ. თამარ-გიორგის ერთობლივი საფასის გარდა) ლეგენდების მნიშვნელოვანი ნაწილი არაბულ ენაზე იყო შესრულებული, არაბული გრაფიკითვე. ამასთან, ლეგენდების კალიგრაფიული ღირსებები საკმაოდ მაღალი იყო. საკითხავია, მათ სიქებზე თუ ვინ წერდა - ვინ ამზადებდა სიქებს? ხელოსნები (ან უფრო მათი შთამომავლები), რომლებიც ქართველმა მეფეებმა ჯა'ფარიანთა და პოსტ-ჯა'ფარიანული თბილისისგან მემკვიდრეობით მიიღეს, ანუ, ასე გვგონია, არაბები თუ გაარაბებული ადგილობრივები (ქართველები)? თუ ეთნიკური (ქრისტიანი?) ქართველები, რომელთაც ისე აუთვისებიათ არაბული კალიგრაფია და ენაც, რომ თანადროულ ქართულ მონეტებზე არაბულ ლეგენდაში შეცდომის პოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმავდროულად და იმავე მონეტების მოსაჭრელად განკუთვნილ სხვა ან იმავე სიქებზე (ზოგიერთი სამონეტო ტიპის შემთხვევაში ერთსა და იმავე მხარეს ორივე ენაზე შესრულებული ლეგენდები გვხვდება) წერდნენ ასევე ქართულ ლეგენდასაც (მხედრული თუ ასომთავრული) გრაფიკით. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ზარაფხანის (ზარაფხანების?) პერსონალი ორ ჯგუფად იყო დაყოფილი, რომელიც მოიცავდა განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, განსხვავებული კულტურისა და განათლების მქონე ხელოსნებს სხვადასხვა ლინგვისტური უნარ-ჩვევებით? თუ სიქებზე მუშაობდნენ (შერეული წარმომავლობის?) პროფესიონალები, იქნებ წერა-კითხვის უცოდინრებიც კი, რომელთაც შეეძლოთ ლეგენდები ორივე ენაზე და სხვადასხვა ანბანით / კალიგრაფიული სტილით (ასომთავრული და მხედრული ანბანი ხომ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, განსხვავდება ერთმანეთისგან არაბულის სხვადასხვა კალიგრაფიული სტილიც) შეესრულებინათ? უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ეტაპზე ამ შეკითხვების დასმით უნდა შემოვიფარგლოთ, საბოლოო პასუხის გაცემა კი არ გვძალუძს.

ასე თუ ისე, ცხადია, რომ 1174 და 1210 წლებში სამეფო ზარაფხანის ადმინისტრაციამ მოახერხა დაესაქმებინა ისეთი პიროვნება³⁶⁰, ვისაც შეეძლო ადამიანის ცხოველი გამოსახულება გამოესახა. ასევე უცნობია, ზარაფხანაში ვინმე დროებით გარედან დაპატიჟეს თუ ზარაფხანის შტატში ირიცხებოდა პერსონალი (იქნებ სულაც ერთი ოსტატი), რომელიც დახელოვნებული და საკმარისად ნიჭიერი იყო დაბალ რელიეფში მუშაობაში; თუ უნდა ვირწმუნოთ, რომ ეს დაევალა იმ ხელოსანს, რომელსაც ლეგენდებიც ქონდა დასაწერი (საკმაოდ განსხვავებული სამუშაო, თუმცა კი ისეთი, რომელიც ასევე გარკვეულ ტექნიკურ გამოცდილებასა და მხატვრულ გემოვნებას მოითხოვს)? ესეთ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ლეგენდების დატანაზე მისი კვალიფიკაცია ტყუილად იხარჯებოდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეულ მინიშნებას გვაძლევს ამა თუ იმ ემისიის ხანგრძლივობა. გიორგი ლაშას 1210 წლის საკორონაციო გამოშვება, თითქმის დარწმუნებულნი ვართ, სპორადული იყო; მაშინ როდესაც გიორგი მესამის წესიერი ჭედვის საფასე მისივე გამოსახულებით შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში იჭრებოდა, თუ გავითვალისწინებთ შემონახული ცალებისა და მათ დასამზადებლად გამოყენებული სიქების რაოდენობას. უკანასკნელ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელოსნის მეტ-ნაკლებად დიდი დროით დასაქმება (სტაბილურად შტატში შეყვანა).

როდესაც 1226 წელს ჯალალ ად-დინმა დაიპყრო თბილისი (ხელში ჩაუვარდა ქართველი მეფეების ხაზინაც?), მან გადაჭედა ნადავლი - უპირატესად უწესო ჭედვის ქართული მონეტები (იქნებ პირდაპირ ნედლი ლითონისგანაც ჭრიდა მონეტას). უცნობია, მის ზარაფხანაში ადგილობრივი პერსონალი მუშაობდა თუ მონღოლებისგან ძლეულმა და გაქცეულმა ხვარაზმელმა დამეპრობელმა უცხოელი (საკუთარი)

³⁶⁰ პიროვნებები? ცალკე კვლევის საგნად უნდა იქცეს, ჩვენი აზრით, სტილისტურად ავლენს თუ არა გიორგი მესამის გამოსახულებიანი მონეტები, თუ თავად გიორგი მესამის გამოსახულებები სხვადასხვა ხელს. გიორგი მეოთხის საკორონაციო მონეტის უნიკალურობიდან გამომდინარე, ამგვარი შედარებითი ანალიზი ამ შემთხვევაში ჯერჯერობით შეუძლებელია.

პერსონალი ჩამოიყვანა.³⁶¹ ნებისმიერ შემთხვევაში, მის მონეტებზე გამოყენებული ლეგენდების არაბული ლეგენდების „აყვავებული ქუფური სტილი“ და ხარფების ქართული ნუმიზმატიკისათვის ატიპიური ზომა-სისქე განაპირობებს ჯალალ ად-დინის „ქართული“ საფასის სპეციფიურ იერს.

თუ რა მნიშვნელობა ქონდა გამოცდილი ხელოსნების ხელიმისაწვდომას, თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ორი დავითის - დავით გიორგის ძისა და დავით რუსუდანის ძის ერთობლივი გამოშვება, სავარაუდოდ, ქუთაისში. საფიქრებელია, რომ დავით გიორგის ძემ ვერ მოახერხა თბილისიდან გამოცდილი პერსონალის ჩამოყვანა - ქუთაისში დავით რუსუდანის ძეს კი ვერ მიეცა შესაძლებლობა ზარფანა დაეარსებინა.³⁶² საბოლოო პროდუქტი (სურ. 3.3.1)



ერთგვარად შოკში აგდებს მნახველს - ფიგურებიც და ასომთავრული გრაფემებიც უკიდურესად უხეში და პრიმიტიულია (ცნობილია სიქების ყველაზე ცოტა 2 წყვილი).

და, ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ, სავარაუდოდ, მონღოლურმა ადმინისტრაციამ საქართველოში ზარაფხანის საკუთარი პერსონალი ჩამოიყვანა, ნაწილობრივ მაინც. ამას ცხადყოფს, დავუშვათ, თურაქინას ზეობის (1242–1246) პერიოდში თბილისში მოჭრილ ცნობილ მონეტაზე მოყვანილი ცხენოსანი მშვილდოსნის გამოსახულება (სურ. 3.3.2)

³⁶¹ დავით ფაცია, ირაკლი ფაღავა, *ჯალალ ად-დინ მანკბურნის ქართული მონეტები*. (თბილისი: ეროვნული მწერლობა, 2009. Patsia Daviti, Paghava Irakli. *The Georgian Coins of Jalal ad-Din Mankburni*. Tbilisi: Erovnuli Mtserloba, 2009), 39-41.

³⁶² ეს შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ კირმანეულ თეთრს ჯერ ან არ ჰყრიდნენ, ანდა ეს ემისია არ უკავშირდებოდა დავით რუსუდანის ძეს.



და, ასევე, ლეგენდების კალიგრაფიაც: ორივე საკმარისად განსხვავდება ყველა წინანდელი ქართული სამონეტო ტიპისგან, რომ ამ ჰოპოთეზის წამოყენების უფლება გვქონდეს.

ქვეთავი 3.4 სამონეტო იკონოგრაფია

დავით IV აღმაშენებლიდან (1089-1125) და რუსუდანის (1223-1245) ჩათვლით, ხუთი თაობის შვიდმა ქართველმა მონარქმა სულ ჯამში გამოუშვა 20 სამონეტო ტიპი.³⁶³ აქედან გამოსახულება მხოლოდ ოთხზეა (20%), და მხოლოდ სამ შემთხვევაში (15%) გამოსახულია მმართველი მონარქი:

5. დავით IV აღმაშენებლის გამოსახულებიანი უნიკალური სპილენძის ფული (დაუთარიღებელია) (სურ. 3.2.1);
6. გიორგი III-ის წესიერი ჰედვის მონეტები მისი გამოსახულებით (ქართული ქორონიკონის 395 წელი, ანუ 1174) (სურ. 3.2.2);
7. გიორგი IV ლაშას გამოსახულებიანი უნიკალური სპილენძის ფული (ქართული ქორონიკონის 430 წელი, ანუ 1210) (სურ. 3.2.3);
8. რუსუდანის ვერცლის დრამები და ნახევარ-დრამები მაცხოვრის გამოსახულებით (სურ. 3.2.4).

³⁶³ Пахомов, *Монеты Грузии*, 71-111; Капанадзе, “Новый тип монеты Давида Строителя”, 338-343; Paghava, “The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah”.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მმართველი მონარქის გამოსახულებით საფასე საქართველოში მომდევნო თაობის წარმომადგენლებმაც გამოუშვეს - დავით VI-მ (რუსუდანის ძემ) და დავით VII-მ (გიორგი ლაშას ძემ), უკვე მონღოლების მოკლენის შემდეგ.³⁶⁴

1. დავით VI-ის (რუსუდანის ძის) ვერცხლის დრამა (სურ. 3.4.1);



2. დავით VII-ის (გიორგი ლაშას ძის) სპილენძის საფასე (სურ. 3.4.2);



3. ბიძაშვილ-მამიდაშვილის ერთობლივი გამოშვება (სურ. 3.3.1).

ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით, ჩვენამდე შემონახული სამონეტო არტეფაქტები წარმოადგენს მცირე პლასტიკის ნიმუშებს, დაბალ რელიეფში; ქართული ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის ამ ასპექტს დიდი ყურადღება, აქამდე, როგორც ჩანს, არ ეთმობოდა, თუმცა კი, ის არ არის მოკლებული სამეცნიერო ინტერესს.

ზემოთ აღწერილი სამონეტო სერიის თუნდაც ზედაპირული ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება ამ ეპოქის ქართულ სამონეტო ხელოვნების ევოლუციაში სამი ეტაპის გამოყოფა:

³⁶⁴ Джалагания, *Из истории монетного дела в Грузии XIII века* (Тбилиси: Издательство АН Грузинской ССР, 1958), 32-34, 36-40; თამარ აბრამიშვილი, *XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959), 93-100.

I. პრიმიტივში: უნიკალური სპილენძის მონეტა წვეროსანი დავით IV აღმაშენებლის გამოსახულებით წარმოადგენს ამ ადრეული სტადიის ერთადერთ ნიმუშს. თანადროული ბიზანტიური სოლიდები (სურ. 3.4.3),



რომელსაც იმ დროის საქართველოში კარგად იცნობდნენ, თავისი მხატვრული ღირსებებით გამოირჩეოდა. გაუგებარია, თუ რამ განაპირობა მსგავსი ან, ყოველ შემთხვევაში, მიახლოებული ტექნიკურ-მხატვრული დონის მიუღწევლობა - ქართული ტორეტიკის თანადროულ ნიმუშებთან შედარება ცხადყოფს, რომ ქვეყანაში იმ დროისთვის არსებობდა საკმარისი კვალიფიკაციის მქონე ხელოსნები, ოქრომჭედლები, ვინც შეძლებდა, ზარაფხანის მიერ დასაქმების შემთხვევაში, მხატვრულად უფრო ღირებული სიქების დამზადებას. როგორც ჩანს, მათ არ უხმეს. ამის მიზეზები გაურკვეველია. იქნებ, გარკვეული როლი ითამაშა ადამიანის გამოსახულებიანი სიქების დამზადებაში გამოუცდელობამ და ამოცანის სირთულის დაუფასებლობამ, საზოგადოდ არაადეკვატურმა მენეჯმენტმა. ბოლოს და ბოლოს, ეს იყო პირველი ქართული მონეტა, რომელზედაც ეროვნული ლიდერი იყო გამოსახული.

II. რეალიზმი: დავით აღმაშენებლის გამოსახულებიანი მონეტისგან განსხვავებით, გიორგი III-ის წესიერი ჭედვის სპილენძები, რომელიც მასიურად თუ არა, საკმარისად დიდი რაოდენობით მაინც გამოუშვიათ (თუ ვიმსჯელებთ შემონახული ცალებით - ათობითაა), ისევე როგორც გიორგი ლაშას კურთხევის სცენის მატარებელი უნიკალური მონეტა - ორივეზე მონარქის გამოსახულება მეტად რეალისტურია, ადამიანის ფიგურა პროპორციული და კარგად მოდელირებულია; შესაძლებელია გამოსახული მამაკაცის ასაკის განსაზღვრაც კი. მიღწეული მხატვრული მიმზიდველობა კარგად შეესაბამება XII საუკუნის ქართული სახელმწიფოს ზოგად წარმატებებსა და კეთილდღეობას.

III. დეგრადაცია: საინტერესოდ გვეჩვენება, რომ უკვე მაცხოვრის გამოსახულებას მეფე რუსუდანის ვერცხლის საფასეზე (მოჭრილია პირველად 1230 წელს) გარკვეული სქემატიზმი ახასიათებს; ეს შეიძლება ბუნებრივად მოგვეჩვენოს, თუ გავითვალისწინებთ რუსუდანის ზეობის მარცხებს. კონკურენტი ბიძაშვილი-მამიდაშვილის, დავით რუსუდანის ძისა და დავით გიორგის ძის მიერ გამოშვებულ სპილენძისა თუ ვერცხლის საფასეზე მონარქთა ფიგურები კიდევ უფრო სქემატიზირებულია. ბუნებრივია, სამონეტო ნაშადის მცირე ფართი და მასში ფიგურის ჩატევის აუცილებლობა ხელოსანს საქმეს ურთულებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხადია, თუ რამდენად გამარტივებულია ადამიანის ფიგურები, ერთი ან ორი თაობის წინ, ორივე დავითის ბიძის / მამისა თუ ბაბუის გამოსახულებებთან შედარებით. ცხენები გამარტივებულია, ხოლო მხედართა ფიგურები კი აშკარად პირობითია. ბიძაშვილ-მამიდაშვილის ერთობლივი გამოშვება (სავარაუდოდ ქუთაისში მოჭრილი, მონღოლებისგან დევნილობაში) წარმოადგენს ხელოვნების არათუ უბრალოდ პრიმიტიულ, შეიძლება ითქვას, მიაშიტურ ნიმუშსაც კი. ისევ და ისევ, სამონეტო ხელოვნების დონე შესაბამისობაშია ნახევრად დაპყრობილი და დანაწევრებული საქართველოს მდგომარეობასთან.

ბუნებრივია, ჩვენს ანალიზს გარკვეული შეზღუდვები აქვს.

პირველ რიგში, დაკვირვებათა რიცხვი, იქნებ, არასაკმარისია. შესასწავლად ხელმისაწვდომია მხოლოდ შვიდი სამონეტო ტიპი. მათგან ლოგიკური თანმიმდევრობა კი აეწყობა, მაგრამ შემთხვევით სტილისტურ ფლუქტუაციებს მაინც, თეორიულად, ძალუძს ზოგადი სურათის დაბინდება, და ჩვენს ლოგიკურ კონსტრუქციებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ბუნებრივია, ქართული სამონეტო ხელოვნების ნიმუშებზე უაღრესად დიდი, და იქნებ არაკანონზომიერად დიდი ზეგავლენა შეეძლო რაიმე სპეციფიურ ისტორიულ მოვლენასაც მოეხდინა. ასე, მაგალითად, უეჭველია, რომ ორი დავითის ვერცხლის მონეტის მხატვრული დონე განაპირობა ქუთაისში ზარაფხანის ab initio მოწყობის აუცილებლობამ - იქ კი, საფიქრებელია, იმ დროს არ იყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ხელოსანი. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ მხატვრული

დონის ეს ფლუქტუაციებიც (ისევე როგორ პოლიტიკური / სამხედრო მოვლენები), შეესაბამებოდა ზოგად ისტორიულ ტენდენციას.

გარდა ამისა, საგანგებო კვლევას მოითხოვს ამ ეპოქის ქართული საფასის ლეგენდების კალიგრაფია და მისი ევოლუცია; ვგულისხმობთ როგორც ასომთავრულითა და მხედრულით შესრულებულ ზედწერილებს, ასევე არაბული გრაფიკით შესრულებულ ლეგენდებს - გარდამავალ ქუფისა და ნასხს, ორნამენტული ქუფის გაჩენას).

ვთვლით რომ აღნიშნულ ეპოქაში ქართული სამონეტო ხელოვნების ევოლუციისადმი ინტერესი არ უნდა შენეოდეს - საკითხი დახურულად ვერ ჩაითვლება და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

თავი 1. საქართველოში არაბთა ადმინისტრაციის შემოღება და არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია

არაბთა ბატონობა საქართველოში ჩვენი ერისა და ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულად მნიშვნელოვან პერიოდად გვესახება, ვინაიდან არაბების მიერ შემოტანილმა ისლამმა, როგორც ჩანს, საკმაოდ ღრმა ფესვები გაიდგა საქართველოში – არაბულ-ისლამური (სამოხელეო?) კულტურა დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლების შემდგომაც არსებით ზეგავლენას ახდენდა ქართულ საზოგადოებაზე. არ არის გასაკვირი, რომ ქართულ-არაბული კავშირების შესწავლას არაერთმა მკვლევარმა მიაქცია ყურადღება – აღნიშნულ თემაზე ათობით ნაშრომია შექმნილი. კვლევა ამ მიმართულებით XXI საუკუნეშიც არ შენელებულა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბოლო წლების ნუმისმატიკური აღმოჩენები.³⁶⁵

³⁶⁵ Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110-11; Molchanov, “New Evidence of Ja’farid Coinage (a Dirham of Emir Ja’far b. Mansur, Tiflis AH374)”; Paghava, Bennett, “New Monetary Material for the Numismatic History of ‘Alī B. Ja’far”; Paghava, Turkia, “Circulation of Kufic Dirhams and Dinārs in the Tiflis Emirate (New Monetary Evidence)”; Paghava, Turkia, “Circulation of Kufic Fulus the Tiflis Emirate”, (Forthcoming); Paghava, Turkia. “A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja’far III b. ‘Alī, Ja’farid Emir of Tiflis”; Paghava, Turkia, “A New Early Coin Type of ‘Alī b. Ja’far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tā’ī li-Ilāh”; Paghava, Turkia, “The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus”; Paghava, Turkia. “A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja’farid Emir of Tiflis”; Schindel, “Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II. b. Muhammad from the Caucasus – Additional Comments”; Turkia, Paghava, “The Coinage of Ja’far III B. ‘Alī, Emir of Tiflis”; Turkia, Paghava, “The Prolongation of Yazīd b. Usayd’s Reign in the North-West of the Caliphate”; Turkia, Paghava, “An Unrecorded Early Post-reform Fals minted in Tiflis”; Молчанов, “Дирхам тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.”; Молчанов, “Новые данные о монетной чеканке Джафаридов (дирхем тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.)”; Пагава, Лемберг, “Обращение куфического серебра в западных и юго-западных провинциях

მიუხედავად ამისა, მრავალი საკითხი, ბუნებრივია, საბოლოოდ გარკვეულად ვერ ჩაითვლება.

ასეთებს, ჩვენი აზრით, მიეკუთვნება საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (საქართველოში არაბობის განზოგადებულად განხილვის აუცილებელი წინამორბედი). ვფიქრობთ, რომ ახალი ნუმისმატიკური მასალის გათვალისწინება, ისევე, როგორც უკვე არსებულის ხელახლა გააზრება, მოგვცემს საშუალებას რამდენადმე განსხვავებულად მივუდგეთ აღნიშნულ საკითხს. წინამდებარე შრომაში ჩვენი ამოცანა სწორედ საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაციის დადგენის მცდელობაა, სხვასთან ერთად, ნუმისმატიკურ მონაცემებზე დაყრდნობითაც.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში თავისი მოსაზრება ძალიან მკაფიოდ და მწყობრად ჩამოაყალიბა მარიამ ლორთქიფანიძემ ჯერ კიდევ 1963 წელს გამოცემულ ნაშრომში - მოვიყვანთ ვრცელ ციტატას:³⁶⁶

"აღმოსავლეთ საქართველოში, არაბთა მფლობელობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, დამპყრობელთა და დაპყრობილთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის გათვალისწინებით, არაბთა მფლობელობის ხანა ძირითადად სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს.

პირველი მოიცავს პერიოდს არაბთა საქართველოში შემოსვლიდან თბილისის საამიროს დაარსებამდე (მე-7 ს. 50-იანი წლები – მე-8 ს. 30-იანი წლები). ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობს ბრძოლა არაბთა მფლობელობის დასამყარებლად საქართველოში.

მეორე პერიოდი გრძელდება თბილისის საამიროს დაარსებიდან ვიდრე თბილისის ამირების მიერ სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან

Грузии (в свете новых находок)"; Пагава, Туркия, "Монетное наследие Мансура II б. Джа'фара (III) (к нумизматической истории Тифлисского амирата)"; ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, „ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია)“; ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, „ქუფური მონეტების განძი ხელვაჩაურიდან (აჭარა)“; ჩადუნელი, ქორიძე, „წაქვას განძი“; ქუთელია, ღვაზაძე, „ინჩხურის განძი“.

³⁶⁶ მარიამ ლორთქიფანიძე, „არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში“, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის* ნაკვ. 35 (1963): 73.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე (მე-9 ს. I ნახ.). ამ ხნის განმავლობაში ხალიფას ადგილობრივ მოხელეს საქართველოში თბილისის ამირა წარმოადგენდა.

მესამე პერიოდი უკვე ის ხანაა, როდესაც თბილისის საამირო სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროს წარმოადგენს და თავის საკუთარ პოლიტიკას აწარმოებს."

პირადად ჩვენი შეხედულება რამდენადმე განსხვავებულია; მსჯელობისას ვითვალისწინებთ რამდენიმე ფაქტორს: ქართველებისა და არაბების ურთიერთობის ხასიათს; თბილისის არაბობის პოლიტიკურ დამოკიდებულებას სახალიფოს ცენტრისადმი, შემდგომში კი – სხვა მაჰმადიანური ერთეულებისადმი; თავად თბილისშიდა სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას. ინფორმაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ ნუმიზმატიკური მასალა გვევლინება.

ჩვენი აზრით, საქართველოში არაბთა ბატონობა შეიძლება შემდეგ პერიოდებად დაიყოს:

1 – მოხარკეობის პერიოდი. ეს პერიოდი, ბუნებრივია, დაიწყო არაბთა პირველი გამოჩენით საქართველოში (სალმან იბნ რაბიასა და ჰაბიბ იბნ მასლამას ლაშქრობები) 640-650-იან წლებში.³⁶⁷ ქართველების (საქართველოს ზოგიერთი რეგიონის) დამოკიდებულება არაბებზე ამ პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ მათთვის ხარკის გადახდით შემოიფარგლებოდა. ეს პერიოდი დასრულდა მაშინ, როდესაც არაბებისთვის მხოლოდ ხარკის აკრეფა არასაკმარისი აღმოჩნდა, უფრო საფუძვლიანად დამკვიდრდნენ საქართველოში, და იქ საკუთარი ადმინისტრაციის შემოღება (და, ბუნებრივია, გარნიზონების განთავსება) დაიწყეს.

ამ პერიოდის განმავლობაში, რაიმე სახის საფასე საქართველოში არაბების მიერ არ მოჭრილა.

³⁶⁷ ოთარ ცქიტიშვილი, „აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია* 1 (1984): 92-104; ბენიამინ სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში* (თბილისი: მეცნიერება, 1991), 35-65.

II – კონსოლიდაციის პერიოდი. თავიდანვე განვმარტავთ, რომ კონსოლიდაცია, ბუნებრივია, არ ნიშნავდა არაბთა ბატონობის მხოლოდ და მხოლოდ განვრცობას. პირიქით, ადგილი ქონდა, რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემონახული ცნობებით, ურთიერთსაპირისპირო ორი ვექტორის ურთიერთქმედებას – ტერიტორიულად საქართველოში არაბული სამფლობელოების შეკვეცას თან ახლავდა შემორჩენილ ტერიტორიაზე არაბული ხელისუფლების განმტკიცება და არაბული ადმინისტრაციის შემოღება³⁶⁸: უკვე, როგორც ჩანს, VIII საუკუნის მეორე მესამედისთვის არაბებს დაკარული აქვთ დასავლეთ საქართველო, II ნახევრისთვის მეტ-ნაკლებ დამოუკიდებლობას აღწევს ტაო-კლარჯეთი, კახეთი, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს წანართა ფაქტორი. თავად საქართველოში არაბული სამფლობელოების ბირთვიც კი არ არის მტკიცედ შემოერთებული – საუკუნის I მესამედში აუცილებელი ხდება ალ-ჯარაჰის ლაშქრობების წამოწყება, შემდგომში თბილისს არაბები დროებით მაინც საერთოდ კი თმობენ (მას ხაზარები იკავებენ). მიუხედავად ამისა, კონსოლიდაციის პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია საქართველოს, მით უფრო, ქართლის, ტერიტორიაზე არაბული ადმინისტრაციის ფუნქციონირება (სახალიფოს სათავეში კი ომაიანებს 'აბასიანები ენაცვლებიან) – თუნდაც ქართული ადმინისტრაციის, ერისმთავრის ინსტიტუტის ფუნქციონირების პარალელურად.³⁶⁹

კონსოლიდაციის პერიოდი შეიძლება დავიწყოთ საქართველოში არაბების უშუალოდ დამკვიდრება-განსახლებით. შესაბამისად, იბადება შეკითხვა, როდის შემოიღეს არაბებმა საქართველოში თავისი ადმინისტრაცია. საზოგადოდ, არაბების მიერ საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიაზე გავლენის მნიშვნელობიდან გამომდინარე, თბილისში (საზოგადოდ, საქართველოში) არაბული ადმინისტრაციის შემოღების დათარიღება ადრეული შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს.

³⁶⁸ სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 71-137.

³⁶⁹ ლორთქიფანიძე, "არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში", 84.

ვიციტ, რომ საქართველოში არაბების პირველი ლაშქრობები 640-იანი წლებით თარიღდება. 697 წლისთვის მათ მფლობელობაში გადადის დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი; არაბები იქ 710-იან წლებშიც ჩანან.³⁷⁰ ბუნებრივია, შეუდარებლად უფრო მყარი ხდება არაბების ხელისუფლება აღმოსავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით, საფიქრებელია, მუჰამმად იბნ მარვანის 701-704 წლების ლაშქრობის შემდეგ.³⁷¹ ამასთანავე, დღეისთვის სადისკუსიოდ რჩება საკითხი - რა პერიოდით (თუნდაც მიახლოებით) უნდა დათარიღდეს თბილისის საამიროს - ანუ, სახალიფოს შედარებით გამოცალკევებული ჯერ ადმინისტრაციული, შემდგომში კი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის, ცალკე მოხელით, შემდეგ კი მმართველით, თბილისის ამირით სათავეში - დაარსება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლებად დამკვიდრებული იყო მოსაზრება (იქნებ უფრო ჰიპოთეზა), რომ თბილისის საამიროს დაარსება მურვან იბნ მუჰამადის ლაშქრობის შემდეგ / შემდგომ პერიოდში მოხდა.³⁷² ბენიამინ სილაგამემ ეს მოვლენა რამდენადმე უფრო გვიანი პერიოდით, უფრო VIII საუკუნის II ნახევრით დაათარიღა.³⁷³ გიული ალასანიას ეკუთვნის ნოვატორული მოსაზრება: "ვფიქრობთ, მეტი საფუძველია ალ-ქუფისთან აღნიშნული ფაქტი ჯურჯანის ანუ ქართლის არაბი გამგებლის იბრაჰიმ იბნ ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას დანიშვნის შესახებ თბილისის საამიროს დასაწყისად მივიჩნიოთ"; პატივცემული მკვლევარი ამ მოვლენას 770-იანი წლების დასაწყისით ათარიღებს.³⁷⁴

პირადად ჩვენ რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება გვაქვს ე.წ. თბილისის საამიროს დაარსებასთან და ამ მოვლენის დათარიღებასთან დაკავშირებით.

საზოგადოდ, გვეჩვენება, რომ მაინცდამაინც თბილისის საამიროს დაარსების დროის დადგენა არ უნდა შეიქმნას, ასე ვთქვათ *idée fixe*. თბილისის საამიროს დაარსების დათარიღებაც, მხოლოდ თბილისის ამირად მოხსენიებული ან საქართველოში

³⁷⁰ სილაგამე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 105.

³⁷¹ *Ibid.*, 68-71.

³⁷² ალასანია, „თბილისის საამიროს დაარსების თარიღისთვის“, 3-9.

³⁷³ სილაგამე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 1991, 107-110.

³⁷⁴ *Ibid.*, 11-12.

მოვლენილი ყველაზე ადრინდელი არაბი მხედართმთავრის / მმართველის სახელის მოძიება-ინტერპრეტაციამდეც არ უნდა დავიყვანოთ. ჩვენი აზრით, წყაროების შედარებითი სიმწირის პირობებში, ამ მიდგომის ეფექტურობა შეზღუდულია. ვერ გამოვრიცხავთ თბილისის რომელიმე ადრეული ამირის არსებობას, რომელიც მეტ-ნაკლებად თანადროულმა ნარატიულმა წყაროებმაც კი ვერ დააფიქსირეს. უფრო მეტიც, თბილისის საამიროს მმართველი პირველი ამირას მოძიებას აღარ ექნება ესოდენ პრინციპული მნიშვნელობა, თუკი გავიხსენებთ ამ სამოხელეო თანამდებობის მრავალგვარ ფუნქციურ დატვირთვას – თბილისის ამირა, როგორც კარგად არის ცნობილი, თავიდანვე როდი წარმოადგენდა თბილისისა (თუ ქართლის?) საამიროს, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის, ერთპიროვნულ მმართველს; დასაწყისში მაინც, თბილისის ამირა სახალიფოს ადმინისტრაციული აპარატის ერთ-ერთ (თუმცა კი, საფიქრებელია, იერარქიული კიბის შედარებით მაღალ საფეხურზე მდგომ) მოხელეს წარმოადგენდა.

ჩვენი აზრით, უფრო მართებული, და პერსპექტიულიც, იქნებოდა - გვესაუბრა (და გვეკვლია) არა თბილისის საამიროს დაარსებაზე, არამედ *საქართველოში არაბული ადმინისტრაციის შემოღებაზე* - როგორც არაბული ბატონობის გამყარების უდავო მაჩვენებელზე. ეს ორი ცნება არ არის ერთმანეთის ტოლფასი – ძნელი დასადგენია, თუ როდის დაარსეს არაბებმა საქართველოს ტერიტორიაზე თბილისის საამირო, როგორც ცალკეული (თუმცა პროვინცია არმინიის შემადგენლობაში შემავალი) ადმინისტრაციული ერთეული. საზოგადოდ, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არ არის სრულად გარკვეული პროვინცია არმინიის ადმინისტრაციული დაყოფა, კერძოდ, ადმინისტრაციული თვალსაზრისით საქართველოს თუ რა კავშირი ქონდა პროვინცია არმინიის სხვა შემადგენელ ტერიტორიებთან, არაბული ძალაუფლების განმტკიცების ადრეულ სტადიაზე მაინც (თუნდაც, შეესაბამებოდა თუ არა საქართველოში არაბული ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრები საქართველოს ეთნიკურ საზღვრებს, ან, პოლიტიკური თვალსაზრისით, ქართლის ერისმთავრის სამფლობელოებს?). ამრიგად, უფრო უპრიანი იქნებოდა, ჩვენი აზრით, მსჯელობა საქართველოს ტერიტორიაზე უბრალოდ არაბული ადმინისტრაციის ჩამოყალიბებაზე.

წყაროების პირდაპირი ჩვენების არარსებობის პირობებში კი ადმინისტრაციის ჩამოყალიბებაზე უნდა ვიმსჯელოთ შესაბამისი ადმინისტრაციული ინსტიტუტების არსებობის საფუძველზე, მათ მიერ დატოვებული კვალის მიხედვით (ასეთის ჩვენამდე მოღწევის შემთხვევაში).

და აი, ჩვენს განკარგულებაში უკვე კარგა ხანია არის უტყუარი მოწმობა საქართველოში ისეთი მნიშვნელოვანი არაბული ინსტიტუტის მოქმედებისა, როგორც ზარაფხანა – ვგულისხმობთ ომაიანთა სახელით თბილისში ჰ. 85 წელს (704/5) მოჭრილ დირჰემს.³⁷⁵ ნუმიზმატიკოსის-და გასაკვირად, ეს გარემოება, მართალია, კარგად იყო ცნობილი ქართულ-არაბული ურთიერთობების ყველა მკვლევრისთვის, მაგრამ მისი მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, დაუფასებელი რჩებოდა. ზოგიერთი მეცნიერი ცნობდა ამ მონეტას, როგორც თბილისში არაბების ყოფნის საბუთს, მაგრამ მაინც თვლიდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ცენტრი დამპყრობლებს მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ უნდა დაეკავებინათ.³⁷⁶ ჩვენი აზრით, ზარაფხანის დაარსება უკვე აღნიშნავს თბილისის დაპყრობა-დამორჩილებას, ხოლო საბოლოოდ თბილისის დაპყრობა ვერც მურვან ყრუს ლაშქრობამ უზრუნველყო (მომდევნო ათწლეულებში არაბებს თბილისს, როგორც ჩანს, ხაზარები ართმევენ). არსებითად განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა გიული ალასანიამ. პატივცემულმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ ჰ. 85 წლის შემდგომ თბილისში ჰ. 210 წლამდე (825/6) მონეტა აღარ იჭრება - ნაშრომის გამოქვეყნების დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული სტატიები მურვან ყრუს თბილისური ფელსებისა და იაზიდ იბნ უსაიდის ფელსების შესახებ³⁷⁷ - და მსჯელობა შემდეგი მიმართულებით გააგრძელა: "... რამდენად გამოდგება საამიროს ინსტიტუტის დასათარიღებლად თუნდაც არაბული მონეტის მოჭრის ფაქტი? ის, რომ უცხო მონეტის, ან ეროვნული მონეტის უცხოური სიმბოლიკით მოჭრა მუდამ არ არის პოლიტიკური

³⁷⁵ Пахомов, *Монеты Грузии*, 38-39.

³⁷⁶ მაგალითად, ლორთქიფანიძე, "თბილისის საამიროს ისტორიიდან", 186.

³⁷⁷ Paghava, Turkia, "The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus"; Schindel, "Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II. b. Muhammad from the Caucasus – Additional Comments"; Turkia, Paghava, "The Prolongation of Yazīd b. Usayd's Reign in the North-West of the Caliphate".

დამოკიდებულების ნიშანი და უცხოური ძალის ბატონობის სინქრონული, ამის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ დავით IV შემდგომი გამგებლობის ხანა, ან XIV საუკუნის საქართველო.³⁷⁸ რამდენადმე განსხვავებული აზრი გაგვაჩნია. თბილისში მოჭრილი ომაიანური ფული, ჩვენი აზრით, ვერ ჩაითვლება "ეროვნულ მონეტად უცხოური სიმბოლიკით"; ეს სწორედ რომ "უცხო ფულია", მოჭრილი უცხო ძალის, არაბების მიერ – ის, ბუნებრივია, არ წარმოადგენს არაბებზე ქართველების "პოლიტიკური დამოკიდებულების ნიშანს" ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, არ წარმოადგენს ქართული ადმინისტრაციის, როგორც სამონეტო წარმოების სუბიექტის, მოქმედების ნაყოფს, არამედ საქართველოში არაბების პოლიტიკური უზენაესობის ნიშანია; ასევე საქართველოში არაბების დამკვიდრების, საქართველოში არაბების ზარაფხანის გახსნის მოწმობაა; თბილისში, ზარაფხანის სახელის მითითებით, არა მინაბადის, არამედ მეტროლოგიურ-კალიგრაფიული კუთხით სრულყოფილი მონეტის გამოშვება ქართული ადმინისტრაციის მიერ ვერ განხორციელდებოდა, უცხოური ბატონობის ვერც სინქრონულად და ვერც ასინქრონულად.

გარკვეული სკეპტიციზმი თბილისის ზარაფხანის მიერ გამოშვებული ომაიანური ფულისადმი მისი იშვიათობითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული - ევგენი პახომოვისათვის ცნობილი იყო ამ მონეტის ერთადერთი ეგზემპლარი.³⁷⁹ მაგრამ დღეისთვის ლიტერატურაში გამოქვეყნებულია უკვე 6 ეგზემპლარი,³⁸⁰ და, კიდევ 1 კერძო კოლექციაში ინახება (ანუ, სულ უკვე 7-ია). უფრო მეტიც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სულ ახლახანს, 2014 წლის შემოდგომაზე, გამოჩნდა კიდევ ერთი თბილისში მოჭრილი ომაიანური დირჰემი, ოღონდ დათარიღებული ჰიჯრის უკვე არა 85, არამედ 86 წლით (705). 2009-2010 წლებიდან სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა დაუთარიღებელი, მაგრამ თბილისში მოჭრილი არაბული სპილენძის ფულიც - ქუფური ფელსი, მოჭრილი

³⁷⁸ ალასანია, „თბილისის საამიროს დაარსების თარიღისთვის“, 10.

³⁷⁹ Пахомов, *Монеты Грузии*, 38-39.

³⁸⁰ Klat, *Catalogue of the Post-Reform Dirhams. The Umayyad Dynasty*, 90.

მურვან იბნ მუჰამმადის (მურვან ყრუს) სახელით.³⁸¹ ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, უფრო არა მურვან ყრუს ლაშქრობას უნდა დავუკავშიროთ (რომლის მნიშვნელობაც ქართველმა მემკვიდრეებმა ერთობ გააზვიადა,³⁸² არამედ ამ არაბი მმართველის ზოგადი ადმინისტრაციული საქმიანობით (ცნობილია სპილენძის ფული მოჭრილი მისივე სახელით სამხრეთ კავკასიის სხვა ურბანულ ცენტრებშიც: ალ-ბაბში და არმინიაში³⁸³).

ამრიგად, დავასკვნით, რომ საქართველოში არაბები საკუთარ ადმინისტრაციას დაახლოებით VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე აწესებენ,³⁸⁴ და, ჩვენი აზრით, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოში არაბთა ბატონობის II, კონსოლიდაციის პერიოდი.

ნუმისმატიკური თვალსაზრისით აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ, შესაძლოა, სწორედ თბილისში იჭრებოდა იაზიდ იბნ უსეიდის ფელსების ერთი სპეციფიური ტიპი, ჰ. 164 წელს (780/1).³⁸⁵

III – პარტიკულარიზმის პერიოდი. კონსოლიდაციის პერიოდი დაახლოებით IX საუკუნის დასაწყისისთვის გადადის, როგორც ჩვენ მას ვუწოდებდით, პარტიკულარიზმის პერიოდში. ამ უკანასკნელის ძირითადი მახასიათებელია არა საქართველოში არაბთა (ამ დროისთვის უკვე "თბილისის საამიროდ" ჩამოყალიბებული) სამფლობელოების შეკვეცა საგარეო ფაქტორების ზემოქმედებით (ხაზარები, ბიზანტია, ქართველი და სხვა კავკასიელი ერების განმანთავისუფლებელი ბრძოლა), არამედ ადგილობრივი მმართველების, თბილისის ამირების მცდელობები, შეძლების-და გვარად მოიპოვონ და შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა ხალიფის ხელისუფლებისაგან – პირველ რიგში,

³⁸¹ Paghava, Turkia, "The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus"; Schindel, "Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II. b. Muhammad from the Caucasus – Additional Comments".

³⁸² სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 98-106.

³⁸³ Schindel, "Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II. b. Muhammad from the Caucasus – Additional Comments".

³⁸⁴ ქართლში არაბული ადმინისტრაციის არსებობაზე მიუთითებს იქვე არაბული მანძილის ქვის არსებობაც. აღნიშნული ცნობა ბატონმა გრიგოლ ბერაძემ მოგვაწოდა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებთ.

³⁸⁵ Turkia, Paghava, "The Prolongation of Yazīd b. Usayd's Reign in the North-West of the Caliphate".

ფინანსური; თბილისის ამირების მცდელობებს, ბუნებრივია, მოყვება სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლმები. პარტიკულარისტულ ტენდენციებს უკვე ისმა'ილ იბნ შუაიბი ამჟღავნებს, ხალიფა ალ-ამინის მმართველობის პერიოდში (809-813)³⁸⁶, და პარტიკულარიზმის პერიოდიც, ალბათ, შეგვიძლია ამ დროიდან ავითვალოთ.

ამ პერიოდში თბილისში იჭრება ასე ვთქვათ, სტანდარტული 'აბასიანთა ტიპის საფასე, ჰ. 210 წლიდან (825/6) მოყოლებული, ვიდრე ჰ. 335 წლამდე (946/7).³⁸⁷ პარტიკულარისტი ამირები ჯერ ვერ ბედავენ სიქას უფლების მითვისებას.

IV – *ჯა'ფარიანთა სეპარატიზმის პერიოდი*. შემდგომი პერიოდი, ფაქტობრივად, წარმოადგენს გამარჯვებული პარტიკულარიზმის ეპოქას. თბილისის ამირების ბოლო დინასტია, ჯა'ფარიანები წინამორბედებზე უფრო წარმატებული სეპარატისტები აღმოჩნდნენ, რასაც, ბუნებრივია, სახალიფოს დასუსტებამ და ეპოქის ცენტრიდანულმა ტენდენციებმაც შეუწყო ხელი.

ინფორმაცია ამ ეპოქაში საქართველოში არაბულ ხელისუფლებაზე უკიდურესად მწირია. მით მეტ მნიშვნელობას იძენს ნუმისმატიკური მონაცემები; როგორც ადრეც აღნიშნულა, ზოგიერთი ჯა'ფარიანი ამირას სახელიც კი მხოლოდ სამონეტო მონაცემებით გახდა ცნობილი.³⁸⁸ უფრო მეტიც, სწორედ ნუმისმატიკური მონაცემები ცალსახად მიუთითებს, თუ რამდენი გაბედეს ჯა'ფარიანებმა – თავისი სახელის მონეტაზე განთავსებით მათ მიისაკუთრეს უწინ ექსკლუზიურად ხალიფას *სიქას* უფლება და საჯაროდ გამოაცხადეს თავისი სუვერენობა.

ჯა'ფარიანთა პირველი მონეტა მოჭრილია მანსურ იბნ ჯაფარის მიერ და ჰ. 342 წლით (953/4) არის დათარიღებული.³⁸⁹ ჩვენი აზრით, IV პერიოდი სწორედ აქედან უნდა ავითვალოთ. აღვნიშნავთ, რომ ნუმისმატიკური მასალა წარმოადგენს რა ჯა'ფარიანთა გვარის შესანიშნავ პოლიტიკურ (ასევე ეკონომიკურ) მატთანეს, ასევე იუწყება დინასტიის

³⁸⁶ სილაგამე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 138-168.

³⁸⁷ Пахомов, *Монеты Грузии*, 39-46; Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis", 6.

³⁸⁸ ჯაფარიძე, „თბილისის ამირას 'ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები“, 132.

³⁸⁹ Пахомов, *Монеты Грузии*, 46-47.

აღსასრულის ამბებსაც. ბოლო წლების აღმოჩენებმა დაგვანახა, რომ თავის საფასეს ჭრიდნენ ბოლო ჯა'ფარიანი ამირებიც - ჯა'ფარ III იბნ 'ალი და მისი ვაჟიშვილები – მანსური და აბულ-ჰაიჯა.³⁹⁰

V – თბილისის თვითმმართველობის (დიდ სელჯუკთა უზენაესობის ცნობით) პერიოდი. აღნიშნული პერიოდი, ალ-ფარიკის ცნობის თანახმად, დაიწყო თბილისის დავით IV აღმაშენებლის მიერ ალემამდე დაახლოებით 40 წლით ადრე, ანუ 1080-იან წლებში.

ამ პერიოდის ცალკე გამოყოფის საფუძველია არსებითი ცვლილებები როგორც ჯერ კიდევ არაბთა ხელში მყოფი თბილისის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაში, ასევე მის საგარეოპოლიტიკურ მდგომარეობაში: ერთის მხრივ, ბოლო მოეღო ჯა'ფარიანთა დინასტიას და თბილისში, როგორც ჩანს, თვითმმართველობა დაწესდა, მეორეს მხრივ კი - პრაქტიკულად ქალაქის უშუალო ჰინტერლანდამდე დაკნინებულმა არაბულმა პოლიტიკურმა ერთეულმა პოლიტიკური ორიენტაცია რეგიონში გამოჩენილ ახალ, ძლევამოსილ და მაჰმადიანურ ძალაზე – დიდ სელჯუკებზე აიღო.³⁹¹

ამას მოწმობს ახალაღმოჩენილი³⁹² ნუმისმატიკური მასალა – ორი სხვადასხვა ტიპის თბილისური მონეტები, მოჭრილი ხალიფა ალ-მუსთაჰჰირისა (1094-1118) და, როგორც ჩანს, მუჰამმად იბნ მალიქ-შაჰის სახელით. ფაქტია, რომ თბილისი კვლავინდებურად უშვებს სამონეტო ემისიებს ქართველების მიერ დაპყრობამდე.

1122 წელს თბილისი აიღო დავით აღმაშენებელმა, რამაც დაასრულა საქართველოში არაბთა ბატონობის დაახლოებით 480-წლიანი ისტორიის V და ბოლო პერიოდი.

³⁹⁰ Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis"; Paghava, Turkia. "A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja'far III b. 'Alī, Ja'farid Emir of Tiflīs"; Paghava, Turkia. "A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflīs"; Gogava, Paghava, Gabashvili, Turkia, "Ja'farid Onomastics and Monetary Circulation in the Tiflis Emirate (Mixed Hoard of the 11th C. Ja'farid Coins)"; Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110-11; Парава, Туркия, "Монетное наследие Мансура II б. Джа'фара (III) (к нумизматической истории Тифлисского амирата)".

³⁹¹ Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis", 9.

³⁹² Paghava, Turkia, "Between Ja'farids and Bagratids: The Last Monetary Issues of Muslim Tiflis in the Name of al-Mustazhir (1094-1118)".

თავი 2. ჯა'ფარიანთა გვარის ისტორია ნუმისმატიკური მონაცემებით

ჯა'ფარიანთა გვარი მართავდა თბილისის საამიროს თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, მათ შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. ამ მცირედიდანაც კი (როგორც ეს უკვე აღინიშნა), ინფორმაციის უმეტესი ნაწილი სამონეტო მასალის შესწავლის შედეგად იქნა მიღებული. საბედნიეროდ, ნუმისმატიკის შესაძლებლობები ჯა'ფარიანთა და, შესაბამისად, მათი სამფლობელოების, ისევე როგორც, საზოგადოდ, ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის საკვლევად ამოწურული საბედნიეროდ არ ყოფილა. ახალი მონაცემები იძლევა ძალიან მრავალმხრივ დამატებით ინფორმაციას.

პირველ რიგში მოვიყვანთ ჯა'ფარიანი ამირების ჩამონათვალს:

ჯა'ფარ I³⁹³ ბ. 'ალი, რომელიც „აბულ ყასიმის“ შემოსევის (908-914 = 295/6-301/2 AH) კონტექსტშია ნახსენები;³⁹⁴ მისი ზეობის განმავლობაში თბილისში მოჭრილ ვერცხლის დირჰემებზე მიეთითებოდა მხოლოდ 'აბასიანი ხალიფას სახელი - ცნობილია შემდეგი თარიღების მატარებელი მონეტები: [ჰ.] 287 (900), 294 (906/7), 295 (907/8), 297 (909/10), 298? (910/1), 304? (916/7), 307 (919/20), 311 (923/4), 312 (924/5), 314 (926/7), 321 (933), 323 (934/5), 330 (941/2), 331 (942/3), 335 (946/7) წწ.;³⁹⁵

³⁹³ ამ რიგობით ნომერს ვანიჭებთ იმიტომ, რომ ჩვენი აზრით ის იყო დინასტიის პირველი წარმომადგენელი, რომელიც აქტიურად გამოდის ისტორიულ ასპარეზზე. Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis", 6, footnote 11.

³⁹⁴ ლორთქიფანიძე, "თბილისის საამიროს ისტორიიდან", 196.

³⁹⁵ Добровольский, "Редкие грузинские монеты в собрании Эрмитажа", 161-162; დობროვოლსკი, „ზოგიერთი იშვიათი ქართული მონეტა სახელმწიფო ერმიტაჟის კოლექციიდან“, 62; დუნდუა, დუნდუა, *ქართული ნუმისმატიკა. I ნაწილი*, 173-174; Джалаганиа, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.*, 60-61; კაპანაძე, *ქართული ნუმისმატიკა*, 56-57; Lang, "Notes on Caucasian Numismatics", 12-13; Пахомов, *Монеты Грузии*, 41-46.

მანსურ I ბ. ჯა'ფარ (I), რომელიც ცნობილია მხოლოდ ჰ. 342 (953/4) და 343 (954/3) წლებით დათარიღებული ვერცხლის დირჰემებით, რომელზედაც ხალიფის გარდა პირველად ჩნდება ჯა'ფარიანი ამირას სახელიც;³⁹⁶

ჯა'ფარ II ბ. მანსურ (I), რომელიც ცნობილია მხოლოდ ჰ. 364, (974/5), 366 (976/7)), 367 (977/8), 370 (980/1), 374 (984/5) წწ. დათარიღებული ვერცხლის დირჰემებით, რომელზედაც გრძელდება ჯა'ფარიანი ამირას სახელის მოხსენიება;³⁹⁷

‘ალი I ბ. ჯა'ფარ (II), რომლის მონეტებიც დათარიღებულია ჰ. 386-418 წლების შუალედში (996/7-1027/8)³⁹⁸;

ჯა'ფარ III ბ. ‘ალი (I), რომელიც 1030 წლიდან მაინც ჩანს წყაროებში, და გარდაიცვალა 1045-1046 წლებში³⁹⁹; მისი საფასე (სამი განსხვავებული ტიპი) ჩვენ აღმოვაჩინეთ (vide supra);

³⁹⁶ Пахомов, *Монеты Грузии*, 46-48.

³⁹⁷ Добровольский, “Редкие грузинские монеты в собрании Эрмитажа”, 162; დობროვოლსკი, „ზოგიერთი იშვიათი ქართული მონეტა სახელმწიფო ერმიტაჟის კოლექციიდან“, 62; დუნდუა, დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი*, 176; Джалаганиа, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.*, 63-64, примечания 211-212, 215, 217; კაპანაძე, „ქართული ნუმიზმატიკის სიახლენი“, 63; Molchanov, “New Evidence of Ja'farid Coinage (a Dirham of Emir Ja'far b. Mansur, Tiflis AH374)”; Молчанов, “Дирхам тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.”; Молчанов, “Новые данные о монетной чеканке Джафаридов (дирхем тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.)”; Пахомов, “Монетные клады Азербайджана и Закавказья”, 81, #271; Пахомов, *Монеты Грузии*, 48-49.

³⁹⁸ ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა'ფარის მონეტები“; Paghava, Turkia, “A New Early Coin Type of ‘Alī b. Ja'far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tā'ī li-Ilāh”; Paghava, Bennett, “New Monetary Material for the Numismatic History of ‘Alī B. Ja'far“.

³⁹⁹ მინორსკიმ ეს ფაქტი რამდენადმე უფრო ადრეული დროით დაათარიღა. Minorsky, *Studies in Caucasian History*, 43. მაგრამ, ის, როგორც ჩანს, ცდებოდა: კახეთ-ჰერეთის მეფის, კვირიკე III-ის სიკვდილის თარიღად ამჟამად მიიჩნევა 1037 წელი, და არა 1029; ხოლო ჰ. 418 წელს (1027/8) ჯერ კიდევ ‘ალი ბ. ჯა'ფარი მართავს, ჯა'ფარ ბ. ‘ალის მამა, რასაც შესაბამისი სამონეტო ტიპი მოწმობს. განხილვისთვის იხ. პავლე თოფურია, *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში* (თბილისი: მეცნიერება, 1975), 191-193.

მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III), მართავდა თბილისს, დროგამოშვებით (?) და დამოუკიდებლად ძმისგან (?) 1035-1046 წლის შემდეგ, იქნებ 1070-იან წლებშიც კი (გამომდინარე ხალიფას სახელიდან);⁴⁰⁰

აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III), რომლის საფასეც ჩვენ აღმოვაჩინეთ (ს. თურქიასთან თანამშრომლობაში) (vide supra), მართავდა თბილისს, დროგამოშვებით (?) და დამოუკიდებლად ძმისგან (?) 1035-1046 წლის შემდეგ.

იბადება შეკითხვა, რა ინფორმაციის მიღება შეიძლება ნუმისმატიკური კვლევის გზით ამ დინასტიისა თუ მისი ზემოთ ჩამოთვლილი ცალკეული წარმომადგენლების ისტორიის შესახებ?

*

პირველ რიგში, ნუმისმატიკური მონაცემების ანალიზი პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციას გვაწვდის.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მონეტები რომ არა, მანსურ I ბ. ჯა'ფარ (I), და ჯა'ფარ II ბ. მანსურ (I), როგორც ისტორიული პირები, ჩვენთვის საერთო არ იქნებოდა ცნობილი.

დათარიღებული მონეტები, ბუნებრივია, ასევე იძლევა ერთგვარ რეპერულ წერტილებს ამა თუ იმ ჯა'ფარიანი დინასტიის ზეობის წლების ქრონოლოგიაზე.

ახალაღმოჩენილმა მონეტებმა ჯა'ფარ III ბ. 'ალი (I)-სა და მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ისა და აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ის სახელებით დაადასტურა, რომ თბილისში საკუთარი ფულის გამოშვება არ შეწყვეტილა XI საუკუნის პირველ მესამედში, არამედ გრძელდებოდა ჯა'ფარიანთა დინასტიის არსებობის სულ ბოლომდე.

თუკი ჯა'ფარ III ბ. 'ალი (I)-ის de facto ამირობა ეჭვს არ იწვევდა, ცნობები მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ისა და აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ის შესახებ შეუდარებლად უფრო მწირი და ბუნდოვანი იყო. ახლა უკვე ჩვენ გვაქვს საბუთი ვამტკიცოთ, რომ ორივემ მიაღწია ძალაუფლებას, ყოველ შემთხვევაში, საკმარისს - საკუთარი სახელით მონეტის გამოსაშვებად. ამასთან, ძმები, როგორც ჩანს, ერთმანეთს არ ცნობდნენ - მანსურ II ბ.

⁴⁰⁰ Пагава, Туркия, "Монетное наследие Мансура II б. Джа'фара (III) (к нумизматической истории Тифлисского амирата)".

ჯა'ფარ (III)-ის ოთხი განსხვავებული სამონეტო ტიპიდან არცერთზე თავად აბუ-ნასრ მანსურ ბ. ჯა'ფარის (და ხალიფა ალ-მუკტადის?) გარდა რომელიმე სხვა პიროვნება მითითებული არ არის. კერძოდ, უკვე შეიძლება განვაცხადოთ, რომ მათზე არ არის მანსურის ძმის, აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარის სახელი - შემორჩენილი მონეტების შენახულობა არ არის ძალიან კარგი, მაგრამ XI საუკუნის ჯა'ფარიანთა სამონეტო პროტოკოლის (რომელშიც მონეტებზე ლეგენდების განლაგებასა და შინაარსს ვგულისხმობთ⁴⁰¹) სტანდარტიზირებულობის გათვალისწინებით, შემორჩენილი ფრაგმენტები, რომელიც იკითხება, ამისთვის საკმარისია. ამასთან, აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარის ახალადმოჩენილი მონეტით თუ ვიმსჯელებთ - მათზე მანსურის სახელი ასევე არ მიეთითებოდა.⁴⁰² გამოდის, რომ ორივე ძმა სარგებლობდა რეალური ხელისუფლებით, რომელიც საკმარისი იყო იმისთვის, რომ საკუთარი საფასე გამოეშვათ, მაგრამ ერთმანეთს ძმები არ ცნობდნენ (ნუმისმატიკური კუთხით მაინც). აქედან იქნებ გამომდინარეობს, რომ კონტროლს თბილისსზე ისინი სხვადასხვა დროს ახორციელებდნენ - რთულია წარმოვიდგინოთ ერთსა და იმავე ზარაფხანაში ორი სხვადასხვა მმართველის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ემისიის *ერთდროულად* განხორციელება. ამის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ აბუ ალ-ჰეიჯას მონეტაზე იკითხება ხალიფა ალ-კაიმის სახელი (1031-1075), მაშინ როდესაც მანსურის მონეტებზე ხალიფის სახელი საკმარისი სარწმუნოობით არ იკითხება, გარდა ერთი ზემოთ აღწერილი შემთხვევისა (ტიპი 2-ის მონეტა), როდესაც მონეტაზე თითქოსდა ნახსენებია ხალიფა ალ-მუკტადი (1075-1094) (?!).

მონეტები გვიქმნის გარკვეულ შთაბეჭდილებას ჯა'ფარიანთა საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციაზედაც.

⁴⁰¹ მსჯელობა შეგვიძლია 'ალი ბ. ჯა'ფარის, ჯა'ფარ ბ. 'ალის, მანსურ ბ. ჯა'ფარისა და აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარის საფასით. Vide supra.

⁴⁰² Paghava, Turkia, "A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflīs"; Gogava, Paghava, Gabashvili, Turkia, "Ja'farid Onomastics and Monetary Circulation in the Tiflīs Emirate (Mixed Hoard of the 11th C. Ja'farid Coins)", (Forthcoming).

კარგად არის ცნობილი 'ალი I ბ. ჯა'ფარ (II)-ის ადრეულ მონეტებზე გადაყენებული ხალიფა ათ-თაის სახელის მითითება, ალ-ყადირის მაგიერ, რაც ცალსახად გვეუბნება, თუ ვის ბანაკშია თბილისი.

გარდა ამისა, მეტად მრავლისმთქმელად გვეჩვენება ე.წ. მინუს-ინფორმაციაც - ანუ, არა მოხსენიება, არამედ მოუხსენიებლობა - არც მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ისა და არც აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ის მონეტებზე არ ჩანს (ჯერჯერობით ხელმისაწვდომი მასალით მაინც) სელჯუკი სულთნის სახელი (დავუშვათ ალფ არსლანის). ესეც გაამირებული ძმების პოლიტიკური პოზიციის მაჩვენებელია.

*

პოლიტიკურის გარდა, ნუმისმატიკური ინფორმაცია ძვირფასი წყაროა თბილისის საამიროსა და ჯა'ფარიანთა ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად.

ფაქტია, რომ ბოლო ჯა'ფარიანები, მიუხედავად საამიროს უწყვეტი დაკნინებისა, მაინც ვერ ელევან *სიქას* უფლებას; მეორეს მხრივ კი, ამ ფენომენს შეიძლება ალტერნატიული ფორმულირებაც მივცეთ - *მიუხედავად დაკნინებისა*, ქალაქ თბილისში კვლავინდებურად გრძელდება საფასის მოჭრა; ანუ, გაურკვეველია, წარმოადგენდა ის თუ არა სამონეტო რეგალიის განხორციელების პროდუქტს, თუ რეაქციას ეკონომიკურ მოთხოვნაზე?

გვეჩვენება, რომ ორივე ფაქტორი თამაშობდა გარკვეულ როლს. ყოველ შემთხვევაში, თითოსდა ექვს არ იწვევს, რომ პოლიტიკურ-სამხედრო თვალსაზრისით დაკნინებული თბილისი ინარჩუნებდა თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას. გავიხსენოთ თბილისელი და დმანისელი ვაჭრების როლი უკვე XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის საწინააღმდეგო მაჰმადიანური კოალიციის მობილიზებაში.

ამასვე, პრინციპში, ნუმისმატიკური მასალაც ადასტურებს. 'ალი I ბ. ჯა'ფარ (II)-ის უკვე (დაკნინების სხვადასვა სტადიამდე მისული) რვა სამონეტო ტიპია ცნობაში მოყვანილი; ერთ-ერთი უკანასკნელი ამირას - მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ისთვის ასევე ოთხი სამონეტო ტიპია უკვე ცნობილი. ფაქტია, რომ მონეტის მოჭრა არ ატარებდა სპორადულ ხასიათს. ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია ჯა'ფარ III ბ. 'ალი (I)-ის, მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ისა და აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ის მონეტების შემცველი განძები,

მაგრამ 'ალი I ბ. ჯა'ფარ (II)-ის მონეტების განმეხვებში ერთადაა დაცული სხვადასხვა ტიპის მონეტები (ყოველ შემთხვევაში, ჰ. 413 და 418 წლების მონეტები გვხდება როგორც მეტეხის, ასევე ქვახვრელის განმეხვებში⁴⁰³); ამის საფუძველზე კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი ტიპების გამოშვება ასახავდა მოთხოვნას დამატებით ფულად მასაზე, გამომდინარე გაცხოველებული მონეტარული ურთიერთობებიდან XI საუკუნის დასაწყისის თბილისში. მდგომარეობა, ვფიქრობთ, შემდეგ ათწლეულებშიც არსებითად არ შეცვლილა. თუკი ცნობა 'ალი I ბ. ჯა'ფარ (II)-ის ერთი მონეტის შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე აღმოჩენის შესახებ სწორეა, მაშინ იქნებ შეიძლება ვივარაუდოთ მაინც (ერთი ცალკეული მონეტის საფუძველზე შორს წასული დასკვნების გაკეთება, ცხადია, გამართლებული არ იქნებოდა), რომ ჯა'ფარიანთა საფასე საგარეო ვაჭრობაშიც ერთვებოდა; ანდა, პირიქით, ხსენებული მონეტა უცხოეთში შემთხვევით გატანილადაც რომ მივიჩნიოთ, მაინც გამოდის, რომ იმ პერიოდის თბილისი საერთაშორისო ვაჭრობას მთლად გათიშული არ იყო.

ამასთან, სახეზეა ჯა'ფარიანთა საფასის დაკნინება; ეს, პირველ რიგში, მონეტის წონას (და, შესაბამისად, ფორმა-ზომას) ეხება, ასევე სინჯსაც. კარგად არის ცნობილი, რომ ვერცხლის საფასის ბილონით და შემდეგ სპილენძით ჩანაცვლება ვერცხლის კრიზისის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენდა, ზოგჯერ ასევე პარალელურად ე.წ. უწესო ჰედვის მონეტაზე გადასვლასთან ერთად, როდესაც ცალკეული მონეტის ღირებულება, საფიქრებელია, არ იყო წინასწარ განსაზღვრული, არამედ გამომდინარეობდა წონიდან, რომელიც ფართო ფარგლებში მერყეობდა.

ამგვარი დაკნინების შესანიშნავ სურათს გვაძლევს XI საუკუნის ჯა'ფარიანთა საფასეც: თუკი 'ალი I ბ. ჯა'ფარ (II)-ის ადრეული, ჰ. 386 წლით დათარიღებული ვერცხლის მონეტა, პრინციპში, მეტ-ნაკლებად სტანდარტული ქუფური დირჰემის შთაბეჭდილებას ტოვებს, უკვე მისი ბოლო (ჰ. 413 და 418 წლების) „დირჰემების“ სინჯი მკვეთრად შემცირებულია და ისინი პრაქტიკულად მოვერცხლილ ბრინჯაოს წარმოადგენს. ჯა'ფარ III ბ. 'ალი (I)-ის, მანსურ II ბ. ჯა'ფარ (III)-ისა და აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ის

⁴⁰³ Japaridze, "On the Coins of the Tbilisi Amīr 'Alī b. Ġa'far".

მონეტები ყველა სპილენძისაა, რომელსაც, ზოგიერთი შემორჩენილი ცალით თუ ვიმსჯელებთ, იქნებ მოვერცხლავდნენ ან ზედაპირს ვერცხლით გაუმდიდრებდნენ.

ზემოთ მოხსენიებული დაკნინება ვერცხლის კრიზისის შედეგია, რომელიც თავის დაღს ასვამდა უზარმაზარ რეგიონს ახლო აღმოსავლეთიდან შუა აზიამდე.

ამასთანავე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს პროცესი ასინქრონულად და არათანაზომიერად მიმდინარეობდა.⁴⁰⁴

ერთის მხრივ, მეზობელი დინასტიები ერთსა და იმავე დროს უშვებდნენ საფასეს ვერცხლის სხვადასხვა შემადგენლობით: ასე, მაგალითად, ქართველი ბაგრატიონები ჭრიდნენ ბიზანტიური ტიპის მონეტებს საკმარისად მაღალი სინჯი ვერცხლიდან ბაგრატ IV-დან (1027-1072) დაწყებული და ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის (1089-1125) ზეობის ჩათვლით.⁴⁰⁵ თბილისელმა ჯა'ფარიანებმა კი დაიწყეს თავისი საფასის სინჯის შემცირება უკვე 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის დროს (996/7-1027/8).⁴⁰⁶ ხოლო ქურთი შადადიანები კი ჭრიდნენ მონეტას, რომელშიც ვერცხლის შემადგენლობა 50%-ს აღწევდა - XI საუკუნის შუამდე, უფრო გვიანდელ პერიოდამდე თუ არა, თუმცა კი შეწყვეტებს დაბალსინჯიანი მონეტის მაღალსინჯიანად გასაღება.⁴⁰⁷

საფასის დაკნინების პროცესის სხვადასხვანაირი სიჩქარე და ინტენსიურობა მეზობელ სახელმწიფოებში მათი განსხვავებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით უნდა აიხსნებოდეს.

მეორეს მხრივ, გამოშვებული საფასის ვერცხლის სინჯის შემცირების უტყუარი საზოგადო ტენდენციის არსებობის გათვალისწინებითაც, ზოგიერთი კავკასიელი მმართველი ახერხებდა მის დროებით გაუმჯობესებასაც, რაც თავისთავად მეტად საინტერესო ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოვლენად გვესახება. ასე, მაგალითად, 'ალი ბ. ჯა'ფარ (II)-ის ბოლო (ჰ. 413 და 418 წლებით დათარიღებული) მონეტები პრაქტიკულად

⁴⁰⁴ Лебедев, Марков, Койфман, *Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шадбадидов (сер. X – XI вв.)*, 75-76.

⁴⁰⁵ Пахомов, *Монеты Грузии*, 57-74.

⁴⁰⁶ Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis", 8.

⁴⁰⁷ Лебедев, Марков, Койфман, *Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шадбадидов (сер. X – XI вв.)*, 85-89, 93-94, 104-106

ბრინჯაოსია, ზედაპირის ვერცხლით გამდიდრების კვალით; ჯა'ფარ III ბ. 'ალის(1027/8-1045/6) საფასე ასევე ვიზუალურად სპილენძის შთაბეჭდილებას ტოვებს.⁴⁰⁸ მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე დაუმუშავებელი მონაცემებით, აბუ ალ-ჰეიჯა ბ. ჯა'ფარ (III)-ის მრავალი მონეტა ვერცხლისა ან ბილონის შთაბეჭდილებას ტოვებს, ანდა მათ ზედაპირში ხელოვნურად გაზრდილია ვერცხლის შემცველობა.⁴⁰⁹

ანუ, ნუმისმატიკური მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაკნინების პროცესი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზიგზაგისებრ ხასიათს ატარებდა, რაც იმდროინდელი თბილისის მდგომარეობას მეტად საინტერესოდ გვიხატავს.

*

და ბოლოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამონეტო ლეგენდების ზოგიერთი კომპონენტი გვაფიქრებს მმართველი ჯა'ფარიანების შიიტურ თუ არა, 'ალიდურ სიმპათიებზე მაინც;⁴¹⁰ ეს კი საინტერესო ინფორმაციაა უკვე ამ პერიოდის თბილისში კულტურულ ვითარებაზე.

თავი 3. საქართველოში არაბთა საფასის მიმოქცევა

ზოტისა და ხელვაჩაურის განძების, როგორც ერთიანი კომპლექსების გათვალისწინება, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში ცალკეული დირჰემების

⁴⁰⁸ Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis"; Paghava, Turkia. "A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja'far III b. 'Alī, Ja'farid Emir of Tiflis".

⁴⁰⁹ Paghava, Turkia, "A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflis"; Gogava, Paghava, Gabashvili, Turkia, "Ja'farid Onomastics and Monetary Circulation in the Tiflis Emirate (Mixed Hoard of the 11th C. Ja'farid Coins)", (Forthcoming).

⁴¹⁰ Cf. Beradze, "Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shi'i Tradition".

პოვნის ფაქტები - იძლევა საშუალებას მთლიანობაში ახლებურად მივუდგეთ საქართველოში სახალიფოს ვერცხლის საფასის მიმოქცევის ხასიათს.

პირველ რიგში, განვიხილოთ აქამდე გაბატონებული მოსაზრებები ამ საკითხთან მიმართებაში. ირინე ჯალაღანიას მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციის მიხედვით, ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოში ქუფური საფასე, ძირითადად, ორ რეგიონში მიმოიქცეოდა:

1) თბილისსა და მის შემოგარენში (თბილისის საამირო, საამიროს ტერიტორიული ბირთვი), და

2) ჰერეთში (დღევანდელი საინგილოს ტერიტორიის ჩათვლით).

დასავლეთ საქართველოში კი მისი მხოლოდ ცალკეული და, ავტორის აზრით, შემთხვევითი აღმოჩენებია ცნობილი.⁴¹¹ ხოლო არქაბისა (ლაზეთში) (200-მდე დირჰემი, ოქროს მონეტების გარდა) და ჭოროხის (აჭარა, მდინარე ჭოროხის შესართავთან, განძი გაიფანტა)⁴¹² განძების გადანახვის ფაქტს მკვლევარი პრაქტიკულად არ განიხილავს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მათი საქართველოს ამ რეგიონში მოხვედრა ტრაპიზონის (ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში) გზით სახალიფოს საგარეო ვაჭრობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ისინი „შესადლოა აქ სულ სხვა გზით მოხვდა“.⁴¹³ ჩვენი აზრით, პატივცემული მეცნიერი იმას გულისხმობდა, რომ ქუფური მონეტები ამ რეგიონში შემოდიოდა არა აღმოსავლეთ საქართველოდან (იმერეთისა თუ სამცხის გავლით), არამედ სამხრეთის, კერძოდ, ტრაპიზონის გზით.

⁴¹¹ ჯალაღანია, „ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში“, 70-71; Джалаганиа, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.*, 48-49.

⁴¹² აღირიცხა ერთადერთი მონეტა – ჰ. 195 წ. აღ-ამინის მადინათ ას-სალამში მოჭრილი დირჰემი [ibid., 55]; აღსანიშნავია, რომ მსგავსი მონეტა გურიაში ნაპოვნ ზოტის 12-მონეტაზე განძში ორია. ფაღვა, ვარშალომიძე, თურქია, „ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია)“, 60-67, 117-120. ხელვაჩაურის განძშიც ასეთი მონეტა ასევე ორია. ფაღვა, ვარშალომიძე, თურქია, „ქუფური მონეტების განძი ხელვაჩაურიდან (აჭარა)“, იხ. ცხრილი.

⁴¹³ ჯალაღანია, „ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში“, 75-76; Джалаганиа, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.*, 55.

ვფიქრობთ, დადგა დრო აღნიშნულ კონცეფციაში გარკვეული ცვლილებები შევიტანოთ.

პირველ ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ საიდან შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი გურია-აჭარა-ლაზეთის რეგიონში ქუფური საფასე, მისი იქ აღმოჩენის ფაქტები საქართველოში ქუფური მონეტების მიმოქცევის ზოგადი სურათის შემადგენელი კომპონენტია, რომლის უყურადღებოდ დატოვება (ან, მით უფრო, უგულებელყოფა) დაუშვებელია.

ამასთანავე, აღნიშნული რეგიონისთვის ქუფური მონეტების უკვე ოთხი განძი არის ცნობილი – არქაბისა და ჭოროხის გარდა, ზოტისა და ხელვაჩაურის. ოთხივე განძი საკმაოდ კომპაქტურად იყო განლაგებული - არქაბის, ჭოროხისა და ხელვაჩაურის განძები ზღვისპირა (უშუალო ჰინტერლანდის ჩათვლით) ზონაშია განლაგებული, (არქაბიდან ხელვაჩაურამდე) სანაპიროს დაახლოებით 40 კმ-იანი ზოლის გაყოლებაზე; ხოლო გურიაში ნაპოვნი ზოტის განძი კი ქვეყნის სიღრმეშია (ხელვაჩაურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით), მაგრამ სანაპიროს 50 კმ-ზე მეტად მაინც არ არის დაშორებული. არცთუ დიდ ტერიტორიაზე ოთხი განძის კონცენტრაცია, ჩვენი აზრით, საკმარისია იმისთვის, რომ ქუფური საფასის მიმოქცევის ზემოთ მითითებულ ორ ძირითად რეგიონს კიდევ ერთი დავუმატოთ:

3) გურია-აჭარა-ლაზეთი.

საქართველოს აღნიშნულ რეგიონში ქუფური საფასის მოხვედრის მექანიზმი შეიძლება ორგვარი ყოფილიყო: სატრანზიტო გზის გაყოლებაზე განძების „დალექვა“ ან, რეგიონში ანგარიშსწორების საშუალების სახით, ქუფური მონეტების სტაბილური მიმოქცევა. კონკრეტულად, ამ შემთხვევაში, რთულია მტკიცება, ლაზეთსა და, განსაკუთრებით, აჭარა-გურიაში, ქუფური მონეტების მოხვედრას რა განაპირობებდა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეკონომიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ ქუფური მონეტების შემცველი სამი და შედარებით შიდა სივრცეში ერთი განძის აღმოჩენა, თითქოსდა, არ მონიშნავს ტრაპიზონ-სახალიფოს შემაკავშირებელი გზის მონაკვეთს; თუკი ეს უკანასკნელი, ცხადია, დასავლეთ საქართველოსა და შემდეგ თბილისის საამიროზე არ გადიოდა. შესაბამისად,

გაურკვეველი რჩება, თუ რამ განაპირობა აღნიშნულ რეგიონში ქუფური საფასის ასეთი კონცენტრაცია. თეორიულად მაინც, IX საუკუნის I მესამედისთვის შესაძლებელია ვივარაუდოთ ფულადი ურთიერთობების უკვე საკმაოდ მაღალი დონე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშიც.

სახეზეა სახალიფოსა თუ ლიხს-აღმოსავლეთით მდებარე ქართულ რეგიონებთან გურია-აჭარა-ლაზეთის კავშირების ინტენსიურობის ნუმისმატიკური დადასტურებაც.

საზოგადოდ, შესაძლებელია ვისაუბროთ სახალიფოს ვერცხლის საფასის მიმოქცევაზე საზოგადოდ, მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამას ადასტურებს სავანეს (იმერეთი) განძი;⁴¹⁴ ცალკეული აღმოჩენები მერჯევსა და კორბოულში, გელათის მიდამოებში (იმერეთი), მერიაში (გურია),⁴¹⁵ რომელსაც ჯერ კიდევ ირინე ჯალაღანია ითვალისწინებდა; ასევე სამეცნიერო მიმოქცევაში ბოლო დროს შესული წაქვასა და ინჩხურის განძებიც.⁴¹⁶ დასავლეთ საქართველოში ქუფური ვერცხლის გავრცელებაზე ირიბად, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად მეტყველებს ასევე დასავლურ-ქართულ („აფხაზთა“) სამეფოში ‘აბასიანთა დირჰემების ქართული მინაბადების გამოშვებაც.⁴¹⁷

იგივეზე მეტყველებს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქუფური დირჰემების ცალკეული, მაგრამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი აღმოჩენების ფაქტებიც.⁴¹⁸

⁴¹⁴ Джалаганиа, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.*, 51.

⁴¹⁵ Ibid., 51, 55; ჯალაღანია, *ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში*, 26, №44.

⁴¹⁶ Гваберидзе, Кутелия, “Инчхурский клад”; ჩადუნელი, ქორიძე, „წაქვას განძი“. საგულისხმოა, რომ საქართველოს დასავლეთ რეგიონებში ქუფური ვერცხლის მიმოქცევის საკითხში თინათინ ქუთელია და ციალა ღვაბერიძე აბსოლუტურად იგივე დასკვნას აკეთებენ. ქუთელია, ღვაბერიძე, „ინჩხურის განძი“.

⁴¹⁷ გოჩა ჯაფარიძე, „აბასიანთა დირჰემების ქართული მინაბადები“, *საისტორიო კრებული* 2 (2012): 197-219; Вячеслав Кулешов, “О грузинских подражаниях ‘Аббасидам и о так называемой “монете Баграта III” из собрания Эрмитажа”, *Византия в контексте мировой культуры. Труды Государственного Эрмитажа* Т. LXIX (2013); Вячеслав Кулешов, “О типологическом и хронологическом соотношении хазарских рунических дирхамов и монет Абхазского царства IX в.”, *Нумизматические чтения 2013 г. Материалы докладов и сообщений*. (Москва, 2013), 40-42.

⁴¹⁸ Пагава, Лемберг, “Обращение куфического серебра в западных и юго-западных провинциях Грузии (в свете новых находок)“.

მაშასადამე, ქუფური დირჰემი შემოდიოდა და მიმოიქცეოდა საქართველოს არა მარტო აღმოსავლეთ, მეტ-ნაკლებად მყარად ინკორპორირებულ პროვინციებში, არამედ ქვეყნის დასავლეთ რეგიონებში, რომელიც მეტწილად ინარჩუნებდა სახალიფოსგან შედარებით დამოუკიდებლობას.

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ახალი მონაცემები არა მარტო ავსებს საქართველოში ქუფური საფასის მიმოქცევის ზოგად სურათს; ისინი იძლევა მეტის საშუალებას - გადაისინჯოს და ძირეულად გადახალისდეს საქართველოში ქუფური ვერცხლის მონეტების მიმოქცევის აქამდე არსებული კონცეფცია.

*

საგანგებო ანალიზს საჭიროებს და იმსახურებს (აღმოსავლეთ) საქართველოში სპილენძის ქუფური მონეტების მიმოქცევის ხასიათიც.

ხელმისაწვდომი მონაცემების ანალიზს მივყავართ შემდეგ დაკვირვებებამდე. პირველ რიგში, თბილისის საამიროს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სპილენძის ფელსების რაოდენობა (152 მონეტა, აქედან 142 თავად თბილისშია ნაპოვნი) ადასტურებს, რომ თბილისის საამიროს (ან, ყოველ შემთხვევაში, თავად ქალაქ თბილისის) სამონეტო მიმოქცევაში სპილენძის საფასე შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, ვიდრე ამას ითვალისწინებდა საქართველოში ქუფურის საფასის მიმოქცევის ი. ჯალალანიას მიერ შექმნილი ზოგადი კონცეფცია.⁴¹⁹ ჩვენი აზრით, რაოდენობრივი თვალსაზრისით, ადრე შუა საუკუნეების პერიოდის თბილისის ყოველდღიურ სამონეტო ბაზარზე სპილენძის საფასის წილი ვერცხლის დირჰემებთან შედარებით გაცილებით უფრო მაღალი იყო; ვიცნობთ მკვრის კალაპოტში აღმოჩენილ მხოლოდ 7 ვერცხლის დირჰემს⁴²⁰ - ვფიქრობთ, რომ ფაქტიურად შუასაუკუნოვანი თბილისის ერთ-ერთი ძირითადი სატრანსპორტო არტერიის ტერიტორიაზე მონეტების ცალკეული აღმოჩენები ზუსტად ახასიათებს ადგილობრივ სამონეტო ბაზარს, და ამას უკეთადაც აკეთებს, ვიდრე შედარებით უფრო დიდი ზომის კონგლომერატები, როგორიცაა,

⁴¹⁹ Джалаганиа, *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.*, 44-57; ჯალალანია, „ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში“.

⁴²⁰ Paghava, *Turkia, "Circulation of Kufic Dirhams and Dinārs in the Tiflis Emirate (New Monetary Evidence)"*.

მაგალითად, ბოტანიკური ბაღისა და ბორჩალოს განძები,⁴²¹ რომელიც შესაძლოა ფულადი ბაზრის უფრო საგარეო ვაჭრობაზე ორიენტირებულ სეგმენტს მიეკუთვნებოდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, გვაქვს საკმარისი საფუძველი ვივარაუდოთ ქალაქ თბილისში VIII-IX საუკუნეებში წვრილი აღებ-მიცემობის ინტენსიური ხასიათი.

ამასთან, 'აბასიანთა ფელსების სიჭარბე და ომაიანთა პერიოდში გამოშვებული სპილენძის ქუფური საფასის იშვიათობა იქნებ იმაზედაც მიუთითებდეს, რომ თბილისის ურბანულ განვითარებას განსაკუთრებული ბიძგი მხოლოდ 'აბასიანთა აჯანყების შემდგომ პერიოდში მიეცა. როგორც ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ნუმიზმატიკური მონაცემებით მაინც, დაბილის ურბანული განვითარებაც იმავე ტიპით მიმდინარეობდა.

დაბილსა და, განსაკუთრებით, თბილისში აღმოჩენილი სპილენძის მონეტები ამიერკავკასიის სხვადასხვა ზარაფხანიდან მომდინარეობდა. მართალია, დაბილში ნაპოვნი ფელსების თითქმის ნახევარი (45.2%) იქვე იყო მოჭრილი, ექვს არ იწვევს, რომ ამ შუასაუკუნოვან სომხურ ქალაქში და მის შემოგარენში თავისუფლად მიმოიქცეოდა ის ფელსებიც, რომელიც სხვაგან, არა დაბილში მოიჭრა. იგივე დანამდვილებით შეიძლება ითქვას საქართველოზედაც, თბილისზედაც, სადაც ფელსების აბსოლუტური უმრავლესობა კავკასიაში არაბთა სამფლობელოების სხვა ადგილებიდან იყო იმპორტირებული. ექვს არ იწვევს, რომ სახალიფოს ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებში სპილენძის საფასის მიმოქცევა არ შეიზღუდებოდა მხოლოდ მოჭრის ადგილითა და მისი *ჰინტერლანდით*, არამედ ფელსები ანგარიშსწორების კანონიერ საშუალებას რეგიონის სხვა ურბანულ ცენტრებშიც წარმოდგენდა, და, შესაბამისად, თავისუფლად გადადიოდა ერთი ქალაქიდან მეორეში. კონკრეტული ქალაქის ფულად მიმოქცევაში იმპორტირებული ფელსების ხვედრითი წილი, ვფიქრობთ, შეიძლება ასახავდეს სხვა რეგიონებთან მისი ეკონომიკური კავშირების ინტენსიურობას. აშკარაა, რომ დაბილიც და, მით უფრო თბილისიც, ინტენსიურად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან და სხვა ეკონომიკურ ცენტრებთან.

⁴²¹ ჯალაღანია, *ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში*, 29-30, №№ 46-47.

თბილისისა და დაბილში აღმოჩენილ ფელსებში არა-კავკასიური ზარაფხანების ნაწარმის იშვიათობა ერთობ საგულისხმოა. ვერ გამოვრიცხავთ, ბუნებრივია, რომ გაცვეთილი და ფრაგმენტირებული, იქნებ მოჭრის ადგილის მითითების არმქონე ფელსების რაღაც ნაწილი, რომელიც არაიდენტიფიცირებული დარჩა, სახალიფოს სხვა ზარაფხანებიდან მომდინარეობდეს.⁴²² თუმცა კი, რამდენადაც საუბარია მეტ-ნაკლებად იდენტიფიცირებულ მონეტებზე, აქედან თბილისის აღმოჩენებში დაფიქსირდა მხოლოდ 1 არაკავკასიური ფელსი, და ასევე 1 ამგვარი მონეტა დაბილის აღმოჩენებშიც. როგორც ჩანს, თბილისისა და დაბილის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, VIII-IX საუკუნეებში სახალიფოს კავკასიურ პროვინციებში წვრილი ალებ-მიცემობა ძირითადად მაინც ადგილობრივად წარმოებული სპილენძის საფასით საზრდოობდა.

როგორც თბილისის, ასევე დაბილის აღმოჩენების ანალიზი გვიხატავს აყვავებული რეგიონის (კავკასიის) სურათს, ხალხმრავალი ურბანული ცენტრებით, სადაც ძალიან კარგად არის განვითარებული წვრილი ალებ-მიცემობა, და რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის (ეკონომიკურად) დაკავშირებული (მაშინ როდესაც ეკონომიკური კავშირები სახალიფოს სხვა პროვინციებთან შედარებით ნაკლებად ინტენსიურია).

უკვე ვახსენეთ, რომ დაბილის ფელსებმა შეადგინა დაბილში აღმოჩენილი სპილენძის მონეტების 45.2%. ლოგიკური იქნებოდა, თბილისის აღმოჩენებშიც თბილისის ზარაფხანის ნაწარმს მსგავსი ხვედრითი წილი დაეკავებინა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თბილისისა და შემოგარენში ნაპოვნ მონეტებშიც კი თბილისის ზარაფხანის სახელის მატარებელი მხოლოდ 1 ფელსი იყო. მეორეს მხრივ, ჩვენთვის ცნობილია დაბილში მოჭრილი მრავალი ტიპის ფელსი⁴²³, და მხოლოდ ერთი სამონეტო

⁴²² ერმიტაჟში ამ თემაზე ჩვენი მოხსენების შემდგომ გამართული დისკუსიის ფარგლებში შტეფან ხაიდემანმა გვაცნობა, რომ სირიაში შეხვედრია კავკასიური ზარაფხანების გამოშვებული ფელსები.

⁴²³ Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia*, vol. 1, *Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD)*, 112-114, №№ 251-258.

ტიპი, რომელიც უეჭველად თბილისში იყო მოჭრილი.⁴²⁴ იქნებ შეიძლებოდეს ჰიპოთეზის გამოთქმა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქის ზარაფხანაც, როგორიც თბილისი იყო, ასევე რეგულარულად ჭრიდა სპილენძის საფასეს, თუმცა - მოჭრის ადგილის მითითების გარეშე. თუ ასეა, მაშინ ჩვენს წინაშე ამოცანაა - გამოვყოთ ეს მონეტები / სამონეტო ტიპები. ლოგიკურ კანდიდატურებად გვეჩვენება მაგალითად იაზიდ ბ. უსაიდის მონეტები (ჯერჯერობით თბილისშია ნაპოვნი 5 ეგზემპლარი, ე.ი. საერთო რაოდენობის 11.6%), რომელიც იშვიათობას წარმოადგენს სხვა რეგიონებში - ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი ეგზემპლარი ბ. საჰაკიანის კოლექციიდან⁴²⁵, რომელიც, საფიქრებელია, სადღად სომხეთში აღმოაჩინეს.

თავი 4. გაერთიანებული ქართული სამეფოს საფასის გენეზისი და ევოლუცია

თბილისის დავით აღმაშენებლის მიერ 1122 წელს აღებამ, საფიქრებელია, მკვეთრად შეცვალა საქართველოს ისტორიული განვითარების შემდგომი მიმართულება.⁴²⁶ საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში უმსხვილესი ქალაქის მაჰმადიანთა ხუთსაუკუნეანი ბატონობისაგან განთავისუფლება არა მარტო ქართული ეროვნული სახელმწიფოს ექსპანსიას ნიშნავდა, არამედ ასევე უპირობოდ დაადასტურა

⁴²⁴ Paghava, Turkia, "The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus"; Schindel, "Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II. b. Muhammad from the Caucasus – Additional Comments".

⁴²⁵ Vardanyan, *Islamic Coins Struck in Historic Armenia*, vol. 1, *Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD)*, 109, № 243.

⁴²⁶ ჩვენი აზრით, საქართველოს ისტორია სხვა გზით წარიმართებოდა, დედაქალაქი ქუთაისში რომ დარჩენილიყო.

საქართველოს de-facto სტატუსი - კავკასიაში ძლევამოსილების უმსხვილესი ქრისტიანული ცენტრი, რომელიც პალესტინასა და სირიაში მეზრდოლ ჯვაროსანთა მოწინააღმდეგეებს „მეორე ფრონტს უხსნიდა“.⁴²⁷

პოლიტიკურ-სამხედრო მნიშვნელობის გარდა, თბილისის ანექსია აღმოჩნდა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველებისათვის იდეოლოგიურ-კულტურული თვალსაზრისითაც. დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადავიდა, იქნებ ამ ხალხმრავალი, მაგრამ მნიშვნელოვანწილად გაუცხოებული ურბანული ცენტრის ასიმილაციის გასაადვილებლად. მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ, საფიქრებელია, არსებითად შეუწყო ხელის სამეფო კარისა და ადმინისტრაციის⁴²⁸ მზარდ ორიენტალიზაციას (შემდგომ პერიოდში, თანდათობით, ასევე, საზოგადოდ, მოსახლეობის?).

ნუმისმატიკური თვალსაზრისით ტრანსფორმაცია ცხადია - ტრანსფორმაცია, რომელიც ასახავს, და, ამასთანავე, შეადგენს კიდევაც ცვლილების პროცესში მყოფ კულტურულ პარადიგმას. თუ შევადარებთ ერთმანეთს ერთის მხრივ ბაგრატ IV-ის, გიორგი II-ისა და თავად დავით IV-ის სტანდარტულ (ქართულ-ბიზანტიური ტიპის) ვერცხლის საფასეს, და, მეორეს მხრივ, დემეტრე I-ის მონეტებს, ცხადი ხდება, თუ რამდენად სერიოზულად არის შეცვლილი მდგომარეობა - შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

⁴²⁷ მაჰმადიანურ სამყაროსთან დავით IV აღმაშენებლის დამოკიდებულებისათვის იხ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 12-59.

⁴²⁸ Cf. Пахомов, *Монеты Грузии*, 75; დავით მუსხელიშვილი, „თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისთვის“, *საქართველო რუსთაველის ხანაში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული* (თბილისი, 1966); გაბაშვილი მანანა. *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში* (თბილისი: მეცნიერება, 1981), 84-89. მანანა გაბაშვილმა ინფორმაციის დიდი მასივი მიმოიხილა, მაგრამ მისი ინტერპრეტაციით, მონაცემები მიუთითებს უწინდელი ისლამური ადმინისტრაციული ინსტიტუტების მიმდინარე ქართველიზაციაზე; ჩვენი აზრით კი ეს მონაცემები ზუსტად საპირისპიროს მიგვითითებს: მაჰმადიანური თბილისის შემკვიდრების ზეგავლენაზე ექსპანსიის გზას შემდგარი ქართული სახელმწიფოს განვითარებად ადმინისტრაციულ სტრუქტურაზე.

- გამოყენებული ენა: გრძელი ასომთავრული ლეგენდა და ღვთისმშობლის აღმნიშვნელი ბერძნული ასოები ჩანაცვლებულია არაბული ტექსტით; განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისეთი მნიშვნელოვანი ეროვნული ელემენტის ამოღება, როგორც ლეგენდები ქართულ ენაზე;
- დიზაინი: იკონოგრაფიკა შეიცვალა მონოეპიგრაფიკული გაფორმებით;
- ვიზუალური დექრისტიანიზაცია: ამოღებულია ღვთისმშობლის გამოსახულება;
- ტიტულატურა: გამოტოვებულია როგორც ბიზანტიური ტიტული (ნოველისიმოსი / სევასტოსი / კეისარი), ასევე „ეთნიკური“ ქართული ტიტულებიც (მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანდა და კახთა [და ტაონთა?]), სამაგიეროდ გაჩნდა არაბულენოვანი *მეფეთა მეფე (ملك الملوك)* და *მესიის მახვილი (حسام المسيح)*;
- უცხო პოლიტიკური თუ რელიგიური ფიგურების ცნობა: ადრე ქართველი მეფის გარდა არავინ მოიხსენიებოდა, თუმცა კი ბიზანტიური ტიტულის მითითება ათავსებდა ქართველ მონარქს ბიზანტიური პოლიტიკური ოიკუმენეს ფარგლებში, ბუნებრივია, ბიზანტიელი იმპერატორისადმი, რომელიც ბიზანტიური იერარქიის სათავეში იდგა, დაქვემდებარებულ მდგომარეობაში. ამის სანაცვლოდ მონეტებზე გაჩნდა სელჯუკი სულთნისა და ‘აბასიანი ხალიფას სახელები;
- სამონეტო ლითონი: ვერცხლს სპილენძი ჩაენაცვლა;
- საფასის დამზადების ტექნიკა, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეკონომიკური ბუნება: მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან, ასე ვთქვათ, წესიერი ჭედვის მონეტებს (თხელი და ფართო ნამზადებისგან დამზადებულს), რომელიც ცალობით ფასობდა, ჩაენაცვლა უწესო ჭედვის მონეტები (სხვადასხვა წონის, ზომისა და ფორმის ლითონის ნაჭრები), რომელიც ჯამური წონით ფასობდა.

ეს ტრანსფორმაცია შეიძლება ჯამურად შემდეგნაირად დავახასიათოთ: სახელმწიფო ვალუტის საფასის დენაციონალიზაცია და არაბიზაცია, ვიზუალური დექრისტიანიზაცია და უწესო ჭედვის საფასის შემოღება.

ამ ცვლილებების ბუნებამ და მასშტაბმა გვიბიძგა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ ჩატარდა უმნიშვნელოვანესი სამონეტო რეფორმა, შემოიღეს ე.წ. *ქართულ-არაბული საფასე*.

ქართული სახელმწიფოს არსებობის რაღაც ეტაპზე სამონეტო რეფორმის ჩატარების ფაქტი ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ, ქრონოლოგიისა და ინიციატორის თვალსაზრისით, რთული იყო დადგენა, თუ ვინ ჩაატარა ეს რეფორმა - დავუშვათ, დავით IV-მ (ზეობის ბოლოსკენ), თუ მისმა ძემ და მემკვიდრემ - დიმიტრი I-მა (მამის გარდაცვალების შემდეგ).

ჩვენს მიერ ხელახლა დავით აღმაშენებლისადმი მიკუთვნებული მონეტების ჯგუფი ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია, ქართველ მონარქთა საფასეებს შორის, რომელსაც ახასიათებს ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები. ამგვარად, შეიძლება დადგენილად ჩავთვალოთ, რომ ეს რეფორმა დავით IV აღმაშენებელმა ჩაატარა, სხვა მრავალთან ერთად. რეფორმის ძალით, *ქართულ-ბიზანტიური* საფასე *ქართულ-არაბულმა* შეცვალა.

თვალი გადავავლოთ, თუ რა ბედი ეწია არაბულ ენას / გრაფიკას ქართველი მონარქების საფასეზე *ქართულ-არაბული* საფასის შემდგომი ევოლუციის პროცესში: დიმიტრი I-ის ყველაზე ადრეული სამონეტო ტიპი ასევე ექსკლუზიურად არაბულენოვანია;⁴²⁹ მომდევნო ოთხ ტიპზე უკვე ჩნდება მეფის ინიციალური ასომთავრულით - *დონი (Ճ)*⁴³⁰. გიორგი III-ის საფასეზე ასევე მითითებული მეფის ინიციალი *ჟ* ან *ჟი* თუ *გი*)⁴³¹, და მონეტის შუბლიც ექსკლუზიურად ქართულენოვნად იქცევა (თუმცა კი ლეგენდები მეტად ლაკონურია - მეფის სახელის შემოკლებულად აღნიშვნა და თარიღი ქართული ქორონიკონით, სულ ეს არის); მომდევნო ქართველი მონარქების (თამარ მეფის, გიორგი ლაშას, რუსუდან მეფის) საფასეზე კი შენარჩუნებულია შუბლის ქართულენოვნება და ასომთავრული ლეგენდაც უფრო ვრცელი ხდება (ემატება მოჭრის დროის აღმნიშვნელი ფორმულა), ასევე მმართველი მონარქის ფაქსიმილე ან მონოგრამა ან მოკლედ აღნიშვნა (ზოგჯერ მშობლის სახელის

⁴²⁹ Turkia, Paghava, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia"; Paghava, Turkia, Zlobin, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum".

⁴³⁰ Пахомов, *Монеты Грузии*, 74-79, ##45-47.

⁴³¹ როგორც ასომთავრული, ასევე მხედრული ანბანითაც. Ibid., 80-83, ##48-51.

მითითებასთან ერთად), მაგრამ ზურგი კვლავინდებურად მთლიანად არაბულია.⁴³² ამგვარად, დავით აღმაშენებლის ექსკლუზიურად არაბულენოვანი საფასე თანდათანობით გადაიზარდა გიორგი ლაშასა და რუსუდანის სანახევროდ არაბულ ფულში.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტერმინი *ქართულ-არაბული* შევარჩიეთ არა მარტო ლეგენდებისთვის შერჩეული ენიდან გამომდინარე. გავითვალისწინეთ ასევე სელჯუკი სულთნის მოხსენიება, გამოყენებული ტუტული *მეფე მეფეთა* (ملك الملوك) - ბიზანტიური ტიტულისა და გრძელი ქართული სამეფო ფორმულარის მაგიერ; მონოეპიგრაფიკული დიზაინი - ყველა ეს ფაქტორი გარკვეულ *აღმოსავლურ*, რომ არ ვთქვათ, *ისლამურ* იერს აძლევს ამ პერიოდის ქართულ მონეტას. რასაკვირველია, *მესიის მახვილის* (حسام المسيح) ტიტულის მითითება აბსოლუტურად გამორიცხავს ამ ქართული საფასის *ისლამურად* მიჩნევის შესაძლებლობას.⁴³³

თავად ტიტული, საფიქრებელია, შეიძმნა მეტ-ნაკლებად თანადროული ისეთი (გავრცელებული) მაჰმადიანური ლაყაბების გათვალისწინებით, როგორიც იყო *ისლამის მახვილი* (سيف الإسلام), *ალლაჰის მახვილი* (سيف الله), *რელიგიის მახვილი* (سام الدين).⁴³⁴

მიუხედავად ისეთი *არქიქრისტიანული* ტიტულის, როგორიც იყო *მესიის მახვილი* - მითითებისა, ქართულმა საფასემ მაინც გარკვეულწილად „დექრისტიანიზაცია“ განიცადა: მართალია ღვთისმშობლის გამოსახულებას *მესიის მახვილი* ჩაენაცვლა, მაგრამ წერა-კითხვის უცოდინართათვის (იმ დროის საქართველოსა და მეზობელ რეგიონებში მოსახლეობის უმრავლესობა?) ეს უკანასკნელი, უეჭველია, გაუგებარი დარჩებოდა. ცვლილების მნიშვნელობის უკეთ შესაცნობად უნდა ჩავუფიქრდეთ, თუ როგორ უნდა აღექვას მოსახლეობის ფართო

⁴³² ერთადერთი გამონაკლისია დღემდე ბოლომდე გაურკვეველი სამონეტო ტიპი ექსკლუზიურად (ორივე მხარეზე) ქართული ლეგენდებით - გიორგისა (გიორგი III, IV თუ გიორგი რუსი?) და თამარის სახელით მოჭრილი. Пахомов, *Монеты Грузии*, 87-88.

⁴³³ მაღლობას მოვახსენებთ ვლადიმირ ნასტიჩს სიმონე ასსემანისადმი მიძღვნილ მე-3 სიმპოზიუმზე გამართული დისკუსიის დროს ამ გარემოების ხაზგასმისათვის.

⁴³⁴ Oliver Codrington, *A Manual of Musalman Numismatics* (London, 1904), 60, 62; ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 246.

მასებს მომხდარი ცვლილებები: ქართველმა მეფემ შეწყვიტა ღვთისმშობლის გამოსახულებიანი, *ქრისტიანული* ვერცხლის საფასის გამოშვება, და ამის მაგიერ რაღაც უცხოური, მაჰმადიანური ტიპის ფული მოჭრა; იმასაც კი ვერ გამოვრიცხავთ, რომ თბილისს დაშორებულ ადგილებში (სადაც საფასის გაღწევას მიმოქცევის არეალის ანალიზის შედეგები მოწმობს) მონეტებს წერა-კითხვის უცოდინარი, ეთნიკური ქართველები თუ მაჰმადიანები რაღაც მეზობელი მაჰმადიანური სამფლობელოდან იმპორტირებულადაც კი ჩათვლიდნენ.

დავით აღმაშენებლის რეფორმა არ დაიყვანება მხოლოდ საფასის ვიზუალურ დექრისტიანიზაციამდე. სამონეტო ლითონად სპილენძის გამოყენება, ისევე როგორც წესიერი ჭედვის სამონეტო ნაშაბებიდან უწესო ჭედვისაზე გადასვლა არა ნაკლები მნიშვნელობის მოვლენა იყო, თუმცა კი უფრო ეკონომიკური, და არა პოლიტიკური / კულტურული ხასიათის. უწესო ჭედვის მონეტაზე გადასვლა იქნება *ვერცხლის კრიზისის* შედეგიც იყო. ამასთან, სამონეტო ლითონის გამოცვლა და უწესო ჭედვაზე გადასვლა გვეხმარება ახალი, პოსტ-რეფორმული საფასის ფესვების, გენეზისის დადგენაში.

XI საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი მკვეთრად განსხვავებული ტიპის საფასე იჭრებოდა: ქართველ ბაგრატიონთა წესიერი ჭედვის ვერცხლის მონეტები⁴³⁵, კვირიკე III დიდის არაბულ-ქრისტიანული ვერცხლის საფასე (სპორადულად)⁴³⁶, სომეხ კვირიკიანთა ასეთივე სპორადული, ბიზანტიურ-სომხური ტიპის სპილენძის ემისია⁴³⁷ (სამშვილდესა თუ ლორეში), და თბილისის ჯა'ფარიანების მრავალრიცხოვანი გამოშვებები, რომელიც, XI საუკუნის მეორე ნახევრისთვის უკვე წარმოადგენდა სპილენძის (თავდაპირველად მოვერცხლილ?), უწესო ჭედვის მონეტას.⁴³⁸ ახლა უკვე ცხადია, რომ XII-XIII საუკუნეების ქართველ მონარქთა ქართულ-

⁴³⁵ Пахомов, *Монеты Грузии*, 57-74.

⁴³⁶ ამ საკითხისადმი მიძღვნილ ვრცელ სტატიაზე ვმუშაობთ.

⁴³⁷ ქუთათელაძე, *ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია)*, 127-128.

⁴³⁸ Turkia, Paghava, "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis"; Paghava, Turkia. "A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja'far III b. 'Alī, Ja'farid Emir of Tiflis"; Paghava, Turkia. "A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflis";

არაბული საფასე სწორედ ამ უკანასკნელის შემდგომი ევოლუციის ნაყოფი იყო, და ნუმისმატიკური ევოლუციის დანარჩენი სამი ვექტორი უნაყოფოდ დასრულდა.

ჯა'ფარიანთა მონეტარული ტრადიციები კი თბილისს ჯა'ფარიანების გამეფება-გადაშენების შემდეგაც შერჩა, და ქართველთა ხელში ქალაქის გადასვლის შემდეგაც არ დაკარგულა; პირიქით, ძალაში დარჩა. ჯა'ფარიანთა სამონეტო ტიპოლოგიის სიცოცხლისუნარიანობა ასახავს, ჩვენი აზრით არაბულ-მაჰმადიანური ადმინისტრაციულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და დამყნობას ქართული სახელმწიფოებრიობის ნერგზე, 1122 წლის შემდეგ, როდესაც თბილისი ქრისტიანული ქართული სახელმწიფოს დედაქალაქად გადაიქცა.

აღნიშნული არაბულ-მაჰმადიანური სამონეტო ტრადიციის მატარებლები, საფიქრებელია, ძველი მაჰმადიანური ადმინისტრაციის წარმომადგენლები იყვნენ. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ მრავალი მათგანი სამსახურში ქალაქის აღების შემდეგაც დარჩა. ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს არაბული ადმინისტრაციული სამოხელეო ტერმინოლოგიის შენარჩუნება, რომელიც დოკუმენტირებულად უნდა ჩაითვალოს.⁴³⁹ ვფიქრობთ, რომ თბილისის ზარაფხანის პერსონალს კვლავინდებურად ადგილობრივი ხელოსნებისგან აკომპლექტებდნენ, მაშინ როდესაც ის ხელოსნები, ვინც ღვთისმშობლის გამოსახულებიან სიქებს ამზადებდა, აღარ დაასაქმეს. ეს, ბუნებრივია, თავის დაღს დაასვამდა დავით IV აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების საფასესაც.

*

განვიხილოთ ქართულ-არაბულ საფასეზე მოყვანილი ზოგიერთი ლეგენდა.

პირველ რიგში, შევეხებით ძლევაშოსილი დავით IV აღმაშენებლის (თუ მისი ადმინისტრაციის) მიერ შემოღებულ ინოვაციებს.

Mayer, *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110-111; Пагава, Туркия, “Монетное наследие Мансура II б. Джа'фара (III) (к нумизматической истории Тифлисского амирата)”.

⁴³⁹ მუსხელიშვილი, „თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისთვის“; გაბაშვილი, *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში*, 84-89.

როგორც გაირკვა, სწორედ დავით აღმაშენებელი იყო პირველი ქართველი მონარქი, რომელმაც მიიღო ტიტული *მახვილი მესიისა*.⁴⁴⁰ არა ნაკლებ საინტერესოა, რომ დიმიტრი I-ის არაბულენოვანი მონეტების ადრეულ ტიპზე ეს ტიტული აღარ იყო მითითებული (რისი მიზეზიც საგანგებო ანალიზს საჭიროებს). დავით IV აღმაშენებელი სარგებლობდა ასევე რამდენადმე უფრო მშვიდობიანი, მაგრამ მაინც *ქრისტიანული* ტიტულით - *მზე ქრისტიანობისა*⁴⁴¹; ეს უკანასკნელი ასახავს როგორც თვით-აღქმას, ასევე დავით აღმაშენებლის წარმატებების სერიის შედეგად კავკასიის რეგიონში შეცვლილ *de facto* მდგომარეობას და ქართული სახელმწიფოს გაზრდილ / მზარდ როლს. ამასთან, *მახვილი მესიისა*, ბუნებრივია უფრო სამხედრო ელფერის მატარებელი ტიტული იყო, და ასახავდა საქართველოს სამეფოს საგარეოპოლიტიკურ ექსპანსიას, რომელიც უპირატესად სამხედრო გზით წარმოებდა - მეზობელი, ძირითადად მაჰმადიანური სახელმწიფოების ხარჯზე (თუ არ ჩავთვლით ქრისტიანულ⁴⁴² ჰერეთ-კახეთის სამეფოს, რომლის ანექსიაც 1104 წელს მოხდა).

(მაჰმადიანი ხელოსნების მიერ?) შესრულებული არაბული ლეგენდების შემოღებამ შედეგად გამოიღო ისეთი ტიპიური *ისლამური* ტრადიციის შემოღებაც, როგორიც იყო (პირველად, ქართულ ნუმისმატიკურ ისტორიაში) მმართველი მონარქის *ნასაბის* მითითება. ამ ტრადიციამ პირველად, როგორც ჩანს, იჩინა თავი დავით IV-ის არაბულენოვანი საფასის შემთხვევაში,⁴⁴³ გაგრძელდა დიმიტრი I-ის ყველაზე ადრეულ,

⁴⁴⁰ რამდენადაც ვიცით, დავით აღმაშენებელს არცერთი სხვა წყარო ამ ტიტულს არ მიაკუთვნებს. ღრმა მაღლობას მოვახსენებთ ბატონ გრიგოლ ბერაძეს ამ ცნობის მოწოდებისათვის.

⁴⁴¹ თაყაიშვილი ექვთიმე. „დავით აღმაშენებლის ერთი წარწერის წაკითხვისათვის“. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე* ტ. X, №8 (1949): 509-512; Чубинашвили Георгий. *Грузинское чеканное искусство. Иллюстрации* (Тбилиси, 1959), 483.

⁴⁴² აღნიშვნის ღირსია, რომ სომეხ კვირიკიანთა სამეფო დავით აღმაშენებელმა უშუალოდ კი არ შეიერთა, არამედ ის ჯერ სელჯუკებმა დაიპყრეს, და მხოლოდ შემდეგ მისი ტერიტორია ქართველმა მეფემ დაიკავა. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 32-36.

⁴⁴³ Paghava, "The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah".

ასევე ექსკლუზიურად არაბულენოვან სამონეტო ტიპზე.⁴⁴⁴ და შემდეგ, დროებით, მივიწყებას მიეცა, იქნებ იმიტომ, რომ ქართული ნუმისმატიკური ტრადიცია არ მოითხოვდა მმართველი მონარქის მამის / მშობლის სახელის მითითებას. მაგრამ შემდგომში ტრადიცია აღსდგა: ასეთია გიორგი III-ის, თამარ მეფის, გიორგი IV-ისა და რუსუდან მეფის მონეტები (გიორგი ლაშა და რუსუდანი დედის სახელს უთითებენ, და არა მამის).⁴⁴⁵ საყურადღებოა, რომ გიორგი IV-ის საფასეზე დედის / მშობლის სახელი მიეთითებოდა არა მარტო არაბულ, არამედ ქართულ ტექსტშიც⁴⁴⁶ - ეს შეიძლება ქართულ სამონეტო პროტოკოლზე არაბული ტრადიციის ზეგავლენით ავხსნათ, ანდა სამეფოში ხელისუფლების გადაცემის დღესაც ბოლომდე გაურკვეველ გარემოებებს დავუკავშიროთ.

დავით IV აღმაშენებლის მიერ შემოღებული სამონეტო ტიპის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და დამაინტრიგებელი თვისება იყო მონეტებზე *ერაყისა და დასავლეთ ირანის სელჯუკი სულთნის ცნობა* (მაგრამ, 'აბასიანი ხალიფის სახელის მიუთითებლობა, თუკი მისი სახელი არ იყო მითითებული წრიულ ლეგენდებში, რაც შედარებით ნაკლებად არის მოსალოდნელი). ეს ტრადიცია გააგრძელეს (ხალიფის ხსენების დაწყებასთან ერთად) ასევე დიმიტრი I-მა და გიორგი III-მაც.⁴⁴⁷

ამ გარემოებამ ადრეც მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება. მაგალითად, ევგენი პახომოვი თვლიდა (დიმიტრი I-ის საფასეზე მსჯელობისას), რომ ეს იყო ქართველი მეფის მაჰმადიანებისადმი დაქვემდებარების გამოხატულება.⁴⁴⁸ ეს იდეა მკაცრად,

⁴⁴⁴ Turkia, Paghava, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia"; Paghava, Turkia, Zlobin, "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum".

⁴⁴⁵ Пахомов, *Монеты Грузии*, 80-111.

⁴⁴⁶ Ibid., 96-101.

⁴⁴⁷ Ibid., 74-86; Gocha Žaparidze, Zurab Gvinžilia, „Eine unbekannte Kupfermünze Giorgis III“, *Georgica* 22 (1999): 5-7; ჯაფარიძე, ღვინჯილია, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (გიორგი III-ის უცნობი სპილენძის მონეტა“; Гоча Джапаридзе, Зураб Гвинджилия, „Грузинские монеты с арабскими легендами (Неизвестная медная монета Грузинского царя Гиоргия III)“, *Древности Поволжья и других регионов* Вып. IV, том 3 (2002): 232-235.

⁴⁴⁸ Пахомов, *Монеты Грузии*, 75. ამ იდეას სხვა მეცნიერების იზიარებდნენ. Cf. გაბაშვილი, *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში*, 93.

თუმცა კი, ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ, გააკრიტიკა ივანე ჯავახიშვილმა.⁴⁴⁹ ახალი მონეტები ცალსახად გვიჩვენებს, რომ სელჯუკი სულთანი თავის მონეტებზე პირველად თავად დავით აღმაშენებელმა *ცნო*. მაგრამ ამ ქართველი მონარქის ზეობის ისტორიას მისი ძისა და მემკვიდრის ამბებზე შეუდარებლად უკეთ ვიცნობთ. ვიცით, რომ სწორედ დავით IV-მ გაანთავისუფლა ქვეყანა სელჯუკებისაგან, და მათ საქართველოს ფარგლებს გარეთაც შეუტია - დაიპყრო შირვანი და სომხეთის ჩრდილოეთი პროვინციები.⁴⁵⁰ ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი ქართველი მონარქი, დავით IV აღმაშენებელი ნამდვილად არ იყო სელჯუკთა ვასალი; პირიქით, და უფრო მეტიც, მას უშუალო კონფლიქტი ქონდა მაჰმუდ ბ. მუჰამმადთან, დაახლოებით სწორედ იმ დროს, როდესაც დავით აღმაშენებელმა ამ სელჯუკი სულთნის სახელი თავის საფასეზე მოათავსა, და ეს სამხედრო კონფრონტაცია დასრულდა სელჯუკების ევაკუაციითა და შირვანის ქართული ჯარის მიერ დაპყრობით.⁴⁵¹ მებრძოლი სულით გამსჭვალული ტიტული *მესიის მახვილი*,⁴⁵² რომელიც, როგორც ცხადი გახდა, დავით აღმაშენებელმა მიიღო, ასევე ხაზს უსვამს ქართული სამეფოს დამოუკიდებლობასა და ძლიერებას. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, *დამოკიდებულება* ცალსახად უნდა გამოირიცხოს სელჯუკი სულთნის სახელის მითითების შესაძლო მიზეზებიდან - როგორც ძლევამოსილი დავით აღმაშენებლის, ასევე, სავარაუდოდ, მისი მემკვიდრეების საფასეზე.

მეორეს მხრივ, *ინდიფერენტულობაც* არ უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი - ვინაიდან დავით IV-ის ადმინისტრაცია საკმარის ყურადღებას აქცევდა ახალ საფასესა და

⁴⁴⁹ Иван Джавахов (Джавахишвили Иванэ), "Рецензия на книгу: "Е.А. Пахомов, "Монеты Грузии". Часть I (домонгольский период), Зап. Нумизм. отд. Имп. Русск. Археол. Общества". IV вып. I тома, 129 страниц (СПб., 1910)". *ივანე ჯავახიშვილი, თხზულებები თორმეტ ტომად, ტ. IX*. 667-678. თბილისი: მეცნიერება, 1996.

⁴⁵⁰ ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 12-59.

⁴⁵¹ Ibid., 85-100, 245.

⁴⁵² შეად. სიცილიის ნორმანი მეფეების შედარებით უფრო მშვიდობიან ტიტულს - ნაზარეველთა [ქრისტიანთა] *დამცველი* - ناصر النصيرية. Codrington, *A Manual of Musalman Numismatics*, 75.

მასზე დაწერილ ლეგენდებს, რაზედაც სწორედ რომ ინოვაციური (და აქამდე, როგორც ჩანს, უცნობი) ლაყაბის (*მესიის მახვილი*) ჩართვა მიუთითებს.

დაუდევრობა, ანუ, უბრალოდ ახალი (თბილისის) ზარაფხანის პერსონალზე სათანადო კონტროლის არარსებობა ასევე ნაკლებად მოსალოდნელად გვეჩვენება. მართალია, 30 წლის შემდეგ საქართველოში ჩამოსული ალ-ფარიკი მიუთითებდა სელჯუკი სულთნისა (და ხალიფას!) სახელების შეგნებულად ჩართვაზე.⁴⁵³

ბუნებრივია, (ძირითადად, ქართველ) მეცნიერებს შემოუთავაზიათ *დამოკიდებულების* ალტერნატიული ვერსიებიც. ასე, პოპულარულია ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც სელჯუკი სულთნისა და ხალიფას სახელები მიუთითეს *ქვეყნის შიგნით* და / ან *საერთაშორისო/სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით*.⁴⁵⁴

ფულადი მიმოქცევის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქართველ მეფეთა უწესო ჭედვის სპილენძი საფასე პრაქტიკულად არ მონაწილეობდა სახელმწიფოთაშორის ვაჭრობაში, ვინაიდან მათ უკიდურესად იშვიათად თუ პოულობენ საქართველოს სამეფოს საზღვრებს გარეთ (უწესო ჭედვის მონეტები ნაკლებად არის წარმოდგენილი სამეფოს ყველაზე სამხრეთ, სომხურ პროვინციებშიც კი).⁴⁵⁵ ეს არგუმენტი, საფიქრებელია, კიდევ უფრო ვალიდურია დავით აღმაშენებლის შეუდარებლად უფრო იშვიათი საფასისთვის.

ამასთან, ვთვლით, რომ ქართულ საფასეზე შეეძლოთ მიეთითებინათ მაჰმადიანური სამყაროს ლიდერების (სულთნისა და ხალიფას) სახელები უფრო *ადგილობრივი* (და არა *საერთაშორისო*) ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით; საქმე იმაშია, რომ, მართალია, არ გაგვაჩნია ზუსტი მონაცემები, მაინც შეიძლება ჩავთვალოთ, რომ როგორც საქართველოს სამეფოს შიგნით, ასევე სამეფოს საგარეო-სავაჭრო კონტაქტებში

⁴⁵³ Minorsky, "Caucasica in the History of Mayyāfāriqīn", 33-34.

⁴⁵⁴ Cf. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 245გაბაშვილი, „ქართული ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ურთიერთობა ნუმისმატიკური მასალების მიხედვით (X-XIII სს.)“.

⁴⁵⁵ Пахомов, "Монетные клады Азербайджана и Закавказья", 26-27; Kouymjian, *A Numismatic History of Southeastern Caucasia and Adharbayjān*, 119-123, 128; Мушегян, *Денежное обращение Двина по нумизматическим данным*, 116.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან (მათი აბსოლუტური რიცხვის გათვალისწინებით შეუფერებლად მნიშვნელოვან) როლს თამაშობდნენ თბილისელი და დმანისელი ვაჭრები.⁴⁵⁶ ჩვენი მონაცემები მიუთითებს, რომ უკვე დავით აღმაშენებლის არაბულენოვანი საფასე მიმოიქცეოდა თბილისსა და დმანისში, თუმცა კი აღწევდა სახელმწიფოს ქრისტიანებით დასახლებულ რეგიონებშიც (იქ მაჰმადიან ვაჭრებს შემოჰქონდათ?). ალ-ფარიკიმ ცალსახად მიუთითა, რომ ახალი საფასე თბილისელი მაჰმადიანებისათვის შეიქმნა.⁴⁵⁷ თეორიულად შეიძლება დავუშვათ, რომ ქონდა გარკვეული აზრი მათთვის (დიზაინისა და ლეგენდების მხრივ) ნაცნობი ტიპის, უწესო ჭედვის, მონოეპიგრაფიკული და არაბულენოვანი საფასის შექმნას. ამ ახლადდამორჩილებული ქვეშევრდომებისათვის, მაჰმადიანი სოცდაგრებისთვის უცნობი, განსაკუთრებით კი ქრისტიანული ტიპის მონეტის დაძალება შეიძლება კონტრპროდუქტიული ყოფილიყო. ისედაც ცნობილია, რომ დავით IV-ის მიერ მინიჭებული პრივილეგიების მიუხედავად, ქართული დაპყრობის შემდეგ მრავალმა გამორჩეულმა ადგილობრივმა მაჰმადიანმა თბილისსა ან დმანისიდან ემიგრაციაში წასვლა ამჯობინა.⁴⁵⁸ უფრო მეტიც, ვინაიდან ამ უწესო ჭედვის სპილენძის მონეტების შინაგანი ღირებულება ნომინალურზე გაცილებით ნაკლები უნდა ყოფილიყო, ლოგიკური იქნებოდა გარკვეული ძალისხმევა ამ საფასის კრედიტუნარიანობის

⁴⁵⁶ თბილისისა და დმანისის ადგილობრივი მაჰმადიანი ვაჭრები, თავის განჯელ პარტნიორებთან ერთად ჩამოთვლილნი არიან დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ 1121 წელს ორგანიზებული მაჰმადიანური კოალიციის ინიციატორებს შორის. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 40-41. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას (გავლენიანობას?).

⁴⁵⁷ Minorsky, "Caucasica in the History of Mayyāfāriqin", 33-34.

⁴⁵⁸ Cf. ეთერი სიხარულიძე, „ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ“, *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I* (თბილისი: მეცნიერება, 1976), 45-53; გოჩა ჯაფარიძე, „ად-დუმანისი - იშვიათი არაბული ნისბა“. *კონსტანტინე წერეთელი, 80*. (თბილისი, 2003), 107-109; ჯაფარიძე, „მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII-XIV საუკუნეებში“; გოჩა ჯაფარიძე, „მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII-XIV საუკუნეებში“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია 1* (1990): 65-78.

გასაზრდელად, მაგალითად, თანადროული მაჰმადიანური სამყაროს ლიდერების სახელების მითითების გზით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველ მეფეთა ქართულ-არაბული მონეტები ჯა'ფარიანული და პოსტ-ჯა'ფარიანული საფასის უშუალო მემკვიდრეს წარმოადგენდა, და ზარაფხანის პერსონალიც, საფიქრებელია, ადგილობრივებით იყო დაკომპლექტებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება *მემკვიდრეობითობასაც* ქონოდა.

დავით აღმაშენებლის *თბილისის მაჰმადიანებისათვის* ახლადშემოღებული საფასის აღწერისას აღ-ფარიკიმ არ ახსენა *მესიის მახვილის* მითითება, და, როგორც ჩანს, იგულისხმა, რომ *ისლამური* საფასის მოჭრა (სულთნის, ხალიფასი, ალლაჰისა და მისი მოციქულის მოხსენიებით) წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობისადმი ერთ-ერთ *დათმობას*. მაგრამ ლაყაბი *حسن المسيحية* ნადვილად აბალანსებდა და აკომპენსირებდა ხსენებული სახელების მითითებას. ამრიგად, დავით აღმაშენებლის არაბულენოვანი საფასე, და მით უფრო მისი მემკვიდრეების მონეტები, *ავტონომიური* არ იყო.

და ბოლოს, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ხალიფასა და, თუნდაც სელჯუკი სულთნის ხსენება იყო (ამ დროისა და რეგიონისთვის) ასე ვთქვათ *comme il faut*. დავით აღმაშენებლის ზეობაში ქართული სახელმწიფო ხომ შეუდარებლად უფრო ფართო პოლიტიკურ არენაზე გავიდა, ადგილობრივი ჰეგემონიც კი გახდა, რაც თავისებურ ზეგავლენას მოახდენდა ქართულ მსოფლმხედველობაზე (*Weltanschauung*) და, შესაბამისად, სახელმწიფოს ხელში მყოფი იმ ეპოქის მასობრივი კომუნიკაციის ისეთ ეფექტურ საშუალებაზე, როგორიც საფასე იყო.

*

ჯა'ფარიანული და პოსტ-ჯა'ფარიანული საფასისგან შობილი, ასე ვთქვათ, ქართველ მონარქთა მონეტების შემდეგი ევოლუცია ეტაპობრივად უფრო და უფრო მეტი ეროვნული ნიშნების შეძენის გზით წარიმართა. ამ უკანასკნელის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი იკონოგრაფიული მოტივების გაჩენა იყო, რომელთაგან ყველაზე თვალსაჩინო ალბათ მეფედ კურთხევის სცენის გამოხატვაა.⁴⁵⁹ ამასთან, მცირერიცხოვანი

⁴⁵⁹ პატარიძე, ფაღავა, "გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმისმატიკური ასახვა".

ნიმუშებით (იკონოგრაფიული სამონეტო ტიპებით) თუკი ვიმსჯელებთ, ქართულმა სამონეტო იკონოგრაფიამ თავისებური ევოლუციის გზა განვლო.⁴⁶⁰ პარალელურად, თავი იჩინა განვითარებული სამონეტო სისტემისათვის დამახასიათებელმა ისეთმა მოვლენამ, როგორიც იყო მემორიალური / დონატიური ფულის გამოშვება / გავრცელება.⁴⁶¹

ძალიან საინტერესოა, თუ როგორ წარიმართებოდა ქართული ნუმისმატიკური ევოლუცია რუსუდანისა და მისი მემკვიდრეების ზეობაში, რომ არა ისეთი ძლევამოსილი საგარეო ფაქტორის გამოჩენა, როგორიც მონღოლების შემოსევა იყო, რამაც კარდინალურად შეცვალა სამხრეთ კავკასიაში აქამდე ჩამოყალიბებული მდგომარეობა, ნუმისმატიკური დისკურსის ჩათვლით.

⁴⁶⁰ Irakli Paghava, "Art, Court Culture and Economy in the Epoch of Queen Tamari: Monetary Implications", (Forthcoming).

⁴⁶¹ Ibid.

დასკვნა და რეკომენდაციები

ვეცდებით მოკლედ შევაჯამოთ ჩვენი კვლევის შედეგები.

ზემოთ წარმოდგენილი და გაანალიზებული მასალა, ვფიქრობთ, იძლევა შესაძლებლობას ვამტკიცოთ შემდეგი:

- ეკონომიკური, ან, ყოველ შემთხვევაში, მონეტარული თვალსაზრისით საქართველო ინტეგრირებული იყო სახალიფოს შემადგენლობაში; ეს ინტეგრაცია საკმაოდ მალე განხორციელდა - არსებული მონაცემებით, საფიქრებელია, უკვე VIII საუკუნის დასაწყისისთვის, თბილისში სახალიფოს ზარაფხანის ამუშავებისთანავე; ინტეგრაცია გულისხმობდა არა მარტო სახალიფოს საფასის ფართო მიმოქცევას საქართველოში, იმ რეგიონების ჩათვლით, რომელიც პოლიტიკურად არ იყო მყარად ან / და უშუალოდ ინკორპორირებული სახალიფოში, არამედ აგრეთვე ზოგად-არაბული / ქუფური ტიპის მონეტის მოჭრასაც თბილისში (რომ აღარაფერი ვთქვათ მინაბადების გამოშვების საკითხს);
- სახალიფოს დასუსტება-დაშლასთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურად დაიწყო შემოსვლა ბიზანტიურმა საფასემაც; ამის პარალელურად გაჩნდა საკუთარი საფასის გამოშვების ალტერნატიული, „ეროვნული“ ცენტრებიც; მათ შორის ყველაზე სტაბილური აღმოჩნდა დასავლეთ-ქართული, „აფხაზთა“ სამეფო, რომლის ქართულ-ბიზანტიური საფასეც მინიმალურ ევოლუციას განიცდიდა, მაგრამ კვლავინდებურა იჭრებოდა XII საუკუნის პირველ ათწლეულებშიც კი, დავით IV-ის ზეობის შუა ხანებამდე მაინც;
- პარალელურად ამისა, თბილისის საამირო, ჯა'ფარიანთა დინასტიის არსებობის ბოლომდე და *მას შემდეგაც* - თბილისის ქართველების მიერ დაპყრობამდე თუ განთავისუფლებამდე, წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე საფასის ემისიის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ / მძლავრ კერას;
- მაჰმადიანური თბილისის ეკონომიკური და ნუმისმატიკური როლი ესოდენ დიდი ყოფილა, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ამ ქალაქის აღებამ კარდინალურად

შეცვალა ეროვნული ქართული საფასის ბუნება - ქართველმა მონარქმა ჩაატარა რეფორმა, რომლის ძალითაც ასომთავრული და ბერძნული ლეგენდების მატარებელი, წესიერად ნაჭედი, ბიზანტიური ყაიდის, მეტ-ნაკლებად მაღალი სინჯის ვერცხლის მონეტების მაგიერ დაიწყო უწესო ჭედვის, ექსკლუზიურად არაბულენოვანი სპილენძის მონეტების გამოშვება;

- მას შემდეგ, დიმიტრი I დავით IV-ის ძის საფასიდან მოყოლებული, ქართული საფასე ძირითადად ინარჩუნებს აღმოსავლურ იერს. თანდათანობით იწყება ფულში ეროვნული მოტივების სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით გაჩენა, მაგრამ ლეგენდების მეტი ნაწილი არაბულად იწერება პერიოდის სულ ბოლომდეც კი - მონღოლების გამოჩენამდე; საფასე კი, იშვიათი გამონაკლისის (შერეული - ასე ვთქვათ დასავლურ-აღმოსავლური დიზაინისაა გიორგი ლაშას საკორონაციო გამოშვება და რუსუდანი ვერცხლის საფასე) მკვეთრად გამოხატულ ორიენტალურ იერ-სახეს ინარჩუნებს;
- ამასთან, თავისი სპეციფიური განვითარების გზას გადის ქართული მონეტის სამონეტო იკონოგრაფიაც; როგორც ჩანს, შეიძლება ვიმსჯელოთ ისეთი სპეციფიური ფენომენის არსებობაზედაც, როგორც მემორიალური / დონატიური ფულის გამოშვება. ქართული მონეტის გარეგული იერი და ევოლუცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სათანადო უნარ-ჩვევების მქონე ხელოსნების ხელმისაწვდომობაზედაც.

VIII-XIII საუკუნეების (მონღოლების შემოსევამდე) ქართული ნუმიზმატიკის აქტუალური პრობლემები საბოლოოდ გადაჭრილად, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება.

სამომავლო კვლევის რეკომენდირებულ მიმართულებებად შემდეგი გვესახება:

- შესასწავლად ხელმისაწვდომი სამონეტო ბაზის შეძლებისდაგვარად გაფართოება:
 - საქართველოს როგორც ცენტრალური, ასევე პერიფერიული მუზეუმების ფონდებში დაცული სამონეტო მასალის, თუნდაც დეპასპორტიზირებული თუ ცალკეული აღმოჩენების, მასობრივი პუბლიკაცია sylloge-ს ფორმატში;

- უცხოურ კოლექციებში დაცული ქართული მონეტების პუბლიკაცია-შესწავლა;
 - გადარჩენილი განძების შედარებითი ანალიზი;
- სამონეტო მასალის კვლევის ლაბორატორიული მეთოდების უფრო ფართოდ დანერგვა;
- მონეტების ცალკეული ჯგუფების სიღრმისეული, ინტენსიური, მონოგრაფიული შესწავლა (პირველ რიგში, საუბარია ჯა'ფარიანთა ნუმისმატიკურ მემკვიდრეობაზე და ქართულ-ბიზანტიური მონეტების კლასზე);
- საქართველოს ნუმისმატიკური ისტორიის კვლევა არა იზოლირებულად, რასაც არცთუ იშვიათად მცდარ დასკვნებამდე მივყავართ, არამედ უცხოური / მეზობელი სახელმწიფოების პარალელური მონეტარული წარსულის გათვალისწინებით;
- არქეოლოგიური საქმიანობის უფრო ფართოდ გაშლა.

ბიბლიოგრაფია

1. აბრამიშვილი თამარი. *XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.
2. ალასანია გიული. „თბილისის საამიროს დაარსების თარიღისთვის“. 3-14, 535. *საისტორიო კრებული*, თბილისი, 2007.
3. ანთაძე მერი. „ქვახვრელის განძი“. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* ტ. XXXVIII-B (1986): 121-125.
4. ბოგვერაძე ანრი. *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*. თბილისი: მეცნიერება, 1979.
5. გაბაშვილი მანანა. *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში*. თბილისი: მეცნიერება, 1981.
6. გაბაშვილი მანანა. „ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან (XII ს-ის მონეტები არაბული ზედწერილებით)“. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა* 273 (1987): 67-72.
7. გაბაშვილი მანანა. „ქართული ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (X-XIII სს.)“. *ლოგოსი* IV (2007): 375-381.
8. გაბაშვილი მანანა. „შუა საუკუნეების ქართული მემორიალური და საზეიმი ხასიათის მონეტები (XII ს.)“ *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* V (2008): 31-49.
9. გაბიძაშვილი ენრიკო. *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა: ფილოლოგიური-ტექსტოლოგიური გამოკვლევა*. თბილისი: მეცნიერება, 1978.
10. გაგომიძე იულონი, ანთაძე მერი, ღვაბერიძე ციალა, და სხვ. *ფული საქართველოში*. თბილისი, 2000.
11. დობროვოლსკი იგორი. „ზოგიერთი იშვიათი ქართული მონეტა სახელმწიფო ერმიტაჟის კოლექციიდან“. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* XXX-B (1974): 61-65.

12. დუნდუა გიორგი. „დავით აღმაშენებლის სპილენძის იშვიათი მონეტა“. *ისტორიანი*, რედ. ბუბა კუდავა, ზონდო კუპატაძე, გოჩა საითიძე, ჯაბა სამუშია. 194-204. თბილისი: არტანუჯი, 2009.
13. დუნდუა გიორგი, დუნდუა თედო. *ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი*. თბილისი: არტანუჯი, 2006.
14. დუნდუა თედო. *ბიზანტიური პროვინციული ნუმიზმატიკა. გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები*. თბილისი, 2011.
15. დუნდუა თედო. „გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები. თეოდორე გაბრასი და დავით აღმაშენებელი“. *დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. სპეციალური გამოშვება*. რედ. თედო დუნდუა, დარეჯან თვალთვალაძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ალექსანდრე ბოშიშვილი. 50-69. თბილისი: მერიდიანი, 2012.
16. დუნდუა თედო. *მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება. გიორგი მესამის ფული*. თბილისი: მერიდიანი, 2010.
17. დუნდუა თედო. *საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*. თბილისი: მერიდიანი, 1995.
18. დუნდუა თედო. *სევასტოსები და მართლმადიდებლური სიმბოლე*. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი. თბილისი, 2003.
19. დუნდუა თედო. *ქართული ეთნოკულტურული რევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*. თბილისი: მერიდიანი, 1997.
20. დუნდუა თედო. „X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. *თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები* 310 (1992): 18-30.
21. დუნდუა თედო, დუნდუა გიორგი, ჯავახიშვილი ნიკო, და სხვ. *ფული საქართველოში*. თბილისი, 2003.
22. თავაძე ლერი. "კეისრის ტიტული შუასაუკუნოვან ქართულ პოლიტიკურ რეალობაში." *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები* V (2012): 108-137.
23. თავაძე ლერი. "სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში." *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები* II (2011): 154-185.

24. თაყაიშვილი ექვთიმე. „დავით აღმაშენებლის ერთი წარწერის წაკითხვისათვის“. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე* ტ. X, №8 (1949): 509-512.
25. თოფურია პავლე. *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში*. თბილისი: მეცნიერება, 1975.
26. კაკაბაძე სარგისი. „საფასის ისტორიისთვის საქართველოში“. *საისტორიო მოამბე* წიგნი I, წელიწადი II (1925):
27. კაკაბაძე დავითი. „რუსთაველის ეპოქის ერთი გაურკვეველი მონეტის დათარიღებისათვის“. *ძეგლის მეგობარი* 8 (1966): 79-81.
28. კაკაბაძე დავითი. „X საუკუნის თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა“. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* XII-B (1944): 183-190.
29. კაკაბაძე, დავითი. *ქართული ნუმიზმატიკა*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969.
30. კაკაბაძე დავითი. „ქართული ნუმიზმატიკის სიახლენი“. *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. კრებ. მიძღვნილი აკად. ნ. ბერძენიშვილისადმი*, რედ. გიორგი მელიქიშვილი. 61-68. თბილისი: მეცნიერება, 1966.
31. კიკნაძე რევაზი. „XI-XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან“. *ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები* V, ნაკვ. 1 (1960): 109-137.
32. ლომოური თამარი. „სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი“. *ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში*, რედ. თინათინ ქუთელია. 16-46. თბილისი: არტანუჯი, 2005.
33. ლორთქიფანიძე მარიამი. „არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში“. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის* ნაკვ. 35 (1963): 71-96.
34. ლორთქიფანიძე მარიამი. „თბილისის საამიროს ისტორიიდან“. *საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტ-ის მიმომხილველი* ტ. II (1951): 185-201.
35. მარგიშვილი სოსო. *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ - ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ*. თბილისი: სიესტა, 2006.
36. მესხია შოთა. „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“. *საისტორიო ძიებანი*, ტ. I. 199-323. თბილისი: მეცნიერება, 1982.

37. მეტრეველი როინი. *დავით აღმაშენებელი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1990.
38. მუსხელიშვილი დავითი. „დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა“. *დავით აღმაშენებელი, სტატიების კრებული*, რედ. როინ მეტრეველი. 66-83. თბილისი: მეცნიერება, 1990.
39. მუსხელიშვილი დავითი. „თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისთვის“. *საქართველო რუსთაველის ხანაში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული*. თბილისი, 1966.
40. მუსხელიშვილი დავითი (რედაქტორი). *საქართველოს ისტორიის ატლასი*. თბილისი, 2003.
41. პატარიძე მაია. "ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან." *საისტორიო კრებული* 1 (2011): 283-290.
42. პატარიძე მაია. "დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან." *საქართველოს ეროვნული მუზეუმი მოამბე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია* no. 2 (47-B) (2010): 295-303.
43. პატარიძე მაია, ფაღვა ირაკლი. "გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმისმატიკური ასახვა". *საისტორიო კრებული* 3 (2013): 197-265.
44. პაპუაშვილი თენგიზი. *ჰერეთის ისტორიის საკითხები*. თბილისი: მეცნიერება, 1970.
45. ჟორდანია თედო. *ქრონიკები, ტ. I*. თბილისი: არტანუჯი, 2004.
46. სილაგაძე ბენიამინი. *არაბთა ბატონობა საქართველოში*. თბილისი: მეცნიერება, 1991.
47. სილოგავა ვალერი. *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*. თბილისი: არტანუჯი, 2006.
48. სილოგავა ვალერი (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა). *ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდალური წარწერები II. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.)*. თბილისი: მეცნიერება, 1980.
49. სიხარულიძე ეთერი. „ალ-ფარიკი საქართველოში“. *სემიტოლოგიური ძიებანი II*. 83-91. თბილისი: მეცნიერება, 1985.
50. სიხარულიძე ეთერი. „ალ-ფარიკის ცნობა დემეტრე I-ის გარდაცვალების შესახებ“. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო II* (1999): 15-19.

51. სიხარულიძე ეთერი. „ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ“. *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I*. 45-53. თბილისი: მეცნიერება, 1976.
52. სტეფნაძე ჯემალი. *დემეტრე პირველი*. თბილისი: მეცნიერება, 1990.
53. სტეფნაძე ჯემალი. „XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის“. *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან*. 156-165. თბილისი: მეცნიერება, 1976.
54. ფაღავა ირაკლი. „რევაზ ქებულაძე და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა (ქართული ნუმიზმატიკური აზროვნების ისტორიიდან)“. *საისტორიო კრებული 4* (2014): 398-406.
55. ფაღავა ირაკლი. „საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით)“. აკად. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა“. *პროგრამა და თეზისები*. 42-43. თბილისი, 19-20.12.2014.
56. ფაღავა ირაკლი. „საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით)“. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VIII* (2014): 250-257, 342.
57. ფაღავა ირაკლი. „ქართული ნუმიზმატიკა ერთ ტომად - ღირსეული ნაშრომი (ლევენზია ქერქ ბენეთის ნაშრომზე A Catalog of Georgian Coins, 2014)“. *საისტორიო კრებული 4* (2014): 382-394.
58. ფაღავა ირაკლი. „ჯავახთ უფლის მონეტები - კომპლექსური ანალიზი“. *საისტორიო კრებული 1* (2011): 291-343.
59. ფაღავა ირაკლი, ვარშალომიძი ირინე, თურქია სევერიანე. „ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია). *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები V* (2013): 60-67, 117-120.
60. ფაღავა ირაკლი, ვარშალომიძი ირინე, თურქია სევერიანე. „ქუფური მონეტების განძი ხელვაჩაურიდან (აჭარა)“. *იბერია-კოლხეთი 10* (2014): 85-95.

61. ფაღავა ირაკლი, პატარიძე მაია. "In memoriam მერი ანთაძე (ჩადუნელი) (ქართულ-ოსმალური და ქართულ-არაბული ნუმისმატიკური კავშირების კვლევის ისტორიისათვის)". *საისტორიო კრებული* 3 (2013): 310-315.
62. ფაცია დავითი, ფაღავა ირაკლი. *ჯალალ ად-დინ მანკბურნის ქართული მონეტები*. თბილისი: ეროვნული მწერლობა, 2009. Patsia Daviti, Paghava Irakli. *The Georgian Coins of Jalal ad-Din Mankburni*. Tbilisi: Erovnuli Mtserloba, 2009.
63. ქებულაძე რევაზი. "დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები." *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე* XXXIX-B (1987): 45-51.
64. ქოიავა ნიკოლოზი. „ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში“. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, III, 1938.
65. ქუთათელაძე ქეთევანი. *ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-მორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია)*. თბილისი: მთაწმინდელი, 2001.
66. ქუთელია თინათინი. „კიდევ ერთხელ დავით აღმაშენებლის სპილენძის უნიკალური მონეტის შესახებ“. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე* II (47-B) (2010): 270-275.
67. ქუთელია თინათინი. „კიდევ ერთხელ დავით გიორგის ძის მონეტების შესახებ“. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები* 359 (2005): 188-195, 381.
68. ქუთელია თინათინი, ღვაბერიძე ციალა. „ინჩხურის განძი“. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე* V (50-B) (2014): 212-218.
69. ყაუხჩიშვილი სიმონი (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით). *ქართლის ცხოვრება, ტომი I*. თბილისი: სახელგამი, 1955.
70. ყაუხჩიშვილი სიმონი (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით). *ქართლის ცხოვრება, ტომი II*. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1959.
71. შანიძე მზექალა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო). *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*. თბილისი: მეცნიერება, 1992.
72. ჩაგუნავა რაული. „დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო ოთხწლეულის ქრონოლოგიისათვის“. *მრავალთავი* 22 (2007): 301-314.

73. ჩადუნელი მერი, ქორიძე მარიამი. „წაქვას განძი“. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე* II (47-B) (2010): 260-269.
74. ცქიტიშვილი ოთარი. „სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ“ *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, შრომები* 118 (1967): 201-213.
75. ცქიტიშვილი ოთარი. „აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში“. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია* 1 (1984): 92-104.
76. ჯავახიშვილი ივანე. „ქართველი ერის ისტორიის II წიგნი“. *თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983.
77. ჯავახიშვილი ივანე. „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი III, 1. ნაკვეთი მესამე: ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“. ტფილისი, 1925.
78. ჯავახიშვილი ნიკოლოზი. „მეფე დავით აღმაშენებლის ასახვა ქართულ სახელმწიფო და სამხედრო სიმბოლიკაში (XVIII-XX საუკუნეები)“. *დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. სპეციალური გამოშვება*. რედ. თედო დუნდუა, დარეჯან თვალთვალაძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ალექსანდრე ბოშიშვილი. 107-119. თბილისი: მერიდიანი, 2012.
79. ჯალაღანია ირინა. *საქართველოს სამონეტო განძები, I*. თბილისი: მეცნიერება, 1976.
80. ჯალაღანია ირინა. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ომაიანთა მონეტები“. *მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის* ტ. 4 (1965): 138-156.
81. ჯალაღანია ირინა. „ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში“. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია* 4 (1973): 69-80.
82. ჯალაღანია ირინა. *ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში*. თბილისი: მეცნიერება, 1972.
83. ჯაფარიძე გოჩა. „აბასიანთა დირჰემების ქართული მინაბამები“. *საისტორიო კრებული* 2 (2012): 197-219.

84. ჯაფარიძე გოჩა. „ად-დუმანისი - იშვიათი არაბული ნისბა“. 107-109. *კონსტანტინე წერეთელი, 80*. თბილისი, 2003.
85. ჯაფარიძე გოჩა. „თბილისის ამირას ‘ალი იბნ ჯა’ფარის მონეტები“. *ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები*. რედ. გ. მაისურაძე. 132-150. თბილისი: მეცნიერება, 1991.
86. ჯაფარიძე გოჩა. „მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII-XIV საუკუნეებში“. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია 4* (1989): 77-88.
87. ჯაფარიძე გოჩა. „მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII-XIV საუკუნეებში“. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია 1* (1990): 65-78.
88. ჯაფარიძე გოჩა. *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*. თბილისი: მეცნიერება, 1995.
89. ჯაფარიძე გოჩა. „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები)“. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 4* (1989): 89-94.
90. ჯაფარიძე გოჩა, ლვინჯილია ზურაბი. „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (გიორგი III-ის უცნობი სპილენძის მონეტა)“. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო III* (2002): 296-302.
91. Akopyan Alexander, Vardanyan Aram. "A Donative Dirham of the Shirwānshāh Muḥammad ibn Aḥmad (AH 370–81) struck at Barda’a in AH 373 (982/3)". *The Numismatic Chronicle* 169 (2009): 261-267.
92. Album Stephen. *A Checklist of Islamic Coins*. Santa Rosa, 1998.
93. Album Stephen. *Checklist of Islamic Coins. 3rd Edition*. Santa Rosa, 2011.
94. Bennett Kirk. *A Catalog of Georgian Coins*. Santa Rosa, 2014.
95. Beradze Grigoli. "Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shi'i Tradition". *Journal of Persianate Studies, Special Issue on Georgia and Iran* Volume 1, No. 2 (2008): 206-217.
96. Brosset Marie-Félicité. *Revue de la numismatique Géorgienne*. St. Petersbourg, 1847.
97. Codrington Oliver. *A Manual of Musalman Numismatics*. London, 1904.

98. Dundua Tedo. "Review of Georgian Coins with Byzantine Iconography". *Quaderni ticinesi di numismatica e antichità classiche* Vol. XXIX (2000): 387-396.
99. Eastmond Antony. *Royal Imagery in Medieval Georgia*. University Park: The Pennsylvania State University Press, 1998.
100. Fedorov Mikhail. "On the "Silver Crisis" in Central Asia, Caucasus and Adjacent Regions of the Middle East". *Oriental Numismatic Society Newsletter* 167 (2001): 5-9.
101. Gogava Giorgi, Paghava Irakli, Gabashvili Goga, Turkia Severiane. "Ja'farid Onomastics and Monetary Circulation in the Tiflīs Emirate (Mixed Hoard of the 11th C. Ja'farid Coins)". (Forthcoming).
102. Jafar Yahya. *The Seljuk Period in Baghdad 447-552 H, a Numismatic and Historical Study*. London: Spink, 2011.
103. Japaridze Gocha. "On the Coins of the Tbilisi Amīr 'Alī b. Ğa'far". *Bulletin D'Études Orientales* T. L (1998): 97-107.
104. Žapariže Gocha, Ğvinžilia Zurab. „Eine unbekannte Kupfermünze Giorgis III“. *Georgica* 22 (1999): 5-7.
105. Ilisch Lutz. „Islamic Numismatics“. *A Survey of Numismatic Research 2002-2007*. Eds. M. Amandry, J. Bateson. 479-504. Glasgow, 2009.
106. Jones Lynn. *Between Islam and Byzantium: Aght'amar and the Visual Construction of Medieval Armenian Rulership*. Ashgate Publishing Limited / Ashgate Publishing Company, 2007.
107. Klat Michel. *Catalogue of the Post-Reform Dirhams. The Umayyad Dynasty*. London: Spink, 2002.
108. Kouymjian Dickran. *A Numismatic History of Southeastern Caucasia and Adharbayjān Based on the Islamic Coinage of the 5th/11th to the 7th/13th Centuries*, Columbia University, Ph.D. Thesis. 1969.
109. Lang David. "Notes on Caucasian Numismatics". *Numismatic Chronicle* Sixth Series XVII (1957): 137-146.
110. Lang David. *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. Based on the Collection of The American Numismatic Society*. New-York, 1955.
111. Langlois Victor. *Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'à nos jours*. Paris, 1860.

112. Langlois Victor. *Numismatique de la Géorgie au moyen âge*. Paris, 1852.
113. Lowick, Nicholas. *Early 'Abbāsid Coinage, A Type Corpus, 132-218 H / AD 750-833. Edited by Savage, Elisabeth*. (A posthumous work, typescript, unpublished).
114. Mayer Tobias (bearbeitet von). *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*. Wiesbaden: Harrasowitz, 2005.
115. Minorsky Vladimir. "Caucasica in the History of Mayyāfāriqīn". *Bulletin of the School of Oriental and African Studies* Vol. XIII, part I (1949): 31-34.
116. Minorsky Vladimir. *Studies in Caucasian History. I. New Light on the Shaddādids of Ganja. II. The Shaddādids of Ani. III. Prehistory of Saladin*. London: Taylor's Foreign Press, 1953.
117. Molchanov Arkadiy. "New Evidence of Ja'farid Coinage (a Dirham of Emir Ja'far b. Mansur, Tiflis AH374)". *Oriental Numismatic Society Newsletter* 176 (2003): 7-8.
118. Morgan Jacques de. *Mission scientifique au Caucase, Études Archéologiques & Historiques, Tome Deuxième, Recherches sur les origines des peuples du Caucase*. Paris, 1889.
119. Naymark Alexander, Paghava Irakli. "A Bukharkhuda Dirham from Kura/Mtkvari River in Georgia". *Journal of Oriental Numismatic Society* 221 (2014): 25-27.
120. Nicol Norman. *Sylloge of Islamic Coins in the Ashmolean, vol. 4, Later 'Abbasid Precious Metal Coinage (from 219 AH)*. Ashmolean Museum Oxford, 2012.
121. Paghava Irakli. "Art, Court Culture and Economy in the Epoch of Queen Tamari: Monetary Implications". (Forthcoming).
122. Paghava Irakli. "The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah". *3rd Assemani Symposium on Islamic Coins*, Roma, 23-24 September 2011, Proceedings. Eds. Bruno Callegher and Arianna D'Ottone. 220-261. Trieste, 2012.
123. Paghava Irakli. "Periodization of Georgian Numismatic History". *Pro Georgia*, 24 (2014): 119-138.
124. Paghava Irakli. "Silver Coinage of David IV the Builder with no Byzantine Title (Attribution, Dating, Significance)". *Pro Georgia*, 22 (2012): 91-110.
125. Paghava Irakli, Bennett Kirk. "New Monetary Material for the Numismatic History of 'Alī B. Ja'far, Ja'farid Emir of Tiflis, and its Significance". *Journal of Oriental Numismatic Society* 213 (2012): 11-12.

126. Paghava Irakli, Geradze Gocha. "The Alloy Composition of the Georgian and Ildegizid Coins of the 12th-13th Century". *Pro Georgia*, 23 (2013): 99-109.
127. Paghava Irakli, Novák Vlastimil. "Georgian Coins in the Collection of the National Museum-Náprstek Museum in Prague". *Annals of the Náprstek Museum* 34 / 2 (2013): 41-82.
128. Paghava Irakli, Pataridze Maia. "Toiler in the Field of Georgian-Anatolian and Georgian-Arabic Numismatic Relations (In Memoriam Mary Antadze)". *Journal of Oriental Numismatic Society* 217 (2013): 1-2.
129. Paghava Irakli, Patsia David. "A New Variety of a No-Cross Type Silver Coins of Davit IV of Georgia". *Journal of Oriental Numismatic Society* 198 (2009): 45-47.
130. Paghava Irakli, Spanderashvili Rolandi. "Georgian-Byzantine Type Coins of Giorgi II and Davit IV: New Specimens". *Journal of Oriental Numismatic Society* 216 (2013): 21-23.
131. Paghava Irakli, Turkia Severiane. "Between Ja'farids and Bagratids: The Last Monetary Issues of Muslim Tiflis in the Name of al-Mustazhir (1094-1118)". (Forthcoming).
132. Paghava Irakli, Turkia Severiane. "Circulation of Kufic Dirhams and Dinārs in the Tiflīs Emirate (New Monetary Evidence)". (Forthcoming).
133. Paghava Irakli, Turkia Severiane. "Circulation of Kufic Fulus the Tiflīs Emirate". (Forthcoming).
134. Paghava Irakli, Turkia Severiane. "A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja'far III b. 'Alī, Ja'farid Emir of Tiflīs". *Journal of Oriental Numismatic Society* 206 (2011): 11-13.
135. Paghava Irakli, Turkia Severiane. "A New Early Coin Type of 'Alī b. Ja'far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tā'ī li-llāh." *Journal of Oriental Numismatic Society* 199 (2009): 7-9.
136. Paghava Irakli, Turkia Severiane. "The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus". *Journal of Oriental Numismatic Society* 201 (2009): 16-18.
137. Paghava Irakli, Turkia Severiane. "A Unique Coin of Abū al-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflīs". *The Numismatic Chronicle* 172 (2012): 205-212.
138. Paghava Irakli, Turkia Severiane, Zlobin Gennadiy. "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum". *Journal of Oriental Numismatic Society* 207 (2011): 13-14.
139. Paghava Irakli, Turkia Severiane, Lobzhanidze Giorgi. "Jalal al-Din Mangubarni's copper coin minted in the Kingdom of Georgia and without marginal legend". *Journal of Oriental Numismatic Society* 192 (2007): 6-8.

140. Paghava Irakli, Turkia Severiane, Lobzhanidze Giorgi. "Jalal al-Din Mangubarni's copper coin minted in Georgia without marginal legend: addendum". *Journal of Oriental Numismatic Society* 194 (2008): 7-8.
141. Rapp Jr. Stephen H. „The Coinage of T'amar, Sovereign of Georgia in Caucasia: A Preliminary Study in the Numismatic Inscriptions of Twelfth- and Thirteenth-Century Georgian Royal Coinage." *Le Museon* 106, Issue 3-4 (1993): .
142. Schindel Nikolaus. "Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II. b. Muhammad from the Caucasus – Additional Comments". *Journal of the Oriental Numismatic Society* 202 (2010): 8–11.
143. Shamma Samir. *A Catalogue of Abbasid Copper Coins*. London, 1998.
144. Spengler William, Sayles Wayne. *Turkoman Figural Bronze Coins and Their Iconography*. Lodi: Clio's Cabinet, 1992.
145. Spengler William, Sayles Wayne. *Turkoman Figural Bronze Coins and Their Iconography. Volume II – The Zengids*. Lodi: Clio's Cabinet, 1996.
146. Treadwell Luke. *Buyid Coinage. A Die Corpus (322-445 A.H.)*. Ashmolean Museum Oxford, 2001.
147. Tsukhishvili Izolda, Depeyrot Georges. *History and Coin Finds in Georgia. Late Roman and Byzantine Hoards (4th-13th c.)*. Wetteren: Belgium, 2003.
148. Turkia Severiane, Paghava Irakli. "The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis". *Journal of Oriental Numismatic Society* 197 (2008): 5-11.
149. Turkia Severiane, Paghava Irakli. "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia". *Journal of Oriental Numismatic Society* 200 (2009): 9-12.
150. Turkia Severiane, Paghava Irakli. "The Prolongation of Yazīd b. Usayd's Reign in the North-West of the Caliphate". *Journal of the Oriental Numismatic Society* 198 (2009): 4-6.
151. Turkia Severiane, Paghava Irakli. "An Unrecorded Early Post-reform Fals minted in Tiflis". *Journal of Oriental Numismatic Society* 191 (2007): 6-8.
152. Vardanyan Aram. *Islamic Coins Struck in Historic Armenia, vol. 1, Armīniya, Arrān (Madīnat Arrān), Barda'a, Dabīl, Hārūnābād / Hārūniya and Ma'dan Bājunays, Early 'Abbāsīd Period (142-277 AH / 759-891 AD)*. Yerevan: Tigran Mets, 2011.
153. Zeno Oriental Coins Database. <<http://www.zeno.ru/>>.

154. Акопян Александр. "К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах". *Государственный Исторический музей. Нумизматические чтения 2011 года. Памяти Алексея Владимировича Фомина. Москва, 21-22 ноября 2011 г. Тезисы докладов и сообщений*, (2011): 19-22.
155. Акопян Александр. "К шаддадидской нумизматике: чекан Искандара б. Шавура, правителя Двина". *Международная научная конференция "Археология, этнология, фольклористика Кавказа". 27-30 сентября 2010 г. Тбилиси – Гори – Батуми. Сборник кратких содержаний докладов*. 49-50. Тбилиси, 2011.
156. Баратаев Михаил. *Нумизматические факты грузинского царства*. СПб, 1844.
157. Берадзе Григол, Смирнова Л. *Материалы по истории ирано-грузинских взаимоотношений в начале XVII века*. Тбилиси: Мецниереба, 1988.
158. Быков Алексей. "Грузинские монеты XII-XIII вв." *Сборник "Памятники эпохи Руставели", Гос. Эрмитаж*. 77-90, таблицы 1-5. Ленинград, 1938.
159. Гваберидзе Циала, Кутелия Тинатин. "Инчхурский клад". *Сборник тезисов докладов и сообщений Шестой Всероссийской нумизматической конференции*. 89-90. СПб, 1998.
160. Джавахов Иван (Джавахишвили Иванэ), "Рецензия на книгу: "Е.А. Пахомов, "Монеты Грузии". Часть I (домонгольский период), Зап. Нумизм. отд. Имп. Русск. Археол. Общества". IV вып. I тома, 129 страниц (СПб., 1910)". *ივანე ჯავახიშვილი, თხზულებები თორმეტ ტომად, ტ. IX*. 667-678. თბილისი: მეცნიერება, 1996.
161. Джалагания Ирина. *Из истории монетного дела в Грузии XIII века*. Тбилиси: Издательство АН Грузинской ССР, 1958.
162. Джалагания Ирина. *Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв.* Тбилиси: Мецниереба, 1979.
163. Джапаридзе Гоча. "Грузинские монеты XII в. с арабскими легендами (медные монеты с именем царя Давида: вопросы атрибуции)". *Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины* Вып. 4 (1997): 155-161.
164. Джапаридзе Гоча. "Медные монеты грузинского царя Давида 5-го (1155 г.) с арабскими надписями". *Бартольдские чтения. Тезисы докладов и сообщений*. 30. Москва, 1990.

165. Джапаридзе Гоча. "О монетах Тбилисского эмира Али б. Джафара". *Восточное историческое источниковедение и специальные исторические дисциплины* Вып. 5 (1997): 204-216.
166. Джапаридзе Гоча, Гвинджилия Зураб. "Грузинские монеты с арабскими легендами (Неизвестная медная монета Грузинского царя Гиоргия III)". *Древности Поволжья и других регионов* Вып. IV, том 3 (2002): 232-235.
167. Добровольский Игорь. "Редкие грузинские монеты в собрании Эрмитажа". *Прошлое нашей родины в памятниках нумизматики*. 161-168. Ленинград: Аврора, 1977.
168. Дундуа Тедо. "Грузинские Монеты X-XII вв. как Исторический Источник". Тбилиси, 2011.
169. Капанадзе Давид. "Клад монет начала XI в. тбилисского эмира Али ибн Джафара". *Эпиграфика Востока* т. XIV (1961): 71-78.
170. Капанадзе Давид. "Комментарии к книге Пахомова Е.А. "Монеты Грузии". 277-350. Пахомов Евгений. *Монеты Грузии*. Тбилиси, Мецниереба, 1970.
171. Капанадзе Давид. "Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия". *Эпиграфика Востока* XII (1958): 39-47.
172. Капанадзе Давид. "Неизданный вариант грузинской монеты XI века." *Труды Абхазского института языка, литературы и истории* XXX (1959): 101-104.
173. Капанадзе Давид. "Новый тип монеты Давида Строителя". *Византийский временник* VIII (1956): 338-343.
174. Капанадзе Давид. "Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным". *Советская археология* 2 (1964): 63-78.
175. Кебуладзе Реваз. "Клад из села Цихесулори". *Нумизматический сборник памяти Д. Г. Капанадзе*. Ред. Вадим Леквинадзе. 109-116. Тбилиси, 1977.
176. Коиавя Николоз. "Денежное обращение Грузии в эпоху Руставели". *Сборник Руставели. К 750-летию "Вепхисткаосани"*. Ред. Симон Джанашиа. 97-127. Тбилиси, 1938.
177. Кулешов Вячеслав. "О грузинских подражаниях 'Аббасидам и о так называемой "монете Баграта III" из собрания Эрмитажа". *Византия в контексте мировой культуры. Труды Государственного Эрмитажа* Т. LXIX (2013): .
178. Кулешов Вячеслав. "Редкие и примечательные аббасидские дирхамы последней трети IX и начала X в. из Козьянковского клада". *Гісторыя і археалогія Полацка і Полацкай зямлі*.

Матэрыялы VI Міжнароднай навуковай канферэнцыі (1-3 лістапада 2012 г.). У дзвюх частках. Частка 1. 194-204. Полацк, 2013.

179. Кулешов Вячеслав. “О типологическом и хронологическом соотношении хазарских рунических дирхамов и монет Абхазского царства IX в.”. *Нумизматические чтения 2013 г. Материалы докладов и сообщений.* 40-42. Москва, 2013.

180. Лебедев Валентин., Марков Дмитрий., Койфман Александр. *Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шаддадидов (сер. X – XI вв.).* Москва: Нумизматическая литература, 2006.

181. Лордкипанидзе Мариам. *Тбилиси (IV-XV вв.). Исторический очерк.* Тбилиси, 1991.

182. Марръ Нико. *Надпись Епифанія, католикоса Грузіи (Изъ раскопокъ въ Ани 1910 г.).* С.-Петербургъ, 1910.

183. Метревели Роин, Одишли Джумбер (Редакторы). *Очерки истории Грузии, Т. III, Грузия в XI-XV веках.* Тбилиси: Мецниереба, 2002.

184. Молчанов Аркадий. “Дирхам тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.”. *Девятая Всероссийская нумизматическая конференция. Великий Новгород, 16–21 апреля 2001 г. Тезисы докладов и сообщений.* 58–60. СПб., 2001.

185. Молчанов Аркадий. “Новые данные о монетной чеканке Джафаридов (дирхем тифлисского эмира Джафара ибн Мансура 374 г.х.)”. *Нумизматический сборник ГИМ Т. XVI (Труды Государственного Исторического музея Вып. 138) (2003):* 93–95.

186. Мушегян Хачатур. *Денежное обращение Двина по нумизматическим данным.* Ереван: Издательство АН Армянской ССР, 1962.

187. Пагава Иракли, Лемберг Евгений. “Обращение куфического серебра в западных и юго-западных провинциях Грузии (в свете новых находок)”. *Эпиграфика Востока XXXI (2015):* 273-298.

188. Пагава Иракли, Туркиа Севериане. “Монетное наследие Мансура II б. Джа'фара (III) (к нумизматической истории Тифлисского амирата)”. *ПОЛУТРОПОΣ: Сборник научных статей памяти Аркадия Анатольевича Молчанова (1947-2010).* Под редакцией Татьяны Джаксон и Александра Акопяна. 347-360. Москва: Индрик, 2014.

189. Пахомов Евгений. "Загадочные грузинские монеты на побережье Каспия". *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. კრებ. მიძღვნილი აკად. ნ. ბერძენიშვილისადმი, რედ. გიორგი მელიქიშვილი*. 167-169. თბილისი: მეცნიერება, 1966.
190. Пахомов Евгений. "Монетные клады Азербайджана и Закавказья". *Труды о-ва обследования и изучения Азербайджана* вып. 3. Баку: Издание Общества обследования и изучения Азербайджана, 1926.
191. Пахомов Евгений. *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск III*. Баку: Издательство АзФАН, 1940.
192. Пахомов Евгений. *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск VII*. Баку, 1957.
193. Пахомов Евгений. *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск IX*. Баку: Издательство Академии Наук Азербайджанской ССР, 1966.
194. Пахомов Евгений. *Монеты Азербайджана. Вып. I*. Баку, 1959.
195. Пахомов Евгений. *Монеты Азербайджана. Вып. II*. Баку, 1963.
196. Пахомов Евгений. *Монеты Грузии, ч. I*. СПб., 1910.
197. Пахомов Евгений. *Монеты Грузии*. Тбилиси: Мецниереба, 1970.
198. Пахомов Евгений. "Неизданные грузинские монеты XI века." *Известия Кавказского музея* IV (1909): 150-152.
199. Тизенгаузен Эрнст Вольдемар. *Монеты восточного халифата*. Санкт Петербургъ, 1873.
200. Фасмер Ричард. „Хронология наместников Армении при первых Аббасидах“. *Записки коллегии востоковедов при Азиатском музее* Т. I (1925): 381-400.
201. Ходжаниязов Т. *Каталог монет государства великих Сельджуков*. Ашхабад, 1979.
202. Чубинашвили Георгий. *Грузинское чеканное искусство. Иллюстрации*, Тбилиси, 1959.
203. Шамба Сергей. *Монетное обращение на территории Абхазии (V в. До н.э. – XIII в. н. э.)*. Тбилиси: Мецниереба, 1987.
204. احمد كسروی. 'شهریاران گمنام'. تهران، ۲۵۳۵.
205. قطران تبریزی. 'دیوان'. باهتمام محمد نخجوانی. تبریز، ۱۳۳۳.